N16 (515) 22/IV-28/IV-2010 ფასი 1 ლარი

# გზა

## ქართული პროზის საგანძური

**ტომი №8**

**აკაკი წერეთელი**

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

**გურამ გეგეშიძე**



## ამბიციური ქრისტინეს გულისტკივილი

„ზოგჯერ ზედმეტად გვაკრიტიკებენ"...

## ვისგან იცავს ნინო ჩხეიძე მამაკაცებს

## ბაჩო ქაჯაია „ეჭვის ჭიამ" ენაბლუდ აქცია



## წაჩხურუს მთავარანგელოზის ტაძარში მომხდარი სასწაული



## „კლინიკის" მსახიობი ბიჭის როლის შესრულებაზე ოცნებობს



## ლონდონში მცხოვრები მრავალშვილიანი ქართული ოჯახი



## არაბული ცეკვით განკურნებული უშვილობა

ISSN 1987 - 5029

# სხვის ომში დაღუპული ქართველი მებრძოლები


ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან -„ ეს სამყაროა“. სამყარო, რომელიც უფროსებსაც გააოცებს!
ეს სამყაროა
სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები
წიგნების კიდევ ერთი საოცარი სერია „კვირის პალიტრისგან“
ტომი №3
მტაცებლები
26 აპრილიდან - 3 მაისამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!
შეიძინეთ
„კვირის პალიტრასთან“ ერთად
„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით
„ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი
სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ
რაინდები და ციხე-კოშკები
ეგვიპტე
მტაცებლები
სტიქიური მოვლენები
პოლარული სამყარო
რეპტილიები
მფრინავები
სერია „ეს სამყაროა“-ს I და II ტომი — „რაინდები და ციხე - კოშკები“ და „ეგვიპტე“ გაყიდვაშია წიგნის მაღაზიებში

№16 (515)
22 - 28 აპრილი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

გზა

■ მინიატიურები 5
„რატომ მკადრებ, ბიძია, ცუდ სიტყვას?“ ანუ „ანუ“...

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ პროექტი 8
„ის რა მწერალია, გინებითა და ქუჩის სიტყვებით რომ ცდილობს ყურადღების მიქცევას!“

■ პოლიტიკა 11

■ სიახლე 14
ვიდეოთვალით ნოტარიუსთან დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელი გახდა

■ კრიმინალი 16
უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა?

■ ფსიქოპორტრეტი 19
„მაქვს იმის ამბიცია, რომ კარგად ვიმღერო“

■ მსახიობი 21
„მსახიობობა ბავშვობიდან პროფესიად „შემომეპარა“

■ ამპლუა 23
ცეკვა, რომელიც უშვილობასაც კურნავს

■ გემოვნება 25
„ჩემი რჩეული აუცილებლად ქერა უნდა იყოს“

■ ვარსკვლავები 27

■ მინირომანი 28
სიძულვილი და მადლიერება

■ გასაჭირი 31
ერთი მარტოხელა დედის გზაზე...

■ სულის სიმტკიცე 32
„სადაც არის ინტეგრაცია, იქ ვართ ჩვენც“

■ ღვთის მადლი 33
წაჩხურუს მთავარანგელოზის ტაძარი სასწაულებს ახდენს

■ ეს სამყაროა 36

■ საგანძური 39
XI საუკუნის ხელნაწერი გალობა და ძველი ხატების ასლები

## ქვეყანა




### „ის რა მწერალია, გინებითა და ქუჩის სიტყვებით რომ ცდილობს ყურადღების მიქცევას!“

„ინგლისური ენის შესათვისებლად, იოლად საკითხავი წიგნები შევიძინე. ერთი ამერიკელი მწერალი მსტუმრობდა და რომ ნახა, სიცილით მოკვდა: ეს ეგრეთ წოდებული ყვითელი ლიტერატურაა, ბილწსიტყვაობით, დედის გინებით გამოირჩევა, ამით ეგ ავტორი ფულს აკეთებს, თორემ ამას ჩვენთან ლიტერატურას არც ეძახიანო.“

8

## სახე




### „ლაშიკოსნაირი ბუნჩულა არა ვარ“

„8 წლის ასაკიდან სკოლა-სტუდია „ბერიკებში“ დავდიოდი. თავიდან გასართობად, მაგრამ შემდეგ იქაურობა ძალიან შემიყვარდა და მომავალში ისე მოხდა, რომ მსახიობობა პროფესიად „შემომეპარა“...“

18



## ცხოვრება

### ტაძარი სასწაულებს ახდენს



უშვილობა ბევრი ოჯახის პრობლემაა. წყვილი ხშირად უფალს შვილიერებას სთხოვს. საქართველოში რამდენიმე ტაძარია, სადაც წყვილები საგანგებოდ ამ თხოვნით მიდიან. ერთ-ერთი ასეთი ტაძარი, მარტვილის რაიონის ულამაზეს სოფელ სალხინოშია.

28

## გზავნილები

### ნამდვილი მამაკაცის გასაკეთებელი 3 საქმე



„ახალციხეში ერთი, ფრიად არაორდინარული და „იდეინი“ ბიჭი ცხოვრობს. ხანდახან ისეთ რამეებს აკეთებს... მაგალითად, ერთხელ ქალის სამოსში გამოეწყო, ქერა პარიკის შოვნა არ გასჭირვებია (თეატრიდან მოატანინა მსახიობ ძმაკაცს) და საღამოს, იქვე, თავისი კორპუსის წინ, „პანელზე“ დადგა. ერთიც ენახოთ და გაჩერდა მანქანა...“

76

■ ავტო 40
■ ისტორიის ლაბირინთები 41
სხვის ომში გაცემული „ბანდერელები“
■ ტაძარი 44
უნიატური ეკლესიები, დასავლეთში დაწყებული განხეთქილებები და რუსეთის ეკლესიის საპატრიარქო ტიტული
■ ანტიდეპრესანტი 46
■ საკითხავი ქალებისათვის 46
■ შეუცნობელი 48
დიდი ადამიანების უცნაური გადახრები ანუ საიდან მოდიან გენიოსები
■ ჯანმრთელობა 49
■ ემიგრანტი 52
მრავალშვილიანი ქართველი ოჯახი ლონდონში
■ სამართალი 55
„მე აქაც თავისუფალი ვარ“
■ პროფესია 56
■ თინეიჯერული პონტები 57
საზღვარგარეთ გადახვეწილი დედებისა და მშობლის გარეშე დარჩენილი შვილების ტკივილი
■ წვეთი პოეზია 60
■ ავტოპორტრეტი 61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
■ ქართული დეტექტივი 65
გოჩა მანველიძე. ძმები (დასასრული)
■ რომანი 69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)
■ რეალური 73
ULTRIX (გაგრძელება)
■ გზავნილები 76
ნამდვილი მამაკაცის გასაკეთებელი 3 საქმე
■ ყველა ერთისათვის 80
„ნუ დაკარგავ იმას, რასაც სიწმინდე ჰქვია“
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 86
■ ასპარეზი 87
■ ერუდიტი 90
320 „ვეფხისტყაოსანი“ და საოცნებო მოგზაურობა გულივერთან ერთად
■ მუნდიალი 92
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## სამყარო



### დიდი ადამიანების უცნაური გადახრები

ვინ არიან გენიოსები და საიდან მოდიან ისინი? ზოგიერთის აზრით, ასეთი ადამიანები პირდაპირ ციდან „ცვივიან“; სხვებს გენიოსობა ღვთის წყალობა, ანომალია ან სულაც, ავადმყოფობა ჰგონიათ.

36

## ადამიანი



### მრავალშვილიანი ქართული ოჯახი ლონდონში

„ზოგი ჩემს მრავალშვილიანობას ცოდვად მიიჩნევდა, მაგრამ მე და ჩემი მეუღლე ყველა გასაჭირს უფლის რწმენითა და სიყვარულით ვუძლებდით... მცირედი შემოსავლის გამო, შვილები თითქმის მშიერები მყავდნენ“.

52

## ბიბლუსი






კანცელარიაში პეტრე მამრაძე შემეგება.
— ქალბატონო ლალი, მოკლედ მოუყევით პრეზიდენტს თქვენ შესახებ. ხომ იცით, რა გრაფიკიც აქვს? წარმატებას გისურვებთ.
მამრაძის გაფრთხილებამ სულ ამრია.
რა უნდა მოვუყვე, რა მაქვს პრეზიდენტისათვის მოსაყოლი?

60

## ტაიმ-აუტი



### 320 „ვეფხისტყაოსანი“ და საოცნებო მოგზაურობა გულივერთან ერთად

„ვეფხისტყაოსანის“ იაპონური გამოცემის შეძენა 400 ლარამდე დამიჯდა, მაგრამ ე.წ. მაკულატურის პუნქტებიდან არაერთი ძალიან კარგი წიგნი, მიზერულ თანხად შემიძენია. ფაქტობრივად, ჩემი სახლი პატარა ბიბლიოთეკაა.“

86

# „რატომ მკადრებ, ბიძია, ცუდ სიტყვას?" ანუ „ანუ"...



**შესავლის ნაცვლად** ცოტა არ იყოს, გაუგებარი სათაურია, ხომ?

ახლავე შევეცდები, აგიხსნათ. დიალოგი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"-დან:

„— ამ ჩემოდანს რომ უყურებ, სამასი თუმნის საქონელია შიგ და შენ რა გიყრია თავში?!

— რატომ მკადრებ, ბიძია, ცუდ სიტყვას?"

ხომ ყველას გახსოვთ, ეს დიალოგი? ე.ი. აქ ყველაფერი გასაგებია. სათაურის მეორე ნაწილის ასახსნელად სულ სხვა, წინა კვირის ბოლოს შემდგარ დიალოგს შეგახსენებთ, ტელეჟურნალისტსა და ბ-ნ ლევან გაჩეჩილაძეს შორის:

— დააყენებთ თუ არა თქვენს კანდიდატურას თბილისის მერის პოსტზე?

— ყველაფრის შესახებ ოფიციალურ კომენტარს ხვალ გავაკეთებ...

— ანუ, ამის შესახებაც ხვალ გვეტყვით?

— ყველაფრის შესახებ... იცი, რას გეტყვი? „ანუ" უთხარი სააკაშვილს და კიდევ იმათ (?!)...

გაიგეთ რამე? ვერც მე... გარდა იმისა, რომ ოპოზიციის კონკრეტულ ლიდერს, სიტყვა „ანუ" შეურაცხყოფა ჰგონია...








და კიდევ ერთი, განუმეორებელი კადრი გასული კვირის ქრონიკიდან (ხომ გახსოვთ: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!.."): ოპოზიციის იგივე ლიდერი, ხელგადახვეული საპირისპირო სქესის კოლეგასთან და ამის გამო უბედნიერესი სახით მზირალი ეს უკანასკნელი (ქ-ნი ეკა ბესელია)... ეჰ, ვიფიქრე, ახლა ესენი მთებს გადადგამენ-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს გაჩეჩილაძემ გამოაცხადა, ჩემს კანდიდატურას არ დავაყენებო... ანუ არჩევნების დედაც „ანუ", მერობის დედაც „ანუ" და საერთოდ, თქვენი ყველასი „ანუ"-ო... სამაგიეროდ, კაკო ასათიანი მოსკოვში ჩავიდა ურიგოდ (ეკუთვნის, ვეტერანია), ხოლო სააკაშვილმა ობამას „დაუპადიეზდა" სამიტის სხდომათა დარბაზის შესასვლელში და მაინც ჩამოართვა ხელი!!! მოსკოვზე გამახსენდა: სულ მაინტერესებდა, რა უნდა მოხდეს, რომ კობა დავითაშვილმა ეს პიჯაკი გამოიცვალოს-მეთქი და აჰა — მისი ჯერი მოვიდა „შეფებთან" ჩასვლისა და... ისე, ღია ფერი მოუხდა, ცოტა მსუქნად კი აჩენს, მაგრამ მაინც... ხუმრობა იქით იყოს და, ამ „ჩრდილოეთიდან ამოსული მზის შვილებს" შორის ერთადერთი, ვისზეც გული მწყდებოდა, ზვიად ძიძიგური იყო: ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, გამსახურდიას დროს სამტრედიის პრეფექტი, ცნობილი „რკინიგზის ბოიკოტის" ერთ-ერთი მთავარი ავტორ-შემსრულებელი და უცებ — მოსკოვს წამსვლელთა რიგში მორჩილად მდგომი?! მაგრამ ორშაბათს ისეთი რამ თქვა (ასეთ ნათქვამზე ითქმის — დააბრეხვაო!) „იმედის" პირდაპირ ეთერში, რომ ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის. რაო და, მოსკოვი რა შუაში იყო, მაშინ, ეროვნული მოძრაობის დროს, კონკრეტულად კი სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვით, ჩვენ გუმბარიძის (მართლა იყო ასეთი კაცი) ხელისუფლებას ვებრძოდითო (?!?!?!) კარგი, რა! ამაზე მეტი „ანუ" გაგიგიათ?! თუ, არ გეხერხება ტყუილი? მოდი და გამეცადინებ... თორემ ისევ ასე შერცხვები: იმავე გადაცემაში რომ თქვი, საქართველოს მოსახლეობის 85%-ზე მეტი რუსეთთან მეგობრობას უჭერს მხარსო. რითი ჩაატარეთ ასეთი კვლევაო (წამყვანმა)? — და, — ჩემი ფეხებითო, — უპასუხა! თურმე ფეხით მოვიარე საქართველოო — გულისხმობდა...

„ჩრდილოეთიდან ამოსული მზის შვილებიო" — ზემოთ რომ ვთქვით, გახსოვთ შენგელაიას — „მიდიოდა მატარებელი" და ქანდაკება „მზის შვილები"? პირდაპირ დღევანდელ ცხოვრებას არ ხატავს იქაური დიალოგი გურამ ფირცხალავას პერსონაჟსა და მის ხელქვეითს შორის?

„— ჰგავს, ბატონო გენერალო, ახლა ეს „მზის შვილებს"?

— „მზის შვილებს" არა, მაგრამ... აი... ტრაკს კი ჰგავს... კი, ნამდვილად ტრაკია!" (მკითხველთან ბოდიში, მაგრამ ციტატა ორიგინალის სიზუსტით მომყავს)

**P.S.** ქალმა ბაყაყი იპოვა. ბაყაყმა უთხრა, მოჯადოებული მერობის კანდიდატი ვარ, მაკოცე, სახეს დავიბრუნებ და მუდამ შენი ვიქნებიო...

ქალმა ჩანთაში ჩაიგდო ბაყაყი და ჩაილაპარაკა:

— მერობის კანდიდატები „ვედრო მანეთად" ყრია, მოლაპარაკე ბაყაყს კი კარგ ფასად გავყიდი...

*პროვოკატორი*

# პოლონური გამოძიება პრეზიდენტის თვითმფრინავის აფეთქების 4 ვერსიაზე მუშაობს



პოლონეთის გენერალური პროკურორის, ანჯეი სემერეტის განცხადებით, არსებობდა ავიაკატასტროფის 4 ვერსია: ტერაქტი, ტექნიკური ავარია, პილოტის შეცდომა და ბოლო ორი ვერსიის თანხვედრა. „ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ არის გამორიცხული", — განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.

სემერეტმა ასევე აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ არის გარკვეული, თუ რა მომენტში მიიღო პილოტმა თვითმფრინავის დასმის გადაწყვეტილება. მისი განცხადებით, არა აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, მოახდინა თუ არა რომელიმე მაღალჩინოსანმა მგზავრმა პილოტზე ზეწოლა ბორტის დასმასთან დაკავშირებით. პროკურორისავე ინფორმაციით, პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის „შავ ყუთებში" პილოტის ლოცვაა ჩაწერილი. მისი თქმით, პილოტი მიწასთან შეჯახებამდე ლოცულობდა. პოლონური მხარის განცხადებით, გამოქვეყნდება ყველა საუბარი, „ინტიმური მომენტების" გარდა.

პოლონელი ჟურნალისტების ინფორმაციით კი „შავ ყუთებში" არა მხოლოდ პილოტების საუბრები, არამედ თვითმფრინავის სალონიდან გამოსული ხმებიც არის ჩაწერილი. „ბოლო მომენტში ისმის საშინელებისა და ტკივილის გამო არაადამიანური ყვირილი", — განაცხადა გამოძიებასთან დაახლოებულმა, ინფორმირებულმა წყარომ. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია უარყო გამომძიებელმა ზბიგნევ ჟეპამ. გამომძიებელმა განაცხადა, რომ ჩაწერილია მხოლოდ ეკიპაჟის კაბინის ხმები, სადაც სამგზავრო სალონიდან ხმაური ვერ შეაღწევდა. ■

# ამოუხსნელი ფენომენი

13 წლის ხორვატიელმა გოგონამ, კომიდან გამოსვლის შემდეგ, თავისუფლად დაიწყო საუბარი გერმანულად. უფრო მეტიც — გერმანულმა ენამ მისი მეხსიერებიდან მთლიანად ამოშალა მშობლიური — ხორვატიული. აღსანიშნავია, რომ გოგონამ სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო გერმანული ენის შესწავლა; ამ მიზნით, გერმანულ ტელეგადაცემებს უყურებდა და ამ ენაზე დაწერილ წიგნებს კითხულობდა... მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მაინც ვერ ახერხებენ იმის ახსნას, თუ როგორ გადაერთო ის მთლიანად ერთი ენიდან მეორეზე. როგორც ექიმი მაიო მილში ამბობს, ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც კომიდან გამოსვლისა და მძიმე ავადმყოფობის ან ტრავმის გადატანის შემდეგ, უეცრად



უცხო ენაზე საუბარს იწყებდნენ; ასევე ყოფილა შემთხვევები, როდესაც მკვდარ ენებზე დაუწყიათ საუბარი, რომელზეც ძველ ეგვიპტეში ან ბაბილონში საუბრობდნენ. ეს ფენომენი მეცნიერებმა დღემდე ვერ ამოხსნეს. ■

# ქათმის ქურდობისთვის დასჯილი მომღერალი

ბრიტანელ მომღერალს, სერ ტომ ჯონსს სამხრეთ უელსში მდებარე სოფელ ფოკრაიში ჩასვლის უფლება მხოლოდ იმიტომ არ ჰქონდა, რომ ის ქათმის ქურდობაში იყო ეჭვმიტანილი. როგორც გაზეთი The Daily Mail წერს, 1963 წელს ამ სოფელში ჯონსის კონცერტი გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგაც, მსმენელებმა ლატარიის გათამაშება გადაწყვიტეს, მთავარ პრიზად კი ქათამი დააწესეს, მაგრამ გათამაშება ვერ მოასწრეს, რადგან ბარში ჩხუბი ატყდა და პრიზიც უკვალოდ გაქრა. ამ საქმეში მთავარ ეჭვმიტანილად სწორედ ტომ ჯონსი დაასახელეს. ბოლოს და ბოლოს, ბრიტანელებმა გულმოწყალება გამოიჩინეს და მომღერალს ქათმის ქურდობა 47 წლის გასვლის შემდეგ აპატიეს. ■





# 102 წლის მოსწავლემ პირობა დადო...

ჩინეთში, შანდუნის პროვინციის ქალაქ ციზნანის მკვიდრი ქალბატონი პირველად სკოლაში, 102 წლის ასაკში წავიდა. ჩინელი ქალბატონი მა სიუსიანი ამაზე თურმე მთელი ცხოვრება ოცნებობდა. ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო, 18 წლისა კი, ასევე იძულებით, გათხოვდა. სიუსიანს სკოლაში სწავლის შესაძლებლობა ერთ-ერთმა სასწავლო დაწესებულებამ მისცა, სადაც მოხუცი ქალბატონის ოცნების შესახებ მის მიერ ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუდან შეიტყვეს. 102 წლის მოსწავლე გაკვეთილების კარგად მოსასმენად სასმენ აპარატს იყენებს, წიგნის კითხვისას კი — გამადიდებელ შუშას. სკოლაში გატარებული პირველი დღის შემდეგ, სიუსიანმა მასწავლებელსა და თანაკლასელებს მადლობა გადაუხადა და კარგად სწავლის პირობა დადო. ■

# 7 შვილი და ორი ქმარყოფილი — 17 წლის ასაკში

ჩრდილოეთ არგენტინის მკვიდრს, 17 წლის პამელა ვილარუელს 7 შვილი 3 ფეხმძიმობის შედეგად შეეძინა. 13 წლის ასაკში ის უკვე ბიჭის დედა გახლდათ; 6 გოგონა კი — 3-3 ტყუპი — მომდევნო 2 წლის განმავლობაში ეყოლა. პამელა თავის 7 შვილთან ერთად, მშობლების სახლში ცხოვრობს. ის პირველმა ქმარმა ქორწინებიდან სულ რამდენიმე თვეში მიატოვა. მეორე ქმარმა კი სახლიდან მას შემდეგ გამოაგდო, რაც გოგონამ უარი თქვა ფულის საშოვნელად სხვა მამაკაცებთან დაწოლაზე. გოგონა თავის პატარებს ახლა დედის დახმარებით ზრდის, რომელიც სახლების დალაგებით შოულობს სარჩოს. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ




თუ თქვენ გამოგრჩათ „ქართული პროზის საგანძურის" რომელიმე ტომი, შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.

# ქვეყანა

# „ის რა მწერალია, გინებითა და ქუჩის სიტყვებით რომ ცდილობს ყურადღების მიქცევას!“

**ეპოქასთან ერთად, გემოვნებაც იცვლება. ვისაც დღეს აღიარებენ, მას ხვალ ტალახს ესვრიან ან სულაც, მიივიწყებენ. ვინც გუშინ ვერ დაინახეს, დღეს მიაგებენ პატივს და ასე გრძელდება უსასრულოდ. თუნდაც ლიტერატურაში, — დიდ მწერალს იშვიათად აღიარებდნენ თანამედროვენი, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ უდგამდნენ ძეგლს და ამკობდნენ გვირგვინით, მდარე კი თითქოს იოლად აღწევდა პოპულარობას, თუმცა ასევე მალე ივიწყებდნენ... ეპოქასთან ერთად, ღირებულებებიც იცვლება და შესაბამისად, საზოგადოების დონეც. ერთ წერილში ცნობილმა მწერალმა გურამ გეგეშიძემ ისიც კი აღნიშნა: დღეს მნიშვნელოვან მწერალს ყოველდღიურ წვრილმანებზე მოლაპარაკე ჟურნალისტი ჩაენაცვლაო. საინტერესოდ მივიჩნიეთ, მოგვესმინა ბატონი გურამის შეხედულებები ეპოქაზე, სადაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტელევიზიამ, კომპიუტერმა და მასკულტურამ ყველაფერი წალეკა“. იმასაც შეგახსენებთ, რომ გურამ გეგეშიძის რომანს — „სტუმარი“ ჟურნალ „გზასთან“ ერთად, „ქართული პროზის საგანძურის“ IX ტომად ერთ კვირაში მიიღებს მკითხველი.**



*ირმა ხარშილაძე*

— მწერლობას თითქოს ყავლი გაუვიდა, ტელევიზორმა და კომპიუტერმა მოსპო. მე, მაგალითად, წიგნის კარგ მკითხველსა და ლიტერატურის კარგ მცოდნეს სულ რამდენიმე კაცს ვიცნობ, ისიც — ჩემი თაობისას. ახალგაზრდებშიც შეიძლება, ერთი-ორი დავასახელო. ჩემი აზრით, გემოვნება ისეა დაკნინებული, ისეთი რაღაცები მოსწონთ, თვალსა და ყურს არ ვუჯერებ, რომ ვკითხულობ. რაღაც სისულელით არის ხალხი აღტაცებული, მაშინ, როდესაც ადრე მწერლობა უდიდეს პრობლემატიკას იტევდა. ფსიქოლოგიაზე რომ ვლაპარაკობთ აქტიურად, ისიც ხომ მწერლობიდან მოდის. სწორედ მწერალი ხედავს ფსიქოლოგიურ მომენტს, რომელიც შემდეგ მეცნიერებამ უნდა გააანალიზოს და რაღაც ყალიბში მოაქციოს. თუნდაც XX საუკუნის მწერლები ავიღოთ — ის ადამიანები გადატრიალებებს ახდენდნენ, ქვეყნის მესაჭეები იყვნენ საქართველოშიც, რუსეთშიც, ევროპაშიც და ყველგან. XX საუკუნის პირველ ნახევარში უდიდესი მწერლები — შესანიშნავი პროზაიკოსები და პოეტები „დაიბადნენ“ საქართველოში: მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, გალაკტიონი...

**— თქვენი თაობაც საკმაოდ განებივრებული იყო დიდებული მწერლებით.**

— იმხანად მწერლობას ფასი ჰქონდა. მე, მაგალითად, რომ მცოდნოდა, აქამდე მივიდოდა საქმე, სულ არ მოვკიდებდი კალამს ხელს (*იღიმის*). მაშინ კი მეგონა, რომ დიდ საქმეს ვემსახურებოდი და ეს საქმე

**ლიტერატურა თავისთავად, ესთეტიკას ნიშნავს. როგორ შეიძლება ამდენი გინება და ლანძღვა, უმნიშვნელო წვრილმანებზე წერა?! თუ არაფერი გაქვს სათქმელი, დაეტიე, რა, შენს ადგილას...**

დაფასებული იყო. ვერ დავიჩემებ, რომ სისტემატურად ვეცნობი თანამედროვე ქართულ მწერლობას, მაგრამ რაც წავიკითხე, გავოცდი: როდესაც მწერალი ლანძღვა-გინებით, ქუჩის სიტყვებით ცდილობს მკითხველის ყურადღების მიქცევას, ის რა მწერალია, გეკითხებით?!

**— რას ფიქრობთ — რატომ მოხდა ასე?**

— ვფიქრობ, ტელევიზორმა, კომპიუტერმა და ასევე, ნარკოტიკმა ტვინი გამოაცალა ხალხს. თაობა, რომელიც დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ტრიალებს, ნარკოტიკის მომხმარებელი თაობაა. ზერელობა დამკვიდრდა ამ თაობაში, შეფასების უნარი დაკარგეს... ინგლისური ენის შესათვისებლად, იოლად საკითხავი წიგნები შევიძინე. ერთი ამერიკელი მწერალი მსტუმრობდა და რომ ნახა, სიცილით მოკვდა: ეს ეგრეთ წოდებული ყვითელი ლიტერატურაა, ბილწსიტყვაობით, დედის გინებით გამოირჩევა, ამით ეგ ავტორი ფულს აკეთებს, თორემ ამას ჩვენთან ლიტერატურას არც ეძახიანო.

**— ამ ტიპის მწერლები ფიქრობენ, რომ რეალისტურად ასახავენ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას; თავს, ალბათ, რეალისტ მწერლებსაც უწოდებენ...**

**საერთოდ კი, რაც ფასეულია, მაინც არასდროს კარგავს ღირებულებას. ნათქვამია: რაც მშვენიერია, ის შემოდგომაზეც მშვენიერიაო**

— რეალიზმი არის კუჭ-ნაწლავის მოქმედებაც, ბარემ ესეც დაწერონ და გვექნება ცხოველების საზოგადოება. ადამიანს რაღაც-რაღაცების ერიდება, რაღაცას საიდუმლოდ ინახავს, ასეთი გაშიშვლება კი პირველყოფილი წყობილებისკენ დაბრუნებას ნიშნავს. ლიტერატურა თავისთავად, ესთეტიკას ნიშნავს. როგორ შეიძლება ამდენი გინება და ლანძღვა, უმნიშვნელო წვრილმანებზე წერა?! თუ არაფერი გაქვს სათქმელი, დაეტიე, რა, შენს ადგილას და ნურც თავს დაიღლი და ნურც სხვას დაღლი. თუ სოციალურად, ფსიქოლოგიურად, გინდაც პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, საზოგადო არ არის ამბავი, იმაზე როგორ შეიძლება ლაპარაკი?! არაფერზე როგორ შეიძლება წერა!

**— თუმცა ამ ნაწარმოებებს ყიდულობენ და ალბათ, კითხულობენ კიდეც.**

— მაგასაც თავისი მკითხველი ჰყავს, რადგან ის მკითხველიც დამწერის ჭკუაზეა.

**— ბატონო გურამ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაში მკაფიოდაა განსაზღვრული მწერლის დანიშნულება; ეს დანიშნულება ჩანს XX საუკუნის თვალსაჩინო მწერლების შემოქმედებაშიც. დღეს რა მისია აკისრია მწერალს საზოგადოებაში?**

— მწერლის დანიშნულება არასდროს იცვლება, მთავარია, მისი თანამედროვე საზოგადოება როგორ უყურებს ამას. მწერლის ვალია, ად-



**ეს ნაწარმოები 40 წლის წინ დაიწერა და კარგა ხანს არ მიბეჭდავდნენ. რასაკვირველია, მინდოდა, ახლაც დაბეჭდილიყო, — ამიტომაც მესიამოვნა თქვენი შემოთავაზება**

ამიანი წინ წაიყვანოს. ადრე მწერლები თავიანთ ეპოქას სახავდნენ, სულიერ, რელიგიურ პრობლემებზე ლაპარაკობდნენ. აგერ, ტოლსტოიმ თავისი რელიგიაც კი მოიგონა; მართალია, მე იმ რელიგიას არ ვეთანხმები, მაგრამ... იმხანად, როდესაც ტელევიზორი და კომპიუტერი არ იყო, რასაკვირველია, მწერლობას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე, ყველა კითხულობდა წიგნს. ილიას ისიც აქვს ნათქვამი: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის...“ — ე.ი. ის თავს ერის წინამძღოლად მიიჩნევდა; თუნდაც აკაკი, თავს „გარემოების საყვირს“ რომ უწოდებს, ამით ადასტურებს, რომ უზარმაზარი სამყაროს ამსახველია; ვაჟას ღვთიური ენა ესმოდა... იმჟამინდელი საზოგადოების კულტურის დონე გაცილებით მაღალი იყო, ზოგადი განვითარებაც ჰქონდა. ახლა ერთი — ფეხბურთის მოყვარულია, მეორე — თეატრის, მესამე — მარკების შეგროვებაშია მაგარი და ასეა დაქუცმაცებული ყველა და ყველაფერი. მაშინ ელიტურ საზოგადოებას სხვა მოთხოვნები ჰქონდა, ხელოვნებას უკეთ იცნობდა. მაგალითად, მახსოვს, მამაჩემის თაობა გაცილებით უკეთ ერკვეოდა ბევრ რამეში, ვიდრე დღევანდელი ახალგაზრდები ერკვევიან.

**— რატომ? რისი ბრალია?**

— დრომ მოიტანა ალბათ. ადამიანმა, ჩვენმა ხალხმაც, ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რადგან საერთოდ ვერ გამოვიყენეთ შესაძლებლობები, რომელიც ღმერთმა მოგვცა და პირიქით, უკანუკან წავედით.

**— თქვენ ზერელობის ხანა ახსენეთ. ფიქრობთ, რომ დღეს ადამიანები არაფერს უღრმავდებიან, ანალიზის სურვილი აღარ უჩნდებათ?**

— XX საუკუნის დასაწყისში, ერთი საუკუნის წინ, მაშინდელი „დიდი თავები“, ერუდიტი ადამიანები ხედავდნენ და წერდნენ ზერელობის ხანაზე, საზოგადოებაში საშუალო ადამიანის გამარჯვებაზე, საშუალო გემოვნების დამკვიდრებაზე. ჰერმან ჰესესაც უწერია: ფელეტონის, გაზეთის ხანა მოდისო. არადა, ამას რომ ამბობდნენ, იმხანად უმაღლეს დონეზე იყო ყველაფერი. დღეს ის პერიოდი სანატრელია. ახლა, ჩემი აზრით, დონეც აღარ არსებობს. შეიძლება, ცოტათი ვაჭარბებ კიდეც; მაინც, ძირითადად, შინ ვზივარ და ვმუშაობ...

**— ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებას იცნობთ?**




— ღრმად არ ვიცნობ იმიტომ, რომ რისი კითხვაც დავიწყე, გული ვერაფერს დავუდე. ისეთი პრობლემა რომ წამოჭრან, რომელიც შეგძრავს და შეგაზანზარებს, რა თქმა უნდა, წავიკითხავ, მაგრამ სიმართლე გითხრა, ნარკომანების აზრები არ მაინტერესებს. ნარკომანია ავადმყოფობაა და ავადმყოფებზე არ შემიძლია დაუსრულებლად ლაპარაკი. ნუ გაიკეთებ ნემსს და იქნები ნორმალური! შენ თვითონ იუბედურებ თავს, ხომ? ეს დამახინჯებული ტვინის პრობლემაა. სამწუხაროდ, ირგვლივ სანუგეშოს ვერაფერს ვხედავ...

**— ბატონო გურამ, ახალგაზრდობა თქვენს ნაწარმოებებსაც ნაკლებად იცნობს, ალბათ იმიტომ, რომ ბოლო ხანს იშვიათად იბეჭდება. ერთ კვირაში ჩვენი ახალი პროექტის — „ქართული პროზის საგანძურის“ სერიით, ჟურნალ „გზასთან“ ერთად, IX ტომად თქვენი რომანი — „სტუმარი“ გამოვა...**

— ეს ნაწარმოები 40 წლის წინ დაიწერა და კარგა ხანს არ მიბეჭდავდნენ. ყველა ჟურნალმა უარი მითხრა, ცალკე ცენზურამ გამაწამა, თავისი ცვლილებები შეჰქონდა ტექსტში, ბოლოს კი, დაწერიდან 6-7 წლის შემდეგ, გრიგოლ აბაშიძის დახმარებით, „მერანში“ დავბეჭდე. მწერალი ვარ და, რასაკვირველია, მინდოდა, ახლაც დაბეჭდილიყო, — ამიტომაც მესიამოვნა თქვენი შემოთავაზება. ჰონორარის გამო არ დაგთანხმებივართ — 20 წელიწადია, ჰონორარი არავის გადაუხდია ჩემთვის, თუმცა კარგია, რომ შემომთავაზეთ. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ შენი საქმე დააფასეს, მნიშვნელოვანია. საუბრისას მითხარი, ერთი ცნობილი ქართველი მწერლის ნაწარმოებებს ვერ ვბეჭდავთ, რადგან შთამომავლებმა საჰონორარო თანხა იცოტავეს და არც 3 ლარად წიგნის გაყიდვა მოიწონესო. სამწუხაროდ, შთამომავლები არასდროს არიან ისეთები, როგორიც მათი წინაპარი იყო; დიდი წინაპრისგან განსხვავებით, შეიძლება, უფრო წვრილმანი ინტერესიც ჰქონდეთ. არადა, წიგნი თუ პირდაპირი გაგებით, სავაჭრო ობიექტი გახდება, მას ვერავინ იყიდის და ასე არც ავტორს დაუფასდება შრომა. ამიტომ მიხარია, რომ ჩემი წიგნი გამოდის და მას ბევრი შეიძენს. თუმცა, როგორც კარგ მთქმელს უნდა კარგი გამგონი, ისე კარგ მწერალს სჭირდება კარგი მკითხველი. მე ჩემნაირად ან ჩემზე უკეთესად მოაზროვნე კაცის აზრი ძალიან მაინტერესებს, ჩემზე მეტი რომ იცის — ისეთის. ბედნიერი ვარ, რომ პატივმოყვარეობა მაინცდამაინც არ მაწუხებს, — ახალგაზრდობაში უფრო პატივმოყვარე ვიყავი. დღესდღეობით ჩემთვის ვმუშაობ და ვერთობი და თუ ვინმე წაიკითხავს ჩემს წიგნს, მესიამოვნება, თუ არა და, ამით არ მოვკვდები. როდესაც მკითხველთა დიდი ნაწილი მდარე საკითხავს ირჩევს, მეეჭვება, მაღალ მატერიებს ჩაუღრმავდეს. თუმცა ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე. საერთოდ კი, რაც ფასეულია, მაინც არასდროს კარგავს ღირებულებას. ნათქვამია: რაც მშვენიერია, ის შემოდგომაზეც მშვენიერიაო. ■

# რა არჩევანს გვთავაზობს ადგილობრივი არჩევნები და რა მიმართულებით წავა ევროპა სმოლენსკის ტრაგედიის შემდეგ?

**ქართველი ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, თუ მაისისთვის დანიშნული არჩევნების შედეგად პოლიტიკაში ძალთა დაბალანსება ვერ მოხერხდება, საქართველოში „ყირგიზული ვარიანტი გათამაშდება“. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ირაკლი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციონერმა ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაუშვეს შეცდომა, როდესაც მერობის საერთო კანდიდატზე ვერ შეთანხმდნენ. ის ვარაუდობს, რომ მერობის კანდიდატების — ნიკა ივანიშვილის, ზვიად ძიძიგურის, გოგი თოფაძისა და გიორგი ჭანტურიას ამბიციებმა შესაძლოა, ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს. სესიაშვილის თქმით, ზოგიერთი მათგანი მერის არჩევნებში 30%-ს კი არა, ერთნიშნა ციფრსაც ვერ გასცდება. ამიტომაც, თუ გიგი უგულავა 32%-ით მერი გახდება და განაწყენებული საზოგადოება ქუჩაში გამოვა, მათ საკუთარ თავზე მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება...**



ხათუნა ბახტურიძე

*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში* ***კახა გოგოლაშვილი*** *სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამს. ის არჩევნებში ოპოზიციის სრულ მარცხსაც გამორიცხავს და იმაშიც დარწმუნებულია, რომ საქართველოში „ყირგიზული მოდელი“ ვერ განხორციელდება. მისი თქმით, შარშან გრძელვადიანი, საპროტესტო აქციების დროს, როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკიდურესი თავშეკავება გამოიჩინეს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში, რევოლუციებითა და ძალადობრივი მეთოდებით ხელისუფლების დამხობის დრო წარსულს ჩაჰბარდა.*

— **ბატონო კახა, როგორ შეაფასებთ მერობის ოპოზიციონერი კანდიდატების შანსებს 30 მაისისთვის დანიშნულ არჩევნებში?**

— ჩემი აზრით, ამ ადამიანებს უგულავასთან შედარებით, ძალიან დაბალი შანსები აქვთ, მაგრამ არ გამოვრიცხავ იმას, რომ ზოგიერთ რეგიონში ოპოზიციამ გამარჯვება მოიპოვოს.

— **იმ ოპოზიციონერთა გადაწყვეტილებებს რით ახსნით, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვეს?**

— ჩემი აზრით, ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ არჩევნებში მაინც ვერ გაიმარჯვებდნენ. მათ არ უნდათ, დაკარგონ ის მუხტი, რომელიც ამ მომენტისთვის აქვთ და არც თავიანთი რიტორიკის შეცვლა სურთ, რომლითაც ირწმუნებიან — ხალხს ხელისუფლების შეცვლა უნდა, მაგრამ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების იმედი არა აქვსო. ფაქტია, რომ დაბალი ქულების ეშინიათ და გაურკვევლობაში ყოფნა ურჩევნიათ.

— **ოპოზიციონერი ლიდერების ნაწილი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, წინასწარ ირწმუნება, რომ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს და, საკუთარი ხმების დაცვის მიზნით, ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობით იმუქრება. როგორ ფიქრობთ — გარისკავს თუ არა ხელისუფლება არჩევნების კიდევ ერთხელ გაყალბებას და შეძლებს თუ არა ოპოზიცია კიდევ ერთხელ ქუჩაში ხალხის გამოყვანას?**

— მეეჭვება, ხელისუფლებამ ისეთი სახის არჩევნები ჩაატაროს, რომ საზოგადოებამ მათი მოპოვებული ხმები გარკვეული მანიპულაციების შედეგად მიიჩნიოს, ამიტომ მათი დიდი ნაწილის საომრად და ქვეყნის ხელისუფლების დასამხობად ქუჩაში გამოყვანა ადვილი არ იქნება. ამიტომ, ოპოზიციურ ძალებს მოუწევთ იმ შედეგებთან შეგუება, რომელსაც არჩევნებში მიაღწევენ.

— **დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი ყირგიზულ რევოლუციას გამბედაობის გამოვლინებად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ სააკაშვილის გუნდი, თუ ნებით არ წავა, ძალით უნდა გაუშვან. შეგახსენებთ იმასაც, რომ შარშან აქციის მონაწილეთა ოპოზიციით უკმაყოფილება სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ოპოზიციონერი ლიდერები რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოერიდნენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ შარშანდელ გამოცდილებას ოპოზიციაც და ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოებაც სხვაგვარად გამოიყენებს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი, მაგალითად, ნოღაიდელი წინასწარ იმუქრება?**

— ექსტრემალური აზროვნების ადამიანები ყველა საზოგადოებაში არსებობენ და თავს სწორედ აქციებისა და მიტინგების დროს იჩენენ. შარშან ხალხის ერთი ნაწილი ოპოზიციისგან რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ნამდვილად ითხოვდა, მაგრამ ოპოზიციონერი ლიდერები მალევე მიხვდნენ, რომ ამ ადამიანებზე დაყრდნობა არც მათ და არც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანდა. იმაშიც გეთანხმებით, რომ ხალხის ნაწილი დღეს ყირგიზი ხალხის მიერ აგრესიის გამოვლინებას უჭერს მხარს და სააკაშვილის ძალისმიერი მეთოდით დამხობის იდეას იწონებს, მაგრამ ისინი უმრავლესობას არ წარმოადგენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალ-

უცხო ენების სასწავლო ცენტრი
OXFORD HOUSE
გთავაზობთ უცხო ენების შესწავლას უმოკლეს ვადაში:
• ზოგადი ინგლისური
• ბიზნესინგლისური
• პოლიტიკური ტერმინოლოგია
• საბავშვო პროგრამები.
სწავლება მიმდინარეობს უახლესი სახელმძღვანელოებითა და მეთოდებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საუბარს, მოსმენას, გრამატიკას, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებას.
კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო სერტიფიკატს, ხოლო წარჩინებული სტუდენტები გაიგზავნებიან საზღვარგარეთ სასწავლებლად.
მოიგეთ დრო! მიიღეთ განათლება პროფესიონალებთან!
მის.: რეზო თაბუკაშვილის ქ. №1 (კოლმეურნეობის მოედანთან)
ტელ.: 99-56-76; 890 115-115



საზრისით, საქართველო ყირგიზეთის მსგავსი ქვეყანა არ გახლავთ. ხელისუფლების მიმართ, მისი ავტორიტარულობის გამო გარკვეული პრეტენზიები ნამდვილად გვაქვს, მაგრამ ყირგიზეთის ხელისუფლებას ვერავითარ შემთხვევაში, ვერ შევადარებთ. რაც შეეხება ნოღაიდელის განცხადებებს, — ისინი სახიფათოდ სულაც არ მიმაჩნია, იმიტომ, რომ ის პოპულარული კი არა, უბრალოდ ცნობილი ადამიანი გახდა, თავისი არაორდინარული განცხადებების წყალობით, რომელსაც მოსახლეობაში რეალური მხარდაჭერა არა აქვს. ასე რომ, რუსეთი, ნოღაიდელის დახმარებით, საქართველოში „ყირგიზულ მოდელს“ ნამდვილად, ვერ განახორციელებს.

**— როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯი, რომელსაც რუსეთი საქართველოზე საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად გადადგამს?**

— ჩემი აზრით, რუსეთი ყველანაირად შეეცდება, მაგრამ მაინც ვერ მოახერხებს საქართველოში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად მოსახლეობის გამოყენებას, იმიტომ, რომ ქართველ ხალხში უკვე საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პროდასავლური შეხედულებები. რუსეთისთვის, ამ ეტაპზე, ყველაზე ხელსაყრელი — სამხედრო უპირატესობის გამოყენებაა, მაგრამ აგვისტოს ომის დროს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ამის გაკეთებას მოერიდება.

**— რა გამოცდილებას გულისხმობთ?**

— შეიძლება ითქვას, რომ მაშინ რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევას გადაურჩა და თუ კიდევ ერთხელ შეეცდება ჩვენ წინააღმდეგ აგრესიული ქმედების განხორციელებას, ევროპა მეორე შანსს აღარ მისცემს. ერთი სიტყვით, მოსკოვმა შესაძლოა, პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი გავლენის გაძლიერების თვალსაზრისით, დროებით მართლაც მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა — ყირგიზეთი და უკრაინა, საბოლოო ჯამში კი პოზიციების შენარჩუნებას მაინც ვერ შეძლებს.

**— მხოლოდ უკრაინასა და ყირგიზეთში?.. თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს რუსეთისადმი კეთილგანწყობილი განცხადებები იმ პოლონელი პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინ, კატინში მომხდარ ავიაკატასტროფაში რუსულ კვალს ხედავდნენ?**

— პოლონელი პოლიტიკოსების ადრინდელ და ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებში დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად აღსანიშნავია: კაჩინსკის დაღუპვის შემდეგ, საერთაშორისო მედიაში გაჩნდა უამრავი სტატია, რომელშიც რუსი და პოლონელი ხალხების მეგობრობაზეა საუბარი. მე მგონია, ეს სტატიები შეკვეთილია... როგორც ჩანს, რუსეთს ძალიან ეშინია, რომ კატინის ტრაგედიამ მისი იმიჯისთვის უარყოფითად არ იმოქმედოს და ყველანაირად ცდილობს მსოფლიო საზოგადოების აზრის ფორმირებას. მე თუ მკითხავთ, მნიშვნელოვანი ამ ტრაგედიაში რუსული კვალის არსებობა-არარსებობა კი არა, ის ფაქტი გახლავთ, რომ რუსეთი ისტორიულად, პოლონეთის მტერია და ყველანაირად ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის კიდევ უფრო ღრმად ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში. ძალიან აშკარა და თვალშისაცემია, რომ რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს, ხელი შეუწყოს პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსების, როგორც პოლონეთის, ისე ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნების ხელისუფლებაში მოსვლას და თავიდან იშორებს მისდამი დაუმორჩილებელ პირებს. ამ ტრაგედიამ შესაძლოა, მართლაც დაათბოს რუსებსა და პოლონელებს შორის ურთიერთობა, მაგრამ ეს დროებითი იქნება.

**— ზოგიერთის მოსაზრების მიხედვით, რუსეთი ახლა უკვე სააკაშვილის თავიდან მოშორებას შეეცდება, თუმცა არსებობს ვერსიები, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა რუსეთს ხელს აძლევს. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— რუსეთს, საქართველოში პრორუსული ხელისუფლების მოსვლა აძლევს ხელს და ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფის.

**— იმ ფაქტს რით ახსნით, რომ ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის მაღალჩინოსნები ევროპელი ლიდერების რეკომენდაციების შესრულებას შეცდომად მიიჩნევენ და ამის შესახებ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ?**

— თქვენ ალბათ ვანო მერაბიშვილის სკანდალურ განცხადებას გულისხმობთ. ჩემი აზრით, მისი მისამართით გაკეთებული კრიტიკული განცხადებები სამართლიანია, უბრალოდ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მერაბიშვილი არ განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსს და მისი გადასაწყვეტი არ არის, ვის უნდა ვენდოთ და ვის — არა. ამ საკითხის გასაანალიზებლად, ჩვენ მხოლოდ კომპეტენტური პირების — საგარეო საქმეთა მინისტრის, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა მაღალჩინოსნებისა და პრემიერ-მინისტრის განცხადებები უნდა განვიხილოთ. შეუძლებელია, ხელისუფლების მთელი გუნდი დაკომპლექტებული იყოს ისეთი ადამიანებით, რომლებიც კარგად ერკვევიან საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში. ■

# ნიკარაგუის პრეზიდენტი აფხაზეთის უმაღლესი ორდენით დააჯილდოეს

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ნიკარაგუელი კოლეგა დანიელ ორტეგა აფხაზეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი — პატივისა და ღირსების პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, — იტყობინება რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი“. აფხაზთა დე ფაქტო ლიდერმა ნიკარაგუელ ერს იმ მამაცობისთვის გადაუხადა მადლობა, რომელიც მათ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებით გამოავლინეს. ნიკარაგუის დელეგაცია აფხაზეთში დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად ჩავიდა. მანამდე, სანტოს ლოპესი ცხინვალში იმყოფებოდა, სადაც ნიკარაგუასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ დეკლარაციას მოაწერა ხელი. ■



# ჩინეთი და ნეპალი ევერესტის პიკზე შეთანხმდნენ

ჩინეთმა და ნეპალმა ევერესტის პიკის შესახებ ხანგრძლივ კამათს წერტილი დაუსვეს. ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში გამართულ მოლაპარაკებებზე ჩინეთის წარმომადგენლები ბოლოს და ბოლოს, დაეთანხმდნენ ოპონენტების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დედამიწის ყველაზე მაღალი წერტილის — ევერესტის სიმაღლე 8848 მეტრია. ნეპალი ასევე ეთანხმება ჩინეთის განცხადებას, რომლის თანახმად, კლდოვანი მასის სიმაღლე 8844 მეტრია. ადრე ჩინეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა, რომ ევერესტის სიმაღლე მისი უმაღლესი კლდოვანი წერტილის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო, ნეპალის მოთხოვნით კი ეს საზომი — თოვლის საფრის უმაღლესი წერტილი უნდა ყოფილიყო. ევერესტი პირველად, 1853 წელს ახალზელანდიელმა მკვლევარმა და ალპინისტმა ედმუნდ პერსივალ ჰილარიმ, შერპ ტენსინგ ნორგეისთან ერთად დალაშქრა. იქიდან მოყოლებული, მწვერვალის უმაღლესი წერტილის სიმაღლე დავის საგანს წარმოადგენდა. ■




# გელადრინკ ფორტე

## „გელადრინკ ფორტე“ – საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფუნქციის გასაუმჯობესებელი ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

„გელადრინკ ფორტე“ — ყველაზე თანამედროვე პრეპარატია ადამიანის სახსრებისა და ხერხემლის, უკეთ რომ ვთქვათ, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებების კორექციისა და პროფილაქტიკისათვის. იგი შეიცავს უნიკალურ და გულდასმით შერჩეულ ნივთიერებათა კომბინაციას, რომელიც უშუალოდ მოქმედებს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანებული სისტემების რეგენერაციისა (აღდგენის) და მეტაბოლიზმის (ნივთიერებათა ცვლის) პროცესებზე.

გთავაზობთ იმ აქტიური სუბსტანციების მოკლე მიმოხილვას, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ „გელადრინკ ფორტეს“ — ამ ბიოლოგიურად აქტიური დანამატის ეფექტურობაში:

* კოლაგენოზური პეპტიდი — ის მოქმედებს ხრტილების ბიოლოგიურ აქტივობასა და ფუნქციაზე და ზრდის სახსრებში კოლაგენის წარმოებას. ის შეიცავს ადამიანის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან გლიცინისა და პროლინის ამინომჟავებს, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ არტიკულური ქსოვილების სიმტკიცესა და ელასტიურობას, ხელს უწყობენ ხრტილების წარმოებას და სახსრების სხვა ქსოვილების აღდგენას.

* გლუკოზამინისა და ქონდროიტინის სულფატები ხელს უწყობენ სახსრების ხრტილების დაცვას, ამცირებენ სახსრების დამაზიანებელი ნივთიერებების აქტივობას. ზემოაღნიშნული სულფატები ხელს უწყობენ ხრტილოვან ქსოვილში წყლის შენარჩუნებას და აუმჯობესებენ სახსრების მექანიკურ, ელასტიურ თვისებებს.

* მეთილსულფონილმეთანი — ეს ის ნაერთია, რომელიც ორგანული გოგირდის წყაროს წარმოადგენს. იგი მონაწილეობს კოლაგენის ბოჭკოვანი სტრუქტურის წარმოქმნაში, რაც ხელს უწყობს ხრტილებისა და ძვლის ქსოვილების სწორ ფორმირებას. იგი მოქმედებს როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი და ხელს უშლის თავისუფალი რადიკალების წარმოებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხრტილების, ძვლის უჯრედებისა და ქსოვილების აღდგენის პროცესისათვის.

* ბოსველიას ქერქისაგან დამზადებული ექსტრაქტი შეიცავს დიდი ოდენობით ბოსველინის მჟავას, რომელიც ამსუბუქებს ანთებით პროცესებს და ოსტეოართროზის სიმპტომებს. იგი აუმჯობესებს სახსრების მობილურობას და მოწოდებულია დაჭიმულობის მკურნალობისათვის.




* C ვიტამინი დიდ როლს თამაშობს კოლაგენისა და შემაერთებელი ქსოვილის ფორმირებაში.

* სელენი აქტიურად მოქმედებს რევმატიულ-ანთებით პროცესებზე. იგი E ვიტამინთან ერთად მოქმედებს როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი და ორგანიზმს იცავს თავისუფალი რადიკალების ნეგატიური მოქმედებისგან.

* მანგანუმი დადებითად მოქმედებს კოლაგენისა და გლიკოზამინოგლიკანების მეტაბოლიზმზე და ხელს უწყობს ორგანიზმში შემაერთებელი ქსოვილის წარმოქმნას.

„გელადრინკ ფორტეს“ მიღება შეუძლია ყველა ადამიანს. მისი მიღება უკუნაჩვენებია ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში, ასევე მაშინ, როცა არსებობს ინდივიდუალური შეუთავსებლობა ბიოლოგიურად აქტიური დანამატის კომპონენტების მიმართ.

„გელადრინკ ფორტეს“, — რომლის 360 კაფსულა პოლიმერული მასალის ნარინჯისფერ კონტეინერშია მოთავსებული, — მიღების წესები და დოზირება: მოზრდილები: 12 კაფსულა დღეში ერთხელ ან 6 კაფსულა დღეში ორჯერ, საკვებთან ერთად.

„გელადრინკ ფორტე“ — ეს ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატი რეცეპტის გარეშე გაიცემა. მისი შენახვის ვადა 2 წელია, ხოლო უკვე ნაყიდი პრეპარატი უნდა შეინახოთ გრილ, მშრალ და ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

აღნიშნული საშუალება არ არის წამალი და მისი ეფექტურობა არ არის აღიარებული საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ.

მწარმოებელი: „orling ltd“.

ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში — შპს „მირკო“

მისამართი:
პეკინის 15, აფთიაქი „მირკო“
ტელეფონი: 37 98 73

# ვიდეოთვალით ნოტარიუსთან დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელი გახდა

**როგორც სტატისტიკიდან ჩანს, მოქალაქეები სანოტარო ბიუროებს უმეტესად, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის, ხელმოწერის ნამდვილობისა და სამკვიდრო მოწმობის დასამოწმებლად მიმართავენ. უკვე მთელი წელია, საქართველოში მოქმედი ყველა ნოტარიუსი ელექტრონულ საქმიანობაზე გადავიდა, რამაც მოქალაქეთა მომსახურება მნიშვნელოვნად გაამარტივა. ხშირად, დოკუმენტის დასამოწმებლად, მოქალაქეებს უცხოეთში არალეგალურად მცხოვრები ოჯახის წევრის ხელმოწერა სჭირდებოდათ და ბუნებრივია, მის მიღებას ვერ ახერხებდნენ, რაც პრობლემებს უქმნიდა. 2010 წლის 20 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებით, საქართველო პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ნებისმიერი სახის თანხმობის მიღება ნოტარიულად, ონლაინ-რეჟიმშია შესაძლებელი. ეს კი უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს დროისა და ზედმეტი ხარჯის თავიდან აცილების საშუალებას აძლევს.**

**ამ სიახლემ მოქალაქეთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია და ისინი სასურველი დოკუმენტის მიღების შემდეგ, სანოტარო ბიუროებს კმაყოფილები ტოვებენ.**

**დეტალების გასარკვევად, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს, ნინო ხოფერიას მივაკითხეთ.**

*თეა ხურცილავა*

— მოქალაქე, ვიდეოთვალის მეშვეობით, ონლაინ-რეჟიმში ამოწმებს თანხმობას. მაგალითად, როცა უცხოეთში ცხოვრობს მამა, ხოლო მის არასრულწლოვან შვილს საქართველოში პასპორტის ასაღებად, მამის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა სჭირდება, უკვე შეუძლია, დაუბრკოლებლად მოაგვაროს ეს პრობლემა. აღნიშნული პირის იდენტიფიცირებისა და პირადობის დადასტურების შემდეგ, ნოტარიუსი მშობლის თანხმობას დაამოწმებს. მშობლის მაგივრად თანხმობაზე ხელის მოწერა მის მიერ არჩეულ პირს შეუძლია. ამ მეთოდით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის თანხმობის გაცემა. ხშირად, საზღვარგარეთ მყოფ პიროვნებას არა აქვს საშუალება, იმ ქვეყანაში მივიდეს ნოტარიუსთან ან საკონსულო დაწესებულებაში, ვინაიდან საკონსულო დაწესებულებები საქართველოს ყველგან არა აქვს. გარდა ამისა, მას სჭირდება შემდგომი ლეგალიზაცია, რაც საგანგებოდ დამოწმებას ითვალისწინებს; ეს დაკავშირებულია დროსთან, ხარჯებთან და სხვა პრობლემებთან. „სკაიპის“ მეშვეობით სანოტარო წესით განცხადებების დამოწმებამ კი ძალიან გაამარტივა მოქალაქეთა მომსახურება.

**— ეს პრობლემა ბევრ ადამიანს აწუხებდა და ალბათ ხშირად გთხოვდნენ მხარის დაუსწრებლად დოკუმენტის დამოწმებას...**

— დიახ, როცა პრობლემას აწყდებოდნენ, ხშირად ითხოვდნენ, მხარის არყოფნის გარეშე დაგვემოწმებინა დოკუმენტი. ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგან ეს — დანაშაულია. დღეს კი ჩვენს მოქალაქეებს ძალზე მარტივად შეუძლიათ მოაგვარონ პრობლემა.

**— თუ შეიძლება, უფრო თვალსაჩინოდ განვმარტოთ პროცედურა.**

— მოქალაქე გვიკავშირდება „სკაიპის“ მეშვეობით, ოღონდ ვიდეოთვალი უნდა ჰქონდეს ჩართული. ნოტარიუსი ამზადებს ტექსტს — იმის მიხედვით, თუ რა სახის დოკუმენტის დამოწმებაა საჭირო. მხარეს მოჰყავს მოწმე, რომელიც განახორციელებს პიროვნების იდენტიფიკაციას ვიზუალურად და ამას

# ყირგიზეთში არეულობა გრძელდება

ყირგიზეთში, დედაქალაქ ბიშკეკის მახლობლად მდებარე სოფელ მაევკაში ეთნიკური დაპირისპირების ნიადაგზე, 5 ადამიანი დაიღუპა და 28 დაიჭრა. გავრცელებული ინფორმაციით, არეულობა მაევკაში მას შემდეგ დაიწყო, რაც ათასამდე ყირგიზმა ეთნიკური თურქების მიწების მიტაცება გადაწყვიტა. ამ ინფორმაციას ადასტურებს სააგენტო „ინტერფაქსიც“



და დასძენს, რომ მილიციამ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, ხულიგნები მიწიდან განდევნა, რის შემდეგაც ისინი ჯოხებით, ქვებითა და არმატურის ნაჭრებით შეიარაღდნენ და ბიშკეკის ცენტრისკენ გაემართნენ. სხვა მონაცემებით, ხალხის ბრბო რუსულენოვანი მოქალაქეების სახლებში შეიჭრა. თვითმხილველთა თქმით,



მომიტინგეები ბიშკეკის ცენტრისკენ მიემართებოდნენ და ანტირუსულ ლოზუნგებს ყვიროდნენ. მილიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეები ძალის გამოყენებით დაშალეს. ■

შესაბამისი ხელმოწერით დაადასტურებს; შემდეგ, სამოქალაქო ბაზაში, ამ მოქალაქის პირადობის ნომრის მიხედვით, იდენტიფიკაციას ვახდენთ. ყველაფრის სანოტარო ფორმით აღწერა ხდება, იწერება, ინახება დოკუმენტებთან ერთად და მოქალაქე იღებს სასურველ დოკუმენტს ისე, რომ ყველა პროცედურა დაცულია.

**— რა სახის დოკუმენტებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?**

— ხშირად კეთდება თანხმობა საელჩოსთვის — ვიზის მისაღებად; სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის, ტერიტორიული სამსახურისთვის — პასპორტის მისაღებად; საზღვრის დაცვის დეპარტამენტისათვის — საზღვარგარეთ ბავშვის გასაყვანად და ა.შ.

**— უცხოეთში მყოფ მოქალაქეებს ამ გზით, საქართველოში ქონების გასხვისებაც თუ შეუძლიათ?**

— „სკაიპის" მეშვეობით არ შეიძლება, გაკეთდეს მინდობილობა ან გასხვისდეს ქონება. აკრძალულია ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა, რომელიც გარიგებასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება თანხმობას — ეს პირის ცალმხრივი განცხადებაა, რომლის ასეთი ფორმით გაკეთება დაშვებულია. საქართველო ამ მხრივ, პირველია: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა ქვეყნებში ასეთი რამ არ არსებობს და ახლა ინერგება.

**— ეს ინიციატივა ვის ეკუთვნის?**

— იუსტიციის სამინისტროსა და ნოტარიუსთა პალატის ერთობლივი ინიციატივა იყო, რადგან ასეთი მოთხოვნით ხშირად მოგვმართავდნენ. საზღვარგარეთ არალეგალურად მცხოვრებ ბევრ ჩვენს მოქალაქეს არ შეეძლო პრობლემის გადაწყვეტა: პრობლემას ვერ აგვარებდნენ, რადგან იქ თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდათ. დღეს ისინი ძალიან კმაყოფილები არიან.

**— ალბათ გენერალური მინდობილობის გაცემასაც გთხოვენ ხოლმე; ონლაინ-რეჟიმში ესეც შესაძლებელია?**

— ხშირად ითხოვენ, მაგრამ არ ხდება, რადგან ეს უკვე, პირის დაუსწრებლად გარიგების დადებაა. ასეთი პროცედურის შემოსაღებად, სამოქალაქო კოდექსი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ალბათ მალე ვირტუალურ ნოტარიატზე გადავალთ. დღეს შესაძლებელია ვიდეოთვალის მეშვეობით პარტნიორთა კრების დამოწმება. ამის მაგალითიც მქონდა: ერთ-ერთი პარტნიორი საქართველოში იყო, ხოლო მეორე — საზღვარგარეთ; უნდა გამზადებულიყო მათი კრების ოქმი; სწორედ ვიდეოთვალის მეშვეობით მოხდა იმის უზრუნველყოფა, რომ ნოტარიუსი ამ ვიდეოკონფერენციას დასწრებოდა. ამის შემდეგ, შესაბამისი სანოტარო აქტი შევადგინეთ და მხარეები კმაყოფილები იყვნენ, რადგან პარტნიორმა დროც დაზოგა და ჩამოსვლისთვის საჭირო თანხაც.



**სწორედ ვიდეოთვალის მეშვეობით მოხდა იმის უზრუნველყოფა, რომ ნოტარიუსი ამ ვიდეოკონფერენციას დასწრებოდა**

**— ასეთ დროს დოკუმენტის გაყალბების რისკი ხომ არ არსებობს?**

— რისკი არის. შემთხვევა მქონდა, როცა მოქალაქეს უარი ვუთხარი, რადგან გამოსახულებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მეშვეობით პირის იდენტიფიცირება „სკაიპით" ვერ მოხერხდა. საერთოდ კი დაცვის ბევრი მექანიზმია გათვალისწინებული: ჩანაწერი, მოწმე, რომელიც ამ დროს ნოტარიუსთან ერთად ადევნებს თვალყურს ვიდეოჩანაწერას და ამგვარად, პერსონალურ პასუხისმგებლობას კისრულობს, — ამით გარკვეულწილად, მტკიცების ტვირთი მასზეა გადასული. ამასთანავე, სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ ბაზაში არსებულ ფოტოსურათებთან პირის იდენტიფიცირებას ვახდენთ.

**— თუ მოწმემ იცრუა და შეცდომაში შეგიყვანათ, მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება?**

— თუ ასე შორს წავიდა საქმე, რა თქმა უნდა, დგება პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ არა მგონია, ვინმემ დღეს შეგნებულად, სხვის გამო, დანაშაული ჩაიდინოს.

**— როგორც ვიცით, ახალი კანონი 1-ელი აპრილიდან შევიდა ძალაში. იქნებ ამ ცვლილებებზეც გვესაუბროთ?**

— ეს კანონი სამემკვიდრეო უფლებას შეეხება: ადრე მოქალაქეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უწევდა სამემკვიდრეო საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ ეს შეზღუდვა, შეტანილი ცვლილებით, აღარ მოქმედებს. მოქალაქეს უკვე ნებისმიერ ნოტარიუსთან შეეძლება განცხადების შეტანა. ახალი კანონით, უზრუნველყოფილი იქნება ასევე, ნოტარიუსთა პროფესიული დაზღვევა, იპოთეკები, ნოტარიუსის მეშვეობით სააღსრულებლო ფურცლების გაცემა. ერთი სიტყვით, ბევრი სხვა საინტერესო ცვლილება შედის ძალაში.

■



# უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა?

## რა გახდა მიხეილ ქვაჭრელიშვილის დაღუპვის მიზეზი

**17 აპრილს, მარჯანიშვილის 16 ნომერში, ლიფტის შახტაში მუშებმა ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს და ოპერატიულად პოლიციას აცნობეს. მალე საზარელი ფაქტი გაცხადდა: გარდაცვლილი — სოხუმის თეატრის მსახიობი მიხეილ ქვაჭრელიშვილი აღმოჩნდა. მისი ამოცნობა ძალოვნებს არ გასჭირვებიათ, რადგან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა თან ჰქონდა.**

*თეა ხურცილავა*



ახალგაზრდა მსახიობს 12 დღე ეძებდნენ. იგი 4 აპრილს სახლიდან გასული, დილით მეზობლებმა, მოგვიანებით კი მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტის თანამშრომლებმაც ნახეს, როდესაც მაღაზიიდან შეძენილი პროდუქტი გამოიტანა. მას შემდეგ კვალი გაქრა. მიხეილ ქვაჭრელიშვილის გაუჩინარებას დიდი ხმაური მოჰყვა, ძალოვნებმა საქმე აღძრეს და უგზოუკვლოდ დაკარგულის ძებნა დაიწყო. იმ დღესვე ახალგაზრდა მსახიობის გაუჩინარება სოხუმის თეატრში არსებულ დაძაბულ ურთიერთობებს დაუკავშირეს და კონკრეტული პირებიც დასახელდა. მსახიობთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქვაჭრელიშვილის გაუჩინარებასთან რაღაც კავშირი აქვთ სოხუმის თეატრის ყოფილ ხელმძღვანელს, დიმიტრი ჯაიანსა და მსახიობ პაატა ვახტანგიშვილს. გაირკვა, რომ მსახიობს უცნობები ტელეფონით ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ; მუქარების ფაქტს ქვაჭრელიშვილის დაც ადასტურებდა და ამაში პაატა ვახტანგიშვილს ამხელდა. *„დასის წევრების განცხადებით, მუქარა ყოფილი მმართველის, დიმა ჯაიანის მხრიდან იყო. ჯაიანი მძიმედ შეეგუა თანამდებობიდან გათავისუფლებას და იერიში მიიტანა დასზე. იგი მათ მოღალატეებს ეძახდა იმის გამო, რომ მის გვერდში არ დადგნენ. ქვაჭრელიშვილის გარდა, მუქარის ზარები დასის სხვა წევრებზეც განხორციელდა“*, — განაცხადა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა, **დალი ხომერიკმა**. ჯაიანთან დაპირისპირებული მსახიობები კონკრეტულად მას ამხელდნენ მსახიობის გაუჩინარებაში და მათი განცხადებები ტელეეთერით არაერთხელ მოისმინა საზოგადოებამ. ბუნებრივია, ძალოვნებმა თავიდანვე ამ ვერსიის ირგვლივ იმუშავეს და დასახელებული პირები დაიკითხნენ, თუმცა ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვეს.

მიხეილ ქვაჭრელიშვილის მობილური ტელეფონი გათიშული იყო. როგორც მსახიობის და ამბობს, გაუჩინარების მეორე დღეს, 5 აპრილს ტელეფონზე ზარი კი გავიდა, მაგრამ არავინ უპასუხა, ხოლო შემდგომ ისევ გაითიშა. მეგობრებს იმედი ჰქონდათ, რომ მიშა გამოჩნდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ცხედარი იპოვეს.

ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიებაც დაიწყო. სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. რეალურად თუ რა მოხდა, ამას, იმედია, ძალოვნები ოპერატიულად დაადგენენ. აღსანიშნავია, გვამი გაძარცული არ იყო, მასთან ერთად, მობილური ტელეფონი და საფულე იპოვეს. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს, სადაც ექსპერტიზა ჩაუტარდა. როგორც ამბობენ, ვიზუალური დათვალიერებით, ქვაჭრელიშვილს ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ახალი გარდაცვლილი იყო, თუმცა ამაზე ოფიციალური განმარტება ჯერჯერობით არც ძალოვნებს გაუკეთებიათ და არც ექსპერტებს. ექსპერტიზა ბევრ რამეს დაადგენს და პირველ რიგში, გარდაცვალების სავარაუდო დროს. ძმის ცხედარი პროზექტურაში დამ, თეა ქვაჭრელიშვილმა ამოიცნო.

მოკლულის ახლობლები და ოჯახის წევრები დარწმუნებული არიან, რომ მსახიობი მოკლეს და დამნაშავის დასჯას მოითხოვენ. ერთ-ერთი ვერსიით, ქვაჭრელიშვილი უბედური შემთხვევის მსხვერპლია და შახტაში ჩავარდა. ამ ვერსიის ნაკლებად სჯერათ მის კოლეგებსაც, რომლებიც მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებულები არიან. ამ ვერსიას ეჭვქვეშ ისიც აყენებს, რომ, როგორც გაირკვა, 14-სართულიანი კორპუსის ყველა სართულზე ლიფტის კარის ადგილი ამოქოლილია. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ აღმოჩნდა იქ მსახიობი. ქვაჭრელიშვილი იქვე ახლოს ცხოვრობდა და ამ კორპუსთან უნდა გაევლო. შემთხვევის ადგილზე ძალოვნებმა ძალადობის რაიმე ნიშანი ვერ იპოვეს, არც სისხლის კვალი აღმოჩნდა. ერთ-ერთი ვერსიით, ქვაჭრელიშვილის ცხედარი იქ მოკლული მიიტანეს და შახტაში ჩააგდეს. თუ მკვლელობის ვერსია დადასტურდება, გამოდის, ცხედარი გამთენიისას ან გვიან ღამით არის მიტანილი, სხვა შემთხვევაში მას გამვლელები და მეზობლები დაინახავდნენ. იმის თქმა, რომ მსახიობს კორპუსი შეეშალა, ახლობლების

**მას არც ფინანსური პრობლემები ჰქონია და არც კრიმინალურ ნიადაგზე ვინმესთან დაპირისპირება**



**წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა**

აზრით, სრულიად უსაფუძვლოა. კიდევ ერთი ვერსიით, ეს თვითმკვლელობაა, თუმცა ამას ახლობლები ასევე კატეგორიულად გამორიცხავენ და ამბობენ, რომ არანაირი საფუძველი, რომ თვითმკვლელობა ჩაედინა, მიშას არ ჰქონია. სწორედ ამიტომაც, დაღუპულის ყველა ახლობელი კატეგორიულად გამორიცხავს უბედურ შემთხვევას.

მსახიობი გივი ბერიკაშვილი საქმის გამოძიებას ითხოვს და მომხდარით შეძრწუნებულია. ამბობს, რომ მიშა დეპრესიული ადამიანი არ იყო. ქვაჭრელიშვილს თურმე ბატონი გივისთვისაც შეუჩივლია, რომ მასზე მუქარები ხორციელდებოდა. „აუცილებლად უნდა ვიცოდეთ მიზეზი, რა მოხდა: მოკლეს, თავი მოიკლა თუ ეს იყო უბედური შემთხვევა. მიშა უნიჭიერესი მსახიობი იყო, კარგი პიროვნება“, — ამბობს გივი ბერიკაშვილი. მსახიობები აქცენტს ქვაჭრელიშვილის მიმართ განხორციელებულ მუქარებზე აკეთებენ. თვითმკვლელობას კატეგორიულად გამორიცხავენ. მათი თქმით, ის მორწმუნე ადამიანი იყო. მიხეილ ქვაჭრელიშვილის მეგობრები კონკრეტულად, ვერც მისი ამ ტრაგედიის შესაძლო მიზეზებს ასახელებენ. მას ყველა დადებითად ახასიათებს. „მიშა უაღრესად პატიოსანი ადამიანი იყო, ნიჭიერი ახალგაზრდა, პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, მას არც ფინანსური პრობლემები ჰქონია და არც კრიმინალურ ნიადაგზე ვინმესთან დაპირისპირება“, — აღნიშნავენ ახლობლები.

რაც შეეხება **დიმიტრი ჯაიანს** — ის კატეგორიულად უარყოფს მომხდართან კავშირს და იმედს იტოვებს, რომ მიხეილ ქვაჭრელიშვილის სიკვდილში დამნაშავეს უმკაცრესად აგებინებენ პასუხს: *„წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა. როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან შევიტყვე, ამ საბრალო ბიჭის ცხედარი მიუტანიათ იმ ადგილას, სადაც იპოვეს და ამბობენ, რომ 12 დღის გარდაცვლილი არ არის. აქ დიდ სიბინძურეს აქვს ადგილი. ამ სიბინძურეზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. ეს ბიჭი შვილივით გავზარდე და შეძრული ვარ დატრიალებული ტრაგედიით. ველაპარაკე გამომძიებლებს. მათ ჩემთან კითხვები აღარ აქვთ... ვშიშობ, აქ ძალიან ცუდი ამბავია დატრიალებული, რომლის გადაბრალებაც ვიღაცისთვის უნდათ. იმედია, ყველაფერი გაირკვევა“.*

მსახიობს გაუჩინარების მეორე დღეს, 5 აპრილს სოხუმის თეატრის პრემიერაში უნდა მიეღო მონაწილეობა. სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით დაიდგა — „მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები“. ამ სპექტაკლში მას წამყვანი როლი ჰქონდა და მსახიობებმა მის გარეშე ითამაშეს. მაშინ ყველას ეგონა, რომ მათი მეგობარი უვნებელი დაბრუნდებოდა.

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, სადაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა, უამრავმა ადამიანმა მიაგო პატივი მის ხსოვნას და ყველას მთავარი კითხვა არ აძლევდა მოსვენებას — თუ რა გახდა ტრაგედიის მიზეზი. საზოგადოება საქმის გამოძიებას ითხოვს. ყველას უჭირდა ვერსიაზე საუბარი, მსახიობები, პირველი დღისგან განსხვავებით, ამჯერად უკვე მოზომილ განცხადებებს აკეთებდნენ, თუმცა კვლავ მკვლელობის ვერსიას განიხილავენ და გამოძიების მოლოდინში არიან.

მსახიობის ცხედარი 19 აპრილს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში გადაასვენეს და მშობლიურ კუთხეში მიაბარეს მიწას.

გამოძიება ჯერჯერობით დუმს. საქმეს ძველი თბილისის რაიონის პოლიცია იძიებს. იმედია, მალე აეხდება ფარდა ყველაფერს და გაირკვევა, რეალურად, მსახიობის დაღუპვის მიზეზი რა გახდა. ■

**მსახიობი გივი ბერიკაშვილი საქმის გამოძიებას ითხოვს**






**ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“**
**პჯრ (PCR) — მეთოდი**

1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მემკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:

- ორივე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
- ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
- საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამომწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომავირუსის გამოვლენა;
- B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
- C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

**კონსულტაცია უფასოა**

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com

# FOR SOMEBODY — ქართული ჯგუფის კლიპი „ემტივის“ ოცეულში



**ევროპის „ემტივის“ ჩარტში (თან, საკმაოდ „მსუყე“ პოზიციაზე) ქართული ჯგუფის ვიდეორგოლი პირველად მოხვდა: „სტეფანე და 3 გოგოს“ სიმღერაზე — For somebody — გადაღებულმა კლიპმა „ემტივის“ ოცეულში მეათე ადგილი დაიკავა. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფმა გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენცია გამართა და სიხარული ქართველებსაც გაგვიზიარა...**

*ეთო ყორღანაშვილი*

**ნინი ბადურაშვილი:**

— ახალი კლიპის გადაღება რამდენიმე ადგილას მიმდინარეობდა: შახტაში, ქუჩაში, სილამაზის სალონში, კლუბში... 5 დღე-ღამის განმავლობაში ვიღებდით — გადაბმული რეჟიმით ვმუშაობდით.

— **შრომა ნამდვილად დაგიფასდათ: ევროპის „ემტივის“ ოცეულში თქვენს კლიპს ლედი გაგას და ბიონსეს წარმატებული დუეტი სულ რაღაც ერთი საფეხურით უსწრებს. ამის შესახებ რომ შეიტყვეთ, როგორი რეაქცია გქონდათ?**

— ეს მართლაც დაუჯერებელი იყო! ჩვენი კლიპი — For somebody — „ემტივის“ ჩარტში მეათე ადგილზეა. „სტეფანეს და 3 გოგოს“ სიმღერის შემდეგ, ლედი გაგას და ბიონსეს დუეტი რომ დაიწყო, მე და თაკომ ერთმანეთს პირდაღებულებმა შევხედეთ — ეს ნამდვილი შოკი იყო!

**თაკო გაჩეჩილაძე:**

— ბედნიერი და ამაყი ვარ! ჩვენი კლიპის ასეთმა წარმატებამ ძალიან გამახარა! მინდა, რომ კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწიოთ და ქართველები გაგახაროთ!

— **პრესკონფერენციაზე ახსენეთ, თაყვანისმცემლები ევროპაში უფრო დიდი სიხარულით გვხვდებოდნენ, ვიდრე — საქართველოშიო...**

— ცალ-ცალკე, ჯგუფის ყველა წევრს ჩვენი თაყვანისმცემლები გვყავს და ვერ ვიტყვით, რომ ქართველ ხალხს არ ვუყვარვართ, პირიქით — უპირველეს ყოვლისა, ქართველებს ვუყვარვართ და ქართველები ჩვენც გვიყვარს. სამწუხაროდ, ევროპული ტურნეს პერიოდში, ჩვენს ხალხზე ცოტათი განაწყენებულები ვიყავით, რადგან სიმღერაზე — We don`t Wanna Put in — ცუდი რეაქცია ჰქონდათ, აგრესიულები იყვნენ... ასე რომ, თაყვანისმცემლები ევროპაში უფრო თბილად რომ გვექცეოდნენ, ეს სიმართლეა!

— **თუმცა თქვენს ახალ სიმღერას პუტინთან საერთო არაფერი აქვს და „ემტივის“ ჩარტში წამყვან პოზიციასაც იკავებს. ეს თქვენთვის რას ნიშნავს?**

— ეს სტეფანეს, კახაბერისა და მთელი შემოქმედებითი ჯგუფის დამსახურებაა. სიმღერა კარგად რომ არ შეგვესრულებინა, „ემტივიზე“ ხომ ვერ მოვხვდებოდით (*იღიმის*)? იმედია, ეს დიდი წარმატების დასაწყისია...

— **რაც შეეხება ჯგუფის წევრების სოლო კარიერას?**

— პირადად მე, ახალი კლიპი გადავიღე, რომლის პრემიერაც მალე შედგება. ალბათ, ჯგუფის ყველა წევრი სოლო კარიერას მივხედავთ, ოღონდ — საქართველოსთვის, უცხოური „ბაზრისთვის“ (თუკი გამგზავრება მოგვიხდება), ამისთვის დრო არ დაგვრჩება. ჯერჯერობით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფთან ერთად მუშაობაა და წლების მერე რა იქნება, არ ვიცი.

**ქრისტინე იმედაძე:**

— ასეთ წარმატებას თუ მივაღწევდით, ვერ წარმოვიდგენდი! ახლაც არ მჯერა და ვცდილობ, დავიჯერო... ჩემს საქმეში ბევრ დროს, ენერგიას, ნერვებს „ვდებ“ და გული მწყდება, რომ ქართველი ხალხისგან ცუდ შეფასებებს ვიღებ — ზოგჯერ ზედმეტად გვაკრიტიკებენ. ბოლო დროს მივხვდი, რომ თუკი საზღვარგარეთ გალიარეს, მერე საქართველოშიც გალიარებენ. არა უშავს, ამაზე თანახმა ვარ. იმედია, ახლა მაინც მიხვდებიან, რომ სიმღერა, ცეკვა შეგვიძლია და ჩვენს საქმეს ხარისხიანად ვაკეთებთ. მჯერა, რომ ეს წარმატება ჩემი ოცნების დასაწყისია.

— **რაზე ოცნებობ?**

— მინდა, წარმატებას მთელ მსოფლიოში მივაღწიოთ!

**სტეფანე:**

— ევროპულ ტურნეზე, თვე-ნახევრის განმავლობაში თემო კვირკველიაც გვახლდა, რომელმაც გაგვაწამა, „დაგვხოცა“ და საბოლოოდ არაჩვეულებრივი დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ტურნეზე ძალიან ვიღლებოდით, მაგრამ ის დრო რომ მახსენდება, მონატრების გრძნობა მეუფლება...

**კახაბერი:**

— ევროპაში ჯგუფის ტურნე ყველაზე ცნობილმა ჟურნალ-გაზეთებმა, სატელევიზიო არხებმა გააშუქეს, დღეს კი კლიპი „ემტივის“ ჩარტში მოხვდა, რაც ბუნებრივია, ძალიან გვიხარია! „ემტივიზე“ დაფიქსირებულია, რომ „სტეფანე და 3 გოგო“ საქართველოდან არიან, ჯგუფის მუსიკალური ალბომის სახელწოდებაც მითითებულია.

— **კლიპის** — For somebody — **რეჟისორი ვინაა?**

— რეჟისორი დიმა ჩხეიძე გახლავთ, კლიპი სტუდია „მეტრომ“ გადაიღო. ვიდეორგოლზე მუშაობისას, საინტერესო შემოქმედებითი ჯგუფი შეიკრიბა, ყველას დიდ მადლობას ვუხდი!

— **ჯგუფის ალბომს რაც შეეხება, მასში რა ჟანრის და რამდენი სიმღერაა შესული?**

— ალბომში 12 კლუბური ჟანრის სიმღერაა.

— **სიმღერამ** — We don`t Wanna Put in — **ჯგუფს დიდი წარმატება მოუტანა, მაგრამ ახალი ნამუშევრის „ემტივის“ ჩარტში მოხვედრა მაინც მოულოდნელი იყო?**

— ყოველთვის ვამბობთ, — საერთოდ, ცხოვრებაში კარგი რაღაცები ხდება და მსგავსი რამ იქნებ, ჩვენს ცხოვრებაშიც მოხდეს-თქო, თუმცა წარმატებაში დარწმუნებული არ ვიყავით, მოლოდინი კი ნამდვილად გვქონდა... სამომავლოდ, საინტერესო გეგმები გვაქვს, მაგრამ წინასწარ არ ვიტყვით.

■



# „მაქვს იმის ამბიცია, რომ კარგად ვიმღერო“

## როგორი ცოლია ნინო ჩხეიძე

**ამჯერად ნინო ჩხეიძის ფსიქოპორტრეტს გთავაზობთ. მხიარული, ცოტა ზარმაცი, კომუნიკაბელური, ზოგჯერ გულჩვილიც — ასე ახასიათებს საკუთარ თავს მომღერალი. ამბობს, რომ იდეალური არ არის, მაგრამ ცდილობს, კარგი ცოლი იყოს. თუმცა ვერც ამ სიტყვას და ვერც მის ქართულ შინაარსს ვერ იტანს. ქართველ ცოლებს აკრიტიკებს, რჩევებსაც აძლევს.**

**როგორია ნინო ჩხეიძისეული სიტყვა „ცოლის“ „ქართული შინაარსი“ და როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქალი, ნინო თავად გაგანდობთ.**



*ნინო მჭედლიშვილი*

— **როცა ინტერვიუს იღებენ შენგან, ცდილობ, იმაზე უკეთ გამოჩნდე მკითხველის ან მაყურებლის თვალში, ვიდრე სინამდვილეში ხარ?**

— თუ ფოტოს ვიღებ ამა თუ იმ ჟურნალისთვის, რა თქმა უნდა, ვცდილობ, კარგად გამოვჩნდე, მაკიაჟი გავიკეთო, ლამაზად ჩავიცვა, მაგრამ ინტერვიუს დროს ყოველთვის გულწრფელი ვარ და არასდროს ვთამაშობ. ვცდილობ, ჟურნალისტთან კონტაქტში შევიდე, ისეთი გარემო შევქმნა, რომ არც ის იყოს დაძაბული და არც — მე.

— **კომუნიკაბელური ხარ?**

— საკმაოდ. ოღონდ უნდა მომეწონოს ადამიანი, რომ მასთან ურთიერთობა მომინდეს. არიან ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ვესალმები, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებთანაც ძალიან გულახდილი ვარ...

— **რის მიხედვით არჩევ, ვის უნდა ენდო?**

— აურის მიხედვით. მაშინვე ვგრძნობ, ვის როგორი აურა აქვს. შეიძლება, ცუდი აურის ადამიანმა მხოლოდ სალმით „დამანგრიოს“. იმასაც ვგრძნობ, თუ როგორაა ესა თუ ის პიროვნება ჩემ მიმართ განწყობილი. შეიძლება, მან სიკეთეც კი გამიკეთოს, მაგრამ ჩემ მიმართ ზოგადად კეთილგანწყობილი არ იყოს. ამას კარგად ვგრძნობ. უაზრო და ამბიციურ ადამიანებთან ვერ ვურთიერთობ.

— **თვითონ არ ხარ ამბიციური?**

— გარკვეული დოზით ამბიცია აუცილებელია. საქმეში ეს კარგია, მაქვს იმის ამბიცია, რომ კარგად ვიმღერო და ამისთვის ბევრს ვმუშაობ, მაგრამ ადამიანებს ზემოდან არ ვუყურებ. მაგალითად, მაღაზიის გამყიდველს ზემოდან არასდროს დავხედავ, მის თანასწორად მიმაჩნია თავი.

— **რა არ მოგწონს შენს ხასიათში?**

— პერიოდულად სიზარმაცე მძლევს ხოლმე; შემიძლია, რომ მეტი გავაკეთო და არ ვაკეთებ.

— **როგორ ხვდები კრიტიკას?**

— თუ ჯანსაღი კრიტიკაა, სიამოვნებით მივიღებ და მის ავტორს მადლობასაც გადავუხდი. მაგრამ თუ კრიტიკა მხოლოდ კრიტიკისთვისაა ანუ ის ადამიანი საერთოდ ვერ ერკვევა იმ სფეროში, რასაც აკრიტიკებს, რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს.

— **ოჯახში როგორი ხარ?**

— არა ვარ მძიმე. ვცდილობ, არ ვიყო ცუდი ცოლი ანუ არა ვარ ცოლი ქართული გაგებით.

— **რას ნიშნავს ცოლი ქართული გაგებით?**

— ქართველი ცოლები საკუთარი მეუღლეების მიმართ, მუდმივად უკმაყოფილებას გამოთქვამენ, სულ რაღაცაზე ბუზღუნებენ და ქმრებს აკრიტიკებენ ხოლმე. მიმაჩნია, რომ XXI საუკუნეში ქალისა და მამაკაცის უფლებებიც და მოვალეობებიც თანაბარია... როგორც მამაკაცს შეუძლია მუშაობა, ასევე — ქალს. თუ მამაკაცისგან სითბოსა და სიყვარულს ითხოვ, სანაცვლოდ, შენც უნდა გასცე.




**— მამაკაცების დამცველი და დიდი ქომაგი ყოფილხარ...**

— (*იცინის*) ასეა... ქართველი ქალები არც ცდილობენ, რომ ქმრებს გაუგონ. მიმაჩნია, რომ ქმარს პირველ რიგში, მეგობრობა უნდა გაუწიო. ის ყველაზე კომფორტულად შენთან უნდა გრძნობდეს თავს. დავუშვათ, ქმარი სასმელს ეძალება, ამის გამო მას კი არ უნდა ეჩხუბო, გამომწვევი მიზეზი უნდა დაადგინო... იქნებ შენ გამო სვამს, იქნებ არ მოსწონხარ და ამის გამო იბოლმება. აბა, სცადე, გვერდით მიუჯექი და მასთან ერთად დალიე... იქნებ რა აწუხებს?!

**— შენ ასე იქცევი?**

— მე პირველ რიგში, გიორგის მეგობარი ვარ. იდეალური არც მე ვარ. ჩემი ქმარიც ძალიან ბევრ რაღაცაში მიგებს, მაგრამ ვცდილობ, არ დავღალო ჩემთან ურთიერთობით. სრულიად გასაგებია ჩემთვის ის, რომ თუნდაც ერთი თვით, გიორგი სხვა ქვეყანაში თავის საქმეებზე წავიდეს. ამაზე ერთ ამბავს არ ავტეხ, გინდა თუ არა, მეც წამიყვანე-მეთქი. ყოველდღე არ დავურეკავ და არ ვკითხავ: — აბა, სად ხარ და რას აკეთებმეთქი? მთელი თვე რომ არ დამირეკოს, არ გავბრაზდები, რადგანაც მჯერა მისი და ვენდობი.

**— ეს შენი დაკავებული ქმარი, ერთ დღესაც, ლამაზ ქალბატონთან ერთად კლუბიდან გამოსული რომ დაინახო, რა რეაქცია გექნება?**




— კი არ ვიეჭვიანებ, მეწყინება: რადგან მან ამის შესახებ არაფერი მითხრა, ესე იგი, მისი მეგობარი არ ვყოფილვარ.

**— იქვე მიხვალ და ჰკითხავ — ვინ არის ის ქალი?**

— არა, სახლში მოსულს ვკითხავ, მაგრამ არა ჩხუბით. ჩხუბი არ ვიცი.

**— არასდროს გიყვირია?**

— არა, მაგრამ წყენა ვიცი. თუ მაწყენინა, ძალიან უნდა მოინდომოს, რომ შევურიგდე.

**— როგორი დიასახლისი ხარ?**

— დიასახლისობით დიდად არ ვიწუხებ თავს, სახლშიც იშვიათად ვარ და კერძების მომზადება არ მიწევს. მე და გიორგი ფაქტობრივად, სახლში არ ვსადილობთ.

**— და ეს სულ არ მიგაჩნია შენს ნაკლად?**

— მეტიჩრობად მიმაჩნია ის, რომ ამბობენ, კარტოფილს ვერ შევწვავ, ტაფამწვარს ვერ გავაკეთებო. შეიძლება, ხაში არ გამიკეთებია, მაგრამ ჩემმა ქმარმა რომ მთხოვოს, ამ კერძსაც მოვამზადებ და თუ დამჭირდა, ქათამსაც გავპუტავ.

**— პრეზიდენტმა ქართული, ეროვნული, პატრიოტული სიმღერა რომ დაგიკვეთოს, მის თხოვნას შეასრულებ?**

— სიამოვნებით, დიდი პატივია, შენს ქვეყანას რომ უნდა უმღერო.

**— შალვა ნათელაშვილმა ლეიბორისტების რიგებში გაწევრება რომ შემოგთავაზოს, რა პასუხს მიიღებს შენგან?**

— (*იცინის*) უარს, რა თქმა უნდა: არა ვარ ლეიბორისტების მხარდამჭერი.

**— ვისი მხარდამჭერი ხარ?**

— „ნაციონალების". თუმცა დიდად ჩახედული პოლიტიკაში არა ვარ. იდეალური არავინაა, მაგრამ ვხედავ, რომ ქვეყანაში ყოველდღე რაღაც კეთდება და ეს მსიამოვნებს.

**— პოლიტიკოსობაზე თუ გიფიქრია?**

— არა, ღმერთმა დამიფაროს, არასდროს. ძალიან მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ.

**— როგორი სტილის ტანსამოსს არ ჩაიცვამ არასდროს?**

— ყველაფერს ჩავიცვამ, რაც მომიხდება და რაც ჩემს საქმეს დასჭირდება. მომღერალი ვარ და შესაბამისად — მსახიობიც. ასე რომ, არაფრის ჩაცმა არ უნდა ვითაკილო.

**— ტყუილი გითქვამს?**

— რა თქმა უნდა. დიდი ტყუილი არასდროს მითქვამს.

**— რაიმე თუ მოგიპარავს?**

— არასდროს.

**— ხილის მოსაპარად მეზობლის ღობეზეც არ გადამძვრალხარ ბავშვობაში?**

— (*იცინის*) ღობეზე საერთოდ ვერ ვძვრებოდი, ბავშვობაში მსუქანი ვიყავი. ჩემთვის ქურდი ქურდია, სიგარეტის კოლოფიც რომ მომპაროს ადამიანმა, ძალიან მეწყინება.

**— სახეზე როდის წითლდები?**

— არასდროს.

**— მაშინ ასე გკითხავ — როდის ვარდები უხერხულ მდგომარეობაში?**

— როცა ყველა ჩემს სადღეგრძელოს სვამს.

**— ხშირად ხარ ასეთ სიტუაციაში?**

— საკმაოდ. მინდა, რომ მალე დაასრულონ ჩემი სადღეგრძელო.

**— თვითონ თუ გეხერხება სადღეგრძელოების თქმა?**

— კი, გამომდის (*იღიმება*).

**— სახლის ფანჯრებთან, შენი მისამართით ნამღერმა სერენადამ რომ გამოგაღვიძოთ შენ და შენი მეუღლეც, რა მოხდება?**

— გამიხარდება, არც გიორგი გაბრაზდება ალბათ. მაგრამ თუ ამან სისტემატური ხასიათი მიიღო და „კონცერტები" ფანჯრებთან არ დასრულდა, ალბათ მერე უკვე გამოვა მდგომარეობიდან...

**— კობა ხაბაზი რომ აღმოჩნდეს მუხამბაზის ავტორ-შემსრულებელი?**

— (*იცინის*) ვაიმე, კობა? ძალიან გამიხარდება, აუცილებლად შემოვიპატიჟებ სახლში.

**— სიბერეზე თუ გიფიქრია?**

— მიფიქრია... მეშინია კიდეც, მაგრამ არა ნაოჭების გამო. უბრალოდ, რაც 18 წლის ასაკში გახარებს, ის 40 წლის ასაკში ველარ გაგაბედნიერებს, რადგანაც ადრე უფრო ქარაფშუტა ხარ, თავისუფალი, მხიარული და ამ სილაღის დაკარგვის მეშინია... ■

# „მსახიობობა ბავშვობიდან პროფესიად „შემომეპარა“

## „ლაშიკოსნაირი ბუნჩულა არა ვარ“



**კომედიური სერიალის — „შუა ქალაქში“ ერთ-ერთი პერსონაჟის — ლაშიკოს როლის შემსრულებელი მსახიობი — ბაჩო ქაჯაია ჟურნალ „გზის“ სტუმარი პირველადაა. ის ცხოვრებაშიც ძალიან საყვარელი და დადებითი პერსონაჟი — ანუ კარგი ადამიანია. თუმცა დასძენს, რომ ლაშიკოსნაირი ბუნჩულა არ არის. „სცენაზე გაზრდილმა“ მსახიობმა ტელეკამერის წინ პოზირება ადვილად შეძლო და ხალხსაც თავი დიდად შეაყვარა.**

*თამთა დადეშელი*

— თეატრალურ სამყაროსთან ბავშვობიდან მაქვს შეხება, 8 წლის ასაკიდან სკოლა-სტუდია „ბერიკებში“ დავდიოდი. თავიდან გასართობად, მაგრამ შემდეგ იქაურობა ძალიან შემიყვარდა და მომავალში ისე მოხდა, რომ მსახიობობა პროფესიად „შემომეპარა“... სკოლა რომ დავამთავრე, თეატრალურ უნივერსიტეტში იმ წელსვე ჩავირიცხე და გიორგი შალუტაშვილის ჯგუფში მოვხვდი. „ბერიკებში“ კი ჩემი პედაგოგი — ციცინო კობიაშვილი გახლდათ, უნივერსიტეტამდე მან გამზარდა. ახლა ქალბატონი ციცინო სერიალ — „შუა ქალაქში“ — „დედაჩემს“ ანუ ლაშას დედას თამაშობს. მიხარია, რომ ცხოვრებაში ამ ორ არაჩვეულებრივ ადამიანს შევხვდი. სწავლის პერიოდში სხვადასხვა როლი მაქვს ნათამაშები, დრამატულიც და კომედიურიც. დღემდე ძალიან მიყვარს ჩემი სადიპლომო სპექტაკლი — „ძველი სახლი“, რომელიც კაზანცევის პიესის მიხედვით დაიდგა.

**— ვის როლს ასრულებდი?**

— ერთი ცუდი მეზობელი იყო, მართალია, უარყოფითი პერსონაჟი გახლდათ, მაგრამ საოცრად მიყვარდა ის როლი. ამ პიესის ქართული ვარიანტი არც არსებობდა, ჩვენ გადმოვთარგმნეთ, რაღაცები ჩავამატეთ და საბოლოოდ, კარგი გამოვიდა.

**— ახმეტელის თეატრში რამდენი ხანია, რაც მუშაობ?**

— უკვე 3 წელია, რაც ამ თეატრში ვარ. პირველი სპექტაკლი, რომელშიც ვითამაშე, სოსო ნემსაძის „ეჭვის ჭია“ გახლდათ, შემდეგ — გიორგი შალუტაშვილის — „ცერკოვნი ბუნტ“ და „მონადირე“. ახლა კი — ისევ სოსო ნემსაძის — „აქ ამბავი დატრიალდება?!“ ის დავით კლდიაშვილის „უბედურების“ მიხედვით დაიდგა.



ბაჩო შვილებთან ერთად

**— სპექტაკლში — „ეჭვის ჭია“ ენაბლუ ბიჭის როლი გაქვს, ძნელი იყო ასეთი ადამიანის განსახიერება?**

— ამ ენაბლუსი არავის ესმის, ამის ბრალიცაა ის ჩახლართული ამბავი, რომელიც სპექტაკლში ვითარდება. მაგრამ მაყურებელს ხომ მაინც უნდა გაეგო ცოტა რამ, ამიტომ ისეთი შუალედი გამოვნახეთ, რაც უფრო მისაღები იყო.

**— სახასიათო როლს ხშირად თამაშობ?**

— მსახიობმა თავი სხვადასხვა ჟანრში უნდა მოსინჯოს, რომ განვითარდეს... მე არა ვარ რომელიმე კონკრეტული ამპლუის მსახიობი. ვერც იმას ვიტყვი, რომ კომიკურიც და დრამატულიც ერთნაირად გადასარევად გამომდის. ვცდილობ, ორივეს მოვერგო და გავითავისო.

**— შენს პერსონაჟს — ლაშიკოს თუ ჰგავხარ?**

— კი, მსგავსება ჩვენ შორის ნამდვილად არის, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ისეთი ბუნჩულა არა ვარ, როგორიც ლაშიკოა (*იღიმის*). თუმცა ვიმეორებ, გარკვეული მსგავსება, რა თქმა უნდა, არსებობს, რადგანაც „შუა ქალაქში“ დიდი ხანია, ვარ და რაღაც ელემენტებს სცენარისტები ჩემი ხასიათიდანაც იღებენ.

**— სერიალზე მუშაობისას შენეულ ვერსიებს თუ ამატებ ხოლმე?**

— კი, რა თქმა უნდა, ეს ცოცხალი პროცესია — როგორც თეატრში ხდება მსგავსი რამ, ისეა აქაც. ერთ სერიაზე 2 კვირა რომ ვმუშაობდეთ, ბევრად უკეთესი იქნებოდა, კარგ რაღაცებს დავამატებდით. უბრალოდ, დრო ძალიან ცოტაა. მუშაობის პროცესში, როგორც მსახიობების, ისე რეჟისორის მხრიდან, ბევრი რამ ემატება.

**— როცა ჩანაწერებს უყურებ, კორექტივების შეტანის სურვილი არ გიჩნდება?**

— კი. მიფიქრია, რომ ზოგან მეტი მომივიდა რაღაცის თამაში, ზოგან — რაღაც დავაკელი და ვცდილობ ხოლმე, რომ ეს შემდგომ სერიებში გავითვალისწინო.

**— როგორ ფიქრობ — რომ არა „შუა ქალაქში“, მხოლოდ თეატრალური როლებით პოპულარული მსახიობი გახდებოდი?**

— არ ვიცი... ძალიან ბევრი ნიჭიერი მსახიობია თეატრში წარმატებული, მაგრამ კინოში არ გადაუღიათ. ეკრანი სულ სხვა რამაა, დიდ აუდიტორიას მოიცავს. თავიდან, ლაშიკოს პერსონაჟი არც ისე „დატვირთული“ იყო, მაგრამ 2-3 სერიის შემდეგ უკვე მცნობდა ხალხი.

**— როგორ გხვდებიან ქუჩაში მაყურებლები?**

— კარგად და თბილად მხვდებიან, არა მარტო მე, არამედ ტელესერიალის ყველა მონაწილეს. ახლაც, ინტერვიუზე რომ მოვდიოდი, „სტაიანშიკმა“ გამაჩერა და თავისი კეთილგანწყობილება გამიზიარა.

**— როგორც „სცენაზე გაზრდილი“ მსახიობისთვის, შენთვის კამერასთან უფრო საინტერესოა მუშაობა თუ თეატრში?**

— ძალიან მაინტერესებს და მიხარია სერიალის გადაღებებზე მისვლა. ვფიქრობ, რომ სერიალის წყალობით, როგორც მსახიობი, პროფესიულად ვიზრდები.

**— ხომ არ იშტამპები?**

— არა, ფაბულა კი ერთია, მაგრამ ნაკლები ერთფეროვნებაა და სულ ახალ-ახალი სიტუაციებია. მოკლედ, ისეთი ნიუანსებია, რაც მომწონს და ამასთან, ვერთობი კიდეც.

**— შენი აზრით, რამ განაპირობა სერიალის ასეთი დიდი წარმატება?**

— პასუხისმგებლობის გრძნობამ და დიდმა შრომისმოყვარეობამ, რაც „ღამის შოუს სტუდიის“ თანამშრომლებში ძალიან დიდი დოზითაა. მსახიობისთვის კი

ზოგადად, წარმატების მომტანი — ნიჭიერება, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი — გამართლებაცაა.

**— სხვა ტელესერიალებიდან თუ გქონდა შემოთავაზება?**

— კი, „ცხელ ძაღლში“ (მესამე სეზონზე) ვითამაშე. იქაც შემთხვევით მოვხვდი. ჩემს როლზე სხვა მსახიობის გადაღებას აპირებდნენ; სცენარის მიხედვით, ახალგაზრდა ბიჭი სჭირდებოდათ და მე ამიყვანეს. მაშინ მეორე კურსზე ვსწავლობდი. დათო დვალიშვილმა გადასაღები მოედნიდან დამირეკა: 15 წუთში მანქანა მოგაკითხავს და მზად იყავიო. მაშინ წვერი მქონდა მოზრდილი და გაიპარსეო, — მითხრეს. სწრაფად გავემზადე. გადასაღებ მოედანზე რომ მივედი, თან გრიმს მიკეთებდნენ, თან ხელში ტექსტი მეჭირა, რომელსაც ვსწავლობდი. მეოთხე სეზონზე ისე მოხდა, რომ ჩემს პერსონაჟზე სცენარისტებმა ისევ დაწერეს რაღაცები და იქაც ვითამაშე. ამის მერე კი „შუა ქალაქში“ მიმიწვიეს.

**— კამერის კომპლექსი გქონდა?**

— პირველ გადაღებაზე — ცოტათი კი. თუ თეატრში გამოხატვის საშუალებები, თამაშის ხერხი სხვანაირია, კამერის წინ ასმაგად ნაღდი უნდა იყო. პირველად კამერის წინ რომ დავდექი, არ ვიცი, მობილიზებულობის თუ რის გამო, მაგრამ არ გამიძნელდა, ადვილად ავუღე ალღო.

**— პოპულარობამ ცოტა ხომ არ შეგაწუხა?**

— არ არის შემაწუხებელი. მართლა ძალიან სასიამოვნოა, როცა ყველას უყვარხარ და პატივს გცემენ. თუმცა ალბათ, არის სიტუაციები, რის გამოც ამბობენ, რომ შემაწუხებელიაო, — არ ვიცი. რაც უნდა პრობლემა გქონდეს ცხოვრებაში, როცა ხალხი ღიმილის და თბილად გექცევა, არა გაქვს უფლება, უხეშად გასცე პასუხი ან ზერელედ მოექცე.

**— მოკლედ, კმაყოფილი ხარ შენი პროფესიული არჩევანით, ხომ?**

— რა თქმა უნდა, სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ვერც წარმოვიდგენდი, თუ სხვა რამის კეთება შემეძლო.

**— ისე, როგორ სწავლობდი?**

— სკოლაში ხუთოსანი არ ვყოფილვარ, მაგრამ მასწავლებლებს მართლა ძალიან ვუყვარდი. სოლოლაკში, 43-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. ყველას დიდ პატივს ვცემდი, მათგანაც იმავეს ვიღებდი და ალბათ, ამიტომაც მპატიობდნენ იმ ყველაფერს. სკოლის წლები ძალიან ტკბილად მახსენდება. იუმორის გრძნობა მაშინაც მქონდა და ალბათ, ახლაც მაქვს (*იღიმის*).

**— ცხოვრებაში რამდენად ერთგული ადამიანი ხარ?**

— საოცრად ერთგული ადამიანი ვარ. ტყუილები საშინლად არ მიყვარს.

**— კონფლიქტური ხარ?**

— არა, მაგრამ ფიცხი ვარ.

**— რას შეუძლია შენი გაბრაზება?**

— შეიძლება, ძალიან პატარა რაღაცაზე უეცრად გავბრაზდე და „ავენთო“, მაგრამ მალევე დავცხრები ხოლმე. არ შემიძლია, დიდი ხნით ცუდი ემოციის ქვეშ ყოფნა. ჩხუბის მიზეზი ჩემგან არასოდეს მოდის.

**— რეალურ ცხოვრებაში ქეთევანის და თამარისნაირ ქალებს თუ აიტანდი?**

— ალბათ, ვერა. ვინ აიტანდა?! ნორმალური ადამიანი, ალბათ, მათ ვერ შეეგუებოდა. მაგრამ როგორც დავადგინე (*იღიმის*), ლაშას ასეთი ქალები მოსწონს. აშკარად უყვარს ქეთევანი, 2 ცოლი ისე დატოვა, რომ უკან არც მოუხედავს და რომ არ უყვარდეს, მასთან არ გაჩერდებოდა. ქალის მხრიდან ზედმეტი სიყვარულიც არ ვარგა; ისე, როგორც ქეთევანი დასდევს ლაშას, ეს აუტანელია. ასეთი ქალი არც ერთ მამაკაცს არ უნდა გვერდით.

**— შენი მეუღლე როგორია?**

— ქეთევანისგან ბევრად განსხვავებული (*იცინის*). საერთოდ, ოჯახის წევრებსა და საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. ჩემთვის ძალიან კარგი ცოლია, მისაღებია, ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ.

**— რა პროფესიისაა?**

— კულტუროლოგია და სკოლაში ხელოვნებას ასწავლის. თან, დიასახლისია, 2 შვილი გვყავს.

**— ვინ არის შენთვის ყველაზე კარგი პარტნიორი სერიალში?**

— ვერავის გამოვარჩევ, მსახიობების ძალიან კარგი ჯგუფია. ოპერატორებით დაწყებული, ჩვენით დამთავრებული, საქმეს ყველა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. ძალიან გვიადვილდება ერთმანეთთან მუშაობა.

**— საახალწლო შოუზე, შენ მიერ შესრულებული სიმღერა ყველამ მოვისმინეთ. ცეკვის ნიჭი თუ გაქვს, ან თუ უკრავ რაიმე ინსტრუმენტზე?**

— ცუდად არ ვცეკვავ (*პაუზა*), მაგრამ არც ძალიან კარგად... ცუდად არ ვმღერი, მაგრამ არც — გადასარევად (*იცინის*). მოკლედ ვმღერი და ვცეკვავ ისე, როგორც მსახიობს მოეთხოვება. როდესაც თეატრალურ უნივერსიტეტში აბარებ, გამოცდა — სიმღერაში, ცეკვასა და რიტმიკაში უნდა ჩააბარო. ამასაც ბავშვობიდან ვსწავლობდი.



მსახიობმა თავი სხვადასხვა ჟანრში უნდა მოსინჯოს, რომ განვითარდეს...



**— როგორ ჩააბარე?**

— სხვათა შორის, თურმე ისე კარგად მიმღერია, ამბობდნენ, ეს ის ბიჭია, კარგად რომ მღერისო...

**— ზედმეტი წონის პრობლემა ადრეც გაწუხებდა? თუმცა ცხოვრებაში არც ისე მსუქანი ხარ, როგორიც სერიალში ჩანხარ...**

— კი, მაწუხებდა. მე-11 კლასში 98 კილოგრამი ვიყავი. სანამ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, ასეთი რაღაც მითხრეს — შეიძლება, ძალიან ნიჭიერი იყო, მეგობარო, მაგრამ იმდენად დიდი ხარ, მხოლოდ ლუარსაბის როლს თუ გათამაშებთ, ახალგაზრდა ხარ და თავს მიხედეო. ამაზე მართლა ძალიან ვინერვიულე, იმიტომ, რომ თეატრალურში ჩაბარება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი რამ იყო. ჩემი თავისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ ეს საქმე ამდენი წელი ტყუილად არ მიკეთებია. გამოცდებამდე 1 თვე იყო დარჩენილი. ვარჯიშით 11 კილოგრამი დავიკელი, 6 საათის შემდეგ არ ვჭამდი, თან ქართულ ცეკვაზე დავდიოდი. წონის დაკლება ძალიან შემეტყო და ჩავაბარე კიდეც.

**— ახლა ვარჯიშობ? ან დიეტას თუ იცავ?**

— ვარჯიშის დაწყებას ვაპირებ. ერთხელ დავიცავი ერთკვირიანი დიეტა, მაგრამ ძალიან გამიჭირდა.

**— დაიკელი წონაში?**

— კი, მაგრამ ის ერთი კვირა ისე ვიღრინებოდი, საშინელი ასატანი ვიყავი... ის დიეტა რომ გამეგრძელებინა, სერიებს ვეღარც ჩავწერდი (*იცინის*).

**— ყველაზე მეტად რა საჭმელი გიყვარს?**

— ხინკალი.

**— სასმელებიდან?**

— ღვინო. ხანდახან შეიძლება, არაყიც დავლიო. ლუდი მიყვარს სეზონზე, თევზთან ერთად. მოკლედ, მეც ისეთივე გემოვნება მაქვს, როგორიც ყველა ქართველ მამაკაცს.

**— ბევრი ალკოჰოლის დალევა შეგიძლია?**

— ცოტასაც არ ვსვამ. თამადაც ხშირად ვარ ხოლმე.

**— როგორი ხარ ნასვამ მდგომარეობაში?**

— არ ვჩხუბობ, პირიქით, მაშინ მეხსენება „სიყვარულის ბუშტი“ და კიდევ უფრო თბილი და ტკბილი ვხდები.

**— ბევრი ფული რომ გქონდეს, რაში დახარჯავდი?**

— ვაიმე, არ ვიცი... კარგ რაღაცებს გავაკეთებდი... ისეთი რეალური ოცნებები მაქვს, რომელსაც მილიონი არ უნდა და იმედი მაქვს, სულ რამდენიმე წელიწადში მაინც შევწვდები. უაზროდ ოცნება თავის ტანჯვაა და მეტი არაფერი. ძალიან მინდა მქონდეს მანქანაზე გამოსაბმელი სახლი, ბორბლებზე რომაა, ოღონდ კარგი ან ნახმარი, რომ ჩამოვიტანო და მე გავაკეთო, ეგეც შეიძლება (*იცინის*). ბევრი ფულით კარგ მანქანას ვიყიდდი, კარგ სახლს, მეგობრებს მოვახმარდი...

**— გისურვებ, რომ მალე აგსრულებოდეს სურვილები.** ■

# ცეკვა, რომელიც უშვილობასაც კურნავს

**„ხელები ძირს არ დაუშვა — როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით!“ — ელენე ჩიხლაძისთვის ცნობილი მოცეკვავის — ელენა არზუნიანცის მიერ გამოგზავნილ დიპლომს თან ასეთი წერილიც ახლდა (არაბული ცეკვის შესრულებისას, მოცეკვავემ ხელები ძირს არ უნდა დაუშვას). ელენე ჩიხლაძე მასწავლებლის რჩევას ზუსტად ასრულებს: ძლიერი ტრავმის მიუხედავად, ფარ-ხმალი არ დაყარა, ჩვეულ ფორმაში ჩადგა და პროექტში — „ნიჭიერი“ ქართველი მაყურებლისთვის იმის დამტკიცება სცადა, რომ აღმოსავლური ცეკვა ეროტიკა კი არა, არაბული ფოლკლორია!**



ეთო ყორღანაშვილი

— ბავშვობაში ძალიან გამხდარი ვიყავი, ავად ხშირად ვხდებოდი — გულთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა. მშობლები ფიქრობდნენ, — რა ვქნათო? ტანვარჯიშზე მიმიყვანეს. იქ ერთი წელი ვიარე — საშინელება იყო!

— **რატომ?**

— არ მომწონდა! ერთხელ ბაბუამ ოპერაში ბალეტის სანახავად წამიყვანა. მას შემდეგ გედების ფორმაში გამოწყობილი გოგონები სიზმარშიც მელანდებოდნენ! მშობლებს ვუთხარი: ყველაფერს დაგიჯერებთ, ოღონდ ბალეტზე მიმიყვანეთ-მეთქი... ბალეტს 4 წლის განმავლობაში ვსწავლობდი. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, კარგი მონაცემები მქონდა. 4 წლის შემდეგ, ოჯახური პრობლემების გამო, თბილისიდან გავემგზავრე.

— **სად?**

— ჯერ — სომხეთში, მერე — პოლონეთში... 2 წლის შემდეგ, თბილისში დავბრუნდი, მაგრამ კლასიკისგან უკვე შორს ვიყავი: თუ ყოველდღე არ ვარჯიშობ, ბალეტისათვის დაკარგული ხარ! ამის შესახებ ჩემმა მასწავლებელმაც დანანებით აღნიშნა. მირჩია — მსოფლიო ხალხურ ცეკვებს დაეუფლეო. დავუჯერე. ინდურ, ბერძნულ, კუბურ და წარმოიდგინეთ, ვიეტნამურ ცეკვებსაც კი ვსწავლობდი! შემდეგ არეულობა დაიწყო — ომი იყო და არავის ეცეკვებოდა. ამიტომ ამ საქმეს თავი დავანებე. 15 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღეზე მკაცრი გარეგნობის ქალმა შემნიშნა (თანატოლებთან ერთად ვცეკვავდი) და მეორე დღისთვის თავისთან დამიბარა. ეს ქალბატონი ცნობილი მოცეკვავე — ელენა არზუნიანცი აღმოჩნდა. ის თბილისელია, მაგრამ მოსკოვში გაემგზავრა და იქ მუშაობდა. გარკვეული მიზეზის გამო, იმ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა. 5 მოწაფე აიყვანა. მათგან საკმაოდ დიდ თანხას (მით უმეტეს, იმ დროისთვის) — თვეში 150 დოლარს იღებდა.

— **5 მოსწავლეს შორის თქვენც იყავით?**

— კი, მაგრამ მე ფულს არ მართმევდა. სამაგიეროდ, ყველაზე მკაცრად მექცეოდა: ერთი გაკვეთილი 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, მე კი დამატებით, კიდევ საათნახევარს მამეცადინებდა. თურქული და არაბული ცეკვების „ფუნდამენტი“ მან მასწავლა. შემდეგ ელენა არზუნიანცი საფრანგეთში გაემგზავრა, რადგან მისი ქალიშვილი — საკმაოდ კარგი ბალერინა სწორედ საფრანგეთში გათხოვდა. დამშვიდობებისას ქალბატონმა ელენამ მითხრა: შენ რომ გასწავლიდი, ამით ძალიან ვისიამოვნეო. ეს იყო პირველად და უკანასკნელად, როცა მან რაღაც კარგი მითხრა — სულ მკაცრად მექცეოდა. ზოგჯერ ვტიროდი კიდეც, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრიდი, რადგან ცეკვა სიგიჟემდე მიყვარს! ელენა არზუნიანცის მადლობელი ვარ! ამასობაში, 16 წლის გავხდი. სცენაზე მუშაობა ძალიან მინდოდა — ბავშვობიდან ანსამბლში ვცეკვავდი და სცენის „გემო“ ვიცოდი. შემთხვევით, განცხადება წავიკითხე — კორდებალეტის მოცეკვავეები სჭირდებოდათ. მისი ხელმძღვანელი — მუხრან ხუციშვილი ამჟამად ლონდონშია. მოკლედ, გულით გავიხარე და სცენაზე ვცეკვავდი: ჩვენი კორდებალეტი კლუბებში, რესტორნებში, პრეზენტაციებზე გამოდიოდა. სხვა მოცეკვავეებთან შედარებით, ტანდაბალი გახლდით. ამიტომ, თუ ქორეოგრაფიაში არ „ვჯდებოდი“, კულისებში ყოფნა მიწევდა, მაგრამ მაინც ძალიან ბედნიერი ვიყავი! მახსოვს, 10 იანვარი იყო. ახალი წლის დღესასწაულების პერიოდში ბევრგან გამოსვლა გვიხდებოდა. ერთ-ერთი რეპეტიციისას გრძელ, დაბალ სკამზე ზურგით დავეცი და მაშინვე გონება დავკარგე. „სასწრაფოთი“ საავადმყოფოში მიმიყვანეს. ხერხემლის ერთი მალა გაბზარული მქონდა, მარჯვენა ფეხს საერთოდ ვერ ვგრძნობდი... ექიმმა ყოველგვარი „ნიღბის“ გარეშე მითხრა: საქმე ძალიან ცუდადაა, ცეკვაზე საუბარიც ზედმეტიაო!

— **ექიმის „განაჩენს“ როგორ შეხვდით?**

— საშინელი სტრესი მქონდა! ის პერიოდი რომ მახსენდება, ახლაც ხასიათი მიფუჭდება. წოლითი რეჟიმი (6 თვის მანძილზე) დამინიშნეს, შემდეგ კი საწოლიდან მხოლოდ 10-15 წუთით ადგომის უფლება მქონდა. ლოგინში ზუსტად 2 თვე და 2 კვირა გავძელი. როვა მივხვდი, მეტის გაძლება არ შემეძლო, მაკრატელი ავიღე, კორსეტი გავჭერი და საწოლიდან წამოვდექი. შინ დაბრუნებულმა დედაჩემმა რომ დამინახა, შოკში ჩავარდა!

— **თქვენს ასეთ საქციელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არ მოჰყოლია?**

— მედიცინაში ბაკალავრის დიპლომი მაქვს. სამედიცინო ლიტერატურას კიდევ უფრო კარგად გავეცანი. ვარჯიშებს დამოუკიდებლად ვასრულებდი. ნელ-ნელა ფორმაში ჩავდექი.

— **ახლა ცეკვა გიჭირთ?**

— არა, რადგან აღმოსავლურ ცეკვებში, მაგალითად, „შპაგატის“ გაკეთება საჭირო არაა. როცა შოუს კოორდინატორებმა მითხრეს, — „ნიჭიერისთვის“ გადაღება 10 იანვარს

იქნებაო, ცუდად გავხდი, ვინერვიულე: ვფიქრობდი, — ბედი ასე რატომ „მექაჩება“, რას მერჩის-მეთქი?!. ნომრის შესრულების გამო არ ვღელავდი, რადგანაც ცეკვა ძალიან მიყვარს. უბრალოდ, მეშინოდა, არ დავვარდნილიყავი, სხვა — არაფერი.

**— მით უმეტეს, თავზე დიდი სიმძიმე გედგათ და ისე ცეკვავდით.**

— დიახ, დაახლოებით, ორკილოგრამიანი ჭაღი. „ნიჭიერის“ პირველ ტურში „რაც ელ შამადან“ — ანუ „ცეკვა შანდლებით“ შევასრულე. ესაა არაბული საქორწინო (სარიტუალო) ცეკვა. წინათ მოცეკვავეს თავზე 4 სანთელი ენთო, რაც ქვეყნის 4 მხარეს აღნიშნავდა. ახლა უკვე, რაც მეტი სანთელია, მით უფრო მდიდარი ოჯახი იქნება — ასეთია ტრადიცია. ცეკვაში ეგვიპტური ქალღმერთის — აისის „ფრთები“ გამოვიყენე, მაგრამ ეს ფოლკლორის ატრიბუტი არ არის. შანდლები ინტერნეტში ვნახე, მაგრამ ეგვიპტიდან საქართველოში არ ვგზავნითო... მეუღლემ დამამშვიდა, — უკეთესს გაგიკეთებო (*იღიმის*).

**— როგორ დაოჯახდით?**

— ტრავმის შემდეგ, ცეკვაში ყველაფერს თავიდან ვსწავლობდი. ფაქტობრივად, აღმოსავლურმა კულტურამ გადამარჩინა. პატარა კორდებალეტთან ერთად, პირველი კონტრაქტით ეგვიპტეში გავემგზავრე. იქ ცნობილ ფოლკლორისტთან — მაჰმუდ ურედასთან მასტერკურსიც გავიარე. თბილისში დაბრუნების შემდეგ, გავთხოვდი. მომავალი მეუღლე მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი. სამწუხაროდ, ის 2002 წელს ტრაგიკულად დაიღუპა...

**— ამჟამინდელი მეუღლე როგორ გაიცანით?**

— ერთ-ერთ კლუბში შოუპროგრამას ვდგამდი. რეპეტიციისას სიმპათიური მამაკაცი მომიახლოვდა და კომპლიმენტი მითხრა. ტაქტიანი ადამიანები ძალიან მომწონს. ცოტა ვისაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ ინჟინერ-ელექტრიკოსი გახლდათ და კლუბის განათებაზეც ის ზრუნავდა. რამდენჯერმე კიდევ შევხვდით, ნელ-ნელა დავმეგობრდით. პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ვამბობდი, — მეორედ არ გავთხოვდები-მეთქი! როცა სიყვარული ისევ მეწვია, გადაწყვეტილება მივიღე და გავთხოვდი. უკვე 5 წელია, ცოლ-ქმარი ვართ. მეუღლის ძალიან მადლობელი ვარ — ყოველთვის მხარში მიდგას, მეხმარება.

**— თქვენი ბიჭუნა?**

— არტემი უკვე დიდი ბიჭია. ცეკვა არ ეხერხება — დათვივით მოძრაობს (*იცინის*). კლასში შეყვარებულიც ჰყავს!

**— მის შეყვარებულს ცეკვას თქვენ ხომ არ ასწავლით?**

— არა, ბავშვებს არ ვასწავლი. არაბული ცეკვა ქალს შეჰფერის. ჩემს მოსწავლეებს შორის, ყველაზე უფროსი — 68 წლის ქალბატონია. მისი მეუღლისგან კომპლიმენტიც მივიღე, რადგან ცოლის ცეკვით გაოცებულია!

**— არაბული ცეკვით ძირითადად, ვინ ინტერესდება?**

— საელჩოების თანამშრომელი ქალბატონები, ბიზნესმენების ცოლები, დები... თავდაპირველად, რამდენიმე გოგონამ მთხოვა, — ცეკვა მასწავლეო, — და პატარა სტუდია გავხსენი. სხვათა შორის, არაბული ცეკვის წყალობით, რამდენიმეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა მოუგვარდა. ერთ-ერთ გოგონას უშვილობა აწუხებდა...

**— არაბული ცეკვა უშვილობასაც კურნავს?**

— ეს უძველესი ცეკვაა. წინათ მუცლის მოძრაობებს სამკურნალო დატვირთვა ჰქონდა და არა — საცეკვაო. ადრე გინეკოლოგები არ იყვნენ; ახალგაზრდა გოგონები მუცლის მოძრაობებს ჯანმრთელობის პროფილაქტიკისთვის ასრულებდნენ.

**— საქართველოდან გამგზავრება ხშირად გიწევთ?**

— ბოლო 2 წელია, თბილისში ვარ. ომის შემდეგ რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, მაგრამ არ გავემგზავრე. დეპრესიაში ვიყავი, ნამდვილად არ მეცეკვებოდა. არაბები მხიარული ადამიანები არიან. შეიძლება ეთქვათ — როგორც საჭიროა, ისე ვერ ცეკვავსო. ამიტომ საქართველოში დარჩენა ვამჯობინე. წინათ კი ბევრს ვმოგზაურობდი. ტაილანდში ვარსკვლავები — სტივენ სიგალი, ნორა ჯონსი ვნახე, ცნობილ არაბ ვარსკვლავებთან მქონდა კონტაქტი... ტაილანდში იოგას მასტერკლასები გავიარე. მიმაჩნია, რომ რაღაც ახალი ყოველთვის უნდა ისწავლო — გზა უკეთესობისკენ უსასრულოა (*იღიმის*)! კაიროში მასტერკლასები ცეკვაში თავადაც ჩავატარე. გამიკვირდა, რომ ბევრი ხალხი მოვიდა, არაბეთში უპირველეს ყოვლისა, პატიოსნებას აფასებენ. მუსლიმანური რელიგია საკმაოდ მკაცრია: მართალია, ქალი იმას აკეთებს, რაც მოსწონს, მაგრამ ეს ყველაფერი გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული. არ უყვართ, როცა მოცეკვავეს ზედმეტად გახსნილი კაბა აცვია — თითქოს მის მიმართ პატივისცემის გრძნობას კარგავენ.

**— არაბებს ქართული ცეკვაც ხომ არ ასწავლეთ?**

— „შალახოს“ მუსიკა ჩავრთე და ძალიან მოეწონათ. წარმოიდგინეთ, არაბული ცეკვის ილეთებით „შალახოს“ ცეკვავდნენ! დასანანია, რომ ამ დროს ვიდეოკამერა თან არ მქონდა (*იცინის*)...

**— არაბულ ცეკვებში განსაკუთრებით რა გხიბლავთ?**

— არაბული ცეკვა თვით მუსიკა უნდა იყოს! არაბულს ნაირ-ნაირი რიტმი აქვს, თითოეულს — სხვადასხვა „ხასიათი“... ერთი კომპოზიციის რამდენჯერმე მოსმენისას, ყოველთვის რაღაცას ახალს „დაიჭერ“. ნამდვილი არაბული ცეკვა იმპროვიზებული უნდა იყოს — მისი დადგმა აკრძალულია: მუსიკას როგორც გრძნობ, ისე უნდა იმოძრაო!

**— მაგალითად, „ნიჭიერისთვის“ ცეკვები წინასწარ არ დაგიდგამთ?**

— საერთოდ, ცეკვის მხოლოდ 60%-ს ვდგამ ანუ განსაკუთრებულ აქცენტებს ვაკეთებ — როგორ დავიწყო და დავასრულო, შუალედში კი მუსიკას მივყვები: როგორ ხასიათზეც ვარ, ისეთ მოძრაობებს ვაკეთებთ.

**— „ნიჭიერში“ თქვენი მონაწილეობის მიზანი რა იყო?**

— პროექტში ჩემი მონაწილეობის ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ ხალხისთვის მეჩვენებინა — აღმოსავლური ცეკვა ეროტიკა არ არის, ეს არაბული ფოლკლორია! მისი შესრულება ძალიან რთულია, რადგან სხეულის ყველა კუნთი ერთდროულად მუშაობს. ჟიურის წევრების რეაქციისაც მეშინოდა. საბედნიეროდ, მათ ყველაფერი სწორად დაინახეს. ■



„ნიჭიერის“ პირველ ტურში „რაც ელ შამადან“ — ანუ „ცეკვა შანდლებით“ შევასრულე

# „ჩემი რჩეული აუცილებლად ქერა უნდა იყოს“

**„იმედის“ დილის ეთერის ერთ-ერთი წამყვანი — ნუკი კოშკელიშვილი ამბობს, რომ ცხოვრებაში სერიოზულად სულ რამდენჯერმე გაუმართლა. პირველად — როცა კონკურსის — „მის საქართველო“ კასტინგიდან დილის ტელეპროგრამაში ერთ-ერთ წამყვანად მიიწვიეს. მეორედ — როცა ტელესერიალ „კლინიკის“ შემქმნელებმა შეამჩნიეს და მთავარ როლზე დაამტკიცეს... ნუკის იმედი აქვს, რომ მისი სამსახიობო კარიერა ამით არ დასრულდება. ამჯერად კი მასთან გემოვნებაზე ვისაუბრებთ.**

მერი კობიაშვილი



**— ნუკი, ძალიან ლამაზი ბეჭდები გიკეთია...**

— ერთ-ერთ მათგანში, ორი ლარი გადავიხადე. ისე მომწონს, საჩვენებელი თითიდან არ ვიხსნი. ადამიანის გემოვნება ვფიქრობ, რომ ყოველთვის ჩაცმულობით განისაზღვრება. ძალიან მომწონს, როდესაც ქალს მოდურად და არავულგარულად აცვია.

**— როგორც მივხვდი, სამკაულის არჩევაში შენთვის ფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს...**

— არა. მთავარია, ორიგინალური ნივთი იყოს და შემიყვარდეს. ახლა იმის გამო, რომ ძალიან მომწონს, რამდენიმე სამკაული ამოჩემებულიც კი მაქვს. ძალიან მიყვარს დედაჩემისა და ბებიის ნაჩუქარი ბეჭდები. ერთი სამაჯური ჩემმა ახლობელმა მაჩუქა და ხელიდან არ ვიხსნი. მეორე სამაჯური კი „მის საქართველოზე“ მაჩუქეს. ამ სამკაულებს არასდროს ვიხსნი, სულ მიკეთია. შემიძლია, ნებისმიერ სამოსს შევუხამო.

**— ნუკი, როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— ჩემი რჩეული აუცილებლად ქერა უნდა იყოს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, როგორი იქნება — მაღალი დაბალი თუ მსუქანი. მთავარია, საინტერესო მამაკაცი იყოს...

**— ასაკის მატებასთან ერთად, მამაკაცებთან დაკავშირებით, გემოვნება გეცვლება?**

— თითქმის არ მეცვლება. ყოველთვის ქერა და ერუდირებული მამაკაცები მომწონდა. რაც მთავარია, მამაკაცი ჩემზე ჭკვიანი უნდა იყოს, რომ მომავალში, მისგან ბევრი საინტერესო რამ ვისწავლო... არ მაქვს იმის ამბიცია, რომ ყველაზე ლამაზი ვარ, სამაგიეროდ მაქვს ამბიცია, რომ ჭკვიანი ვარ. ამიტომ მამაკაცი ჩემზე ბევრად გონიერი უნდა იყოს.

**— შეყვარებული არ გყავს?**

— ვერ მოგატყუებ, შეყვარებული არ მყავს.

**— „იმედის“ დილის ეთერში, ერთხელ ძალიან გახარებული იყავი იმის გამო, რომ ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ერთმანეთს დაშორდნენ... ამბობდი, რომ ბრედ პიტის შემდეგი ცოლი შენ იქნებოდი...**

— (*იცინის*) დიახ, დაუფარავად და თამამად ვაცხადებ, რომ ჰოლივუდში მორიგი წყვილის ქორწილი — ჩემი და ბრედ პიტის იქნება. მან გული და ხელი უკვე შემომთავაზა...

**— ცნობილი ლამაზმანებიდან ვის დაასახელებდი?**

— ძალიან მომწონს სოფი ლორენი და ქსენია სობჩაკი. შეიძლება, გაგიკვირდ-



ეს და იფიქრო, ნუკის როგორი განსხვავებული და უცნაური გემოვნება აქვსო, მაგრამ მართლა ძალიან მომწონს ქსენია და, რა თქმა უნდა, მისი ჩაცმულობაც. ამასთანავე, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მომწონს მისი ქცევა, თუმცა, ჩემი აზრით, ძალიან განათლებული და საინტერესო პიროვნებაა...

— **საკუთარ გარეგნობაში რას შეცვლიდი?**

— არაფერს, იმიტომ რომ მაშინ მე აღარ ვიქნებოდი... მიუხედავად იმისა, რომ ჩემს გარეგნობაში არ მომწონს — ცხვირი, ტუჩები, წარბები და კიდევ ბევრი რამ, მაინც არაფერს შევცვლიდი. მინდა, რომ ყველა ჩემი ნაკლით ვიცხოვრო. პლასტიკურ ოპერაციებს ალბათ ასაკში რომ შევალ, მაშინ გავიკეთებ.

— **გართობისთვის დრო გრჩება?**

— ყველას ჰგონია, რომ რადგან დილის ეთერში ვმუშაობ, ძალიან დაკავებული ვარ... ასე ნამდვილად არ არის. სამსახურს დილის ათ საათზე ვამთავრებ. იმ დროს ქუჩაში რომ გავდივარ, მაღაზიები ჯერ კიდევ დაკეტილია... ყველაზე კარგად, თავს მეგობრების გარემოცვაში ვგრძნობ. მათთან ერთად, გართობა ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია.

— **შეყვარებული არ მყავსო, — მითხარი. სამაგიეროდ, ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავს და ბევრს მოსწონხარ კიდევაც.**

— ყველა მაგას მეკითხება, ჰგონიათ, რომ ბიჭები გამუდმებით გარს მახვევიან და მოსვენებას არ მაძლევენ, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. მართლა ვერ ვგრძნობ, რომ ვინმეზე გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი მყავს...

— **თაყვანისმცემლები საჩუქრებით არ განებივრებენ?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაცას მოვწონვარ, მაგრამ ვერ მოვიტყუები და ვერ ვიტყვი, რომ ჩემი პირადი ცხოვრება „ჩქეფს“.

— **ამის გამო გული არ გტკივა?**

— არა, ჯერჯერობით 19 წლის ვარ. ყველაფერი წინ მაქვს. მართალია — სიყვარულზე კარგი ქვეყანაზე არაფერია!.. შეყვარებული მყოლია და კარგად ვიცი, რომ ასეა... ერთხელ ძალიან მაგრად მიყვარდა.

— **ის სიყვარული მალე რატომ დასრულდა?**

— ძალიან ბავშვურად და მიამიტურად მიყვარდა. მერე ეს გრძნობა გაქრა და ჩვენი გზები გაიყო. ცხოვრებაში რაც ხდება, უკეთესობისკენ ხდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიც დარწმუნებული ვარ, ასე მოხდა.

— **როგორ გგონია — რამდენიმე წლის შემდეგ როგორი ოჯახი გექნება?**

— მეყოლება ორი შვილი, აუცილებლად გოგონები, თუმცა შეიძლება, გოგონა და ბიჭიც, მაგრამ გოგონა აუცილებლად მეყოლება. ძალიან თანამედროვე ოჯახი მექნება. ვგულისხმობ იმას, რომ ოჯახის ყველა წევრს კარგად გავუგებ. ვეცდები, გაჭირვების დროს ყველას მხარში ამოვუდგე...

— **რა ჟანრის ლიტერატურა გიყვარს?**

— უფრო მეტად, აფორიზმების „ფანი“ ვარ. მობილურშიც კი მაქვს ჩაწერილი რამდენიმე მათგანი...

— **როგორი ჟანრის მუსიკას უსმენ?**

— ძალიან მიყვარს ჯგუფი „აბბა“. მას რომ ვუსმენ, საოცარ განწყობილებაზე ვდგები.

— **მღერი კიდეც?**

— არა. ჩემზე არის ნათქვამი — სპილომ ყურზე დააბიჯაო.

— **კარგად ცეკვავ?**

— ადრე ლათინურ-ამერიკულ ცეკვებზე დავდიოდი, მაგრამ ცეკვა ნაკლებად მეხერხება.

— **ოდესმე ლექსი თუ დაგიწერია?**

— კი, ლექსებს ვწერ, მაგრამ საკუთარ ლექსებს ზეპირად ვერ ვიმახსოვრებ. მოთხრობაც დამიწერია. მთელი ბავშვობა დღიურებს ვწერდი და ვაფორმებდი. მაგრამ ყველაზე მეტად, ცნობილი ადამიანების გამონათქვამების შეგროვება მიყვარდა.

— **რომელი მწერლები მოგწონს?**

— ბერნარდ შოუ, ოსკარ უაილდი, მარკ ტვენი.

— **ტელესერიალ „კლინიკაში“ როგორ მოხვდი?**

— ჩემდა გასაკვირად, მიმიწვიეს. ისე გამიხარდა, „ტორნადოსავით“ დავქროდი. სამუშაო ჯგუფში ერთადერთი არამსახიობი ვიყავი. ყველანი ძალიან გამოცდილები და უნიჭიერესი მსახიობები არიან. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ასე რომ, ამ სერიალში თამაში ჩემთვის დიდად საამაყო იყო.

— **„კლინიკაში“ პირველი როლი ითამაშე?**

— მანამდე, თუმანიშვილის სახელობის თეატრში, სპექტაკლში — „სახურავის მტრედები“ მთავარ როლს ვთამაშობდი. მაგრამ სერიალი სულ სხვა რამ ყოფილა. ისე, დიდი იმედი მაქვს, რომ კიდევ სადმე მიმიწვევენ. სერიალმა ბევრი მეგობარი შემძინა.

— **მომავალში როგორი როლის თამაში გინდა?**

— გიჟის როლი მინდა ვითამაშო.

— **რატომ?**

— მგონია, რომ კარგად შევასრულებ და ამ როლზე მუშაობაც საინტერესო იქნება.

— **ისე, „კლინიკაშიც“ რთული როლი გქონდა...**

— კი, გიჟი არ ვყოფილვარ, მაგრამ შეიძლება ითქვას, ჩემს საოცნებო როლამდე ერთი ნაბიჯი მაკლდა (*იცინის*).

— **სამომავლოდ კიდევ რისი გაკეთება გინდა?**

— სიამოვნებით წავიყვანდი გადაცემას მოდის შესახებ. მოვიწვევდი ადამიანებს და მათ სამოსსაც შევურჩევდი...

— **უპირატესობას რა სუნამოს ანიჭებ?**

— ძალიან მომწონს ნინა რიჩის „რიჩი რიჩი“.

— **რომელი მარკის ავტომანქანები მოგწონს?**

— „აუდი“ ჩემი საყვარელი მანქანაა.

— **იცი მანქანის მართვა?**

— არა, მაგრამ აუცილებლად ვისწავლი.

— **რა სტილის ჩაცმულობაში გრძნობ თავს კომფორტულად?**

— არ მაქვს რაიმე ამოჩემებული სტილი. კლასიკურ კაბაშიც, ჯინსშიც და მაისურშიც თავს თავისუფლად ვგრძნობ. მხოლოდ კედებს ვერ ვეგუები, არ ვიცი, რატომ.

— **ასეთი გრძელი თმა შენი, ბუნებრივია?**

— შემეძლო, გამეზარდა, მაგრამ რა საჭიროა, როცა შეიძლება, დაიგრძელო. ბავშვობაში ბუნებრივად ქერა ვიყავი, მაგრამ ძალიან სუსტი თმა მქონდა. დედისგან „მემკვიდრეობით მერგო“ ასეთი თმა. დედამ გამოსავალს მიაგნო. თმას „ხნით“ მიღებავდა. ქერა თმაზე დადებული „ხნა“ პომიდვრისფერი ხდებოდა. საშინლად გამოვიყურებოდი. შემდეგ შავი „ხნა“ ვიშოვეთ და თმის ფერი ცოტა ნორმალური გამიხდა. მოკლედ, ბავშვობაში ძალიან დავიტანჯე. ახლა არც ვიცი, ბუნებრივად რა ფერის თმა მაქვს.

— **მოკლედ, შენი გემოვნებაც გავარკვიეთ... მადლობა ინტერვიუსთვის.** ■



ვერ ვგრძნობ, რომ ვინმეზე გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი მყავს...

# მერილინ მონროს ნივთების ღირებულება წლიდან წლამდე იზრდება

ვარსკვლავთა კუთვნილი, ან თუნდაც ის ნივთები, რომლებსაც მათი ხელი ერთხელ მაინც შეხებია, დროთა განმავლობაში არა მხოლოდ სამუზეუმო ნივთებად, არამედ აუქციონის ლოტადაც იქცევა ხოლმე. აუქციონზე იყიდება ყველაფერი, რაც დრომ ჩვენამდე ასე თუ ისე შემოინახა: ქვაბები, საათები, პერანგები, საბანკო წიგნაკები, ვადაგასული წამლები, ფოტოსურათები, ცხვირსახოცები, სამკაულები და სხვა ნივთები. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ზაფხულში ლოს-ანჯელესში მერილინ მონროსადმი მიძღვნილ მორიგ აუქციონზე ორგანიზატორები მსახიობის რენტგენის სურათს, თხილამურებსა და სუნამოს გაიტანენ. საინტერესოა, რამდენად ფასეულია დღეს ის ნივთები, რომლებიც თავის დროზე, ვარსკვლავს ალბათ ჩალის ფასად ულირდა?

მერილინ მონრო უდავოდ XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმული მსახიობია და მისი კუთვნილი ნივთები აუქციონების მუდმივი ლოტებია. ხშირად მისი ძვირფასეულობისა და ტანსაცმლის ხელში ჩაგდებას დამოუკიდებელი სააუქციონო სახლები ახერხებენ, ზოგჯერ კი ბრწყინვალე კინოვარსკვლავის სახელთან დაკავშირებული ნივთების გაყიდვას უფრო სოლიდური დაწესებულება, მაგალითად, ცნობილი Christie's აწყობს.

მომავალი აუქციონი 26 ივნისს ლასვეგასში მოეწყობა. ვაჭრობის ორგანიზატორი კომპანიის Julien's Aucttions სპეციალიზაცია, მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ადამიანების საკოლექციო ნივთებით ვაჭრობაა. მათ უკვე გაყიდეს „პოპმუსიკის მეფის“ — მაიკლ ჯექსონის თეთრი ხელთათმანი, „როკ-ენ-როლის მეფის“ — ელვის პრესლის მოოქრული პისტოლეტი, შეუდარებელი ჯონ ლენონის თეთრი კოსტიუმი და უმშვენიერესი მერილინ მონროს ხელით შესრულებული ნახატი.

ერთი წლის წინ Julien's Aucttions-მა გადაწყვიტა, მონროს სატელეფონო წიგნაკის მსგავსი მოკრძალებული ლოტებით აღარ შემოფარგლულიყო და აუქციონზე მსახიობის ტანსაცმლის, აქსესუარების, ავეჯისა და ფოტოსურათების მთელი კოლექცია გაიტანა. აუქციონის ორგანიზატორებმა მერლინის ქოლგა, ქვედაბოლოები, ქამრები, ძვირფასეულობის შესანახავი ყუთი, ჩანთები, ბეწვის მოსასხამი, ქუდები, საშინაო ტანსაცმელი, მედიკამენტების რეცეპტები, სათვალე და ბიგუდებიც კი შესთავაზეს.

ალსანიშნავია, რომ მდიდარი კოლექციონერების გარდა, ლეგენდასთან შეხება მსახიობის იმ თაყვანისმცემლებმაც შეძლეს, რომლებიც თავს დიდი ხარჯის გაწევის უფლებას ვერ აძლევენ. მაგალითად, გასული წლის ზაფხულის აუქციონზე მერილინისგამოსახულებიანი 1 ცალი პოსტერის საშუალო ფასი 500 დოლარი იყო, 1955 წელს გადაღებული ფილმის — „მეშვიდე წლის ქავილი“ ტრანსპარანტი 320 დოლარად, ხოლო მსახიობის სატელეფონო ანგარიშის ქვითარი 400 დოლარად გაიყიდა. ტანსაცმელი უფრო ძვირად ფასობდა, მაგრამ მსურველისთვის მაინც ხელმისაწვდომი იყო. მერილინის შარფი — 2.000, ქამარი — 1.500, ბალიში კი 800 დოლარად გაიყიდა. ბიგუდებსაც ხელმისაწვდომი ფასი დაედო და მერილინის თავგადაკლულმა თაყვანისმცემლებმა მათი შეძენა 1.000 დოლარად შეძლეს. აუქციონის ორგანიზატორებს ყველაზე დიდი მოგება მერილინის სამოსმა, ავეჯმა, ჭურჭელმა, წიგნებმა და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნაში შეძენილმა სუვენირებმა მოუტანა. თეთრი ბეწვის მოსასხამი, რომელსაც მერილინი მხოლოდ ატლასის კაბაზე ხმარობდა, 69.000 დოლარად გაიყიდა, მაშინ როდესაც, იმავე აუქციონზე გატანილი, მსახიობისა და მოცეკვავე ენ მილერის ბეწვის ქურთუკის საბოლოო ფასი მხოლოდ 600 დოლარი აღმოჩნდა. ერთმა კოლექციონერმა მონროს ავტოგრაფიან ფოტოსურათში — 20.000, კოსტიუმში — 27.000, კრემისფერ კაბაში კი 13.000 დოლარი გადაიხადა. კარგი ღვინის მსგავსად, მერილინის ნივთების ღირებულებაც წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება. კოლექციონერთა უმრავლესობას რამდენიმე წლის წინ შეძენილი უმნიშვნელო ნივთი, ათმაგი მოგების მოლოდინში კვლავ აუქციონზე გააქვს, ზოგიერთი კი აუქციონების სავარაუდო ლოტს საგულდაგულოდ ინახავს და შესაფერის მომენტს მოთმინებით ელოდება. ახლა ჯერი მერილინ მონროს მკერდის რენტგენის სურათზე მიდგა, რომლის მოსაპოვებლად კოლექციონერები ერთმანეთს მომავალ ზაფხულში „შეებრძოლებიან“. ვარაუდობენ, რომ ლოტი 1.000 დოლარად გაიყიდება, მაგრამ აუქციონზე გატანილი ნივთები ხშირად მის თავდაპირველ ღირებულებაზე ბევრად ძვირად იყიდება. მაიკლ ჯექსონის ხელთათმანის შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა — ლოტის სასტარტო ფასი 10.000 დოლარი იყო, საბოლოოდ კი — 350.000 დოლარად გაიყიდა! სხვათა შორის, ლასვეგასის საზაფხულო აუქციონზე მაიკლ ჯეკსონის უამრავ ნივთს გაიტანენ. Jiliens's-ის სახლმა ჯექსონების ოჯახური ჯგუფის Jacksons 5 პერიოდის სასცენო კოსტიუმებიდან დაწყებული, სიმღერის Thriller კლიპის ლეგენდარული ტყავის ქურთუკით დამთავრებული, ჯექსონის კუთვნილი ყველა ნივთი მოამზადა გასაყიდად.








ტრადიციულად, ზაფხულის აუქციონზე გაიტანენ — ელვის პრესლის, ჯგუფ The Beatles-ის წევრების, ჯიმი ჰენდრიქსის, ოზი ოსბორნის, Led Zeppelin-ის, ბობ დილანის, ჯონ კეშის, ტომ პეტის, აგრეთვე ჯგუფ Nirvana-ს ლიდერ კურტ კობეინის ნივთებს.

მერილინ მონროს იმ ნივთებს შორის, რომლებიც ახალ მფლობელებს ელის, რენტგენის სურათის გარდა აღმოჩნდა — თხილამურები, რომელზეც ინიციალებია (Ì.Ì.) გამოსახული. სავარაუდოდ, სწორედ ამ თხილამურებზე იდგა მსახიობი 1940-იანი წლების ერთ-ერთი ადრეული ფოტოსესიის დროს. თხილამურებთან, რენტგენის სურათთან, ტანსაცმელთან და ფოტოსურათებთან ერთად, მერილინ მონროს თაყვანისმცემლები მიიღებენ უმთავრესს — ლეგენდის „მცირე ნაწილის“ შეძენის შესაძლებლობას! ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძე

ცხოვრება

# სიძულვილი და მადლიერება

*მარი ჯაფარიძე*

ვეთანხმები იმას, ვინც ამბობს, რომ ჟურნალისტობა საინტერესო პროფესიაა, მაგრამ რამდენადაც საინტერესოა, იმდენად — რთულიცაა.

ვზივარ ახლა და ჩემი რესპონდენტის ნაამბობზე ვფიქრობ... შთამბეჭდავი ამბავია... გამაოგნებელიც კი... მაგრამ როგორ დავიწყო?.. რა დავწერო?.. პირველი სიტყვისა და ფრაზის შერჩევა ყოველთვის მიჭირს. თუ დავიწყე, მერე კი მიდის აზრი მსუბუქად, ძალდატანების გარეშე. მთავარი დაწყებაა... ჩემს რესპონდენტსაც დაწყება გაუჭირდა...

შეხვედრაზე თავად შემითანხმდა და როგორც თქვა, სასაუბროდ სტიმული ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემას მიუცია. თუმცა, მისი ამბავი საკმაოდ განსხვავებულია და ზღაპარს უფრო ჰგავს. მიჭირს დასკვნის გაკეთება, ამ ზღაპარს კარგი დასასრული აქვს თუ ცუდი...

* * *

დალიმ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფეხსაცმლის სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. არაფრით გამორჩეული გოგონა იყო. არც გარეგნობა ჰქონდა განსაკუთრებული. თაყვანისმცემლებიც კი არ ჰყავდა. ჩუმი გოგონა თავჩაქინდრული მუშაობდა მუდამ.

ერთ დღეს მათთან საამქროში პროფკავშირის თავმჯდომარე შევიდა და საგზური ააფრიალა.

— გოგონებო, უფროსებიდან ერთ-ერთმა საგზურზე უარი თქვა, უნდა გადავმარჩინოთ და ვინმე დათანხმდეთ გუდაუთაში უფასო საგზურით დასასვენებლად წასვლაზე.

ყველას გაეცინა. გიჟები ხომ არ იყვნენ, ნოემბერში ზღვაზე დასასვენებლად წასულიყვნენ?

— მე წავალ, — უეცრად გაისმა დალის ხმა.

— უჰ, რა კარგი გოგო ხარ. საგზურის ჩამოწერა არ დამჭირდება და პრემიას მივიღებ, — შვებით ამოისუნთქა თავმჯდომარემ.

* * *

საღამოს, შინ მისული დალი თავს იმტვრევდა, ვისთვის დაეტოვებინა ძაღლი. მარტო ცხოვრობდა. 2 წლის წინ მშობლების ბინა „დაახურდავეს", მის დას 2-ოთახიანი შეხვდა, რადგან გათხოვებას აპირებდა და უფრო დიდი ფართი დასჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ოდესმე დალიც გათხოვდებოდა, მაგრამ ჯერ ხომ გასათხოვარი იყო და თაყვანისმცემელიც არ ჩანდა. ძაღლიც დისგან ერგო „მემკვიდრეობად"...

მეზობლის გოგონა დათანხმდა ძაღლის შენახვაზე იმ პირობით, რომ დალი მას საჩუქარს ჩამოუტანდა.

* * *

პანსიონატი სანაპიროდან 100-ოდე მეტრში იყო აშენებული. ზღვის ტალღების ხმა ფანჯრიდან შემოდიოდა და დალის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჰაერიც კი მარილით გაჯერებული და მლაშე იყო.

ადმინისტრატორს გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ დალი მაღალჩინოსნის შვილი, ცოლი ან საყვარელი კი არა, ფეხსაცმლის ფაბრიკის რიგითი თანამშრომელი გახლდათ.

— ჩვენი პანსიონატი ელიტურია, — თქვა მან, — ძირითადად მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახები ისვენებენ.

დალის ეწყინა, მაგრამ არ გამოუმჟღავნებია.

— მე მოწინავე მუშა ვარ და საგზურით დამაჯილდოეს, — ამაყად უთხრა.

2-ადგილიანი ნომერი შეხვდა, მისი მეზობელი ასაკოვანი ქალბატონი აღმოჩნდა, რომელიც ჭიათურის მაღაროს მუშა გახლდათ. როგორც ჩანდა, ის პირველად მოხვდა ასეთ ადგილზე, რადგან იმდენი ტანისამოსი ჰქონდა წამოღებული, მთელი წელი ეყოფოდა. თბილისური საზომით, მისი სამოსი სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ დალის სიტყვაც არ დასცდენია.

საღამოობით ვერაფრით გაერთობოდი, რადგან დასვენების სეზონი არ იყო. თუ კარგი ამინდი იდგა, გვიან ზღვისპირა პარკში დისკოთეკა ეწყობოდა. თუ წვიმდა, პანსიონატის დარბაზში ფილმს უშვებდნენ. დალი დისკოთეკაზე არ მიდიოდა. აივანზე სკამს დაიდგამდა და იქიდან უყურებდა ლამპიონების შუქზე მოცეკვავე წყვილებს. იქ ისეთი ხალხი იყრიდა თავს, როგორიც მისი მეზობელი — სასაცილოდ ჩაცმული, თავზე დიდი თმის ბულულით. ვინაიდან დამსვენებელი მამაკაცები ცოტანი იყვნენ, საცეკვაო მოედანზე ქალები ერთმანეთს ასწრებდნენ კავალრის დათრევას.

ერთ დღეს დალი ქალაქში წავიდა, რათა იქაურობა დაეთვალიერებინა და შემდეგ მეგობრებისთვის მოეყოლა, როგორი იყო გუდაუთა. ჩვეულებრივი პროვინციული ქალაქი იყო. ქუჩაში ქათმები, ინდაურები და მსხვილფეხა პირუტყვი დასეირნობდა.

მანქანები გიჟებივით „დარბოდნენ" და მოძრაობის წესებს არ იცავდნენ. ვინც უფრო გაბედული იყო, მისთვის შუქნიშანზე სულ „მწვანე" ენთო. იქაურობის თვალიერებით გართულმა დალიმ ტროტუარიდან ფეხი ჩადგა და... არც დაუნახავს მარცხენა მხრიდან მომავალი ტაქსი... უეცრად, მუხრუჭების ხმამ მოიყვანა გონს.

მძღოლი ჩასკვნილი, ჭაღარა, აფხაზი მამაკაცი გახლდათ. მან კარი გააღო და მანქანიდან გადმოვიდა. გოგონამ თავი მხრებში ჩარგო, რადგან იფიქრა, „თბილისური წესით", ახლა გალანძღავდნენ და ისეთ რამეს ეტყოდნენ, სირცხვილით დაიწვებოდა. მძღოლი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და თვალებში ჩახედა.

— ცუდად ხომ არ ხართ? — ჰკითხა მამაკაცმა.

— არა, — თავი გააქნია დალიმ.

— მოდი, გზის მეორე მხარეს გადაგიყვანთ, — მამაკაცმა ხელი ჩასჭიდა და გზაზე გადაიყვანა.

მოულოდნელობისა და შიშისგან დალი ატირდა. ამ დროს საიდანღაც მისი მეზობელი, ნანა გაჩნდა. დალი დაამშვიდა, ტაქსის მძღოლს მადლობა გადაუხადა და გოგონას ფეხი ააჩქარებინა,

რათა პანსიონატში მიმავალ ავტობუსზე არ დაჰგვიანებოდათ.

ნანა თბილი, ყურადღებიანი ქალი აღმოჩნდა, მაგრამ უზომოდ ბევრს ლაპარაკობდა. თბილისში ნამყოფი არ ვარო, უთხრა დალის და დედაქალაქის შესახებ ყველაფერს დაწვრილებით ეკითხებოდა.

თავგაბეზრებულმა დალიმ აუზზე, საცურაოდ წასვლა გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ სასადილოში ბევრს ლაპარაკობდნენ იმ მამაკაცზე, რომელიც მსურველებს ცურვას ასწავლიდა.

დალის ძალიან ლამაზი, უცხოური საცურაო კოსტიუმი ჰქონდა. 2 წლის წინ, ვაგზლის საპირფარეშოში, სპეკულანტისგან იყიდა. მეგობრები 2 წლის განმავლობაში, ზედიზედ თხოულობდნენ მისგან საცურაო კოსტიუმს, თვითონ კი პირველად მიეცა შესაძლებლობა, ჩაეცვა და თავი მოეწონებინა.

დალიმ ამაყად შეაბიჯა იმ დარბაზში, სადაც აუზი იყო. მხარზე პირსახოცი ჰქონდა გადაკიდებული. ხალხი თითქმის არ იყო. სულ ხუთიოდე ადამიანი ცურავდა მოზრდილ აუზში.

ინსტრუქტორი ახალგაზრდა, დაკუნთული, მზემოკიდებული მამაკაცი გახლდათ, რომელიც აუზის ნაპირზე ყელმოღერებული დადიოდა. როგორც კი დალის თვალი მოჰკრა, ერთბაშად გამოცოცხლდა და კუნთები გამოაჩინა.

დალი ნაპირზე ჩამოჯდა და წყალში ფეხები აათამაშა. ცოტა ხნის შემდეგ კი აუზში თავით გადაეშვა. კარგად ცურავდა. თანრიგიც კი ჰქონდა ცურვაში. აუზი მთელ სიგრძეზე სწრაფად გადალახა, კედელს ფეხი ჰკრა და უკან მობრუნდა. ამ დროს შენიშნა, რომ ინსტრუქტორი მის გვერდით მოცურავდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც დაუნახავს. ისევ აუზის ნაპირზე ჩამოჯდა და მხრებზე პირსახოცი მოიხვია. ცოტა ხანში წყლიდან ინსტრუქტორიც ამოძვრა და გვერდით მიუჯდა.

— ძალიან ლამაზი „კუპალნიკი“ გაცვიათ. იუგოსლავურია?

— არა, ამერიკულია, — უპასუხა დალიმ და მამაკაცი ირიბად შეათვალიერა.

მას კარგი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საკუთარ თავზე შეყვარებული იყო. ასე, 30-32 წლის იქნებოდა.

— საიდან ჩამოხვედით?

— თბილისიდან.

— ახლა გასაგებია, რატომ გაქვთ ასეთი უცნაური კილო. თბილისელები სხვანაირად ლაპარაკობთ.

დალიმ წამოდგომა გადაწყვიტა, მაგრამ მამაკაცმა მაჯაში ხელი ჩაავლო და ადგილზე დასვა.

— არ გამიბრაზდეთ, ახლა აქ დასვენების სეზონი არაა, სულ ასაკოვანი ქალები არიან ჩამოსული და უეცრად თქვენ დაგინახეთ — ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, ლამაზ საცურაო კოსტიუმში.

დალის თავბრუ დაახვია მამაკაცის კომპლიმენტმა. მშვენივრად იცოდა, რომ ლამაზი სულაც არ იყო, მაგრამ ისიც უწყოდა, რომ კარგი აღნაგობა ჰქონდა. თანაც, ზღაპრებში ხომ ყველაფერი კარგად სრულდება და რატომ არ შეიძლებოდა, მასაც გამართლებოდა და ასეთ მამაკაცს მოსწონებოდა? ბედნიერების უფლება ხომ ყველას აქვს.

— მე თქვენ რაღაცას გაჩვენებთ, — მამაკაცი წამოდგა და გოგონას ხელი გაუწოდა. დალი ინსტრუქტორს გაჰყვა.

ერთ-ერთ კართან გაჩერდნენ, სადაც ეწერა: „სოლარიუმი“. მაშინ ასეთი რამის არსებობის შესახებ ცოტამ თუ იცოდა — მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებმა, რომლებიც კარგ სანატორიუმებში დასვენების უფლებას აძლევდნენ თავს.

ინსტრუქტორმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. დალის აღტაცების შეძახილი აღმოხდა. კარს იქით ნამდვილი სამოთხე იყო — ზამთრის ბაღი. პალმები, სუროები და უამრავი ყვავილი ხარობდა, რომელთა შორის შეზლონგები იდგა. პატარა, ლამაზი შადრევანიც კი მოჩუხჩუხებდა. ბაღის ბოლოში კი რაღაც უცნაური, ნათურებიანი მოწყობილობა იდგა, რომელიც საწოლს ჰგავდა. დალის გაუკვირდა, რადგან მსგავსი არაფერი ენახა.

— ტანი კარგად გაიმშრალეთ და დაწექით, — უთხრა მამაკაცმა.

ქალი დაემორჩილა მის ბრძანებას. ინსტრუქტორმა თვალები შავი ქსოვილის ნაჭრით აუხვია და ტანზე თხევადი კრემის წასმა დაუწყო. დალის შეეშინდა, დაიძაბა... მამაკაცის ხელები მის სხეულზე დასრიალებდა და ყველგან ურცხვად ეხებოდა.

— მზადაა, 25-მდე დავითვლი და პირქვე გადაბრუნდებით, გასაგებია?

დალიმ თავი დაუქნია. უეცრად, რაღაც გატკაცუნდა და ქალს სხეულზე თბილმა ტალღამ დაუარა. შემდეგ 25 დათვლაზე ისევ გატკაცუნდა რაღაც და „მზე“ ჩაქრა.

— შეგიძლიათ, თვალები გაახილოთ და წამოდგეთ, — ბრძანებებს იძლეოდა ინსტრუქტორი, — ხომ არ შეგეშინდათ? ეს გასარუჯი მოწყობილობაა. ჩვენმა დამსვენებლებმა უცხოეთიდან ჩამოიტანეს თავიანთი ცოლებისთვის, რათა ცუდ ამინდშიც შეძლონ გარუჯვა. ისე, ეს ოთახი ზაფხულიდან ზაფხულამდე არ ფუნქციონირებს. თქვენთვის გამონაკლისი დავუშვი.



— გმადლობ. მე წავალ, — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა, რადგან მამაკაცის ხარბი მზერა უხერხულობას უქმნიდა.

— ამ საღამოს საცეკვაოდ წავიდეთ, — გაუღიმა მამაკაცმა.

— პარკში, დისკოთეკაზე? — გაიცინა დალიმ, მამაკაცს დაემშვიდობა და წავიდა.

საღამოს უბრალოდ, გაისეირნეს... შემდეგ მამაკაცმა ვახშმად თავისთან სტუმრად წასვლა შესთავაზა.

დალი დათანხმდა. აჩიკო სანატორიუმის პირველ სართულზე ცხოვრობდა. თვითონ სოხუმელი იყო, ექიმი, აქ კი ინსტრუქტორად მუშაობდა, კარგი სამსახურის მოლოდინში.

სუფრა გაშლილი დახვდა: როგორც ჩანს, მამაკაცი წინასწარვე დარწმუნებული იყო, რომ საღამოს სტუმარი ეყოლებოდა.

დალი სავარძელში ჩაეშვა. მამაკაცმა სინათლე ჩააქრო. ოთახს მხოლოდ კედლის ბრა ანათებდა.

— მოდი, ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო დავლიოთ, — სომხური კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა მასპინძელმა.

— არ ვსვამ, — ქალმა ჭიქა განზე გასწია.

— მხოლოდ ერთი ყლუპი, — ჭიქა თავისი ხელით მიუტანა ტუჩებთან აჩიკომ.

ერთმა ყლუპმა სასმელს მიუჩვეველ გოგონას თავბრუ დაახვია. ტანში სასიამოვნო სითბომ დაუარა. დალიმ მეორე, უფრო მოზრდილი ყლუპი დააყოლა, შემდეგ კი სავსე ჭიქაც გადაკრა. ვერც კი შენიშნა, როგორ მოეშვა... კიდევ ერთი ჭიქის შემდეგ ოთახი დატრიალდა... როგორც ჩანს, მამაკაცმა საძილე საშუალება გაურია სასმელში...

აჩიკომ გოგონა ხელში აიტაცა და საწოლზე დააწვინა.

— ჩემს ოთახში წამიყვანე, — ენის ბორძიკით უთხრა ქალმა, მაგრამ მამაკაცი ზემოდან დააცხრა და პირზე ხელი დააფარა.

ქალი წინააღმდეგობას უწევდა, იბრძოდა, ჰკბენდა მოძალადეს, მაგრამ ამით მხოლოდ ახელებდა გააფთრებულ მამაკაცს. დალის კაბის გახევის ხმა ჩაესმა.

— ჩუმად, სულელო, — მამაკაცი ხვნეშოდა და ცდილობდა, ქალის ყვირილი ხელისგულით დაეხშო.

ნისლში ჩაძირული, მოთენთილი დალი მიხვდა, რომ ყვირილსა და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. მამაკაცის ნავარჯიშევი სხეული სულ უფრო ძლიერად აჭყლეტდა საწოლს...

— უხ, შენი! — უეცრად მამაკაცის გინების ხმა გაიგონა და სიმძიმისგან გათავისუფლდა, რადგან აჩიკო გველნაკბენივით წამოხტა — შენ რა, ქალწული იყავი? რატომ არ მითხარი? ნუთუ შინაბერა გავუიმე? ხმა არ ამოიღე, არა? შენც გინდოდა, ეს რომ მომხდარიყო. თუ მი-

ლიციაში განაცხადებ, თბილისში ჩამოვალ, გიპოვი და დედას გიტირებ! აბა, ახლავე ადექი და აქედან წადი!

მას ნანას კივილი მოესმა და ვიდრე მიწაზე დაეცემოდა, იმის გაფიქრებაც მოასწრო, რომ ახლა ცოტა ეტკინებოდა,

## დალიმ ქალს ხელი ჰკრა, ოთახი ელვის სისწრაფით გადაჭრა, აივნის კარი გამოაღო და არც დაფიქრებულა, ისე გადაეშვა...

დალი ლასლასით წამოდგა და ოთახიდან გავიდა. კედელ-კედელ ცდილობდა თავის ოთახამდე მისვლას. ჰოლში, მარმარილოს იატაკზე ფეხი აუცურდა და ძირს გაიშხლართა. ცდილობდა, დახეული კაბა ფეხებზე გადაეფარებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. სახე პომადითა და ტუშით ჰქონდა გათხაპნილი.

ადმინისტრატორი ადგილიდან წამოხტა და თავზე დაადგა.

— რას ჰგავხარ? რა საქციელია? მეძავო! — დაჰყვიროდა ქალი.

შემდეგ ვიღაცები წამოეშველნენ და ლიფტში „შეტენეს“.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დალი ცდილობდა, ეკითხა მათთვის, „შენობით“ რატომ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ უკვირდა, რომ ენა არ ემორჩილებოდა.

მას პირიდან მხოლოდ ღმუილი ამოსდიოდა.

დილით შუბლზე ვიღაცის ხელის შეხებამ გააღვიძა. ეს ნანა იყო.

— შვილო, რა გააკეთე გუშინ? — ქალი სინანულით აქნევდა თავს, მაგრამ მის მზერაში ბრაზი და საყვედურიც ჩანდა.

წამოჯდა და ოთახს თვალი მოავლო. სკამზე მისი დახეული კაბა და სისხლიანი საცვალი იყო გადაფენილი. ნანას კი ჩემოდნები ჩაელაგებინა.

— მე სხვა ოთახში გადავდივარ, ჩემს თანამშრომელთან, — ტყუილი თქვა ქალმა და ეს ტყუილი დალის სილასავით გააწნა.

დალი ადგა, ჩაიცვა და გარეთ გასვლა გადაწყვიტა. ადმინისტრატორის მაგიდაზე ფლომასტერით აჭრელებულ ქაღალდს მოჰკრა თვალი, სადაც შავით თეთრზე, დიდი ასოებით ეწერა, რომ დალი ამორალური საქციელის გამო პანსიონატიდან ვადაზე ადრე იქნა გაძევებული და შესაბამისი ინფორმაცია მის სამსახურშიც მივიდოდა.

გოგონა გახევდა. არც კი ესმოდა, რას ეუბნებოდა ადმინისტრატორი. ვიღაცის სიცილმა გამოარკვია...

დალის აქამდე ვერც წარმოედგინა, თუ რა იყო ციებ-ცხელება... მზერა დაებინდა. ადგილიდან მოწყდა და თავის ნომრამდე, 4 სართული რამდენიმე წამში აირბინა. გასაღები ვერა და ვერ მოარგო კარს... ნანამ შიგნიდან გააღო. ის ჯერ კიდევ არ წასულიყო.

დალიმ ქალს ხელი ჰკრა, ოთახი ელვის სისწრაფით გადაჭრა, აივნის კარი გამოაღო და არც დაფიქრებულა, ისე გადაეშვა... მაგრამ სამაგიეროდ მერე, თავისუფალი იქნებოდა... აღარც სირცხვილი შეაწუხებდა და აღარც ტკივილი...

* * *

საავადმყოფოს ერთ ოთახში მოწყობილ ხატების კუთხესთან შუა ხნის ქალი 8 საათის განმავლობაში მუხლებზე იდგა და თავისი შვილის გადარჩენას შესთხოვდა ღმერთს...

„გული მეუბნებოდა, რომ მას მანქანა არ უნდა ეყიდა. გააფთრებული ვუწევდი წინააღმდეგობას, ალბათ ვგრძნობდი, რომ უბედურება შეემთხვეოდა, ღმერთო, გადამირჩინე ჩემი შვილი, ჩემი ერთა... ნუ დამიობლებ შვილიშვილებს, ნუ გამიუბედურებ ოჯახს, ნუ დამაქცევ“, — შეჰღაღადებდა ხატებს და ცრემლი ღვარად სდიოდა.

— ქალბატონო, ოპერაცია დამთავრდა, 8 საათი ცდილობდნენ თქვენი შვილის გადარჩენას... ექიმი გეძახით, — თეთრხალათიანმა ექთანმა ოთახში შემოიხედა და ქალს ლოცვა შეაწყვეტინა.

ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა, პირჯვარი კიდევ ერთხელ გადაიწერა და ოთახიდან გავიდა.

ექიმი, საკმაოდ ხანში შესული, მთლად გათეთრებული მამაკაცი ფანჯარასთან იდგა.

კარის გაღების ხმაზე მოიხედა.

— თქვენი შვილი სიკვდილს ხელიდან გამოვგლიჯეთ, — უთხრა ქალს.

ქალი მის წინაშე მუხლებზე დაეცა და მადლიერების ნიშნად ხელები დაუკოცნა...

მამაკაცმა მხრებში ხელები მოჰკიდა და წამოაყენა.

ქალმა ცრემლი მოიწმინდა, ექიმს სახეზე შეხედა და...

გულწასული დაეცა...

ცარიელ პალატაში მწოლიარე გონს მოვიდა. თავზე თეთრხალათიანები დასტრიალებდნენ...

ქალმა თვალები ისევ დახუჭა... თვალწინ ძველმა კადრებმა გაურბინა...

გუდაუთა... სანატორიუმი... აჩიკო... მეოთხე სართულიდან გადმოხტომის წამი... საავადმყოფო... სინანული გადარჩენის გამო...

— აჩიკო ექიმო, პაციენტის დედა გონს მოვიდა, — დაიძახა ერთმა თეთრხალათიანმა...

ქალს გმინვა ამოხდა... თითქოს ხმას გული ამოაყოლა... ■

ჯაბა ანანიძე

### მხოლოდ სულში ჩაკარგული „საბუთები“

თალიკო რუხაძე 2 შვილის დედაა, რეალურად კი — ოთხის. მესამე — მისი დისშვილია, რომელზეც დის გარდაცვალების შემდეგ, მეურვეობა იკისრა, ხოლო მეოთხე „შვილი“ ბინის შესასვლელთან დაუტოვეს უცნობებმა. „თქვენ, თალიკო რუხაძე აქტიური ქალი ხართ! ამ ბავშვსაც მოუვლით, გთხოვთ“, — მხოლოდ ეს ეწერა ბარათში, რომელიც ჩვილს კალათში ედო და ამ ჩვილის ერთადერთი „ქონება“ იყო.

ქალბატონ თალიკოს ყველაზე მეტად, ძმის შვილიშვილი, ანდრეი სლეპცოვი ადარდებს. ის ადრეულ ასაკში მძიმე ტრამვის შედეგად ზედა კიდურების გარეშე დარჩა. ანდრეი ახლა 23 წლისაა და მისთვის პროთეზის გაკეთება თალიკომ პრეზიდენტს საჯაროდ, მუხლმოდრეკილმა, ბათუმში სთხოვა. სთხოვა სხვებსაც, მაგრამ ანდრეი ისევ ხელების გარეშე განაგრძობს ცხოვრებას.

ქალბატონმა თალიკომ ღარიბული ბინის გამჭვირვალე კარი სიხარულით გამიღო და როგორც კი საუბრისთვის მოვემზადე, კარადიდან იმ საბუთების გადმოლაგებას შეუდგა, რომელშიც აღწერილია, თუ რა პასუხები მიიღო ქალამნიანმა „ოთარაანთ ქვრივმა“ სახელმწიფოს ამა თუ იმ ინსტანციისგან.

ჰოდა, ქალბატონმა თალიკომ მაგიდაზე დახვავებული საბუთებიდან შემომაცეცა თვალი, მაგრამ მე ხომ მის გულში ჩამალული თუ ჩაკარგული „საბუთები“ მაინტერესებდა! ვკითხე, — ფილმს რომ იღებდეთ, საიდან დაიწყებდით თქვენს ცხოვრებას და თქვენს სიყვარულს როგორ აღწერდით-მეთქი?

რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ დაიწყო...

### „ჩემი თითოეული შვილი დიდი სიყვარულის ნაყოფია“

— კარგი, ერთი, ჩემნაირ ადამიანებზე ფილმს ვინ იღებს? მიყვარს ჟურნალისტები, მაგრამ ჩემი შვილების გადაღების ნებას ვერ მოგცემთ. ხომ იცით, როგორია ჩვენი საზოგადოება? რომც არაფერი უთხრან, ისე შეხედავენ, რომ თვალების გახელა შეეზარებათ ჩემს შვილებს... მოგიყვებით ყველაფერს და თავად განსაჯეთ თქვენ და თქვენმა მრავალმა მკითხველმაც, როგორია — გერქვას მარტოხელა და ცხოვრობდე საქართველოში... მგონი, სიყვარული ერთადერთია, რის გამოც სიცოცხლის ატანა ღირს. ჰოდა, მეც შემიყვარდა. ცოლად გავყევი საყვარელ მამაკაცს. ხელის მოწერა და ფორმალობები როცა გაგვახსენდა, ორი შვილი გვყავდა უკვე. ჩემს მეუღლეს ამასობაში, სხვა შეუყვარდა... მოკლედ, ჩვეულებრივი ამბავია... მარტოხელა დედა ვარ, მაგრამ თითოეული ჩემი შვილი ჩემი დიდი სიყვარულის ნაყოფია. მეტს ვერაფერს გეტყვით... 350-მდე მარ-

# ერთი მარტოხელა დედის გზაზე...

## „მეც ხომ დედა ვარ, მეც ხომ შვილებს ვზრდი?!.

**„პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „დამთავრდა დრო, როცა ხალხი უსმენდა მთავრობას. ახლა მთავრობამ უნდა მოუსმინოს ხალხს. ჩვენ, მარტოხელა დედებს რატომ არ გვისმენენ? თუ ჩვენ ტაბუდადებული დედები ვართ? დედები, რომლებიც შვილებს ვუზრდით სამშობლოს. დედები, რომლებსაც გვიჭირს. დედები, რომლებიც აქამდე მხოლოდ 200-200 ლარს ვიღებდით აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსგან და ახლა ეს დახმარებაც შეწყდა. მითხარით, რატომ ველარ უნდა შედიოდნენ ჩემი შვილები სურსათის მაღაზიაში? რატომ ველარ უნდა იცინოდნენ? რატომ აღარ უნდა ჰქონდეთ ბავშვობა? თუ, ბატონებო, თქვენი შვილები არიან შვილები, ჩვენი კი — არა? მითხარით, ბატონო პრეზიდენტო, როდის მოუსმენს მთავრობა მარტოხელა დედებს?!.“ — ეს ამონარიდია თალიკო რუხაძის იმ საჯარო მოხსენებიდან, რომლითაც ის ბათუმის მერიაში არაერთი მაღალჩინოსნის წინაშე წარდგა. ეს ახლახან, როცა მთავრობამ მარტოხელა დედების შემწეობაზე უარი თქვა. ხელისუფალნი იმ დღეს მარტოხელა დედებს შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ კი მარტოხელები თავიანთ გზას შეუდგნენ ისევ...**



ტოხელა დედა ვცხოვრობთ ბათუმში. მარტოხელა სახელად გვქვია, შვილებს ვუზრდით ქვეყანას, მაგრამ სტატუსის გარდა, არაფერშია ჩვენი უფლება დაცული. არასდროს დავნებებივარ გაჭირვებას, წინააღმდეგობას... ვაჟს არჩილი ჰქვია. 24 წლისაა, მაგრამ არსად მუშაობს, რადგან ცალ ყურში სმენა არა აქვს. დახმარება არ დაუნიშნეს, — ორივეთი თუ დაყრუვდება, მაშინ დავუნიშნავთო, ასე მითხრეს. გოგონა, ანა, ღმერთს მადლობა, ჯანმრთელია და უკვე მუშაობს. აქამდეც და ახლაც მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში ვსადილობთ. მენიუში „პირველიცაა“, „მეორეც“ და „მესამეც“, მაგრამ ნეტავ, ერთი კერძი იყოს და ჯანსაღი. ხანდახან ისეთია, პირის გალება არ მოგინდება. რა ვქნათ, ცხოვრება ბრძოლააო, ამბობენ და ვიბრძვი მეც.

### „ჩემი დროც მოვიდააა!“

— არჩევნების მოსვლა მიხარია. უფრო სწორად — გვიხარია ყველას! ვიცი, რომ ამ დროს შეიძლება საქმის გაკეთება... არჩევნების წყალობით გადავხურე ამ საცხოვრებელი კორპუსის სახურავი, ეზოში სანიაღვრე არხი მოვაწესრიგეთ და სასმელი წყლის მილები გამოვცვალეთ. ახლა აივნის გაკეთებისთვის უნდა ვიმუშაო. ვიმუშაო რა, დავივლი ყველას და რომ ავეტუზები კაბინეტთან, ხომ არ გგონიათ, ფეხს მოვიცვლი აუდიენციის გარეშე?! საბუთების უკულმა კითხვაც ვიცი. ვაოცებ ჩინოვნიკებს. ისე, აგენი რა დაპირებებსაც იძლეოდნენ გასულ არჩევნებზე, ნახევარი მაინც რომ შეესრულებინათ, არსად წასასვლელი ვიქნებოდი. მაგალითად, თემურ ჩარკვიანი (ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში. — ავტ.) გვპირდებოდა ეზოებში საბავშვო ატრაქციონების გაჩენას, სარდაფების რეაბილიტაციას, ქუჩების გარე განათებას და ეზოების კეთილმოწყობას. არც ერთია ჩვენს ეზოში და არც — მეორე. ა, ბატონო, საარჩევნო ბუკლეტები, ნახეთ და მითხარით, მეჩვენება თუ სიმართლეა ის, რასაც ვამბობ?! ჰოდა, რომ მივუტანე ახლა ჩარკვიანს ეს ბუკლეტი და დავუდე მაგიდაზე, სად წასულიყო, აღარ იცოდა. ასეა, ამ ცხოვრებაში პოლიტიკოსი უნდა იყო. „ვიპოლიტიკოსე“ და წინა არჩევნებზე ეზოსთვის ზაზა გოგოტიშვილს (ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში. — ავტ.) სილა და ცემენტი მოვაცემინე... სხვათა შორის, ადამიანებს აღარ გვჯერა ერთმანეთის. ვფიქრობთ, რომ გამორჩენაზეა ყველა. ვფიქრობთ, რომ სიტყვები სიმართლეს მაინც არ გამოხატავს... ამას წინათ, ბათუმის მერიის კულტურის სამსახურის უფროსის, ნათია სურგულაძის სატელევიზიო გამოსვლას მოვუსმინე. ირწმუნებოდა, — ყველა გაჭირვებულს ვეხმარები, ბევრჯერ ჩემი ჯიბიდანაცო. ავდექი და მეორე დღეს მის კაბინეტში გამოვცხადდი. გამოცხადებით ვინ „გამოგაცხადებს“, პრინციპში, თუ არ იყოჩაღე და დაცვის ბიჭებს არ აუჩუყე გული?! ჰოდა, პირდაპირ ვუთხარი ქალბატონს, — დამეხმარეთ, როგორც შეგიძლიათ, შვილები მშივრები მყვანან-მეთქი. ისე აიწურა მხრები, თითქოს მე მელაპარაკოს ტელევიზორში, მის მაგივრად.

### „სწავლა შემომთავაზეს, სამუშაოს ნაცვლად“

— მარტოხელა დედებისთვის პროფესიული განათლების პროგრამას აფინანსებს მერია, მაგრამ შენ რა გინდა და რა შეგიძლიაო, ამას არ გეკითხება ვინმე. მოკლედ, მარტოხელა დედებს სწავლა შემოგვთავაზეს შარშან, სამუშაოს ნაცვლად. ვიფიქრე, წავალ, გავნათლდები-მეთქი. ისეთ სპეციალობაზე გამამწესეს, სილისა და ცემენტის მეტს რომ არაფერს ახსენებდნენ ლექტორები. ავდექი და წამოვედი. სად მქონდა ცემენტის თავი?! ანდა, რომ მესწავლა, დამნიშნავდა ვინმე მშენებლად?!. ისე, დიპლომი მაინც კი მიდევს უჯრაში. პროფესიული სკოლის მიტოვებიდან 3 თვეში მირეკავენ და მეუბნებიან, — მობრძანდით, ქალბატონო თალიკო, ჩვენთან ზეიმიაო. წავედი ზეიმზე და რას ვხედავ — დიპლომს არ მაძლევენ?!. ისიც გავიგე, 300 ლარი რომ დახარჯულა თურმე ჩემს „სწავლა-განათლებაში“. ბათუმის მერს შევუთვალე, — დიპლომს მერჩივნა, 300 ლარი მოგეცათ, საწოლებს მაინც ვიყიდდი და ბავშვებს აგურებით გამაგრებულ საწოლებზე აღარ დავაძინედი-მეთქი.

— ***მართლა აგურებით ამაგრებთ საწოლებს?***

— რა ვქნა, აბა?!

*ქალბატონი თალიკო თავის საცხოვრებელ ბინას მათვალიერებინებს — საწოლებს, რომლებიც მართლაც აგურებზე დგას, კარადებს ნაწვიმარის კვალი ატყვია, პიანინოს, რომელსაც კლავიშები აღარ აქვს და აივანს, საიდანაც მზის სხივი შედის იმ ოთახებში, სადაც სევდით სავსე სიყვარულის შვილები ცხოვრობენ, სადაც არ მომკვდარა რწმენა იმისა, რომ არსებობს არჩევანი (თუნდაც პოლიტიკური) და არსებობს დედა — მერე რა, რომ მარტოხელა?!.*

■

# „სადაც არის ინტეგრაცია, იქ ვართ ჩვენც“

**ძალიან ბევრ ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ წარმოდგენაც არ აქვს. ზოგიერთს ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული, ნაწილი კი მებრძოლად იბადება და მუდამ ძიებაშია. პირველი და მეორე კატეგორია თვითონაც იტანჯე-ბა და სხვასაც უმძიმებს ყოფას, მებრძოლები კი საკუთარ თავსაც უადვილებენ ცხოვრებას და საზოგადოებასაც ეხმარე-ბიან. „საზოგადოება ჩვენს მსგავს ადამიანებს უნდა მივაჩვი-ოთ“, — მეუბნება ჩემი სტუმარი, ახალგაზრდა უსინათლოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გიორგი იაშვილი, რომელმაც, ალბათ, ბევრი რამ შეისწავლა და საკმაოდ მრავალი სიძნელე დაძლია, ვიდრე სხვა ადამიანებისთვის ძალიან საჭირო, სასარგებლო და „ჩვეულებრივი“ გახდებოდა.**


ქეთიც ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრძელებს და ალბათ ბევრ თვალხილულ სპეციალისტსაც სჯობს

*ირმა ხარშილაძე*

— ჩვენი ორგანიზაცია 2008 წლის აგვისტოში, ომამდე ორი დღით ადრე შევქმენით. მანამდე უსინათლოთა კავშირ-თან შეიქმნა ახალგაზრდული კლუბი, სა-დაც უსინათლო და თვალხილული ად-ამიანები იკრიბებოდნენ. დამიკავშირდნენ მეც და მივედი. სამწუხაროდ, კლუბი მა-ლევე დაიშალა, მე კი უსინათლო ადამი-ანების დანარჩენ საზოგადოებასთან ინ-ტეგრაციის იდეა ძალიან მომეწონა და ჩემს რამდენიმე უსინათლო და მცირედ მხედველ მეგობართან ერთად შევქმენი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგა-ნიზაცია. მისი მიზანია, უსინათლო, მცირ-ედ მხედველი და მხედველი ახალგაზრდე-ბის ინტეგრაცია საზოგადოებაში. მინდა, კომპიუტერულ ტექნიკასთანაც კი მოხდეს უსინათლოს ინტეგრაცია.

— **ეს შესაძლებელია?**

— უსინათლოებს ხმოვანი პროგრამით თვითონ ვასწავლი კომპიუტერთან მუშაობას. ძალიან კარგადაც ითვისებენ, უფრო კომუ-ნიკაბელურებიც ხდებიან და უფრო თამა-მებიც, — აღარ ითრგუნებიან იმ განცდით, რომ მხედველ ადამიანთან შედარებით უუნ-აროები არიან.

— **თქვენ შესახებ გვიამბეთ. მხედველობის პრობლემა დაბადე-ბიდან დაგყვათ?**

— დედას მძიმე მშობიარობა ჰქონია და 5 წლისას, მხედველობის პრობლემა შემ-ნიშნეს. თუმცა, ჩვეულებრივ სკო-ლაში ვსწავლობდი და 16-17 წლამდე მხედველობაც ისეთი მქონდა, განსაკუთრებული პრობლემა არ შემქმნია. როდესაც მხედ-ველობა საგრძნობლად დამიქვეითდა, ხშირად მიწევდა რუსეთში გამგზავრება, დაახლოებით 7-8 ოპერაცია გამიკეთეს და თვალიც საბოლოოდ გამიფუჭეს. ბუნებრივ-ია, სკოლაში ვეღარ ვივლიდი და ვინაიდან ძირითადად რუსეთში ვიყავით, განათლე-ბაც იქ მივიღე. თბილისში დაბრუნებული კარგა ხანს ვერაფერს ვაკეთებდი და ამას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ არც ისე, რომ ხელი ჩამექნია და არაფერზე მეფიქრა. გან-საკუთრებულად მიყვარდა მუსიკა, თვი-თონ ვქმნიდი, მუდამ თან მდევდა და სწორედ მან მიხსნა: გამაძლიერა და მიზნი-სკენ გზა გამიხსნა. ვიყიდე სინთეზატორი, მართალია ძველი, მაგრამ ეგ არაფერი, იმედი მაქვს, მომავალში უკეთესს შევიძენ. მუსი-კას კი ახლაც ვწერ.

— **რა ჟანრის მუსიკას წერთ?**

— ელექტრო-რომანტიკულს. თანამედ-როვე მუსიკაა, მაგრამ რადგან სინთეზა-ტორი მაღალი დონის ვერაა, ბგერებსაც შესაბამისად, უხარისხოს ვიღებ. ჩემს მუსიკას არანჟირებას ვუკეთებ და ძირითადად, პოპ-კომპოზიციები გამოდის. თავიდან, ვიდრე კომპიუტერს შევიძენდი, ეს კომპოზიციები კუსტარული მეთოდით გადამქონდა სინ-თეზატორიდან მუსიკალურ ცენტრში, კასეტებზე, შემდეგ კომპიუტერიც შევიძინე და ყველაფერი იქ გადამაქვს.

— **კომპიუტერზე მუშაობა როგორ შეისწავლეთ?**

— ჩემით. ვიშოვე უსინათლოები-სთვის არსებული, ხმოვანი სისტემები, დავაყენე კომპიუტერში, შემდეგ ხან რომელ ღილაკს ვაჭერდი ხელს, ხან რომელს, მერე რაღაცას ვაფუჭებდი, თუმცა გზადაგზა ვასწორებდი კიდეც და ასე, ნელ-ნელა შევისწავლე კომპიუ-ტერი. საბოლოოდ, ისე ავითვისე, ვი-ფიქრე, სხვისთვისაც მესწავლებინა. დღესაც მყავს 54 წლის მოსწავლე — უსინათლო ადამიანი, რომელიც საკ-მაოდ კარგად ითვისებს კომპიუტერს. რამდენიმე ბავშვსაც ვასწავლი, თვითონ მიკავშირდებიან. მათ შორის, თვალხი-ლულებიც არიან. რატომღაც ბევრი თუნ-დაც უფასო კურსებზე სიარულს ჩემთან სიარულს ამჯობინებს.


უსინათლოებს ხმოვანი პროგრამით თვითონ ვასწავლი კომპიუტერთან მუშაობას

— **ალბათ, თქვენს ახსნილს უკეთ იგებენ... გიორგი, თქვენი მუსიკა სადმე ჟღერს? მუსიკოსებს მოასმენინეთ თუ მხოლოდ შინ, ოჯახის წევრები ისმენენ?**

— ვასმენინებ მხოლოდ მეგობრებს, ექსკლუზივი კი დედას ეკუთვნის (იცი-ნის). დედის შემდეგ ჩემი მეგობარი და ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ქეთი გილაური ისმენს, შემდეგ ჩვენი ორგა-ნიზაციის წევრი თვალხილული გოგონა, რომელსაც დიაბეტი აქვს.

— **ვიცი, რომ სხვებიც არიან დასაქმებულნი და საკუთარი თავის რეალიზაციას მშვენივრად ახერხე-ბენ.**

— მაგალითად, ქეთი, რომელიც კლუბ-ში გავიცანი და დავმეგობრდით, ერთ დროს ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდა. მხედ-ველობა 10 წლის ასაკში დაკარგა, მაგრამ იმ სკოლიდან არ წამოსულა. გაკვეთილებ-ის მომზადებაში დედა ეხმარებოდა — ხმამა-ღლა უკითხავდა. ბოლოს უსინათლოთა შრიფტის შესასწავლად იძულებული გახ-და ავლაბრის უსინათლოთა სკოლაში გა-დასულიყო. შემდეგ უცხო ენების ფაკულტეტზე ჩააბარა და სკოლის მსგავსად ისიც უმაღლესი ქულებით დაასრულა. ახლა უსინათლოთა სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, კერძოდაც ასწავლის — უსი-ნათლო და თვალხილული ბავშვები მასთან ერთად სხედან ჯგუფში. იმის თქმა მინდა, რომ ქეთიც ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრ-ძელებს და ალბათ ბევრ თვალხილულ სპე-ციალისტსაც სჯობს. საოჯახო საქმესაც მშვენივრად აკეთებს და მასზე ვერავინ იტყვის, შეზღუდული უნარის მქონეაო. გვყავს დიაბეტიანი გოგონა, მაცაცო, რომელ-საც ძალიან ცუდი მხედველობა აქვს, მა-გრამ მასაჟისტის პროფესიას დაეუფლა, შესაბამისი სერთიფიკატიც აქვს და თავისუ-ფლად, პროფესიულად აკეთებს მასაჟს. ასე რომ, ქეთის, ჩემი და კიდევ მრავალი

უსინათლოს უნარშეზღუდულობა მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ შინიდან მარტო, დაუხმარებლად ვერ გამოვდივართ. მით უმეტეს, დღეს ხმოვანი კომპიუტერიც არსებობს, მობილურიც, საყოფაცხოვრებო ნივთებიც — სიცხის, წნევის საზომი ხელსაწყოები, სამზარეულოს სასწორიც კი. ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად ყველა უსინათლო აღვჭურვოთ ასეთი ხელსაწყოებით.

**— ეს ნივთები, ალბათ, ძნელად მოსაპოვებელიცაა და ძვირად ღირებულიც, არა?**

— რა თქმა უნდა, ეს ნივთები ძვირი ღირს, თუმცა ვიცით, ვინც ამზადებს — ძირითადად, ჩინეთში მზადდება. ბელორუსია ხმოვან ტელეფონებს უშვებს. სპონსორები უნდა მოვიძიოთ, რომ ფინანსურად დაგვეხმარონ ან თვითონ შეგვიძინონ ეს ხელსაწყოები.

**— ორგანიზაციაში ბევრნი ხართ?**

— ჯერჯერობით 40-მდე ახალგაზრდა ვართ — უსინათლო, მცირედ მხედველი და თვალხილული. ამ უკანასკნელებს იმ შემთხვევაში შეუძლიათ გაწევრება, თუ რაღაც დაავადებების, ვთქვათ, დიაბეტის გამო შესაძლოა მომავალში შეექმნათ მხედველობის პრობლემა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ვეხმარებით ყველას, მაგრამ ყველა ვერ გახდება ჩვენი ორგანიზაციის წევრი. 5 ახალგაზრდა დიაბეტის ცენტრიდან გვყავს. ამიტომ ამ ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა კობა ამირხანაშვილმა შემოგვთავაზა ფართობი ორგანიზაციის თავშეყრისთვის. მალე პრეზენტაციასაც მოვაწყობთ და იმ დღისთვის საინტერესო ჩანაფიქრები მაქვს. ორგანიზაციაში გვყავს მუსიკოსი ბიჭი, როკერი, ვისთვისაც გიტარის მედიატორი ვიშოვე. ეს მედიატორი, სხვათა შორის, მომღერალ იან გილანს ეკუთვნოდა. ჩვენი როკერი სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავს, რადგან იცის, რომ პრეზენტაციაზე სწორედ მას გადავცემ მედიატორს. კიდევ რაღაც ძალიან კარგი იდეა მაქვს, რასაც ჯერ ვერ გაგიმჟღავნებთ. ჩვენმა გოგონებმა პროექტების წერის ტრენინგებიც გაიარეს, დანარჩენები აწი გაივლიან, რამდენიმე პროექტზე უკვე ვმუშაობთ და სამომავლოდ საინტერესო გეგმები გვაქვს. კომპიუტერითა და ინტერნეტით მთელ სამყაროს ვეკონტაქტებით და ამის წყალობით ვიცი, კარგ რამეებს გავაკეთებთ. გვინდოდა, საარჩევნო სამზადისშიც მიგვეღო მონაწილეობა და სარეკლამო ბუკლეტები დაგვემზადებინა, მაგრამ ამჯერად ეს პროექტი ვერ განვახორციელეთ. თუმცა ცესკოს აუცილებლად მივაწვდენთ ხმას, რომ ვარსებობთ და შემდეგ არჩევნებზე ჩვენი დასაქმებაც შეუძლიათ.

**— ანუ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურ მონაწილეობას ცდილობთ?**

— აუცილებლად. მარტო უსინათლო კი არა, თვალხილული ადამიანიც დაკომპლექსებულია უსინათლოსთან ურთიერთობით. ამიტომ მოკლედ გეტყვით: სადაც არის ინტეგრაცია, იქ ვართ ჩვენც. ■

# წაჩხურუს მთავარანგელოზის ტაძარი სასწაულებს ახდენს

**უშვილობა ბევრი ოჯახის პრობლემაა. წყვილი ხშირად უფალს შვილიერებას სთხოვს. საქართველოში რამდენიმე ტაძარია, სადაც წყვილები საგანგებოდ ამ თხოვნით მიდიან. ერთ-ერთი ასეთი ტაძარი, მარტვილის რაიონის ულამაზეს სოფელ სალხინოშია.**

## „უფალმა საოცრება მოახდინა – მეორე წელს ორივე წყვილს ლამაზი გოგონები გაუჩნდათ"

*თეა ხურცილავა*

**წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია სოფლის ცენტრიდან 7 კილომეტრის მოშორებით, ხირზენის კალთაზე, მაღლობზეა აგებული. განსაკუთრებული ხალხმრავლობაა აღდგომის მეოთხე დღეს, ხუთშაბათს. ამ დღეს უამრავი მორწმუნე სადღესასწაულო წირვა-ლოცვას ესწრება. უფრო მეტად, უშვილო წყვილები, გასათხოვარი და დასაქორწინებელი ქალ-ვაჟი იყრიან თავს. საოცარია, მაგრამ რეალობაა — ამ დღეს იქ ყოველთვის წვიმს. შესაძლოა, სოფელში წვიმა არ იყოს, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ტაძარია, დღის რაღაც მონაკვეთში აუცილებლად გაწვიმდება. იქაურობა ნისლით იბურება.**

**ტაძრამდე სამანქანო გზაა, მაგრამ უამინდობის გამო ავტომობილით ხშირად ვერ ადიან. მოსალოცად მიმსვლელთა ნაკადი, წვიმის მიუხედავად, არ წყდება. გათენებისთანავე გრძელ აღმართს მომლოცველთა დიდი რიგი მიუყვება. უშვილო წყვილები პატარა, ლამაზად მორთული აკვნებით ადიან. ზოგს აკვანში თოჯინაც კი ჰყავს. უამინდობის მიუხედავად, ბევრ ფეხშიშველ ადამიანსაც ნახავთ, ყველას თავისი დათქმა აქვს და მის შესრულებას თავისებურად ცდილობს. არც მათ ავიწყდებათ მადლობის თქმა, ვისაც უფალმა სასწაული მოუვლინა და შვილი აჩუქა. ისინი სამადლობელის სათქმელად შესაწირით ადიან. აღმართზე დაპირებული ცხვარი ზოგს მხრებით აჰყავს, ზოგი ბატკანს ან ფრინველს სწირავს. ბევრს ხელში პატარა ჰყავს და ამბობს, რომ უფლის სასწაულით მოვლენილი, მადლობის სათქმელად აჰყავს.**

*ბავშვობაში ამ დღეს ტაძარში ყოველთვის მეგობრებთან ერთად ავდიოდი. მაშინ იქ წირვა არ ტარდებოდა, წარმართული რიტუალი იყო — ე.წ. მახვამური ანუ მლოცველი; რიტუალს სოფლის უხუცესი ატარებდა — წყვილს დააჩოქებდა და ხატს შესთხოვდა, რომ მისთვის შვილი მიეცა. ხელში დიდი ჯაჭვი ეჭირა; ახალგაზრდები ჯაჭვის ქვეშ გაძვრებოდნენ და სურვილს ჩაუთქვამდნენ...*

*უკვე 13 წელია, ტაძარში წირვა-ლოცვა ტარდება.*

*წლეულსაც წაჩხურუს ეკლესიაში უამრავი ადამიანი ლოცულობდა. რამდენიმე წყვილი პატარა ბავშვით ხელში შევნიშნე, რომლებიც მადლობის სათქმელად იყვნენ მისულები. აქ უამრავ საოცარ ამბავს მოისმენთ.*



**პირველი წირვა წაჩხურუს ეკლესიაში 13 წლის წინ დეკანოზმა, მამა სერაფიმემ (დანელია) აღავლინა**

*პირველი წირვა წაჩხურუს ეკლესიაში 13 წლის წინ დეკანოზმა, მამა სერაფიმემ (დანელია) აღავლინა. ამ დღის შემდეგ წირვა-ლოცვა სისტემატურად ტარდება და ეს მამა სერაფიმეს დამსახურებაა. რამდენიმე წელია, იქ მეუფე პეტრე ადის. როცა მეუფეს იქაურობა პირველად უნახავს, გაოცებულა და უთქვამს: რა საოცრად ჰგავს გერგეტის სამებასო!.. სპეციალური წირვა ამ დღეს უშვილოებისთვის ტარდება და მათ ლოცვებში*

*იხსენიებენ, წყვილები ეზიარებიან და შემდეგ მათ და მომლოცველებს საგანგებოდ, ეპარქიის სახელით გაშლილ ტრაპეზზე ეპატიჟებიან.*

**ტაძრის მოხატვაც სასწაულებრივად მოხდა**



*მალე იქ მამათა მონასტერი იქნება და ეკლესიაში ლოცვა ყოველდღე ჩატარდება. ტერიტორიის გალამაზებისთვის ზრუნვაც დაიწყეს: ტაძარი მოიხატა, გადაიხურა, სამრეკლო გაკეთდა და მიმდებარე ტერიტორიაზე ათეულობით კაკლის ხე დაირგო.*

*მამა სერაფიმე სოფლის ცენტრიდან ტაძრამდე ყოველ ხუთშაბათს ფეხით გადიოდა. პირველი წირვაც სწორედ ხუთშაბათ დღეს ჩაატარა. ტრადიციაა — უძველესი დროიდან ამ ტაძრის მონახულება, მოლოცვა, ხუთშაბათობით ხდება, დღესასწაულიც ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათს იმართება. მამა სერაფიმემ პირველი წირვა უშვილო წყვილთან ერთად ჩაატარა და იმ დღეს სასწაული მოხდა.*

**მამა სერაფიმე:**

— ჩემს თანამსახურებს, მგალობლებს სწორედ უშვილობის პრობლემა ჰქონდათ. მათთან ერთად ავედი ტაძარში. სულ სამი ადამიანი ვიდექით წირვაზე. ერთ-ერთი თანამსახურის მეუღლე გვახლდა. ჩვენ ვლოცულობდით, ის გარეთ გასულა, პატარა შენობაში, რომელიც იქვე დგას, ცეცხლი დაუნთია, რომ გამთბარიყო. ლოცვის დროს ვხედავ კაცის გაოცებულ სახეს, ტაძარში თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებს და ისევ გადის. ასე რამდენჯერმე გააკეთა, შემდეგ კი ბოლომდე ჩვენთან ერთად იდგა. წირვა რომ დამთავრდა, მითხრა: საოცარი რამ ხდებოდა — ცეცხლთან რომ დავჯდებოდი, მაშინვე ისეთი გალობა მესმოდა, ვფიქრობდი, მთელი გუნდი გალობს, ამდენი ხალხი ასე უცბად როგორ მოვიდა ტაძარში? გამოვიდოდი და იქ მხოლოდ სამნი იდექითო!.. ორჯერ ასე მოხდა, მერე შემეშინდა და ტაძრიდან არ გავსულვარო... ეს ღვთის ნიშანი იყო: მადლობა ღმერთს, უფალი წირვა-ლოცვის აღდგენას ხარობდა. ამდენი წლის მანძილზე ეს ადგილი გამომლოცველებისა და მკითხავების ადგილად იყო ქცეული. ეკლესიაში ხატები მიმოფანტული იყო. ქალები პირდაპირ საკურთხეველში შედიოდნენ და იქ ანთებდნენ სანთელს. იყო ჯაჭვი, რომელიც მკითხავების მოგონილია. მადლობა უფალს, ეკლესიამ თავისი სახე დაიბრუნა. წირვა-ლოცვის დაწყებას წინააღმდეგობები მოჰყვა. გამომლოცველები ითხოვდნენ, ჩემთან ერთად დამდგარიყვნენ და თავისებურად ელოცათ. მაგრამ როცა ნახეს რა მსახურება ტარდებოდა, ეს სურვილი დაეკარგათ. მარტო, მთის მწვერვალზე ავდიოდი და ვრჩებოდი, რომ ხალხთან ურთიერთობა გამთბარიყო, ვლოცულობდი განმარტოებით — ეს დიდი ბედნიერებაა. ბევრ გულმხურვალე მლოცველს აუსრულა თხოვნა უფალმა და სასწაული მოუვლინა. ტაძრის მოხატვაც სასწაულებრივად მოხდა. იმხელა მადლიანი სული იგრძნობა, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. თითქოს ამდენ ხანს მიტოვებული იყო აქაურობა, მაგრამ ეკლესიას თავისი მფარველი ანგელოზი იცავდა. ერთ-ერთ დღესასწაულზე კაკო თოდუა მოვიდა და პირდაპირ განმიცხადა, — სურვილი მაქვს, ტაძარი მოვხატოო. მისი ნათქვამი არარეალურად მივიჩნიე, გავუღიმე და ვუთხარი, — ეს სერიოზული საქმეა-მეთქი. რამდენიმე დღეში მხატვრები ჩამოიყვანა და ტაძარი მთლიანად მოიხატა. ის მოხატული არასდროს ყოფილა, კედელზე მხატვრობის ფენა არ არსებობდა. ერთადერთი, რაც განვაახლეთ, — კარიბჭე, გალავანი იყო, რომელიც მთლიანად მოშლილი და მიწასთან გასწორებული დაგვხვდა. ჩემი დიდი სურვილი იყო, სამრეკლო აშენებულიყო და გალავანი აღდგენილიყო, რომელიც ძველი დროიდან შემორჩა. ძალიან დიდი სამრეკლოა, მშვენიერი და დიდებული. გალავანიც გაკეთდა, ესეც — კაკო თოდუას წყალობით. ცნობილია, რომ იქ ძველად ძალიან დიდი ზარი ეკიდა. ზარი მოვიძიეთ და ამჟამად იქ კიდია. გაბზარული იყო და შეკეთდა. სამონასტროდ გამზადდება აქაურობა, მამათა მონასტერი გაიხსნება. საკალმახეც გაკეთდება, ადგილობრივი, პატარა ჰესი, ესე იგი, შუქიც იქნება და სისხლსავსე მონასტრული ცხოვრება დაიწყება.

— **იმ ცნობილ ჯაჭვს აღარ იყენებთ; რატომ?**

— წარმართულია და დღეს აღარ ფუნქციონირებს. მკითხავების მოგონილი იყო. ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დღესაც არის ჯაჭვი და დღესაც იმ ჯაჭვზე გადიან მორწმუნეები; როგორც ჩანს, იმის მიბაძვით ხდებოდა აქაც. იქ, ლომისაზე ყველაფერი გამოცხადებით მოხდა. მკითხავებისა და გამომლოცველების ხელში ჯაჭვი არაფერს ნიშნავს... ამ დღეს ყოველთვის წვიმს, ყოველთვის ნისლია, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი გულმხურვალება და მოშურნეობა გამოსცადოს უფალმა. ამ ტრადიციებს წლების მანძილზე არაფერი დატყობია, პირიქით — უფრო მეტად განმტკიცდა, თავისი სპეციფიკური მნიშვნელობის გამო. ოჯახის შექმნის მსურველებიც მრავლად მოდიან და როცა წირვა-ლოცვა აღევლინება, მათ სახელებს ვიხსენიებთ. უფალი მკურნალია, რომელიც ჩვენი სულების გადასარჩენად გვაძლევს განსაცდელსაც და იქიდან გამოსავალსაც გვთავაზობს. ამის ერთ-ერთი ხატებაა ჩვენი წაჩხურუს მთავარანგელოზის ტაძარი.

*გადმოცემის თანახმად, იმ ადგილას, სადაც ეკლესიაა აგებული, ციხე „წაჩხურის ჯიხა“ ყოფილა, მოსკეს კულტი იდგა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, კულტი დაემხო და იმ ადგილას ეკლესია აშენდა. ციხის კედლები და გალავანი დაცულია. გალავანში მოქცეული პატარა ეკლესია დაუშლიათ და ახალი, დიდი ეკლესია აუშენებიათ. აქ ყოფილა წაჩხურუს მთავარანგელოზის ხატი, რომელსაც „მოსკე წაჩხურს“ ეძახდნენ. „მოსკე“ — მეძევეს, მეშვილეს, ხოლო „წაჩხურა“ — წყალტივს, ე.ი. „მოსკე წაჩხური“ ვაჟების მომცემს ნიშნავს. ამ ხატს ხალხი შვილოსნობას შესთხოვდა. სოფლებიდან უშვილო ქალები ფეხშიშველი ადიოდნენ და დაჩოქილნი, ხატს შვილს შესთხოვდნენ. როგორც ამბობენ, ღამით იქ წყვილი რჩებოდა, ხატს უწვებოდა და ვაჟის გაჩენას შესთხოვდა. ხატს ოქროსა და ვერცხლის ნივთებს სწირავდნენ. წყაროებიდან ცნობილია, რომ უძველესი დროიდან ყოფილა იქ მოსკეს კულტი. სალოცავად მოსულებს თურმე მოჰქონდათ თავიანთი სიმაღლის ტოლი სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საკმეველი, ფული და ლამაზად მორთული, პატარა აკვნები. ტაძარს სამჯერ წრეს შემოუვლიდნენ და სურვილს ჩაუთქვამდნენ.*

*ამ დღეს სოფლის მცხოვრებნი ეკ-*

*ლესიაში ასულ სტუმრებს ეპატიჟებიან. ყველა ოჯახი გაშლილი სუფრით სტუმარს ელოდება. მოხუცების თქმით, ამ დღის აღნიშვნა ყველას ვალდებულება იყო. ძველად თითოეულ ოჯახში იხდიდნენ „საწაჩხუროს“, რომელსაც მუცლისა და წელის ტკივილისგან გასათავისუფლებლად ასრულებდნენ. მაისის ერთ-ერთ ხუთშაბათს გამოაცხობდნენ მრგვალ კვერებს, დაკლავდნენ გოჭს ან ბატკანს და მამალს. ყველაფერ ამას საზედაშე ღვინოსთან ერთად დაალაგებდნენ ხონჩაზე, რომელსაც გარშემო მიაკრავდნენ ანთებულ სანთლებს და მიიტანდნენ წაჩხურუს ქვევრთან, რომელიც იქ მცხოვრებ თითქმის ყველა ოჯახში იდგა. ოჯახის უფროსი და დიასახლისი დაიჩოქებდა, ხონჩას სამჯერ მოაბრუნებდნენ და დაილოცებოდნენ: „წაჩხურო ბედნიერო, შენ დაგვიფარე მუცლისა და წელის ტკივილისგან, მავნე თრთოლვისგან შვილებითა. დღეის ლოცვა შენ შეგვარგე. ვაჟი გაგვიმრავლე, ვაჟიანობის წაჩხურო, ჩვენი გული გაახარე, შენ სახელ დალოცვლილო. ასი წლის ლოცვა შენ დაგვაცადე“. ლოცვის დასასრულს წაჩხურუს ქვევრს თავს მოხდიდნენ, საზედაშე ღვინოს ქვევრში ჩაასხამდნენ, ანთებულ სანთლებს ქვევრის ნაპირას მიაკრავდნენ და მამლის თავს და გოჭის გულ-ღვიძლს ერთი კვერით, იქვე შეჭამდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში წაჩხურუს ქვევრი არ ჰქონდათ, აიღებდნენ ვაზს, რგოლისებურად დაგრეხდნენ და მასზე ლოცულობდნენ.*

*შემდეგ, ვისაც დათქმული ჰქონდა, ის საკლავ-შესაწირით წაჩხურუს ეკლესიაში ადიოდა და ლოცულობდა. ასეთი ქვევრი დღეს მხოლოდ რამდენიმე ოჯახშია შემორჩენილი და ოჯახის უხუცესები ამ რიტუალს ისევ ატარებენ. ოჯახის ქალიშვილს თურმე სტუმრისთვის ფეხიც უნდა დაებანა და ამ წესის დარღვევა სირცხვილად ითვლებოდა. ეს ტრადიცია დღეს აღარ არსებობს, თუმცა ბევრი რამ შემორჩა.*

*წაჩხურუს მთავარანგელოზის ცნობილი ხატი, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის. მეუფე პეტრეს სურს, დააწერინოს სპეციალურად მთავარანგელოზის წაჩხურუს ხატი, რომელიც დაბრძანდება ტაძარში და მის დამშვენებაში მორწმუნეები მიიღებენ მონაწილეობას — ის აღდგება ისეთი სახით, როგორიც ადრე იყო. ეკლესია XVII საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლია. შემორჩენილია მღვდლის საფლავი. სამრეკლოს საძირკვლის დასუფთავებისას, როგორც მამა სერაფიმემ გვითხრა, იქაც 2-3 ადამიანი ერთად იყო დაკრძალული. ოდესღაც ჟამიანობა ყოფილა და ეტყობა, ამის გამო იქცა იქაურობა უძველესი დროიდან საძვალედ. როგორც ჩანს, ერთად ასაფლავებდნენ გარდაცვლილებს.*

*უამრავ საოცარ ისტორიას მოისმენთ. ხშირად ისმის სიტყვები: დიდება უფალს ამ სასწაულისთვის.*

*აი, რა გვიამბო* ***მაიამ****, რომელსაც ტაძარში 4 წლის ძმიშვილი მიჰყავდა:*

— ჩემს ძმასა და რძალს შვილი რამდენიმე წელი არ უჩნდებოდათ და ძალიან განიცდიდნენ. ამ სოფელში გავთხოვდი და მაშინ შევიტყე, რომ ასეთი ტაძარი არსებობს. ვთხოვე ჩემს ძმასა და რძალს, ასულიყვნენ. ისინი საგანგებოდ ჩამოვიდნენ მოსალოცად და გამთენიისას სულ ფეხით ავედით. რძალს პატარა აკვანი ეჭირა, შიგნით „ბიჭი“ თოჯინა ჩააწვინა. ფეხშიშველი ავიდნენ ჩემი ძმა და რძალი. საშინლად წვიმდა და გაწუწულები ვიყავით. ტაძარში შევაღწიეთ, რადგან ადრე ავედით, თორემ შუადღისთვის იქ ტევა არ არის. წირვას დავესწარით. საოცრება მოხდა — ჩემი რძალი დაორსულდა და ბიჭუნა გაუჩნდა. მას შემდეგ სულ ამოვდივართ. წელს ჩემმა რძალმა ვერ მოახერხა ამოსვლა, რადგან მეორე შვილს ელოდება.

— ჩემს შვილს 7 წელი არ უჩნდებოდა შვილი და მაზლიშვილსაც ეს პრობლემა ჰქონდა. ძალიან განიცდიდნენ, მკურნალობდნენ, მაგრამ შედეგი არ ჰქონდათ. ვუთხარი, შვილო, წაჩხურუს ტაძარში ავიდეთ-მეთქი. მაზლიშვილიც წამოვიყვანე და 7 კილომეტრი ფეხით გამოვიარეთ. უფალმა საოცრება მოახდინა — მეორე წელს ორივე თითქმის ერთდროულად დაფეხმძიმდა და ახლა ორივეს ლამაზი გოგონა ჰყავს. ეს წლების წინ იყო, მაშინ ტაძარში წირვა არ ტარდებოდა, მახვამური იყო, რომელმაც რიტუალი ჩაატარა. როგორ შეიძლება, ამ სასწაულის არ გჯეროდეს?! უფალს მადლობას ვწირავ ყველაფრისთვის! მას შემდეგ ყოველ წელს ამოვდივარ და მადლობას ვწირავ უფალს დიდი ბედნიერებისთვის. ჩემი შვილის გახარებულ და ბედნიერ სახეს ვხედავ და ეს უფლის წყალობაა. ახლა უკვე წირვა-ლოცვა ტარდება და ვესწრები. დიდება უფალს! — *ეს ამბავი ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა გვიამბო.*



*ნანა კეკუტიას ბაბუა, პართენ კეკუტია თავად მონაწილეობდა რიტუალში — სოფლის უხუცესი მახვამური იყო. მის ოჯახში ყოველთვის ატარებდნენ ამ რიტუალს. ნანას ეს კარგად ახსოვს. მისი და ტაძართან ახლოს გათხოვდა და ამ დღისთვის ყოველ წელს განსაკუთრებულად ემზადება.*

**ნანა კეკუტია:**

— ეს დიდი დღესასწაულია. აქ მცხოვრებთა ვალდებულებაა, ამ დღეს ოჯახში სუფრა გაშლილი ჰქონდეთ. მახსოვს, როგორი მონდომებით ემზადებოდნენ ამ დღისთვის ჩემი ოჯახის წევრები. ბაბუა მახვამური იყო. სახლშიც ჰქონდა პატარა დაწნილი ფაცხა ანუ სამლოცველო — მეგრულად „ოხვამურს“ ეძახიან; შიგნით ქვევრი იყო მიწაში ჩამარხული და ამ დღისთვის სპეციალურად ღვინოს ინახავდა, ლოცულობდა და რიტუალს აუცილებლად ატარებდა. ტაძარში წელს შვილთან და მეუღლესთან ერთად ამოვედი. სანთლები დავანთე და ვილოცე. ახლა ჩემს დასთან სტუმრად მივდივართ. აქ ნებისმიერ ოჯახში შეგიძლია შეხვიდე, ყველა კარგი გულით მიგიღებს. ყველას აუსრულოს უფალმა ვედრება!..

*როგორც სოფელში ამბობენ, ადრე იმ ბავშვებს, რომლებიც წაჩხურუს მთავარანგელოზის შეწევნით იბადებოდნენ, ამ ტაძარშივე ნათლავდნენ. იქვე პატარა ღელე — თხვაპრა ჩამოდის. ღელის წყალს დიდ ჭურჭელში ასხამდნენ და შიგ ჯვარს დებდნენ, შემდეგ ჯვარი ვაჟს უნდა ამოეღო, რომელსაც ბავშვების მშობლები ასაჩუქრებდნენ.*

*ტაძარში მიტანილ პატარა აკვნებს საბავშვო ბაღებს გადასცემენ.*

*მამა სერაფიმე ტაძარში კვირაცხოვლობის მომდევნო ხუთშაბათსაც ავიდა. ამ დღესაც მოდიან სალოცავად მომლოცველები, განსაკუთრებით — სიახლოვეს მცხოვრებლები, რომლებიც წაჩხურობას ასვლას სტუმრიანობის გამო ვერ ახერხებენ.*

■



# სამყარო

# ძვირად ღირებული ხელოვნება და აქტუალური მინა

**მართალია, თანამედროვე დიზაინში მინა ძალიან აქტუალურია, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ხელოვნებაში ნაკლებად ერკვევა. ცოტა ხნის წინ, სამხატვრო აკადემიის მინის დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტებმა „ქარვასლაში" გამოფენა მოაწყვეს, რომელსაც საინფორმაციო დატვირთვაც ჰქონდა: მხატვარ-დიზაინერებს ახალგაზრდებისთვის მინის სპეციფიკის გაცნობა სურდათ.**

ეთო ყორღანაშვილი

**ლელა დოლმაზაშვილი**, *მაგისტრანტი:*

— თავდაპირველად, ჯგუფში ხუთნი ვიყავით. სამწუხაროდ, თებერვალში ჩვენი ერთ-ერთი ჯგუფელი გოგონა ავტოავარიის შედეგად დაიღუპა და დღევანდელ გამოფენას მის ხსოვნას ვუძღვნით.



— **აქ მისი ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი?**

— რა თქმა უნდა! მას რამდენიმე ნამუშევარი დასამთავრებელი დარჩა, მაგრამ ჩვენ დავასრულეთ... პრინციპში, თემა ყველას ერთი და იგივე გვქონდა: გრაფიკული ფერწერა, დეკორატიული ლარნაკები, სეზონის მიხედვით შექმნილი დეკორატიული ხეები... რადგანაც წელიწადში 4 დროა, ჯგუფში კი ხუთნი ვიყავით, მე „ნატვრის ხე" გავაკეთე.

— **მინის დიზაინით რატომ დაინტერესდი?**

— ბაბუაჩემი პროფესორი გახლდათ და მინის დიზაინის ფაკულტეტი მისი დაარსებულია. მან განათლება რუსეთში მიიღო, მინაზეც მუშაობდა და კერამიკაზეც. შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ბოლო წუთამდე, სამხატვრო აკადემიაში მუშაობდა — ბაბუა 80 წლის ასაკში გარდაიცვალა... სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, მეც მინის დიზაინის ფაკულტეტზე ჩამებარებინა.

— **შენი ოჯახის წევრებიდან მინის დიზაინით კიდევ ვინმეა დაინტერესებული?**

— ჩემი მეუღლე — გურამ გოგოლაძე, რომელიც ამ დარგში ძალიან ნიჭიერი აღმოჩნდა. ჩვენ ერთად ვმუშაობთ: ის მე მეხმარება, მე კი მას არ ვეხმარები (*იცინის*)...

**ნათია პაპიაშვილი**, *მაგისტრანტი:*

— რუსთავში, ხელოვნების სასწავლებელში ვსწავლობდი. მესამე კურსზე ვიყავი, როცა პედაგოგმა მირჩია: კარგი „ხელი" გაქვს, მინის დიზაინით დაინტერესდიო და მოსამზადებლად ნანა გიგოლაშვილთან მიმიყვანა. 2 თვის განმავლობაში ნანა მასწავლიდა — მინით რა და როგორ უნდა გამეკეთებინა. ბოლოს, სამხატვრო აკადემიაში, მინის დიზაინის ფაკულტეტზე ჩაბარება გადავწყვიტე. მოკლედ, ხელოვნების სასწავლებელი რომ დავამთავრე, უკვე სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი (*ღიმის*).

— **გამოფენაზე კონკრეტულ თემებზე შექმნილი ნამუშევრებია წარმოდგენილი. თავად, საკუთარი ინიციატივით თუ შეგიქმნია რაიმე?**

— მუზა მომსვლია, მაგრამ ისეთი დატვირთული ვარ, რომ საკუთარი იდეის განსახორციელებლად დრო არ მრჩება. მინისგან ნივთების დამზადება საკმაოდ შრომატევადია.

— **მაინც, რა დროს ანდომებ ერთი ნივთის დამზადებას?**

— გამოფენაზე წარმოდგენილი 3 ნამუშევარი 2 თვეში გავაკეთე, ერთი კი გასულ წელს დავამზადე... ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სერიოზული გამოფენის მონაწილე გახლავართ!

**ნინო სიხუაშვილი**, *მაგისტრანტი:*

— მინისგან ნივთის დამზადების რამდენიმე მეთოდი არსებობს: ზოგჯერ მინას ღუმელში ვწვავთ ან უბრალოდ, ვჭრით, ვაწებებთ და გარკვეულ კომპოზიციას ვქმნით.







— **მინის დიზაინი ძვირად ღირებული ხელოვნებაა?**

— ლითონი და მინა მართლაც, ძვირი ღირს... ცოტა ხელმოკლედ კი ვართ, მაგრამ რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ.

— **თუ გახსოვს, პირველად რა დაამზადე?**

— როგორ არა?! პატარა შირმა დავამზადე ბუხრისთვის. თავდაპირველად, მინის დიზაინის ფაკულტეტზე ჩაბარებას არ ვაპირებდი და დღეს ეს საქმე რომ მიყვარს, ქალბატონ თამრიკო გრიგოლიას დამსახურებაა!

**თამრიკო გრიგოლია**, *პროფესორი, დიზაინის ფაკულტეტის (მინის მიმართულებით) ჯგუფის ხელმძღვანელი:*

— გვინდოდა, დამთვალიერებლის „სამსჯავროზე“ ის ნამუშევრები გამოგვეტანა, რაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში გავაკეთეთ. ბავშვებს დასამუშავებლად 2 დიდი პროექტი — „არქიტექტურა, მინა, განათება“ და „წელიწადის დრონი, ნატვრის ხე“ მივეცით. საუბედუროდ, ერთი სტუდენტი გარდაგვეცვალა. ის არაჩვეულებრივი მოქალაქე, ადამიანი და ნიჭიერი მხატვარი იყო. დარწმუნებული ვარ, სამშობლოს ძალიან გამოადგებოდა, მაგრამ... ამ გამოფენაზე მისი ყველა ნამუშევარი წარმოვადგინეთ.



— **სულ რამდენი ნამუშევარია წარმოდგენილი?**

— დაახლოებით — 60-70. ამ ჯგუფისთვის ეს რიგით მეორე გამოფენაა. შარშან სადიპლომო ნამუშევრები წარმოადგინეს, წელს — საკურსო, ოქტომბერში კი დიპლომს დაიცავენ.

— **მინის დიზაინით ბევრი ადამიანია დაინტერესებული?**

— სხვათა შორის — არა. ამის მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა — ახალგაზრდები ამ ხელოვნებას არ იცნობენ. ჩვენს გამოფენას საინფორმაციო დატვირთვაც აქვს: გვინდა, საზოგადოება მინის სპეციფიკას გაეცნოს. ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე დიზაინში მინა ძალიან აქტუალურია. ■



# სატის სასტიკი რიტუალი



ყველა ქვეყანაში ქვრივი მოწიწებასა და პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ინდოეთში პირიქითაა — უკეთეს შემთხვევაში, ქვრივებს ამცირებენ, უფრო ხშირად კი, მეუღლის გვამთან ერთად, ცოცხლად წვავენ და ამ რიტუალს სატი ჰქვია. გადმოცემის მიხედვით, სატი შივას ცოლს, მეფე დაკშარაჯაპატის შვილს ერქვა. ერთხელ, მეფის წვეულებაზე შვილი და სიძე დაუპატიჟებლად მივიდნენ. დაკშარაჯაპატიმ შივა სტუმრების თანდასწრებით დაამცირა, მისმა ცოლმა ეს ვერ აიტანა და თავი ცეცხლში დაიწვა. სწორედ ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ქვრივების ცოცხლად დაწვის ტრადიცია.

არსებობს მეორე ვერსიაც, რომელსაც „ჯოხარი“ ჰქვია. შუა საუკუნეებში, როცა მტერი ქალაქს ალყაში მოაქცევდა და მეომრებს დამპყრობლებთან გამკლავება აღარ შეეძლოთ, მტრის ნადავლი რომ არ გამხდარიყვნენ, ქალები და ბავშვები ერთ შენობაში იკრიბებოდნენ და თავს იწვავდნენ.

თავდაპირველად, სატის რიტუალს მხოლოდ თავადები მიმართავდნენ, მაგრამ მას მერე, რაც სამხრეთ ინდოეთის მმართველის გარდაცვალების შემდეგ მისი 3226 ცოლიც დაწვეს, ეს ტრადიცია საზოგადოების ყველა სფეროში გავრცელდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1987 წელს სატი ოფიციალურად აიკრძალა, ყოველწლიურად მაინც, ათეულობით რიტუალი ტარდება. თუ სასწაული მოხდა და ქვრივი დაწვას გადაურჩა (შესაძლოა, მასზე გარდაცვლილის ძმამ იქორწინოს), მას საშინელი ცხოვრება ელის. ინდოელების აზრით, ქუჩაში ქვრივის დანახვა უბედურებას მოასწავებს და ამიტომაც, მას სახლიდან არ უშვებენ; ქალს მთელი ცხოვრება, პურისა და წყლის გარდა არაფერს აძლევენ, დაძინება კი მხოლოდ იატაკზე შეუძლია. რამდენიმე წლის წინ ქვრივი სახლიდან მხოლოდ იმის გამო გააგდეს, რომ მან საწოლში დაიძინა; 2006 წელს მეზობლებმა დაინახეს, რომ 25 წლის ქვრივმა სარკეში ჩაიხედა, რის გამოც, იგი ცემით მოკლეს. ამიტომაცაა, რომ ქვრივები სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებენ.

დაწვის დღეს ქალს სადღესასწაულო ტანისამოსს აცმევენ. მან ყველა ის სამკაული უნდა დაიბნიოს, რომელიც მეუღლემ აჩუქა. სარიტუალო ადგილამდე ის ნათესავების თანხლებით მიდის და ქუჩაში შემხვედრი ყველა ადამიანი ვალდებულია, პროცესიას შეუერთდეს. რიტუალი აუცილებლად, მდინარის ნაპირზე უნდა შესრულდეს. ცეცხლში შესვლამდე, ქალს მანტრებს (ინდური ლოცვა) უკითხავენ, ის კი ვალდებულია, სამკაულები ნათესავებს დაურიგოს. ვიდრე ცეცხლს წაუკიდებენ, ქვრივს გასაბრუებლად, ნარკოტიკულ ნივთიერებას ასმევენ, მაგრამ ზოგჯერ, ის არ მოქმედებს, ქალი ტკივილს ვერ უმკლავდება და ცეცხლიდან გამოსვლას ცდილობს. ამ დროს, მას თავში ჩარტყმით თიშავენ და ჯოხებით ისევ ცეცხლში აბრუნებენ. ქვრივს ცეცხლი მისმა ნათესავმა უნდა წაუკიდოს, რომელიც დარწმუნებულია, რომ სატის რიტუალით, ქალი ყველა ცოდვას გამოისყიდის.

ხშირად, დამცირებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლია პიროვნება, რომელიც ქვრივს შეიცოდებს და შეიფარებს. ■



# მკვლელი მთვარეულები



ადამიანს, რომელიც ძილში დადის, მთვარეულს ვეძახით, მეცნიერულად კი მას სომნამბული („ძილში მოსიარულე") ჰქვია. სინდრომის შემოტევისას მრავალი სომნამბული არაჩვეულებრივად მოქნილი ხდება, უქრება შიში, გადარჩენის ინსტინქტი და ისეთ საქციელს სჩადის, რასაც რეალობაში ვერც კი წარმოიდგენდა.

პირველი მთვარეულის შესახებ შუმერულ დოკუმენტებში ვკითხულობთ



— მათ ძილში მოსიარულე მეფის ასული ჰყოლიათ; ძველი საბერძნეთისა და რომის ხელნაწერებშიცაა შემონახული ამბები მთვარეულების შესახებ. შუა საუკუნეებში სომნამბულებს ახლობლები არ ამხელდნენ, რადგან მათ ჯადოქრებად აღიარებდნენ და ცეცხლზე წვავდნენ, მაგრამ XVII საუკუნეში მთვარეულების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

ყველაზე ხშირად სომნამბული ბავშვებს ემართებათ. მთვარეულებს შორის 85 პროცენტი ნერვული აშლილობითაა დაავადებული. მათ შორის ბევრია ეპილეფსიით დასნეულებულიც. ბავშვებში ეს დაავადება 6-დან 12 წლამდე შეინიშნება. ცნობილია შემთხვევა, როცა მთვარეული ბიჭი ყოველღამე ბებიის სკივრში იძინებდა, დილით კი გამოღვიძებული საწოლში ბრუნდებოდა და ვერ იხსენებდა, როგორ მოხვდა იქ. ერთხელ კი თითქმის დეტექტიური სიუჟეტი განვითარდა: მთვარეულმა ქმარმა დილით ყელგამოჭრილი ცოლის გვერდით გაიღვიძა. მამაკაცი განაჩენს აღარ დაელოდა და თავი ჩამოიხრჩო. ცოლის მკვლელი მისი ყოფილი საყვარელი აღმოჩნდა, რომელმაც მისი დაავადების შესახებ იცოდა და შურისძიების მიზნით, ცოლი მოუკლა.

საინტერესო ისაა, რომ მედიკოსებმა ჯერ ვერ დაამტკიცეს, მართლა აქვს თუ არა მთვარეს სომნამბულზე გავლენა, მაგრამ ფაქტია, რომ დაავადება სავსემთვარეობისას მძაფრდება. ერთხელ, კანადაში, სადაც მსოფლიოში ყველაზე ნაკლები დანაშაული ხდება, 23 წლის ბიჭმა დედინაცვალი და მამა მოკლა. სომნამბულით დაავადებული ბიჭი სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს.



# ცეცხლოვანი ცისარტყელა



ცისარტყელა ატმოსფერული ოპტიკური მოვლენაა და ხშირად, წვიმის შემდეგ ჩნდება. მიჩნეულია, რომ იგი შვიდი ფერისგან (წითელი, ფორთოხლისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი), იაპონელთათვის კი 6 ფერისგან შედგება. რაც შეეხება ისლამისტებს, ისინი ამბობენ, რომ ცისარტყელას ოთხი ფერი აქვს — წითელი, ყვითელი, მწვანე და ცისფერი.

სხვათა შორის, არსებობს ორნაირი ცისარტყელა — ცეცხლოვანი და ამობრუნებული, ზოგჯერ კი ის მთვარიან ღამეშიც წარმოიშვება.

ცისარტყელას სიმბოლური დატვირთვაც აქვს — XX საუკუნეში 6-ფერიანი ცისარტყელა ჰომოსექსუალისტების სიმბოლო გახდა.



_ ელენე ბასილიძე

# XI საუკუნის ხელნაწერი გალობა და ძველი ხატების ასლები

**ქართული ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში საზოგადოებას უძველესი ფოლკლორული ხელნაწერების, მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ძველი ხატების ასლების ხილვის საშუალება მიეცა. ქალბატონებმა — ლია სიხარულიძემ, ლიზა და მარინა ჩქარეულებმა, თამარ გურაშვილმა და ნანული შუბითიძემ წლების განმავლობაში, ძალიან ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ ძველი ხელნაწერები და საგალობლები ჩვენამდე მოეტანათ.**

**ლია სიხარულიძე:**

— ძველი ხელნაწერების ასლებს 1971 წლიდან ვაგროვებ. გადაღებული მაქვს ისეთი დოკუმენტების ასლები, როგორიცაა: თამარ მეფის სიგელი, ლაშა-გიორგის შეწირულების წიგნი, დავით აღმაშენებლის წყალობის წიგნი, ერეკლე მეფის საბუთი, რომელიც შვილს მიუძღვნა და ბავშვის გასახარებლად, მასზე ბევრი შტამპი დაუსვა... მოვხატე დიდი სახარების ნაწილი, ავკინძე, ჩავსვი ყდაში და დღეს იგი სამების საკათედრო ტაძარში ინახება. ამას წინათ, 2 ძველ სვანურ ხელნაწერს გავუკეთე რესტავრაცია — მესტიის ოთხთავის ყდა იმდენად ლამაზი იყო, რომ მისი ასლის გაკეთება გადავწყვიტე...

**— რა არის დღევანდელი გამოფენის მიზანი?**

— ეს გამოფენა მომცემს ძალას, რომ მომავალშიც ვიმუშაო და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლი შევძინო ქართული ფოლკლორის მუზეუმს.

**— როგორც ვიცი, თქვენ ფერმწერი ხართ...**

— დიახ და ვიდრე ასლების დამუშავება გამიტაცებდა, ფერწერაში ვმუშაობდი. სხვათა შორის, ფერწერული ტილოების გამოფენაც მქონდა... სურვილი მაქვს, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები გავაფორმო. დღეს გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსი წარმოვადგინე — მას გავუკეთე ლამაზი კამარა, თავსართი ასო და ასოებს შორის ვაზიც „ავხლართე“... შესაძლებელია, მალე მოგიწვიოთ გამოფენაზე, სახელწოდებით — „გალაკტიონი“.

**— თქვენს ნამუშევართა შორის, ყველაზე ძველი გალობის ასლი რომელი საუკუნისაა?**

— მაქვს XI საუკუნის ხელნაწერი გალობა, რომელიც პაწაწინა ფურცელზეა დახატული და სანოტო ნიშნებიც კი ეტყობა... ასევე, მაქვს IX საუკუნის სახარების ასლი, რომლის ტექსტი ასომთავრულითაა დაწერილი. ფერწერული თვალსაზრისით, ყველაზე ღირებული სახარების კამარაა, რომელიც XIII საუკუნისაა და მისი დედანი სვანეთშია დაცული.



**თამარ გურაშვილი:**

— 37 წლის ვიყავი, როცა ხატწერა დავიწყე, მანამდე კი არასოდეს არაფერი დამიხატავს... უფალი ადამიანებს მოულოდნელად ასაჩუქრებს და ვფიქრობ, სწორედ უფლის მადლი გადმოვიდა ჩემზე. პატრიარქმა მთხოვა, — უფლისაგან ბოძებულ მადლს გაუფრთხილდი, არ დაიკარგოსო...

**— ქალბატონო თამარ, როგორ აღმოაჩინეთ, რომ ხატწერა შეგეძლოთ?**

— 4 წელიწადი დავდიოდი „წმინდა ნინოს გზაზე“, რომელიც 1-ელ ივნისს, თავფარავნის ტბიდან იწყება და 12 ივლისს, მცხეთაში თავდება. ამ გზაზე თუ რაიმე ეკლესია ან ტაძრის ნანგრევი გვხვდებოდა, ყველგან ვლოცულობდით, ინათლებოდნენ ადამიანები; ღამით ნებისმიერ მოსახლესთან ვჩერდებოდით, ყველა დიდი სიხარულით გვხვდებოდა. ამ გზის გავლისას ძალიან ვიღლებოდი და ვწუწუნებდი კიდეც, მაგრამ უფლის მადლი ჩემზე მაინც გადმოვიდა — ხატწერის ნიჭი მებოძა. ერთხელ ცუდად გავხდი და სახლში ჯდომა „მომესაჯა“. მეუღლემ ფურცლები, პასტელები მომიტანა და მითხრა: — თუ გიყვარვარ, წმინდა ნინოს დახატავო!.. გამიკვირდა, — როგორ დავხატავ, მე ხომ არასოდეს არაფერი დამიხატავსმეთქი?! — ძალიან იოლია და თუ გიყვარვარ, დახატავო, — გაჯიუტდა... მართლაც, მეუღლის სიყვარულმა წმინდა ნინო დამახატვინა. როდესაც პატრიარქმა ჩემი ნამუშევარი ნახა, მითხრა: — თქვენ აუცილებლად შეძლებთ სახარების გაფორმებასო და მაკურთხა, რომ იოანეს სახარება გამეფორმებინა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.



**— ბოლოს რა დახატეთ?**

— 7 წლის განმავლობაში საქართველოს დიდების ხატს ვწერდი და მასზე მუშაობას ახლახან მოვრჩი. ამჟამად, ეს ხატი სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველშია დასვენებული და მასზე ყველა ქართველი წმინდანია გამოსახული.

**გიორგი უშიკიშვილი**, *ფოლკლორის ცენტრის დირექტორი:*

— დღევანდელი ფოლკლორის გამოფენა, პირველ რიგში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ეძღვნება და მისი წყალობით საშუალება მოგვეცა, ქართული გალობის უძველეს ხელნაწერებს გავცნობოდით. სწორედ ამ კრებულების მეშვეობით მოვიდა ქართული გალობა ჩვენამდე.

**— როდესაც ამ საგალობლებს გაეცანი, რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— სიამაყით აღვივსე! ალბათ შეამჩნევდით, რომ მინიატიურულ ფურცლებს სანოტო ნიშნებიც კი ემჩნევა. ეს ხელნაწერები ფოლკლორის მუზეუმისათვის მართლაც, ძალიან დიდი საგანძურია. მინდა, მადლობა გადავუხადო გამოფენაში მონაწილე ყველა ადამიანს, მათ უდიდესი საქმე გააკეთეს. მერწმუნეთ, ამ ნამუშევრების ასლის გადაღებას ძალიან დიდი შრომა სჭირდება.

**— ფოლკლორის მუზეუმი მსგავსი ხელნაწერების გამოფენას კიდევ გეგმავს?**

— ძალიან მალე გამოვფენთ იმ ადამიანების ფოტოსურათებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესირებულებად აქცია და საზოგადოებას ვუჩვენებთ იმ დოკუმენტებს, რომელიც მოქალაქეების უმიზეზოდ გადასახლებას ან დახვრეტას ადასტურებს.

■



# ყველაზე სწრაფი საგზაო Ferrari

კომპანია „ფერარიმ" ახალი მოდელის შესახებ ოფიციალური ფოტოები და მონაცემები გაავრცელა. ესაა 599 GTO (Gran Turismo Omologata), რომელსაც კომპანიის მესვეურე-



ბი ბრენდის ისტორიაში ყველაზე სწრაფ საგზაო ავტომობილად მოიხსენიებენ. ასეთი მანქანა შეზღუდული ტირაჟით, მხოლოდ 599 ეგზემპლარად გამოვა. 599 GTO-ს მსოფლიო პრემიერა აპრილის ბოლოს, პეკინის მოტორშოუზე შედგება. სიახლე 620-დან 670 ცხ.ძ. სიმძლავრემდე ფორსირებული, 6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც საბაზო მოდიფიკაციის სუპერავტოზე — 599 GTB Fiorano — აყენია. აგრეთვე, ავტომობილს 6-საფეხურიანი რობოტიზებული ტრანსმისია ექნება, რომელსაც სიჩქარის შეცვლა 60 მილიწამში შეეძლება. ასეთი ავტომობილის მასა 1690-დან 1605 კგ-მდე შეამცირეს. „ფერარის" მონაცემებით, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს სუპერავტო 3,35 წამში ავითარებს, მანქანის მაქსიმალური სიჩქარე კი 335 კმ/სთ-ია. გაუმჯობესებული ტექნიკური ბაზის გარდა, ყველაზე სწრაფ „ფერარის" ძარას ახალი აეროდინამიკური ელემენტები დაუყენეს, რომელიც სატრეკო სუპერავტოზე — Ferrari 599XX — იყო გამოყენებული. სიახლეს წინა და უკანა ფრთებზე ანალოგიური ჰაერშემაკავებლები, კაპოტზე დამატებითი სავენტილაციო ჭრილები, მსხვილი უკანა დიფუზორი და ახალი უკანა სპოილერი აქვს. იტალიურ ბრენდში ამბობენ, რომ ამ ელემენტების დახმარებით, 200 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, მანქანის დამწოლი ძალა 144 კგ-მდე გაიზარდა. ავტომობილს წინა ხიდზე 398-მმ-იანი, ხოლო უკანაზე — 360-მმ-იანი კარბონ-კერამიკული დისკების მქონე მოდერნიზებული სამუხრუჭე მექანიზმები, წინა და უკანა ხიდზე კი შესაბამისად, 285/30 და 315/35 ზომის ბორბლების მქონე, 20-დუიმიანი დისკები აქვს.



# A3-ის განახლებული ოჯახი




კომპანია „აუდიმ" ავტომობილ A3-ის განახლებული ოჯახი წარმოადგინა, რომელმაც მანქანების ექსტერიერისა და ინტერიერის თვალსაზრისით კოსმეტიკური ცვლილებები განიცადა. ძარას წინა ნაწილში შესამჩნევია რადიატორის ცხაურზე დაყენებული ჰორიზონტალური ღერძი, რომელზეც სანომრე ნიშანი მაგრდება, ხოლო ცენტრალური დგარი შავადაა შეღებილი, წინა ბამპერის ჰაერშემაკავებლებსა და კარის სახელურებზე ქრომირებული აქცენტები გამოჩნდა; ოდნავ შეიცვალა უკანა ხედვის სარკის ფორმა. A3-ის სამკარიან მოდიფიკაციებს ტონირებული უკანა ფარები ექნება, ხოლო ყველა დანარჩენ მოდელს მხოლოდ ბამპერის ქვედა ნაწილი შეეცვლება. გარდა ამისა, რესტაილირებულ Audi A3-ის ძარას 4 ახალ ვარიანტად შეღებავენ და 17 და 18-დუიმიან ბორბლების დისკებს დაუმონტაჟებენ. ავტომობილის სალონში ჰაერშემომშვებისა და სიჩქარის გადაცემათა კოლოფის სახელურის ფორმები შეიცვლება, თვალში საცემი გახდება ქრომირებული ელემენტებიც. „აუდი" კლიენტებს 5 ბენზინისა და 4 დიზელის ძრავათი აღჭურვილ ახალ მანქანებს შესთავაზებს, რომელთა სიმძლავრე 90-დან 265 ცხ.ძ-მდე იქნება. განახლებული Audi A3 გაყიდვაში მომავალ წელს იქნება.




# Nissan Almera-ს მემკვიდრე

ბრიტანული გამოცემა Car იუწყება, რომ კომპანია „ნისანი" მოდელის — Almera — მემკვიდრის შექმნას შეუდგა. როგორც იაპონური ავტომწარმოებლის ვიცე-პრეზიდენტმა, ენდი პალმერმა განაცხადა, — კომპანია „ნისანის" მოდელების ისეთი უჩვეულო დიზაინი, როგორიცაა მაგალითად, კომპაქტური კროსოვერი Juke, იმაზე მეტყველებს, თუ როგორი მანქანებითაა დაინტერესებული მყიდველი. ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ Almera-ს მოდელის მემკვიდრის დიზაინი ამგვარ სტილში იყოს შესრულებული. როგორც პალმერმა აღნიშნა, გოლფ-კლასის ახალი ჰეჩბეკი VW Golf-ისაგან განსხვავებული იქნება: „სეგმენტი C — ეს მუდმივად მზარდი ნიშაა და ამ ბაზარზე Qashqai-სა და Juke-ს მოდელები გარკვეულ წილს მიიღებენ, მაგრამ თუ ჩვენ ამ კუთხით საგრძნობი წარმატების მიღწევა გვსურს, უნდა შევქმნათ ავტომობილი, რომელიც Golf-ზე უკეთესი იქნება... ეს ხანგრძლივი პროექტია, მაგრამ მისი რეალიზება უკვე დაწყებულია". სავარაუდოდ, Nissan Almera-ს მემკვიდრე ბაზარზე 5 წლის შემდეგ გამოჩნდება.




მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# სხვის ომში დაცემული ქართველი „ბანდერელები“

მიხეილ ლაბაძე

II მსოფლიო ომში 600 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა, აქედან 45 ათასამდე კაცს, ნებსით თუ უნებლიეთ, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა მოუხდა და ცხადია, საბჭოთა რეჟიმის მიერ მოღალატედ შეირაცხა. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, „იქითა მხარეს“ მებრძოლ ქართველთა შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი — მათზე ინფორმაციის მოპოვება საბჭოთა სპეცსამსახურის თანამშრომელთა გარდა, თითქმის არავის შეეძლო. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საზოგადოებისთვის ბევრი რამ, მათ შორის — ქართველი „ბანდერელების“ ამბავიც ცნობილი გახდა...

1941 წლის ზაფხულში, როდესაც ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირში, უკრაინასა და ბელორუსიაში ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა, გერმანული ჯარი მტრად არავის აღუქვამს — ადგილობრივი მცხოვრებნი მათ ზარ-ზეიმით შეეგებნენ, რადგან ბოლშევიკური რეჟიმი ყელში ჰქონდათ ამოსული. ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობილება ყველაზე მეტად, დასავლეთ უკრაინაში შეიმჩნეოდა — ეს მხარე საბჭოთა კავშირმა გერმანელთა შემოსვლამდე ერთი წლით ადრე, 1940 წელს დაიპყრო და 1941 წლის ზაფხულამდე იქ ისეთი „წითელი ტერორი“ წარმოებდა, რომ ჰიტლერელთა გამოჩენამ დასავლელ უკრაინელებში დიდი სიხარული გამოიწვია.



„ვერმახტის“ ქართული ლეგიონის მებრძოლები დროშით, 1942 წ.

აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებამდე, დასავლეთ უკრაინაში, რომელიც იმ დროს პოლონეთს ეკუთვნოდა, უკრაინელ ნაციონალისტთა გავლენიანი ორგანიზაციები არსებობდა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ე.წ. „ბანდერელები“ — სტეპან ანდრის ძე ბანდერას (1909-1959) მომხრეები. უკრაინელი უნიატი მღვდლის შვილმა, ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწე ბანდერამ პოლონური სპეცსამსახურების ყურადღება პირველად მაშინ მიიპყრო, როდესაც უკრაინელმა ნაციონალისტებმა 1934 წელს, პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბრონისლავ პერაცკი მოკლეს. როგორც დადგინდა, ამ თავდასხმის ორგანიზება სწორედ სტეპან ბანდერამ მოახდინა, ხოლო გეგმა მისმა თანამებრძოლმა, რომან შუხევიჩმა შეიმუშავა.

1936 წლის 13 იანვარს პოლონეთში სამ ცნობილ უკრაინელ ნაციონალისტს — სტეპან ბანდერას, მიკოლა ლებედსა და იაროსლავ კარპინეცს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ასევე, დააპატიმრეს მათი სხვა მომხრეებიც, რომლებსაც 7-დან 15 წლამდე კატორღა მიესაჯათ. პოლონეთში უკრაინულმა ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა მოქმედება შეწყვიტეს და იძულებულნი გახდნენ, იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ. სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში, ლვოვში გამომავალ პოლონურ პრესაში არაერთხელ გაიელვა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ უკრაინელ ნაციონალისტებს ფართო კავშირები ჰქონდათ ლვოვის ერთ-ერთ საადვოკატო ბიუროსთან, რომელსაც ქართველი ემიგრანტი, საქართველოს არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, ვინმე სერგი ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ საადვოკატო ბიუროს მეშვეობით ბანდერელები მართლმსაჯულებისაგან თავის დაძვრენას ყოველთვის ახერხებდნენ.

მიუხედავად ამისა, ყოფილი პოლკოვნიკი ჩხარტიშვილი არავის დაუკავებია, ვინაიდან იგი უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდა და თანაც, ადვილად მოახერხა პროკურატურის თანამშრომლებისთვის აეხსნა, რომ ბანდერელებთან მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული კავშირი ჰქონდა. ჩხარტიშვილს და მის საადვოკატო ბიუროს ლვოვის გაზეთებმაც მაშინვე, ბოდიში მოუხადეს. ერთი შეხედვით, ყველაფერი ამით ამოიწურა, მაგრამ ყველასგან მოულოდნელად, სერგი ჩხარტიშვილმა მალე პოლონეთი დატოვა და ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ უჟგოროდში გადაბარგდა.

1939 წელს, როცა გერმანია პოლონეთში შეიჭრა, ადოლფ ჰიტლერმა „აბვერის“ ხელმძღვანელს, ვილჰელმ ფრანც კანარისს სპეციალური დავალება მისცა — „თქვენ, კანარის, ორგანიზება უნდა გაუწიოთ უკრაინელ ნაციონალისტთა ქმედებებს ვარშავის საწინააღმდეგოდ — უკრაინელებს ხომ პოლონელთა და ებრაელთა მიმართ თითქმის ისეთივე გეგმები აქვთ, როგორიც ჩვენ!“ — განუცხადა ჰიტლერმა მას. კანარისი მაშინვე, ფიურერის ბრძანების აღსრულებას შეუდგა: მისი ბრძანებით ციხიდან ყველა უკრაინელი ნაციონალისტი, მათ შორის, სტეპან ბანდერაც გაათავისუფლეს და გერმანიაში, ადოლფ ჰიტლერთან მიიწვიეს.

მესამე რაიხის კარზე პირველი უკრაინელ ნაციონალისტთა მეორე ცნობილი ლიდერი — ანდრი მელნიკი გამოცხადდა, რომელიც სტეპან ბანდერას იმთავითვე ექიშპებოდა. პირველ ეტაპზე, ბანდერამ ჰიტლერთან სტუმრობისაგან თავი შეიკავა და 1940 წლის 13 თებერვალს გერმანელთა მიერ ოკუპირებულ კრაკოვში „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის რევოლუციური ხელმძღვანელობა“ შექმნა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციის საგანგებო, „უცხოეთის განყოფილებას“ სათავეში პოლკოვნიკი სერგი ჩხარტიშვილი ჩაუდგა, რომელიც უკრაინელ ნაციონალისტთა შორის „პან გურჯიცკის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი.

დაუზუსტებელი ცნობებით, სერგი ჩხარტიშვილი 1884 წელს, ოზურგეთში დაიბადა. იგი ჯერ რუსეთის იმპერიის არმიაში მსახურობდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართულ არმიაში შევიდა. 1921 წელს ის ქართველ ოფიცრებთან ერთად, ემიგრაციაში (პოლონეთში) წავიდა. ჩხარტიშვილი ლვოვში დასახლდა, იქვე დაოჯახდა და მუშაობა სიმამრის საადვოკატო ბიუროში დაიწყო. ყოფილ პოლკოვნიკს პოლონეთის ქართულ სათვისტომოსთან ურთიერთობა ნაკლებად ჰქონდა, რადგან პოლიტიკით არ ინტერესდებოდა. ლვოვში მან სტეპან ბანდერა და სხვა უკრაინელი ნაციონალისტები გაიცნო და მათი დახმარებით დამოუკიდებელი საადვოკატო ბიურო დააარსა.

პოლონეთში გერმანელთა შემოსვლისა და სტეპან ბანდერას გათავისუფლების შემდეგ, სერგი ჩხარტიშვილმა „ქართული ლეგიონის“ შექმნა დაისახა მიზნად — მისი აზრით, საჭირო იყო ევროპაში გაბნეული ქართველი ემიგრანტების შემოკრება და მათგან სპეციალური სამხედრო დაჯგუფების შექმნა, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დივერსიულ ქმედებებს განახორციელებდა. „ქართული ლეგიონი“ ჯერ უკრაინაში, „ბანდერელებთან“ ერთად იმოქმედებდა, შემდგომ კი აქედან კავკასიაში გადავიდოდა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოლებდა.

სტეპან ბანდერას, რომელსაც უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჰიტლერის დახმარების იმედი არ ჰქონდა, სერგი ჩხარტიშვილის ჩანაფიქრი ძალიან მოეწონა. ქართველმა მეგობარმა მას ისიც შესთავაზა, რომ ჰიტლერელების დახმარებით მანამდე ესარგებლა, ვიდრე ძალებს არ მოიკრებდნენ და უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლებას არ დაამხობდნენ — სერგი ჩხარტიშვილი ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დივერსიული ქმედებები გერმანიის წისქვილზე დაასხამდა წყალს და აქედან გამომდინარე, მათ ბერლინისაგან დიდი მხარდაჭერა ექნებოდათ. ამასთან, ჩხარტიშვილი ვარაუდობდა, რომ შესაძლოა, გერმანიას შემდეგ თავადვე დაეწყო ომი საბჭოთა კავშირთან.


ოპერაცია „ვისლას“ დროს სოფ. ლემკივსკე პოლეში დატყვევებული ქართველი „ბანდერელი“ (წვერებში), 1947 წ.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმებამ, სტეპან ბანდერას და მისიანებს ერთი შეხედვით, იმედი გაუცრუა და შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერთან ურთიერთობისგან ამიტომაც იკავებდნენ თავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბანდერამ ზემოთ ხსენებული „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის რევოლუციური ხელმძღვანელობა“ ჩამოაყალიბა, გერმანული სპეცსამსახურები თავად დაინტერესდნენ მისი გეგმებით. მალე ბანდერამ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა უშუალოდ კანარისთან, რამაც ანდრი მელნიკის გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ მას გერმანელთა უმაღლეს სარდლობაზე ბანდერას საწინააღმდეგოდ ზემოქმედება არ შეეძლო. კანარისმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ სტეპან ბანდერას სრული ნდობა გამოუცხადა. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს გაეცნო კანარისი სერგი ჩხარტიშვილის ჩანაფიქრს — „ქართული ლეგიონის“ შექმნის შესახებ, რომელიც ცოტა მოგვიანებით, „ვერმახტში“ თავადვე განახორციელა. აქვე დავძენთ, რომ სერგი ჩხარტიშვილის სახელი ვილჰელმ კანარისის „ქართულ ლეგიონთან“ დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებში არსად უხსენებია — მან ეს იდეა თავისად გაასაღა.

სტეპან ბანდერამ კი გერმანელთა მხარდაჭერით, 1941 წლის 30 ივნისს ლვოვში უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. დამოუკიდებელი უკრაინა იმავე დღეს, მესამე რაიხის მოკავშირე გახდა და რასაკვირველია, მკვეთრად ანტისაბჭოთა პოზიცია დაიკავა. გერმანიის მსგავსად, აქაც მაშინვე შეიქმნა „გესტაპოს“ და „ესესის“ ნაწილები, ხოლო „პან გურჯიცკის“ ანუ სერგი ჩხარტიშვილს თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად ბანდერამ იდეალური პირობები შეუქმნა — უკრაინის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა და პოლკოვნიკობაც აღუდგინა.

ამგვარად, „ქართული ლეგიონის“ შესაქმნელად სერგი ჩხარტიშვილს თითქოს, არაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ საქმე მაინც შეფერხდა — გერმანული არმიის წარმატებების გამო ბერლინში გადაწყვიტეს, რომ დამოუკიდებელი უკრაინის არსებობა გერმანიის ინტერესებს აღარ შეესაბამებოდა. 1942 წლის იანვარში ყველა უკრაინელი ნაციონალისტი, სტეპან ბანდერასა და მისი მოქიშპე ანდრი მელნიკის ჩათვლით, ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, მაგრამ მათ იქ არც ისე ცუდად ეპყრობოდნენ — ყოველ შემთხვევაში, მათი გამოყენება კვლავ სურდათ.

რაც შეეხება პოლკოვნიკ სერგი ჩხარტიშვილს, ის გამოგონილი სახელითა და გვარით გერმანელთა ჩამოყალიბებული „ქართული ლეგიონის“ ერთ-ერთ ბატალიონში ჩაირიცხა, სადაც ძირითადად, ქართველი ემიგრანტები იყვნენ გაერთიანებულნი. ეს ბატალიონი ლვოვის ახლოს იყო ბაზირებული. 1944 წელს, წითელი არმიის მიერ ლვოვზე შეტევის დროს ხსენებული ბატალიონის დიდი ნაწილი განადგურდა, თუმცა სერგი ჩხარტიშვილი სიკვდილს გადაურჩა — მან, რამდენიმე ქართველთან ერთად, თავი ერთ-ერთ სოფელს შეაფარა, სადაც მისი მეუღლის ნათესავები ცხოვრობდნენ. სწორედ ამ დროს სტეპან ბანდერა და მისი მომხრეები გერმანელებმა ზაქსენჰაუზენის ბანაკიდან გაათავისუფლეს და უკრაინის ტერიტორიაზე პარტიზანული ბრძოლის გაჩაღება მოსთხოვეს. ვიდრე ბანდერა ამაზე ფიქრობდა, წითელმა არმიამ ბერლინიც აიღო და გერმანიამ უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა. ამჯერად, სტეპან ბანდერას გეგმებით დასავლეთი დაინტერესდა...

1945 წლის შუახანებიდან, უკრაინის დასავლეთ რაიონებში სტეპან ბანდერას მომხრეებმა, რომლებიც თავს „უკრაინის მეამბოხეთა არმიას“ უწოდებდნენ, იარაღი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართეს — თავად სტეპან ბანდერა კვლავ გერმანიაში იმყოფებოდა, მაგრამ ბრძოლას მაინც ხელმძღვანელობდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მეამბოხეთა არმიის“ შემადგენლობაში ქართული სამთო ოცეულიც შედიოდა, რომელსაც სერგი ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა და რომელიც ძირითადად, პერემისლის ოლქში მოქმედებდა.

ქართულ სამთო ოცეულში გაწევრებული იყვნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეები, რომლებიც გერმანული საკონცენტრაციო ბანაკებიდან იყვნენ გამოქცეულნი, აგრეთვე წითელი არმიისა თუ „ვერმახტის“ ქართული ლეგიონის ჯარისკაცებიც. სამწუხაროდ, მათი სახელები და გვარები უმეტესად, უცნობია. მეთაურ ჩხარტიშვილის გარდა, მხოლოდ რამდენიმე მებრძოლის ვინაობაა ცნობილი — რადისტი შალვა კვიციანი, მეტყვიამფრქვევე კონსტანტინე იმნაძე და სადაზვერვო ათეულის მეთაური გიორგი ბერიძე, მეტსახელად — „ბოროდა“.

„უკრაინის მეამბოხეთა არმიის“ მიერ წამოწყებული პარტიზანული ომი საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული — მეამბოხეების (ანუ როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ — ბანდერელების) მცირერიცხოვანი რაზმები მოულოდნელი თავდასხმებით სისხლს უშრობდნენ წითელარმიელებს, აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს და შიშის ზარს სცემდნენ ხელისუფლების წარმომადგენ-

ლებს. როგორც ყოველთვის, ქართველები აქაც გამოირჩეოდნენ: მათი წყალობით, პერემისლის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ნომინალურად ვრცელდებოდა და წითელი არმია აბსოლუტურად, უძლური იყო. ლეგენდები „პან გურჯიცკიზე" კი საოცრად პოპულარული გახლდათ გლეხობაში — „კაგებე" ყოველ ასეთ გადმოცემას იწერდა და „პან გურჯიცკის" დოსიეს ურთავდა. საინტერესოა, რომ საბჭოთა სპეცსამსახურმა სერგი ჩხარტიშვილის ნამდვილი სახელი და გვარი რის ვაივაგლახით დაადგინა, რის შემდეგაც, „კაგებესთვის" მთელი მისი წარსული ცნობილი გახდა. გურიაში სერგი ჩხარტიშვილის ახლო ნათესავთაგან ვერავინ მოიძიეს და ასეულთა სხვა წევრების ვინაობაც ვერ შეიტყვეს; არადა, საქმე რთულად იყო — თუკი პერემისლის ოლქში გამაგრებულ ქართველ „ბანდერელებს" ვერაფერს მოუხერხებდნენ, უკრაინის სხვა ოლქებში წინააღმდეგობის დაძლევაზე არც უნდა ეოცნებათ, რადგანაც პერემისლი მაინც სასაზღვრო რეგიონი იყო და მის აღებას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამავდროულად, არსებულ სიტუაციას დრამატიზმს ისიც მატებდა, რომ წითელ არმიას ყველაზე მედგრად თვით „დიდი სტალინის" ერთი მუჭა თანამემამულეები ებრძოდნენ — ცხადია, ეს დასავლური მასმედიისათვის შეიძლებოდა, კარგი საკბილო ყოფილიყო და ამას კრემლშიც კარგად აანალიზებდნენ. ლავრენტი ბერია, რომელსაც „ბანდერელთა" საწინააღმდეგო ოპერაციის წარმოება ჰქონდა დავალებული, დიდად გაოცებული იყო მეამბოხეთა შორის თანამემამულეთა აღმოჩენით. თავის მხრივ, სტალინი მას მკაცრად უკრძალავდა ქართველ „ბანდერელებზე" ზედმეტ ლაპარაკს — ინფორმაციას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეჟონა. აქედან გამომდინარე, ყველა ცნობას „პან გურჯიცკისა" და მისი ასეულის შესახებ გრიფი „სრულიად საიდუმლოდ" ედო.

1945 წლის ბოლოს, პერემისლის ოლქი, სტალინის განკარგულებით, პოლონეთს გადაეცა. ეს ვითომ საბჭოთა ხელისუფლების „კეთილი ნების" გამოხატულება იყო, მაგრამ სინამდვილეში, პერემისლის გადაცემით სტალინმა უბრალოდ, საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაუმალა, რომ მას იმ ტერიტორიაზე მისივე თანამემამულეები ებრძოდნენ. მსოფლიოს ისე უნდა სცოდნოდა, თითქოს, სტალინი არაფერ შუაში იყო და „უკრაინის მეამბოხეთა არმია" პოლონეთსაც ისევე უპირისპირდებოდა, როგორც საბჭოთა კავშირს — სხვათა შორის, საერთო ჯამში მართლაც, ასე იყო, მაგრამ საქმეს ქართველთა ასეული ართულებდა. სტალინს სურდა, „ბანდერელთა" რიგებში მებრძოლი მისი თანამემამულეები პოლონელებს შეეპყროთ და როგორც „ანტისაბჭოთა ემიგრაციის" წარმომადგენლები, მოსკოვისთვის გადაეცათ. აქედან გამომდინარე, 1946 წელს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სპეცსამსახურებმა დაგეგმეს საგანგებო ოპერაცია, რომელსაც კოდურ სახელწოდებად „ვისლა" შეურჩიეს.

ოპერაცია „ვისლას" დაწყების საბაბად, ოფიციალური ცნობების თანახმად, „მეამბოხეთა არმიის" მიერ პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის — გენერალ კაროლ სვარჩევსკის მკვლელობა იქცა. აქვე უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ქართული ოცეული თითქმის დაქსაქსული იყო და მისი წევრების უმეტესობა საგონებელში გახლდათ ჩავარდნილი. ფაქტობრივად, ქართველები განწირულნი იყვნენ, რადგან საბჭოთა კავშირში მოხვედრისთანავე მინიმუმ, 25-წლიანი პატიმრობა ელოდათ და პოლონეთში დარჩენაც ცხადია, სახიფათო იყო. რჩებოდა ერთადერთი გზა — დასავლელ მოკავშირეთა კონტროლირებად ტერიტორიებზე გადასვლა, თუმცა ეს საკმაოდ ძნელი გახლდათ.

1947 წლის აპრილში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არმიამ პერემისლის ყოფილი ოლქის, აწ უკვე ფშემისლის სავოევოდოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. პარალელურად, ადგილობრივ უკრაინულ მოსახლეობას უბრძანეს, დაეტოვებინათ ძველი საცხოვრებელი და ან პოლონეთის დასავლეთში გადასახლებულიყვნენ, ან — საბჭოთა კავშირში. უკრაინელებმა პირველი ვარიანტი აირჩიეს, რადგანაც საბჭოთა კავშირში ცხოვრება არ სურდათ. ამგვარად, ფშემისლის სავოევოდოში „უკრაინის მეამბოხეთა არმიის" ქვედანაყოფები მალე ალყაში მოაქციეს და მათ განადგურებას ეტაპობრივად შეუდგნენ.

პოლკოვნიკი სერგი ჩხარტიშვილი და სხვა ქართველები ერთ პატარა სოფელ ლემკივსკე პოლეში იმყოფებოდნენ — მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, მტრისთვის თავიანთი სიცოცხლე ძვირად დაესვათ. სხვათა შორის, პოლონეთის არმიას სწორედ ლემკივსკე პოლეს აღება გაუჭირდა, რადგანაც იქ ქართველებმა სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს. ცხადია, საბოლოოდ პოლონეთის არმიამ სოფელი მაინც აიღო, მაგრამ თავადაც დიდი ზარალი განიცადა. ბრძოლაში დაეცა ქართველ „ბანდერელთა" უმეტესობა — მათ შორის, პოლკოვნიკი სერგი ჩხარტიშვილი. პოლონელებმა ცოცხლად მხოლოდ ერთი ქართველი ჩაიგდეს ხელში, რომელიც იმ დღესვე, სოფლის განაპირას დახვრიტეს.



პოლკოვნიკი სერგი ჩხარტიშვილი, 1941 წ.

ამ ამბიდან 50 წლის შემდეგ — 1997 წლის აპრილის თვეში სოფელ ლემკივსკე პოლეში (მას ახლა პოდლიასკო ეწოდება) პოლონეთის უკრაინული სათვისტომოს ინიციატივით, ობელისკი აღიმართა. რაც შეეხება ქართველ „ბანდერელებს", მათ შესახებ რაღაცები დღემდე უცნობია, თუმცა ფშემისლის სავოევოდოდან გადასახლებული უკრაინელები დღემდე გაოცებით იხსენებენ „პან გურჯიცკისა" და მის თანამემამულეებს, რომლებიც მონატრებული სამშობლოს სიყვარულით, სხვის ომში სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდნენ.

P.S. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ქართველი „ბანდერელები" უკრაინის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ, ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე II მსოფლიო ომის უკანასკნელი ევროპული ბრძოლა გაიმართა — „ვერმახტის" ქართული ლეგიონის ყოფილმა მებრძოლებმა, ამბოხების შედეგად, გერმანული გარნიზონი გაანადგურეს და მტრის დესანტს ორი კვირის განმავლობაში უმკლავდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველი „ბანდერელები" ტექსელზე ამბოხებული ლეგიონერების ყოფილი თანამებრძოლები იყვნენ.

■

# უნიატური ეკლესიები, დასავლეთში დაწყებული განხეთქილებები და რუსეთის ეკლესიის საპატრიარქო ტიტული

**XVI საუკუნეში რუსეთის ეკლესიამ, რომელიც ამ დრომდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდა, საპატრიარქო ტიტული მოიპოვა... XVI საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთის ეკლესიაშიც იწყება განხეთქილებები, საფუძველი ეყრება პროტესტანტიზმს, რომელიც შემდგომში რამდენიმე მიმდინარეობად ყალიბდება...**

*შორენა მერკვილაძე*

**არქიმანდრიტი მაკარი** (*აბესაძე*):

— მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეში მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნია დაგმო და უარყო, ის მაინც გავრცელდა. XVI საუკუნის ბოლოსთვის წარმოიშვა უნიატური — ვატიკანთან ანუ კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებული მართლმადიდებლური ეკლესიები. ეს ეკლესიები, რომლებიც დღემდე არსებობს, ნაციონალური და ადგილობრივი ნიშნების მიხედვით იწოდებიან — „უბკე“ — უკრაინულ-ბერძნულ-კათოლიკურ და „ბკე“ — ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიებად. არსებობს სხვა უნიატური ეკლესიებიც, რომლებიც მთლიანად, ვატიკანის დაქვემდებარებაშია და მათ ე.წ. „აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს“ მიაკუთვნებენ.

უნიატური ეკლესიები გარეგნულად მართლმადიდებლურ წესებს ინარჩუნებს ანუ — მსახურებათა წესი, შესამოსელი, ქცევის წესები — ყველაფერი მართლმადიდებლურია, მაგრამ აღიარებენ რომის პაპის პრიმატს, უპირატესობას და „მრწამსში“ შეტანილი აქვთ ცვლილება სულიწმიდის გამომავლობაზე. თუმცა, ბოლო პერიოდში მათ გარეგნულ მსახურებებშიც შეიტანეს ცოტაოდენი ცვლილება, შეიმჩნევა დასავლური შტრიხები. მოკლედ, მართლმადიდებლობაში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ ისინი ჭეშმარიტი მართლმადიდებლები არ არიან. დღესდღეობით, ყველაზე მეტი უნიატური ეკლესია და უნიატები უკრაინის ტერიტორიაზე არიან.

უნიატური ეკლესიების დაარსებას განსაკუთრებით, ბრესტის უნიამ შეუწყო ხელი, რომელიც XVI საუკუნეში, კათოლიკე მეფის — სიგიზმუნდ III ვაზეს დროს, რეჩ-პოსტოლიტაში შედგა. 1595 წელს იეზუიტებმა (იეზუიტები — პაპისტური მონაზვნური ორდენის — „იესოს საზოგადოების“ წევრები არიან. ორდენი დაარსდა 1539 წელს, ეგნატე ლოიოლას მიერ. იეზუიტები პაპის უსიტყვო მორჩილების აღთქმას დებენ და მისი



ნათლისღება

ურთგულესი მსახურნი, პაპის პოლიტიკის მთავარი გამტარებლები არიან) მოახერხეს კიევის მიტროპოლიტ როგოზის დაყოლიება, რომ მას რომში საიდუმლოდ გაეგზავნა ორი ეპისკოპოსი, რომელიც პაპთან უნიის შესახებ აქტს მოაწერდა ხელს. ამ აქტში აღიარებული იყო პაპის უპირატესობა, უცდომელობა და „მრწამსში“ შეტანილი დოგმატური ცვლილება სულიწმიდის გამომავლობის შესახებ. მიტროპოლიტ როგოზის აზრით, უნია მართლმადიდებელთა მდგომარეობას გააუმჯობესებდა, — იმ პერიოდში მორწმუნეები ხელისუფლებისა და კათოლიკეების მხრიდან შევიწროებას განიცდიდნენ, — მაგრამ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს აქტი არ მიიღო.

მიუხედავად ამისა, მეფე სიგიზმუნდ III-მ უნიის მიღების აქტი დაამტკიცა. ამის შემდეგ პოლონეთში მართლმადიდებლობა კანონგარეშედ გამოცხადდა და მართლმადიდებელთა დევნა დაიწყო. უნიატებს უამრავი მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტერი გადაეცათ, უნიას ძალდატანებით მიუერთეს ბელორუსიის, დასავლეთი და ცენტრალური უკრაინის ეპარქიები (კიევის ეპარქიის ჩათვლით).

დასავლეთის მიწების რუსეთისთვის დაბრუნების შემდეგ, უნიატები მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღს დაუბრუნდნენ — ეს პროცესი 1839 წელს დაიწყო და 1874 წელს დასრულდა. უნიატობა შემორჩა კარპატების ზოგიერთ ნაწილში და გალიციაში, რომელიც ავსტრიას შეუერთდა.

XVI საუკუნეში რუსეთის ეკლესიამ, რომელიც ამ დრომდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედიოდა, საპატრიარქო ტიტული მოიპოვა. რუსეთში პატრიარქის ინსტიტუტის ჩამოყალიბება ხდება მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა მართლმადიდებლური საპატრიარქო — ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის — მიწიერად მუსლიმანების ხელშია. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია საქართველოს საპატრიარქო, მაგრამ ვიცით, რომ ამ დროისათვის საქართველოსაც გამუდმებული ბრძოლა აქვს მუსლიმანურ სამყაროსთან, გარეშე მტრებთან. XV საუკუნის ბოლოსთვის რუსებმა თათარ-მონღოლთა უღელი გადააგდეს. სწორედ ამ დროიდან, რუსეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობისთვის ყველაზე მშვიდობიანი პერიოდი დგება და რუსეთის ეკლესიას საპატრიარქოს ტიტული მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა, დააპატიმრეს და რუსეთის ეკლესიის საპატრიარქოს ტიტული აღიარებინეს...

ამავე პერიოდში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან კიევის სამიტროპოლიტოც გამოდის და რუსეთის ეკლესიას უერთდება ანუ რუსეთის ეკლესია იწყებს გაფართოებას; რაც მეტად ფართოვდებოდა რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები, მით მეტად იზრდებოდა რუსეთის საპატრიარქოს მრევლი. რუსეთის ეკლესიის გაძლიერების უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთს გარეშე მტრებთან ბრძოლა ნაკლებად უხდებოდა, ხოლო მისი ცენტრი — მოსკოვი ძლიერდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ დროისათვის მტრების მიერ მოსკო-

ვის დაკავება მხოლოდ რამდენჯერმე მოხდა.

1654-1656 წლებში რუსეთის პატრიარქმა ონიკონმა გაატარა საეკლესიო რეფორმა — ბერძნული მართლმადიდებლური წესით შეასწორა საღვთისმსახურო წიგნები და ტრადიციები. ნიკონის რეფორმებმა უკუშედეგი გამოიღო — სამღვდელობისა და მრევლის მცირე ნაწილმა რეფორმა არ მიიღო. რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოსცილდა სქიზმატური ფრთა, რომელიც თითქოსდა, ქრისტიანობის ძველ წეს-ჩვეულებებს აღასრულებდა. ამიტომაც, თავიანთ კრებულს სტაროვერები უწოდეს. სტაროვერთა ფრთა რუსეთში დღემდე არსებობს.

რუსეთში მართლმადიდებლობას აღორძინების ხანა დაუდგა, სხვა მსოფლიო მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესიები კი, საქართველოს ეკლესიის გარდა, მუსლიმანების ხელშია. XVI-XVII საუკუნეებისთვის ოსმალეთის იმპერია მუსლიმანური სამყაროს არაბულ ნაწილსაც იპყრობს — მის დაქვემდებარებაში გადადის ის ტერიტორიები, რომლებზეც ანტიოქიის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის ეკლესიები არსებობს და უკვე ოთხი ძირითადი საპატრიარქო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩათვლით, თურქეთის ტერიტორიაზე ხვდება. ამ პერიოდში ახალი ერესები — მწვალებლური მიმდინარეობები, გარდა რუსეთის ეკლესიისგან გამოყოფილი სტაროვერებისა, არ წარმოქმნილა. როგორც ვიცით, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია მიწიერად შევიწროებულია, ამ დროს ნაკლებად ყალიბდება ერესები, რადგანაც ეკლესიის წიაღში აღარ არიან პატივმოყვარეობითა და ამპარტავნობით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება, ერესიერარქები გახდნენ. ასეთ ადამიანებს ურჩევნიათ, საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და მიწიერი დიდების, პატივის მისაღებად საერო ხელისუფლებასთან იქონიონ ურთიერთობა.

XVI-XVII საუკუნეებიდან რუსეთში თითქოს, ღვთისმეტყველებაც განვითარდა, მაგრამ ის ნაკლოვანებას განიცდიდა — მასში ბევრი ისეთი რამ იყო, რაც მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებოდა. ეს მოხდა იმის გამო, რომ რუსულ ღვთისმეტყველებას სხვა ადგილობრივი ეკლესიებისგან არ ჰქონდა კონტროლი, რადგანაც მათ აბსოლუტურად სხვა პრობლემები ჰქონდათ.

XVI საუკუნიდან დასავლეთის ეკლესიაში განხეთქილებების სერია იწყება. ამ დროიდან საფუძველი ეყრება პროტესტანტიზმს, რომელიც შემდგომ სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობის სახით ჩამოყალიბდა (პროტესტანტიზმი არის პროტესტი კათოლიციზმის, ლათინო-პაპიზმის წინააღმდეგ). XVI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა გერმანული პროტესტანტული მიმდინარეობა, რომელსაც სათავეში გერმანელი მღვდელი, მარტინ ლუთერი ჩაუდგა და ამიტომაც, ამ მიმდინარეობას ლუთერანობა — ლუთერანიზმი ეწოდა.



**XVI-XVII საუკუნეებიდან რუსეთში თითქოს, ღვთისმეტყველებაც განვითარდა**

1517 წელს ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე 95 თეზისისგან შემდგარი მოწოდება გამოაკრა, რომელთა მეშვეობითაც იგი პაპის ძალაუფლების, კათოლიკე სამღვდელოებაში გავრცელებული უზნეობის, ვაჭრობისა და ინკვიზიციის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ლუთერს უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა. რომის პაპი დიალოგის გზით შეეცადა, მეამბოხე მღვდელი შეეჩერებინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1519 წელს ლუთერმა საჯაროდ განაცხადა, რომ არც რომის პაპის პრიმატი სწამდა და არც — წმინდა მამათა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილება. მან მოითხოვა, საეკლესიო საიდუმლოებათა რაოდენობა ორამდე დაეყვანათ, დაეტოვებინათ მხოლოდ ნათლისღება და ზიარება. თუმცა, ამ საიდუმლოებებსაც საკუთარი შეხედულებებისამებრ უცვალა სახე.

რომის პაპი ლუთერის შეჩერებას მაინც ცდილობდა. მან 95 თეზისიდან 41 მწვალებლურად გამოაცხადა და მათი განადგურების ბრძანება გამოსცა, თვით ლუთერს კი მოსანანიებლად 6 დღე მისცა. საპასუხოდ, ლუთერმა პაპის ბრძანება და კათოლიკური წიგნები დაწვა, რის შემდეგაც ის ერეტიკოსად გამოაცხადეს და ეკლესიიდან განკვეთეს. მიუხედავად ამისა, მისი იდეები არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც ვრცელდებოდა...

ამავე პერიოდიდან — 1520-1521 წლებიდან საფუძველი ეყრება ინგლისურ-ბრიტანულ პროტესტანტულ მიმდინარეობას — ანგლიკანობას, რომლის შემდეგაც რომის კათოლიკურ ეკლესიას ინგლისის ეკლესიაც ჩამოსცილდა და პროტესტანტიზმის გზით წავიდა — ინგლისის ეკლესიის რომის ეკლესიასთან ჩამოცილება პოლიტიკური მიზნით მოხდა. თუ მაგალითად, რომის ეკლესია — კათოლიციზმში რომის პაპის უცოდველობას აღიარებდა და ეს იყო და არის მათი ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატური ცდომილება, პროტესტანტთა საერთო მოძღვრებით, მაცხოვარმა გამოგვიხსნა რა თავისი ცხოველმყოფელი სისხლით, ყველა ადამიანი, ვინც მოინათლება, უკვე გამოხსნილია, მიუხედავად იმისა, როგორი ცხოვრებითაც უნდა იცხოვროს ნათლისღების შემდეგ. თითქოს, პროტესტანტებმა რომის პაპის უცოდველობა ყველა ადამიანის უცოდველობაზე გადაიყვანეს, რაც ისეთივე ცდომილებაა, როგორიც სწავლება რომის პაპის უცოდველობისა და უპირატესობის შესახებ.

წლების განმავლობაში პროტესტანტული მიმდინარეობა კიდევ არაერთ მიმდინარეობად დაიშალა. სხვათა შორის, ისინი თავს ქრისტიანებს უწოდებენ. ■

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

## სამყარო

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. მართა ჯაყელი ლავრენტი ბერიას დედა იყო.

2. 46664 ნელსონ მანდელას ნომერი იყო ციხეში.

3. მობილური ტელეფონი ალბერტ კუპერმა გამოიგონა.

4. „დერსუ უზალა“ აკირა კუროსავამ რუსეთში გადაიღო.

5. მსახიობი გრეტა გარბო ქალების მოყვარული გახლდათ.

6. ჩერჩილი 500 ლიტრამდე წითელ ღვინოს სვამდა წელიწადში.

7. „ზოგჯერ შეცდომა დანაშაულზე უარესია“, — ამბობდა შარლ ტალეირანი.

8. შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 36 მილიარდი ჰამბურგერი მზადდება.

9. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ოსკარ შმერლინგის გაფორმებულია.

10. „იგი უფრო დიდი მხატვარი იყო, ვიდრე ჩვენ გვგონია“, — ამბობდა ედგარ დეგა ედუარ მანეს შესახებ.

11. ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასის ბრძანებით, შირაზში 1624 წლის 13 სექტემბერს აწამეს.

12. XVI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე, ესპანეთის მეფე ფილიპ პირველი ადამიანი იყო, ვინც ინვალიდის ეტლით სარგებლობდა.



13. პიცა „მარგარიტა“ პირველად ნეაპოლში 1888 წელს დედოფლისათვის გამოაცხვეს. იქიდან მოყოლებული, კლასიკურ პიცას „მარგარიტას“ ეძახიან.

14. ჯონ კინგი ყველაზე ახალგაზრდა მეკობრე იყო კაცობრიობის ისტორიაში. 11 წლის კინგი თვითმკვლელობით დაიმუქრა და აიძულა მეკობრეები, ეკიპაჟის წევრად აეყვანათ იგი. პატარა ჯონი შეტაკებების დროს დენთით ამარაგებდა თანამებრძოლებს.

15. „დაარტყი პირველმა, დაარტყი ძლიერად და ნურასდროს შეჩერდები“, — ასეთი გახლდათ ინგლისის პირველი საზღვაო ლორდის, ბრიტანული ფლოტის ამგები ჯეკ ფიშერის დევიზი, რომელიც ქვეყნის მტრებთან ურთიერთობისას დაშინების პოლიტიკას ანიჭებდა უპირატესობას.

16. „ეს ავტომობილი იმავე ქარხანაში იწყობა, რომელშიც ავტომატი „კალაშნიკოვი“ და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ავტომობილი ავტომატზე უფრო მომაკვდინებელია“, — იცინოდა ავტომოყვარულთათვის განკუთვნილ ერთ ტელეგადაცემაში „მოსკვიჩის“ საჭესთან მჯდომი ინგლისელი კონსტრუქტორი.

17. ერთმა ამერიკელმა საკუთარ ძაღლს

## საკითხავი ქალებისათვის

# რას ამოიკითხავთ ტუჩებზე...



• მსხვილი ტუჩები — ემოციურობის, სექსუალურობისა და მგრძნობიარობის მაჩვენებელია.

• თხელი ტუჩები — საკუთარ თავში ჩაკეტილ, ნაკლებად კონტაქტურ ადამიანებს აქვთ. ხშირად ცხოვრებაში წარუმატებლები არიან და მტკივნეულად აღიქვამენ გარშემო მყოფთა წარმატებებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეგობრები მათთვის ძალიან ძვირფასია და ყოველთვის მზად არიან მათ დასახმარებლად.

• ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი — მიგვანიშნებს მიზანდასახულ, თავდაჯერებულ, თავმოყვარე და ამბიციურ ადამიანზე. ის „მუდამ მართალია“, ყოველთვის ცდილობს, თავისი გაიტანოს და არად დაგიდევთ სხვათა შეხედულებებს.

• ოდნავ დიდი ქვედა ტუჩი — უმეტესწილად, ეგოისტი, გაუწონასწორებელი და მერყევი ხასიათის ადამიანების დამახასიათებელია. მათთან ურთიერთობა რთულია, რადგან გარშემო მყოფთა მიმართ ზედმეტად მომთხოვნები არიან და ყოველთვის ცდილობენ სხვებზე დომინირებას.

• მკვეთრად მოხაზული კონტურის ტუჩების პატრონები — არაამბიციურ ადამიანთა რიგს მიეკუთვნებიან. მათ მცირედიც აკმაყოფილებს, არ აგებენ ოცნების კოშკებს, გამოირჩევიან კონსერვატიულობით. აკლიათ თავდაჯერებულობა და ხშირად ეუფლებათ დეპრესია.

### ნიღბები ტუჩების მოსავლელად

*როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი, ყინვა... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.*

√ ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

√ თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

√ თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ.

### ტუჩების ვარჯიში

√ ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ დამუწეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

√ ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ. ■

# მარტივი დიეტები

## წიწიბურას დიეტა

**წიწიბურას სასარგებლო თვისებების წყალობით შესაძლებელია 1 კვირაში 5-დან 10 კილოგრამამდე დაკლება.**



საღამოს მოხარშეთ 1 ან 2 ჭ წიწიბურა 3-5 ჭ წყალში (უმარილო და უშაქრო).

გაღვიძებისთანავე უზმოზე აუცილებელია დალიოთ 1 ჭიქა ცხელი, ანადუღარი წყალი. ნახევარი საათის შემდეგ მიირთვით 3 ნაწილად გაყოფილი წიწიბურას პირველი წილი, კეფირთან ან მაწონთან ერთად. მიაყოლეთ უშაქრო ჩაი ან ბოსტნეულის წვენი (გოგრის, სტაფილოს, ტომატის); საუზმეზე — მეორე წილი; ვახშამზე — მესამე.

შუალედებში აუცილებელია 2 ლიტრამდე სითხის (უგაზო, უშაქრო, უმარილო) მიღება.

# თვალები
## – თქვენი წარმატების იარაღი



**თვალები სულის სარკეაო — ეს მხოლოდ მხატვრული გამოთქმა როდია. არაფერი ისე არ გამოხატავს ადამიანის ფიზიკურ თუ სულიერ სილამაზეს, როგორც თვალები.**

*ოდითგანვე თვალები ქალის მომხიბვლელობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. მამაკაცთა უმრავლესობას, ქალი სწორედ ლამაზი თვალების გამო უყვარდება. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფერს, სიდიდეს და ჭრილის ფორმას, არამედ თვალების სიკაშკაშეს. სამწუხაროდ, ლამაზ თვალებს ხშირად ლაზათს უკარგავს ჩამქრალი, დაღლილი გამოხედვა, ანთებითი პროცესები, შესივებული ქუთუთოები და ჩაშავებული უპეები. არადა, ლამაზ, ბრწყინავ, მეტყველ თვალებს არაფრით გამორჩეული სახის გალამაზებაც კი შეუძლია.*

*გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც თქვენს თვალებს ბრწყინვალებასა და სილამაზეს შემატებს:*

√ ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე, თვალები ჩაის მაგარი ნაყენით გამოირეცხეთ. ეს სიწითლისა და დაღლილობის შეგრძნებას მოგიხსნით;

√ შესივებულ, ჩაშავებულ უპეებს შველის სალბის ნაყენის კომპრესი: 1 ჩ/კ სალბს დაასხით 100 მლ მდუღარე წყალი. ჭურჭელს თავსახური დაახურეთ და 15 წუთი გააჩერეთ. ნაყენის ერთი ნაწილი მაცივარში შედგით, მეორე კი შეათბეთ. დაასველეთ ბამბა (ცალ-ცალკე) თბილ და ცივ ნაყენებში და ძილის წინ, 10-10 წუთით მორიგეობით დაიფინეთ დახუჭულ თვალებზე.

√ შესივებული უპეებისთვის ასევე ძალზე ეფექტიანია ოხრახუშის ნიღაბი. წვრილად დაჭერით ცოცხალი მწვანილი და დაიდეთ უპეებზე. ზემოდან სველი დოლბანდი დაიფინეთ. ნიღაბი 15-10 წუთით გაიჩერეთ.

√ ანთებით პროცესს აქრობს რძის კომპრესები. რძეში დასველებული ბამბა 5-7 წუთით, დახუჭულ თვალებზე დაიფინეთ, შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ და მატონიზებელი კრემი წაისვით.

√ თვალებს სიკაშკაშესა და ბრწყინვალებას აძლევს ცაცხვისა და გვირილის ყვავილების ნაყენის საფენები. ილისა და ცაცხვის ნახევარ-ნახევარ კოვზ ყვავილებს დაასხით 200 გ ადუღებული წყალი და 20-30 წუთით გააჩერეთ. ამ ნაყენით ამოიბანეთ თვალები ან 5-წუთიანი კომპრესი გაიკეთეთ.

√ თვალების შესივებას, უმჯობესია, კარტოფილის ნიღბით გაუმკლავდეთ. კარტოფილი კარგად გარეცხეთ და კანიანად გახეხეთ. მიღებული ფაფის ორი კოვზი აურიეთ 2 ჩ/კ ფქვილსა და 1 ს/კ რძეში. დაიდეთ თვალებზე და 15-20 წუთი გაიჩერეთ. ■

დიეტის ხანგრძლივობა 7 დღეა.

ამ დიეტის გამეორება მხოლოდ 2 თვის შემდეგ არის შესაძლებელი. დიეტის დასრულების შემდეგ, სურვილისამებრ შეგიძლიათ დილაობით ისევ წიწიბურა მიირთვათ. წონის შესანარჩუნებლად შეზღუდეთ ტკბილეული და მარილიანი საკვები.

## დაიწყეთ დილა ლიმონის წვენით

ფიზიკურ ვარჯიშებთან და სწორად შერჩეულ კვების რაციონთან ერთად ლიმონის წვენი დაგეხმარებათ მოკლე ვადაში დაიკლოთ წონაში.

სხვათა შორის, თუ ლიმონის კანსაც მიირთმევთ, მაშინ შესაძლებელია 4 საათის განმავლობაშიც კი ჩაიხშოთ შიმშილის გრძნობა: ნივთიერება,



რომელიც ლიმონის ქერქშია, კუჭში მოხვედრისთანავე გადაიქცევა ბლანტ სითხედ და ეკვრის ნაწლავის კედლებს, რაც იწვევს ორგანიზმის „მოტყუებას“ და შიმშილის გრძნობის შესუსტებას.

ამავე დროს, ლიმონი მდიდარია C ვიტამინით, რომელიც ორგანიზმს სჭირდება როგორც იმუნიტეტის ასამაღლებლად, ასევე — სახის კანის ჯანსაღი ფერის შესანარჩუნებლადაც. ■

რუბრიკა მოამზადა **ეკა ბუნთაიშვილმა**



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*

ანდერძით 68 მილიონი დოლარი დაუტოვა, საკუთარ ცოლს კი — ერთი ცენტი. სასამართლომ ანდერძი კანონიერად მიიჩნია, რადგან პატრონს ძაღლისთვის, როგორც იურიდიული პირისთვის, ყველა საბუთი წინასწარ ჰქონდა გაფორმებული. ქალმა მაინც გამონახა საშუალება, მემკვიდრეობის მისაღებად: იგი ცოლად გაჰყვა ძაღლს და როცა ეს უკანასკნელი მოკვდა (ბუნებრივია, მას ანდერძი აღარ დაუტოვებია), ქონების პატრონი გახდა, როგორც მისი ქვრივი.

18. ვანო ჯავახიშვილმა გადაცემის დასასრულს, რომელშიც ნინო სურგულაძე ჰყავდა მიწვეული, გამოაცხადა: ეს გოგო დროზე უნდა გავაცილო და ჩემი ხელით ჩავსვა თვითმფრინავში, სანამ რომელიმე პარტიას მისთვის მერობის კანდიდატობა არ შეუთავაზებიაო.



19. ჩარლზ დიკენსის მამა ვალების გადაუხდელობის გამო მოხვდა ციხეში. მწერალს იმდენად რცხვენოდა ამის, იმდენად გულმოდგინედ მალავდა ამ ამბავს, რომ მისმა ცოლმა და შვილებმაც არაფერი იცოდნენ.

20. შუა საუკუნეების ფლორენციული კოდექსის ფორზაცზე (ფორზაცი აკინძული ფურცლებისა და ყდის დამაკავშირებელი ფურცელია) შემონახულია ტექსტი, სადაც წერია, რომ „ეშმაკს ცხრა ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც ასე დაათხოვა: სიამოვნება კლერიკალებს მიათხოვა, გემოთმოყვარეობა — ბერებს, ყაჩაღობა — რაინდებს, მკრეხელობა — გლეხებს, ფარისევლობა — მსახურებს, სიცრუე — ვაჭრებს, მევახშეობა — ბიურგერებს, კოპწიაობა — მატრონებს. რაც შეეხება ნაბოლარა ქალიშვილს — გარყვნილობას — იგი არავისთვის მიუთხოვებია. მას სთავაზობდა ყველას, როგორც მეძავს“.

21. „როდის მოვა, ვინც არ მოვა,/ ამ კითხვების არის გროვა,/ როდის გამოშრება დენთი,/ კვლავ რომ ამიფეთქონ ღმერთი,/ როდის ციდან იმანანებს,/ ველარ ვიტან ამ ბანანებს,/ როდის გამივა მე ვადა,/ რა ცოდვა აღარ მებადა,/ როდის მექნება გრაფიკი,/ როდის მომძებნის კაპიკი,/ როდის ტყუილებს მოვრჩები,/ ხატებთან მაინც რომ ვრჩები,/ როდის სიზმარი ახდება,/ რომელშიც ზურგში არ მხვდება,/ როდის სიკეთეს მიზამენ,/ ალგეთს რით არ დაიზარდნენ,/ როდის მივხვდები ბოლომდე,/ მშვიდობას არ სჯობს, ვომობდე,/ როდის ვიქცევი მთლიანად/ ქართველი ადამიანად?../“ — ამ სტრიქონების ავტორ ნიკო გომელაურს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მიაბარეს მიწას, ვახუშტი კოტეტიშვილი XX საუკუნის ფრანსუა ვიიონს ეძახდა.

# დიდი ადამიანების უცნაური გადახრები
## ანუ საიდან მოდიან გენიოსები

ვინ არიან გენიოსები და საიდან მოდიან ისინი? ზოგიერთის აზრით, ასეთი ადამიანები პირდაპირ ციდან „ცვივიან"; სხვებს გენიოსობა ღვთის წყალობა, ანომალია ან სულაც, ავადმყოფობა ჰგონიათ. მოკლედ, ამქვეყნად რამდენი ადამიანიცაა, ამ საკითხზე იმდენი აზრი არსებობს.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ტვინის ინსტიტუტის დირექტორის, სვიატოსლავ მედვედევის აზრით, უჩვეულო უნარების ქონა დაავადებაა, გენიოსი კი ავადმყოფი და ნორმიდან გადახრილი ადამიანია. „იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რატომაა, რომ გენიალური ფიზიკოსები და მათემატიკოსები დიდ აღმოჩენებს, ძირითადად, 35 წლის ასაკამდე აკეთებენ? — სვამს კითხვას მეცნიერი. — არსებობს ჰიპოთეზა, რომ ადამიანის ტვინში წლების მანძილზე ჩამოყალიბებული „შეცდომების დეტექტორი" მუშაობს, რომელიც უკვე ცნობილი წარმოდგენების ფარგლებს გარეთ გასვლას კრძალავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანს ყოველდღე, ხელახლა მოუწევდა საკუთარ შეცდომებზე სწავლა. დეტექტორი კი გამოცდილებას იმახსოვრებს და მრავალი მოქმედების ავტომატურად შესრულების საშუალებას იძლევა. ასე რომ, როგორც კი საკუთარი გამოცდილების ფარგლებს ვცილდებით და რაღაც ახლის მოფიქრებას ვიწყებთ, ტვინი იძლევა ბრძანებას: „შეუძლებელია!"


მანდელშტამი

თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ აღარც იმის ახსნა გაგვიჭირდება, რატომ ამბობენ, — ყველა ბავშვი გენიოსიაო. „იმიტომ, რომ მათ არც გამოცდილება აქვთ და არც ცოდნა, — განმარტავს მეცნიერი. — როცა ადამიანს გარკვეული ცოდნა უგროვდება, აკრძალვები კი ჯერ დოგმად არ ჰქცევია, სწორედ ამ დროს შეუძლია დიდი აღმოჩენების გაკეთება. ასაკის მატებასთან ერთად, „შეუძლებლის" გამოცდილება მხოლოდ მრავლდება და გროვდება, „გარღვევა" კი სულ უფრო იშვიათად ხდება".

ცნობილია, რომ გენიოსები დიდხანს ვერ ცოცხლობენ. მედვედევის აზრით, ამის მიზეზი გენიოსის ტვინისა და საერთოდ, მთელი ორგანიზმის ე.წ. „უშტატო" რეჟიმში მუშაობა, მუდმივად „აკრძალულ" ზონაში „სიარულია"...

XIX საუკუნეში მოღვაწე ფსიქიატრმა — ჩეზარე ლომბროზომ თავის სახელგანთქმულ წიგნში — „გენიალობა და შეშლილობა" — დიდი ადამიანების „უცნაურობების" მთელი გალერეა შეკრიბა. ამ წიგნის გარშემო კამათი დღემდე არ შეწყვეტილა.

გასული საუკუნის ოციან წლებში დოქტორმა სეგალინმა ბევრი დიდი ადამიანის, მათ შორის, გოეთეს, ბაირონის, ბალზაკის, შუმანის, ბახის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის წინაპრების გენეალოგიური შტო და ავადმყოფობები გამოიკვლია. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შედგენილი გენიოსთა სიაც და გამოტანილი დასკვნებიც საკმაოდ შთამბეჭდავია, ბევრი სპეციალისტი მათ მაინც, სკეპტიკურად უყურებს. ყოველ შემთხვევაში, გენიალობასა და ფსიქიკურ აშლილობებს შორის პირდაპირ და მით უმეტეს, საფუძვლიან კავშირს ვერ ხედავენ.

„აზრი, რომ ყველა გენიოსს აუცილებლად, ფსიქიკური გადახრა უნდა ჰქონდეს, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია, — აცხადებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იური პოლიშჩუკი. — რა თქმა უნდა, ძნელი არაა იმ დიდი ადამიანების ჩამოთვლა, ვისაც ასეთი პრობლემები ჰქონდა, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავია ანომალიების არმქონე გენიოსების — შოპენი, რახმანინოვი, დიუმა, ჩეხოვი და ა.შ. — სიაც. უცნაურობები (მაგალითად, ზღვარგადასული ეჭვიანობა, ემოციური გაუწონასწორებლობა, ისტერიკულობა და ა.შ.) საერთოდ, ბევრ ადამიანს სჩვევია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ფსიქიკურად არიან დაავადებულნი. თუმცა, ძალიან დიდი სურვილის შემთხვევაში, ხასიათის ამ თავისებურებების


ბეთჰოვენი

წინასწარ განსაზღვრულ სქემაში მოქცევა და ამ გზით დიდი ადამიანისთვის ფსიქოტიზმის მიწებება მაინც შეიძლება — სწორედ ასე იქცეოდნენ ლომბროზოს მიმდევრები. მეტიც, გენიოსობის ანალიზით დაკავებული მეცნიერების ნაწილმა ფსიქიატრიის მთელი განყოფილება — პათოგრაფიაც კი შექმნეს. აი, ზოგიერთი მაგალითი მათ მიერ განხილული „გადახრილი" გენიოსების საკმაოდ შთამბეჭდავი სიიდან: ვან გოგი მიიჩნევდა, რომ ის ეშმაკს ჰყავდა შეპყრობილი; ჰოფმანს თვალთვალისა და ჰალუცინაციების მანია ჰქონდა; დოსტოევსკის ეპილეფსია სჭირდა; მანდელშტამს მძიმე ნევროზი და სუიციდის მცდელობები ჰქონდა; ფსიქიკის სერიოზული მოშლილობებით იტანჯებოდნენ შუმანი, ბეთჰოვენი, გოგოლი, რუსო, ნიცშე, ჰენდელი; ანა ახმატოვას ღია სივრცის ეშინოდა, მაიაკოვსკის კი ინფექციების, რის გამოც, სადაც უნდა წასულიყო, საპონიც თან მიჰქონდა; სკრიაბინის ყოველ შემოქმედებით შემოტევას წინ ისტერიკის შემოტევა უსწრებდა; ბერლიოზს მუსიკალური ნაწარმოებები აგდებდა ისტერიკაში; რაფაელს ყველგან მადონას სახე ელანდებოდა; მოპასანი ზოგჯერ, საკუთარ ორეულს ხედავდა; გლინკას ნერვული აშლილობა ჰქონდა, რომელსაც ხშირად, ჰალუცინაციაც ერთვოდა; პუშკინი ხასიათის მკვეთრი არამდგრადობითა და განწყობილების ცვლით გამოირჩეოდა — ლომბროზო ამ ყველაფერს გენიოსების განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევდა, ჩემი აზრით კი გენიოსობა მხოლოდ ნორმის უკიდურესი გამოვლინებაა და ეს განსაკუთრებით, ემოციურობით გამორჩეულ მუსიკოსებს, მხატვრებს ეხება. ძალიან ფაქიზი ფსიქიკის

გამო, მათ ბევრი „სუსტი“ ადგილი აქვთ“...

ამჟამად, გენიოსების საიდუმლოს ძიება სხვა დონეზეა — სუპერტექნიკასთან დამეგობრებულ მეცნიერებს პირდაპირ ტვინში ჩახედვა და იმის დანახვაც შეუძლიათ, თუ როგორ წყვეტს ის რთულ ამოცანებს. თუმცა, საბოლოო დასკვნების გამოტანისგან მკვლევრები მაინც, თავს იკავებენ. დღეს მეცნიერები მხოლოდ იმ საკითხში არიან ერთსულოვნები, რომ გენეტიკოსების დახმარების გარეშე გენიალობის საიდუმლოს ამოხსნა ძალზე გაჭირდება ანუ აუცილებელია იმის გაგება, თუ როგორ ყალიბდებოდა ტვინი, მის რომელ ზონაზე აგებს პასუხს ესა თუ ის გენი და ა.შ. მკვლევართა უმეტესობის აზრით, გენიალობას ერთი ან ორი კი არა, გენების მთელი „ანსამბლი“ მართავს, რომელთა გაშიფვრაც ურთულესი და შეიძლება, ათწლეულებზე გაწელილი პროცესიც კი აღმოჩნდეს...

რაც შეეხება გენიოსთა მრავალ უცნაურობათაგან ერთ-ერთს — ყოველივე მატერიალურზე მაღლა დგომას, ამის ასახსნელად ალბათ, ალექსანდრე მაკედონელისა და დიოგენეს შეხვედრის ისტორიაც კმარა. მაკედონელი ფილოსოფოსს მაშინ ესტუმრა, როცა ეს უკანასკნელი მზეს ეფიცხებოდა. მეფე მას მიუახლოვდა, გაესაუბრა და უთხრა:



ნიცშე

„შენი ტვინი აღმაფრთოვანებს. მთხოვე, რაც გინდა“. სასახლე, გემი, ფული სთხოვეო, — ეჩურჩულებოდნენ დიოგენეს მეფის ხელგაშლილობით წაქეზებული მისი მხლებლები. დიოგენემ კი მაკედონელს ასე უპასუხა: „გაიწიე, მზეს მიჩრდილავ“... „დიოგენობას ვინდომებდი, მაკედონელი რომ არ ვიყო!“ — წამოიძახა კიდევ მეტად აღფრთოვანებულმა მსოფლიოს გამგებელმა... ■

*მოამზადა*
*რუსუდან ლებანიძემ*

*რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა*

# როგორ დავამარცხოთ უძილობა და გადამეტებული ძილიანობა

**ძილი ორგანიზმის სასიცოცხლო (კვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი) მოთხოვნილებაა, ამ დროს ადამიანი ენერგეტიკული რესურსების აღდგენას ახდენს. ძილის დარღვევა, იქნება ეს უძილობა თუ პირიქით, ჭარბი ძილიანობა, ადამიანს პრობლემებს უქმნის როგორც ჯანმრთელობის, ისე სოციალური თვალსაზრისითაც — გამოუძინებელი ადამიანი სახიფათოა საჭესთან, ის ვერ შეასრულებს საპასუხისმგებლო საქმეს...**

## ძილის მეცნიერული საფუძვლები

კაცობრიობას ძილისა და სიზმრებისადმი ინტერესი ოდითგანვე ჰქონდა, მაგრამ მისი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყო. როდესაც ძილზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ავსტრიელი ფსიქიატრის, ზიგმუნდ ფროიდის თეორიები. იგი მიიჩნევდა, რომ ნევროზულობა ადამიანში მის სურვილსა და მენტალიტეტს შორის არსებული კონფლიქტითაა გამოწვეული. მაგალითად, როდესაც ადამიანს რაიმე სურს, მაგრამ საკუთარ თავს ამის გაკეთების უფლებას ვერ აძლევს, იგი იძაბება და ნევროზამდე მიდის. ფროიდის წარმოდგენით, ძილის დანიშნულება სწორედ ამ კონფლიქტის მოგვარებაა — ძილში ე.წ. სუპერეგოს (სოციალური გარემოს) ცენზურა შესუსტებულია და ცხადში აუხდენელი სურვილის რაიმე ფორმით რეალიზება ხდება.

თანამედროვე გაგებით, ძილის დანიშნულება ორგანიზმის ენერგეტიკული რესურსების აღდგენაა. ადრე მეცნიერებს ძილი ერთგვაროვანი პროცესის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი ანუ ისინი მიიჩნევდნენ, რომ ძილის დროს ყველა ორგანო და სისტემა „მსუბუქ რეჟიმში“ მუშაობს, მათ დასვენების საშუალება ეძლევა — ეს ნაწილობრივ, მართალიცაა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ძილს აქვს ნელი და სწრაფი ფაზა: ნელ ფაზაში ორგანოების მუშაობა შესუსტებულია და შესაბამისად, სუნთქვის სიხშირე, პულსი და წნევა შემცირებულია; ე.წ. სწრაფი ძილის დროს, როდესაც ჩვენ ვხედავთ სიზმრებს, ორგანიზმი დატვირთულია. სიზმრების შინაარსით აიხსნება ორგანოთა დაძაბულობის ხარისხი, რადგან ამ სიზმრებზე ორგანიზმი ქვეცნობიერად რეაგირებს და შეიძლება, დიდ ცვლილებებს ჰქონდეს ადგილი: სუნთქვის გახშირება, წნევის მატება, ჭარბი ოფლიანობა, სექსუალური აღგზნება და სხვა.

## ძილის ხანგრძლივობა

ძილის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია. ბავშვებში მისი ლატენტური პერიოდი მოკლეა და სწორედ ამიტომაა, რომ პატარები სწრაფად იძინებენ. ასაკის მატებასთან ერთად, ძილის ლატენტური პერიოდი მატულობს და სწორედ ამით აიხსნება, რომ მოხუცს დაძინება უჭირს.

ტვინში არსებობს გარკვეული სტრუქტურები, რომლებიც ძილ-ღვიძილის ციკლის სწორ მოქმედებას უზრუნველყოფს.

ძილის დარღვევა შეიძლება, სამ დიდ კატეგორიად დავყოთ:

* ინსნომია (უძილობა);
* ჰიპერსნომია — გახანგრძლივებული ძილი (ნარკოლეპსია, პიკვიკის სინდრომი, კლეინ-ლევინის სინდრომი და სხვა);
* პარასნომია — ძილის პერიოდში ნორმიდან გადახრა (მაგალითად, ღამის ენურეზი ანუ ძილში უნებლიე შარდვა, სომნაბულიზმი ანუ მთვარეულობა, ძილში ლაპარაკი, ძილის კოშმარები, აპნოე ანუ ძილში სუნთქვის შეჩერება და სხვა).

ძილის დარღვევის კვლევის ძირითად მეთოდს პოლისომნოგრაფია წარმოადგენს — ამის საშუალებით ადამიანის ჰიპნოგრამის (ძილის სტრუქტურის) დადგენა ხდება.

## უძილობა

უძილობა შეიძლება, დაკავშირებული იყოს გარემო ფაქტორთან, ავადმყოფის ორგანიზმის თავისებურებასთან და მისი ცხოვრების წესთანაც — ნებისმიერ ფაქტორთან, რომელიც ჰუმორალურ რეგულაციას დაარღვევს, ან უშუალოდ, იმ სტრუქტურებს დააზიანებს, რომელსაც ძილის ორგანიზაცია აკისრია. უძილობას იწვევს:

* ამინდის ცვალებადობა, გადამეტებული ხმაური, ოთახში უჰაერობა, ცუდი საწოლი, არასასიამოვნო გარემო საძინებელში;
* ძილის წინ კოფეინის შემცველი პროდუქტის (ჩაი, ყავა, შოკოლადი და სხვა) მიღება;
* ძილის წინ მაღალკალორიული საკვების მიღება;
* დღის განმავლობაში არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა;
* ცხოვრების ჩვეული წესის შეცვლა (მაგალითად, სამუშაოდ ღამის ცვლაში გადასვლა, დროის სარტყლის შეცვლა);
* სტრესი და ემოციური გადაძაბვა;

* დეპრესიულობა და ნევროზი;
* სომატური ან ენდოკრინული პათოლოგია, რომელიც ნორმალურ ჰომეოსტაზსს ცვლის;
* მოხუცებულთა ასაკი;
* ტკივილი;
* რომელიმე წამლის გვერდითი ეფექტი.

ზოგიერთი მეცნიერი უძილობას სამ კატეგორიად ყოფს: პრესომნია, ინტრასომნია და პოსტოსომნია.

* პრესომნიის ანუ ჩაძინების გაძნელების უპირველესი მიზეზია შფოთვა ან ტკივილი;
* ინტრასომნიის დროს პაციენტები აღნიშნავენ, რომ იოლად იძინებენ, მაგრამ მალევე ელვიძებათ და შემდეგ, ხელახლა დაძინება უჭირთ — ამის მიზეზი შეიძლება იყოს გარემო პირობები ან ფიზიოლოგიური მოთხოვნილება (მაგალითად, შარდის ბუშტის გადავსება);
* პოსტსომნიურ (ძილის შემდგომ) მდგომარეობას მიეკუთვნება გამოღვიძების შემდეგ ასთენია, ცუდი გუნებაგანწყობილება, ძალის დაქვეითება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ისეთი დაავადება, როგორიცაა: ნევროზი, ფსიქიკური დაავადება, ეპილეფსიური გულყრა თავად ხდება უძილობის მიზეზი, ზოგჯერ კი პირიქით, მათ უძილობა განაპირობებს.

### როგორ მოვიქცეთ უძილობის დროს

თუ უძილობა განპირობებულია რაიმე დაავადებით, მაშინ მასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება ამ დაავადების მკურნალობაა. სამკურნალო საშუალებების, მათ შორის, საძილე პრეპარატების შერჩევა და დანიშვნა აუცილებლად, ექიმის მიერ უნდა მოხდეს, რადგანაც ეს პრეპარატები შეჩვევას იწვევს და გვერდითი ეფექტებიც აქვს.

სამკურნალო საშუალებებით მკურნალობის დაწყებამდე, პაციენტმა უნდა შეიცვალოს ცხოვრების წესი და კვება. კერძოდ, კარგი იქნება კვების რაციონში ცილების, მცენარეული ცხიმის, საკვები ბოჭკოების (მარცვლეული, ახალი ბოსტნეული), ვიტამინებისა და მიკროელემენტების ჩართვა. აუცილებელია დასვენებისა და მუშაობის ჰარმონიული შეთავსება, ძილის წინ გადამეტებული გონებრივი მუშაობისგან თავის შეკავება (ეს ტვინს აღაგზნებს).

ძალიან ხშირად გვხვდება უძილობა ჩვილ ბავშვებში, რაც ძირითადად, მუცლის ტკივილით ან აღზრდაში დაშვებული შეცდომებითაა განპირობებული. ბოლო შემთხვევაში რეკომენდებულია: ბავშვის რწევით დაძინების გადაჩვევა, საძინებელი ოთახის კარგად განიავება, ძილის წინ თამაშისგან თავის შეკავება, თბილი აბაზანის მიღება.

### ძილიანობა

ჰიპერსნომიის — ძილის პათოლოგიურად გახანგრძლივების მიზეზი მრავალფეროვანია. არსებობს ფსიქოფიზიოლოგიური ჰიპერსნომია, ნარკოლეპსია, იდიოპათური ჰიპერსნომია, ნევროლოგიური დარღვევა და ტრავმის შემდგომი ჰიპერსნომია, წამლისმიერი და ცირკოიდული რიტმის დარღვევით გამწვეული ან სხვადასხვა სომატური, ნერვული და ფსიქიური დაავადებით განპირობებული.



დღის განმავლობაში ძილიანობა შეიძლება, პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანსაც აღენიშნებოდეს. დღისით ძილიანობის მიზეზი შეიძლება, სტრესი გახდეს. ამ დროს სპეციფიკური მკურნალობა საჭირო არ არის. უბრალოდ, საკმარისია, ადამიანს შეექმნას კომფორტული პირობები ძილისათვის.

ჰიპერსნომიის ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ყველაზე საყურადღებო ნარკოლეპსიაა. ის მეტწილად, მამაკაცებში გვხვდება და შესაძლოა, ამის მიზეზი გენეტიკური პათოლოგიები გახდეს.

ნარკოლეპსიას ახასიათებს:

1. დღის განმავლობაში „იმპერატიული" ძილიანობა — ადამიანი ძილს ვერ უმკლავდება და შეიძლება ნებისმიერ, მეტად შეუსაბამო პირობებშიც ჩაეძინოს (მაგალითად: ტრანსპორტში, სამუშაოზე, საჭესთან). ასე რომ, დღის „იმპერატიულ" ძილიანობას, სოციალური მნიშვნელობაც აქვს, განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომელთა სამუშაოც დიდ ყურადღებას მოითხოვს. ასეთი ძილიანობა შეიძლება, დღეში რამდენჯერმე გამოვლინდეს და 1-2 წამიდან რამდენიმე წუთს გაგრძელდეს.

2. ღამის ძილის დარღვევა ნარკოლეპსიის საკმაოდ ხშირი გამოვლინებაა. ავადმყოფს ხშირად ელვიძება, აქვს უხარისხო ძილი და შესაბამისად, დილით გამოუძინებლობის შეგრძნება აწუხებს.

3. ჰალუცინაციები — იგი ჩაძინების წინ ან გამოღვიძების მომენტში ვითარდება.

4. კატაპლექსიის შეტევები — კატაპლექსია კუნთების ატონიაა, რომელიც ძლიერი დადებითი ემოციების ან შედარებით იშვიათად, უარყოფითი ემოციების ფონზე ვითარდება (სიცილი, გაოცება, ზოგჯერ ტირილი, სიბრაზე). ნარკოლეპსიის დროს წაქცევამ შეიძლება, მოტეხილობაც კი გამოიწვიოს. კატაპლექსიის შეტევა შესაძლოა, რამდენიმე წამიდან 30 წუთამდე გაგრძელდეს, რაც დღის განმავლობაში „იმპერატიული" ძილის ხანგრძლივობას შეესაბამება.

5. გამოღვიძების კატაპლექსია არის მდგომარეობა, როცა გამოღვიძებული და ნათელი გონების პაციენტი მის ირგვლივ არსებულ სიტუაციას ადეკვატურად კი აფასებს, მაგრამ მიზანდასახული მოქმედება არ შეუძლია.

ამ ნიშნების ერთობლიობას „ნარკოლეპრიკური პენტადა" ჰქვია. ნარკოლეპსია შესაძლოა, ერთი სიმპტომითაც გამოვლინდეს. მონოსიმპტომური ნარკოლეპსია დროთა განმავლობაში იცვლება და სხვა სიმპტომიც ემატება. მისი მკურნალობა რთულია, მაგრამ — შესაძლებელი და ძირითადად, სიმპტომურ მკურნალობას გულისხმობს. მედიკამენტებიდან გამოიყენება ანტიდეპრესანტები და მასტიმულირებელი საშუალებები, მაგრამ მათი დოზის ინდივიდუალური შერჩევაა საჭირო. ნერკოლეპსიის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ავადმყოფი ერთსა და იმავე დროს იძინებდეს, ღამის განმავლობაში 9 საათს მაინც ეძინოს.

* იდიოპათური ჰიპერსნომია საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში ვითარდება (15-დან 30 წელი) და დღის ძილიანობით, გამოუძინებლობის შეგრძნებით ვლინდება. იდიოპათურ ჰიპერსნომიას არა აქვს „იმპერატიული" ხასიათი და დღის ძილიანობა ღამის ძილის ხანგრძლივობასთან არ არის დაკავშირებული. ასეთ პაციენტებს დილით გამოღვიძება უჭირთ. დღის განმავლობაში ხანმოკლე ჩაძინებები დროებით კი აფხიზლებს ადამიანს, მაგრამ ამით პრობლემის სრული მოხსნა არ ხერხდება.
* აღსანიშნავია დღის განმავლობაში ძილიანობა პიკვიკის სინდრომის დროს (სიმსუქნესთან დაკავშირებული ჰიპოვენტილაციის სინდრომი).
* ჰიპერსნომიური მდგომარეობა ხშირად აღმოცენდება ნერვული პათოლოგიების დროს. მაგალითად, ცნობილია ისტერიის დროს ძილიანობა, რომელიც ზოგჯერ, რამდენიმე დღესაც კი გრძელდება.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.


ახალი ნომერი
ოჯახის მკურნალი
ჩვენს ექიმთან მისვლა...

# ადამიანი





# მრავალშვილიანი ქართული ოჯახი ლონდონში

## „სამშობლო ერთადერთია, მაგრამ ზოგჯერ ჯობს, შორიდან გიყვარდეს“...

**დინა, ანა, ისააკი, იოანა და ელისი — ამ პატარებს სამშობლოზე ცოტა რამ თუ სმენიათ. მათ ბავშვურ ცნობიერებაში საქართველო ძალიან ლამაზი და თბილი ქვეყანაა, სადაც კეთილი და მუდამ მოღიმარი ადამიანები ცხოვრობენ, სადაც ბოროტზე კეთილი იმარჯვებს, — ისევე, როგორც მშობლების მიერ მოყოლილ ქართულ ზღაპრებში... მაგრამ სინამდვილე, რომლის გამოც მათმა მშობლებმა სამშობლო დატოვეს, სრულიად სხვაგვარია...**

*ლალი პაპასკირი*

*1990-იან წლებში და მას შემდეგაც, საქართველოდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მილიონზე მეტი ქართველი წავიდა, თითქმის ყველა ერთი მიზეზით — გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობის გამო. ზოგმა დღეს უკვე უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, ზოგი კი რისკის ფასად, დღემდე არალეგალის სტატუსს სჯერდება...*

*დიმა წითაშვილი უკვე წლებია, ლონდონში ცხოვრობს და ქართველ არალეგალს ადგილობრივი ხელისუფლებისგან პრობლემები არც ერთხელ არ შეჰქმნია, პირიქით — წითაშვილების მრავალშვილიან ოჯახს ყველანაირად უმართავენ ხელს... მისი თავგადასავლის მოსმენა ძნელი იყო. ჩვენი რესპონდენტი საქართველოში დაბრუნებას მაშინ აპირებს, როცა სხვებისგან დაუხმარებლად შეძლებს ოჯახის რჩენას, მანამდე კი — „იძულებული ვარ, სამშობლო შორიდან მიყვარდეს“... — მითხრა ახალგაზრდა ქართველმა, რომელსაც ლონდონში ტელეფონით დავუკავშირდი.*

— უფროსი გოგონა — დინა, 9 წლის არის და მშობლიურ ენაზე გამართულად ლაპარაკობს. ქართულად ლაპარაკი არ უჭირს მომდევნოსაც. და-ძმა ერთმანეთს ქართულად ელაპარაკება, რაც ჩვენთვის, მშობლებისთვის დიდი ბედნიერებაა... პატარები კი ეზოში მოთამაშე თანატოლ ქერა ინგლისელებთან ერთად, ზოგჯერ ქართულ სიტყვებსაც გაურევენ ხოლმე. ლონდონის ერთ მშვიდ და ლამაზ უბანში ჩემი ქართველი მეგობრებიც ცხოვრობენ და როცა სასეირნოდ ერთად მივდივართ, ერთი „პატარა საქართველო“ ვიკრიბებით... ყველა რელიგიურ თუ ქართულ ეროვნულ დღესასწაულს აღვნიშნავთ. შეძლებისდაგვარად, ვამზადებთ კერძებს და ქართულ სუფრას ვშლით და ეს კი ყველანაირ დასვენებასა და გართობაზე ძვირფასია ჩვენთვის... ჯერჯერობით სამსახურის გარეშე ვარ, ოჯახის შენახვაში სახელმწიფო მეხმარება. ამჟამად ინგლისურ ენას კემბრიჯის კოლეჯში ვსწავლობ, საგაისოდ უკვე პროფესიას ავირჩევ და სწავლას გავაგრძელებ. დანარჩენს ღმერთი წყვეტს და მწამს — ის არასდროს მიმატოვებს. რომ არა ღვთის წყალობა, არ ვიცი, ახლა სად ვიქნებოდი და საერთოდ, ცოცხალი ვიქნებოდი თუ — არა...

— **ვიცი, რომ ინგლისში გამგზავრებამდე საკმაოდ მძიმე ცხოვრება გქონდათ, მაგრამ მაინც მინდა, თქვენგან მოვისმინო — რამ გადაგაწყვეტინათ სამშობლოდან წასვლა?**

— იცით, როცა ჩემ მიერ განვლილ გზაზე ვფიქრობ, მგონია, რომ ეს ყველაფერი ერთი გრძელი და საშინელი სიზმარი იყო. სამშობლოში ყოფნისას, ჯოჯოხეთური წლები გამოვიარე. ისე არ გამიგოთ, თითქოს შრომა მეზარებოდა ან ვინმეს რაიმეს ვამადლი, პირიქით — ყველაფერი ვცადე (ქურდობის გარდა, რაც არ შემეძლო და ვერასდროს შევძლებდი), ერთდროულად 3 ადგილას ვმუშაობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა, მაგრამ ჩემი ცხოვრება არა და არ იცვლებოდა... სკოლა რომ დავამთავრე, ატესტატი ვერ ავიღე, იმიტომ, რომ ის მიზერული თანხაც არ მქონდა, რომელიც ამ დოკუმენტისთვის უნდა გადამეხადა. არადა, საკმაოდ ნიჭიერი მოსწავლე ვიყავი და სწავლის გაგრძელებასაც ვაპირებდი, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ მივხვდი, რომ ამისთვის მხოლოდ ნიჭი და სურვილი არ კმაროდა. სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ ფულის გარეშე ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცეოდა და ასეც მოხდა... შემდეგ, ჩვენს ქალაქში კახეთიდან სტუმრად ჩამოსული გოგონა გავიცანი და ძალიან შემიყვარდა. რამდენიმე დღე თავდაუზოგავად ვშრომობდი, როგორმე ცისანას (ასე ჰქვია ჩემს მეუღლეს) სანახავად, თვეში ერთხელ კახეთში რომ ჩავსულიყავი. ერთ დღესაც მივხვდით, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვეძლო და უმძიმესი გაჭირვების მიუხედავად, დავქორწინდით. მახსოვს, მეზობელმა რომ მომილოცა, დააყოლა, — გილოცავ გაბედნიერებას, ამას თუ გაბედნიერება ჰქვიაო... ჩემს ოჯახს ისედაც ძალიან უჭირდა და არ მინდოდა, მე და ჩემი მეუღლე მშობლების კისერზე ვყოფილიყავით, ამიტომ საცხოვრებლად ზუგდიდთან ახლოს მდებარე დაბა ჯვარში გადავედით, სადაც 2 წელი გავძელით. იქ ერთ-ერთ დაწესებულებაში ელექტროშემდუღებლად დავიწყე მუშაობა. მე და ჩემმა მეუღლემ ცხოვ-

რება ნულიდან დავიწყეთ. ბევრი ისეთი წვრილმანი მახსენდება, რომლის მოყოლაც კი არ მინდა... მაგრამ მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომელიც ყველა ქართველს ცუდად ახსენდება. თუმცა ვფიქრობ, რომ ოჯახის შექმნა მაინც ნაადრევად გადავწყვიტე. თან, დამოუკიდებლად შევეჭიდე მისი რჩენის ტვირთს, რადგან არც ჩემს მშობლებს ულხინდათ და ამიტომაც, ნებისმიერი დღე ძალიან მძიმედ მახსენდება... 2 წლის შემდეგ ისევ ზუგდიდში დავბრუნდი და თონეში დავიწყე მუშაობა.

**— პურის ცხობა იცოდით?**

— არა, საიდან?! ცხოვრებაში ცომში ხელი არასდროს ჩამიყვია. მანამდე დავდიოდი და სხვადასხვა საცხობში ჩუმად ვიჭყიტებოდი, რომ მენახა, თუ როგორ მუშაობდნენ მცხობელები. როცა ჩემი თანატოლები სასწავლებლად ინსტიტუტებში მიდიოდნენ, მათ თონის სარკმლიდან ვუყურებდი და სინანულით ვფიქრობდი, სტუდენტობა არასდროს მეღირსება-მეთქი... წარმოუდგენლად მძიმე პირობებში გვიწევდა მუშაობა, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა?! დღის ბოლოს 5 ლარს თუ მომცემდნენ, სახლში სიამაყისგან თავაწეული ვბრუნდებოდი და ჯამაგირს ჩემს მეუღლეს გახარებული ვაძლევდი. ასეთ პირობებში შეგვეძინა პირველი შვილი. შემდეგ გავიგე, რომ ფოთში უფრო მეტი სამუშაო ადგილი იყო და საცხოვრებლად იქ გადავედით. ბინა ვიქირავეთ. სახლიდან დილის 4 საათზე გავდიოდი, გემს რომ დავხვედროდი და თევზი დამეტვირთა. იქ უამრავი, ჩემსავით გაჭირვებული ადამიანი იყო. მთელი დღე შეუსვენებლად ვმუშაობდით. შემოსავალი იმდენად მიზერული იყო, რომ ბინის ქირას ძლივს ვისტუმრებდი და სახლში პურის მიტანას ძლივს ვახერხებდი... ეს ჯოჯოხეთი რამდენიმე წელი გაგრძელდა. შემდეგ ერთი ჩემი მეგობარი მხსნელად მომევლინა და ინგლისში წასვლა შემომთავაზა. ის უკვე ლონდონში ცხოვრობდა და მითხრა, ყველაფრით დაგეხმარებიო.

**— ეს ალბათ საკმაო ხარჯებთან იყო დაკავშირებული...**

— დიახ, მაგრამ მაშინ უკვე 3 შვილი მყავდა და არც კი დავფიქრებულვარ, მის შემოთავაზებას ისე დავთანხმდი... ზოგი ჩემს მრავალშვილიანობას ცოდვად მიიჩნევდა, მაგრამ მე და ჩემი მეუღლე ყველა გასაჭირს უფლის რწმენითა და სიყვარულით ვუძლებდით... მცირედი შემოსავლის გამო, შვილები თითქმის მშივრები მყავდნენ და მათი კეთილდღეობისთვის სამშობლოს კი არა, დედამიწას დავტოვებდი... სწორედ ასეთი პირობების გამო, ინგლისში წასვლა ჩემთვისაც და სხვებისთვისაც წარმოუდგენელი იყო. მეგონა, ეს მცდელობაც უშედეგოდ ჩაივლიდა და ამ ოცნებას ვერასდროს ავიხდენდი, მით უმეტეს, რომ მარტო კი არა, ოჯახთან ერთად ვაპირებდი წასვლას. სხვა გზა არ მქონდა, — ცოლ-შვილი ვისთვის დამეტოვებინა?! სახლიდან ისე წამოვედი, მშობლებს არც დავემშვიდობებივარ: მინდოდა, ჩემი ნახვის იმედი ისევ ჰქონოდათ და გარდა ამისა, თუ ვერ წავიდოდი, მათ წინაშე თავის მართლებაც არ მინდოდა, — რა მიზეზით ვერ წავედი, როგორ უნდა გავაგრძელო ცხოვრება... მადლობა ღმერთს, გამიმართლა! მშობლები დღემდე ვერ ეგუებიან ჩემს გადაწყვეტილებას, მაგრამ უფალმა იცის, რომ სხვა გზა არ მქონდა, უკვე სიგიჟის ზღვარზე ვიყავი და ჩემი მშიერი ცოლ-შვილის თვალების დანახვა აღარ შემეძლო... ეს ყველაფერი თავის მართლებასავით გამომდის, მაგრამ ერთი რამ მინდა, გულწრფელად გითხრათ: ჩემს ქვეყანასა და ქალაქში მხრებში გამართული ერთი დღეც არ მივლია... მოკლედ, ქვეყანა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ტანჯვის ადგილად მექცა. ახლო ნათესავების გარდა, ჩემი სტუმრობა არავის უხაროდა, ყველას ეგონა, რომ მათთან ფულის სასესხებლად მივდიოდი; დამინახავდნენ თუ არა, სახე ეცვლებოდათ, — მათ ცნობიერებაში, ვიყავი ადამიანი, რომელსაც მუდმივად დახმარება სჭირდებოდა და თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მთელი ცხოვრება ასე, სხვის სამადლოდ ვიცხოვრებდი. ბოლო დროს, ჩემთვის ფულის სესხებას ახლობლებიც ერიდებოდნენ, ეშინოდათ, ვერ დაგვიბრუნებსო... არც ტყუოდნენ — ასეთი შემთხვევაც ყოფილა, მაგრამ ინგლისში რომ ჩამოვედი, რამდენიმე ადამიანის ვალი მქონდა და შემდეგ, ბოდიშის ნიშნად, ორმაგი თანხა გავუგზავნე. უფულობა მბოჭავდა, თორემ თავხედი და უპასუხისმგებლო არასდროს ვყოფილვარ...

**— ინგლისში ჩასვლის შემდეგ თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა?**

— დიახ, რამდენიმე დღეში ყველაფერი შეიცვალა... არადა, აქ რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი, ნეტავ, რა მელოდება წინ?! ამ წვრილშვილით რომ მოვდივარ, ვაითუ, არ მიმიღოს უცხო ქვეყანამ-მეთქი და იმის გაფიქრებაც არ მინდოდა, — იქნებ, უკან დაბრუნებამ მომიწიოს-მეთქი... აქ ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ არსებობის უფლება მაქვს. ლონდონში დავინახე, რომ ადამიანი და შვილების მამა ვარ და არა საშოვარზე „გადაგდებული" არსება, რომელიც მუდმივად „გროშების" მოგროვებაზე ფიქრობს... ბავშვებიც მიხვდნენ, რომ ჰყავდათ მამა, რომელსაც ისინი უყვარდა და მათთან ურთიერთობა შეეძლო. ხვალინდელი დღის გათენება არ მაშინებდა. ფსიქოლოგიური სტრესი მომეხსნა: რამე რომ დამემართოს, ჩემს შვილებს რა ეშველებათ-მეთქი?!. აქ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, როცა შუაღამეს სახლში დაბრუნებულს, შვილების გაღვიძება არ მომიწევდა იმის გამო, რომ ვიცოდი — ჩემს მეუღლეს ისინი მშივრები ჰყავდა დაძინებული...

**— და მაინც, ალბათ უცხო ქვეყანაში, არალეგალს თავის დამკვიდრება გაგიჭირდათ...**

— ლონდონში ჩამოსულს, აქაური მეგობრები და სრულიად უცნობი ქართველები მეხმარებოდნენ. არ ვიცი, თეთრი შური როგორია, მაგრამ აქ იმდენად აწყობილია სახელმწიფო სისტემა, რომ ყველა წვრილმანზე ვნატრობ, — ნეტავ, ოდესმე საქართველოში თუ იქნება ესა თუ ის საკითხი ასე მოწესრიგებული-მეთქი?!. აქ ნებისმიერი ინგლისელისგან იგრძნობა, რომ თავისი ქვეყანა უყვარს და თან, ისეთ დეტალებში, რომელსაც საქართველოში ყურადღებასაც არავინ აქცევს...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, სანამ საქართველოში ქუჩაში ნაგვის დაგდებაზე ჯარიმა არ დააწესეს, საზოგადოების წევრები ნაგავს პირდაპირ სახლის ფანჯრებიდან ყრიდნენ... აქ ასე არ არის. გარდა ამისა, ამ ქვეყანაში გაჭირვებული და უფულო ადამიანიც — ადამიანია; აქ ყველა გისმენს, პრობლემის მოგვარებაში გეხმარება, იმიტომ კი არა, რომ შენგან რაღაცას ელის, არამედ უბრალოდ, ასე მიაჩნიათ საჭიროდ. ამ ქვეყანაში საკმარისია, ადამიანი საზოგადოებისთვის მავნე არ იყოს და სახელმწიფო მას მშვიდი ცხოვრებისთვის ნორმალურ პირობებს შეუქმნის... თუ გენდობიან, გეხმარებიან იმაში, რომ ადამიანურად იცხოვრო. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან: ჩემი უფროსი გოგონა — დინა სკოლაში 5 საუკეთესო მოსწავლეს შორის მოხვდა; სკოლის ხელმძღვანელობამ „საპატიო მშობლის" სტატუსი მომანიჭა და წერილობითი მადლობა გამომიგზავნა. შესაძლოა, ეს ჩვენში ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ აქ ძალიან დიდი პრივილეგიაა.

**— დიმა, როგორ იტანდნენ გაჭირვებას მეუღლე და პატარები?**

— როგორც გითხარით, 3 გოგონა და 2 ბიჭი გვყავს. უფროსი — დინა 9 წლის არის, შემდეგ — ანა, ისააკი, იოანა და ელისი მოდიან. ახლა



**მათ გარშემო სხვა სამყაროა და მათთვის ქართული ადათ-წესების ჩანერგვა ცოტა ძნელია**

მეექვსე შვილს ველოდებით; მისი სქესი ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს — მთავარია, ჯანმრთელი დაიბადოს... და კიდევ — რადგან ოჯახზე მკითხეთ, ეს ალბათ ძალიან პირადულია, მაგრამ მაინც გეტყვით, — ისეთი მეუღლე რომ არ შემხვედროდა, როგორიც ცისანაა, ამდენს ალბათ ვერ გადავიტანდი. ზოგჯერ მეც მიკვირს — როგორ იტანდა და უძლებდა ასეთ გასაჭირს?! ერთი საყვედურიც არ დასცდენია. პირიქით, ჩემზე ყოჩაღად ეჭირა თავი, სულ მამხნევებდა და მაიმედებდა, — ყველაფერი კარგად იქნებაო!.. ახლა ორივე, შვილებისთვის კარგი განათლების მიღებაზე ვოცნებობთ და გვინდა, იმდენი შვილი გვყავდეს, რამდენსაც უფალი გვაჩუქებს. აქ ადამიანებს დრო სწავლისთვისაც აქვთ, მუშაობისთვის და გართობისთვისაც, მათ შორის — ემიგრანტებსაც. თვეში ერთხელ მეგობრები ვიკრიბებით და ოჯახებთან ერთად ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად მივდივართ. ამ ქვეყანაში ასეთი ადგილი ძალიან ბევრია.

**— როგორც მითხარით, შვილებმა ქართული იციან. კიდევ რა იციან სამშობლოს შესახებ?**

— მართალი გითხრათ, ძალიან ძნელია მათთვის ქართული გარემოს შექმნა. მათ გარშემო სხვა სამყაროა და მათთვის ქართული ადათ-წესების ჩანერგვა ცოტა ძნელია, მაგრამ მაინც ვცდილობთ, რომ ისინი მშობლიურ ფესვებს არ მოსწყდნენ, — ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით ვაცნობ საქართველოს, ქართულ კულტურას, ტრადიციებს; ასევე ინტერნეტის საშუალებით ვუკითხავთ ქართულ ლიტერატურას, ზღაპრებს... მშობლები ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სამშობლოზე ბევრი რამე იცოდნენ. ძალიან უყვართ ქართული ცეკვა და სიმღერა და თავადაც ცდილობენ ცეკვას. ჩემი ძმა სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავდა და მისი მონაწილეობით გამართულ ქართული სიმღერისა და ცეკვის კონცერტებს ერთად ვუყურებთ... დინას ახსოვს საქართველო, ოღონდ მისთვის სამშობლო გაჭირვებასთან, უშუქობასა და სილატაკესთან ასოცირდება, ღიმილით ამბობს, — მახსოვს, როგორ არა?! შუქი რომ მოვიდოდა, ვმღეროდითო... ზოგჯერ ბავშვებს ისეთი კითხვები აქვთ, რაზეც პასუხის გაცემა მიჭირს და გული მწყდება — მაგალითად, როდის ნახავენ ბებიასა და ბაბუას ან სხვა ახლო ნათესავებს, რატომ არიან ისინი იქ და ჩვენ — აქ... აქაურ სკოლაში სხვანაირი პირობებია. ჩემს ბავშვობაში დედა მამეცადინებდა, აქ კი სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვს მეორე დღის გაკვეთილიც მომზადებული აქვს. როცა ინგლისელი მშობელი სამსახურიდან სახლში ბრუნდება, შეუძლია, მშვიდად დაისვენოს, — იმაზე არ ფიქრობს, რომ შვილი მეორე დღეს სკოლაში მოუმზადებელი წავა...

**— ადგილობრივ ემიგრანტებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? რამდენად დიდია ქართული დიასპორა ლონდონში და როგორ ცხოვრობს ის?**

— ჩემს მეგობრებთან მაქვს ურთიერთობა, იმ ადამიანებთან, რომლებიც აქ ვიპოვე. ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობთ და ძალიან თბილი ურთიერთობა გვაქვს, ერთი ოჯახის წევრებივით ვართ. ჩვენი შვილები ერთად იზრდებიან, ერთად თამაშობენ და ერთმანეთს ქართულად ესაუბრებიან. მშობლიური ენა ყველამ იცის, მაგრამ როცა ეზოში თამაშობენ, უფრო მეტად, ინგლისურად საუბრობენ, რადგან თუ ერთი ადგილობრივი ბავშვი გამოერია, უკვე მათ ენაზე იწყებენ ლაპარაკს. ინგლისური მათი მეორე ენაა. ქართული კი მათთვის დედასავით ტკბილია და ქართული ყველაფერი უყვართ, რადგან საქართველო ყველა ემიგრანტი ბავშვის წარმოდგენაში, ზღაპარივითაა...

**— თქვენს გეგმებზეც მითხარით: საქართველოში დაბრუნებას თუ აპირებთ და საერთოდ, რა გასწავლათ ემიგრანტულმა ცხოვრებამ?**

— პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყნის ნოსტალგიით ვცხოვრობთ. უსაზღვროდ მენატრებიან დედ-მამა და ჩემი პატარა და — მარიამი. აქ ყველა ქართველს ერთი ოცნება აქვს — ასეთივე მშვიდი და აწყობილი ცხოვრება იყოს პატარა საქართველოში, როგორიც ინგლისშია. ახლა რომ გითხრათ, ერთი სული მაქვს, ჩემს შვილებს ხელი მოვკიდო და საქართველოში წამოვასხა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. დიახ, თითქმის ყოველღამ ჩემი ქვეყნის ცა მესიზმრება, სამშობლო დედასავით ტკბილია და უფალივით — ერთადერთი, მაგრამ როცა მძიმე ყოველდღიურობას ეჯახები, ჯობს, ისევ შორიდან გიყვარდეს შენი ხალხი და ქვეყანა, ვიდრე გაჩენის დღეს იწყევლიდე... არც ისე შორეული წარსული მწარედ მახსოვს და არ მინდა, ჩემს ცხოვრებაში იგივე გამეორდეს... ოჯახის წევრებისა და ახლობლებისგან ვიცი, რომ ახლა ბევრად უკეთესი ცხოვრების პირობებია და ეს მახარებს. ■



დიმა მეუღლესთან ერთად

## თეა ხურცილავა

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟს, ცოტნე გამსახურდიას მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ ვერდიქტი გამოუტანა და ამის თაობაზე „გზის“ წინა ნომერში უკვე ვიუწყებოდით. განსასჯელი დარბაზიდან ისე სწრაფად გაიყვანეს, მისი რეაქციის ნახვა ვერავინ შეძლო. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ცოტნეს წუწუნი არ უყვარს...**

**პროცესის შემდეგ, სასამართლოს შენობიდან მანდატურებმა აღელვებული ხალხის გამოყვანა ძლივს შეძლეს: ემოციები არ ცხრებოდა, განაჩენს აპროტესტებდნენ, სასამართლოს კრიტიკა და სალანძღავი სიტყვები ისმოდა.**

**ცოტნე გამსახურდიამ ციხეში 8 წელი და 6 თვე უნდა გაატაროს. თუმცა ეს საბოლოო ვერდიქტი არ არის — უდავოა, საქმე სტრასბურგამდე წავა: ცოტნე და მისი ადვოკატები უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბრძოლას გააგრძელებენ.**

**მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილს კი წარმოებაში გამსახურდიას წინააღმდეგ აღძრული კიდევ ერთი საქმე აქვს, სადაც ჯაშუშობა და კიდევ ერთი პირის დაჭრა ედება ბრალად. პროკურატურამ ამ საქმეების გაერთიანება რატომღაც, არ ისურვა, არადა, როგორც წესი, ასეთი საქმეები ერთიანდება. საქალაქო სასამართლოში ცოტნე გამსახურდიას ამ ბრალდებებით როდის გაასამართლებენ, ეს ჯერჯერობით უცნობია. არც ამ ბრალდებებში ცნობს თავს დამნაშავედ და ბრალს შეთითხნილს უწოდებს...**

**გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ცოტნე გამსახურდიასთან.**

**— ბატონო ცოტნე, რა შეფასებას მისცემთ გამოტანილ განაჩენს?**

— რა შეფასება უნდა მივცე?! თქვენც იქ იყავით, ესწრებოდით პროცესებს და თქვენი თვალით ნახეთ: პროკურატურას არც ერთი კამათი არ მოუგია, ბრალდების „ფაბულის“ ვერც ერთი წინადადება ვერ დაადასტურეს. იქ წარმოდგენილ „დოკუმენტებს“ არათუ სასამართლო, არამედ თუ ნებისმიერი დაწესებულება ობიექტურად, სარწმუნოდ ჩათვლის, მე დღესვე ვაღიარებ ჩემთვის ინკრიმინირებულ ნებისმიერ სისულელეს. სხვა რა გითხრათ?!

**— ასეთ ვერდიქტს ელოდით?**

— საერთოდ, ვცდილობ, მომავალსა და წარსულზე არ ვიფიქრო და

# „მე აქაც თავისუფალი ვარ“

## ექსკლუზიური ინტერვიუ ცოტნე გამსახურდიასთან

ფაქტს ისე აღვიქვამ, როგორც არის. ეს რომ სასამართლოსა და პირადად მერაბ ჯორბენაძის ვერდიქტი არ იყო, მგონი, ამაზე არ შემეკამათებით.

**— დღეს მაინც შეგიძლიათ თქვათ, ვის აძლევდა ხელს თქვენი იზოლაცია?**

— როდის დამიმალავს, რომ?!. ან თქვენ ჩემამდე არ იცოდით?! მას, ვისაც მამის ძვლები არ მივყიდე „ქულების დასაწერად“ და ვინც ჩემდამი შიში და სიძულვილი დღემდე ვერ მოინელა. დამერწმუნეთ, ჩემგან ყოველგვარი განდიდების სურვილი ძალიან შორსაა, თუნდაც იმიტომ, რომ კარგად ვიცი ამაოების ფასი ამქვეყნად; მაგრამ, ხომ გახსოვთ ედმონ დანტესი? „მათ ვძულვარ, ესე იგი, ეშინიათ“...

**— სასამართლო პროცესზე აღნიშნეთ, რომ თქვენთან პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობდა — გუბერნატორობა და 2 მილიონი დოლარი შემოგთავაზეს. იქნებ დააკონკრეტოთ, რას ითხოვდნენ სანაცვლოდ და რა გარიგებაზე თქვით უარი?**

— ორ სხვადასხვა შემთხვევაზე მქონდა საუბარი. 2004 წელი იყო, ე.წ. „ნაციონალების“ ზეობის ხანა, როცა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორობა შემომთავაზეს. მაშინ უარი ვთქვი იმიტომ, რომ ჩემთვის ნათელი იყო მათი „კურსი“ და ამ ყველაფერში მონაწილეობის არავითარი სურვილი არ გამაჩნდა. მეორეც — არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ საკუთარი შეხედულება მაქვს სახელმწიფო სამსახურზე და ის ზოგადად, არ არის „ჩემი“. გთხოვთ, სწორად გამიგეთ და ანარქისტობას ნუ დამაბრალებთ. რაც შეეხება 2 მილიონ დოლარს, ეს უკვე 2007 წელს მოხდა, მამაჩემის ნეშტის გადმოსვენებისას, და სურდათ, მიხეილ სააკაშვილის უნიჭო პიარ-შოუდ მექცია ტრაგედია.

**— შეგიძლიათ, ის პიროვნებები დაასახელოთ, რომლებიც თქვენთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ?**

— ერთ-ერთი მათგანი უკვე დავასახელე. რაც შეეხება დანარჩენებს, ჩემი თქმის გარეშეც ყველა მიხვდება. გეტყვით, რომ ისინი „ნაცმოძრაობის“ უმაღლეს ეშელონს განეკუთვნებოდნენ.




**— სასამართლო პროცესზე ისიც აღნიშნეთ, რომ ყოველთვის ელოდით დაკავებას. თქვენზე მუქარა ადრეც ხომ არ ხორციელდებოდა?**

— რა თქმა უნდა, თუმცა ჩემი დამოკიდებულება მაქვს მუქარისა და შიშის მიმართ, ასე რომ, ბოლო დროს აღარ უცდიათ. ალბათ პირდაპირ მოქმედებაზე გადასვლა ამჯობინეს...

**— კიდევ ერთი ბრალდების საქმე სასამართლოშია. როგორ ფიქრობთ — რატომ არ მოხდა თქვენი საქმეების გაერთიანება?**

— იურისპრუდენციაში დილეტანტი გახლავართ, მაგრამ ელემენტარული, საღად აზროვნების უნარი, ვფიქრობ, მაქვს. ჩემი აზრით, მათ იცოდნენ, რომ საკუთარ მიზანს მიაღწევდნენ და რეჟიმისთვის უკეთესიც კი იყო, რომ კრიმინალური მუხლით წავსულიყავი ციხეში. აქ მთავარი — ჩემთვის თავისუფლების აღკვეთა იყო. შეგახსენებთ, 2008 წელს, როდესაც საქართველოში ჩამოსული დამაკავეს, ჯაშუშობის ბრალდების მოხსნას შემპირდნენ, ოღონდ შეთქმულება უნდა მეღიარებინა. შეთქმულება კი, როგორც მოგეხსენებათ, თავისთავად, არაერთ მონაწილეს გულისხმობს, ხომ ასეა? არ შეიძლება, სარკეში ჩაიხედო და საკუთარ თავს რაღაცაზე „შეუთქვა“. შემდგომ კი ამ ბრალდებით ხელისუფლება ნებისმიერი არასასურველი ადამიანის რეპრესირებას შეძლებდა. შემდგომ ამისა, ასე ვთქვათ, „საპროცესო შეთანხმებას მიკეთებდნენ“. ბუნებრივია, ჩემგან უარი მიიღეს. ამ ქალაქში კაცად მივლია და სულის გაყიდვას არც ამ შემთხვევაში ვაპირებდი. იმ წუთიდან დავიწყე მაშინ შიმშილობა და... სწორედ ამის შემდეგ დამიმატეს მრავალი წლის, ხანდაზმული, ვაკეში 1999 წელს აღძრული საქმე, სადაც, სხვათა შორის, ასევე მკვლელობის მცდელობას მდებდნენ ბრალად. თანაც, „დამიმატეს“ ყოველგვარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც ადვოკატმა ქეთი ბექაურმა საბრალდებო დოკუმენტზე ზუსტი დროის აღნიშვნით დააფიქსირა კიდეც. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თურმე 9 წელი ძებნაში ვყოფილვარ, ისე, რომ არც თავად ვიცოდი და არც შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ახლა ხვდებით მათი მეთოდის არსს? მთავარია, არასასურველი პიროვნება მოიშორონ თავიდან, თორემ საკუთრივ მეთოდს თუ მუხლს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ხოლო ის, 2007 წლის „საქმე“ კიდევ უფრო აბსურდულია, ვიდრე დღევანდელი. აბსოლუტურად ზუსტად გეუბნებით, რომ არავითარი მტკიცებულება, გარდა ყველასათვის ცნობილი ჩანაწერებისა, იქ არ არსებობს; არ არსებობს არც ერთი მოწმე... ამიტომაც გაითამაშეს ამხელა სპექტაკლი უკვე 2009 წელს.

**— ამბობთ, — ბევრი რამ ჩემმა ადვოკატებმაც არ იციანო, იქნებ ჩვენს მკითხველს უამბოთ ამ ფაქტებზე.**

— ისედაც ძალიან ბევრი რამ მოვყევი, ყველაფერს თავისი დრო აქვს...

**— სამართლიანობის იმედი საქალაქო სასამართლოში რომ არ გქონდათ, ეს პროცესზე გაკეთებული თქვენი განცხადებებითაც ჩანდა. ევროსასამართლოში განაჩენს გაასაჩივრებთ?**

— გავასაჩივრებ თუნდაც იმისთვის, რომ ყველას ვაჩვენო საქართველოში სასამართლოს ბედი და მდგომარეობა.

**— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ უკიდურესად მძიმე იყო თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა. დღეს როგორ გრძნობთ თავს?**

— წუწუნი არ მიყვარს. თქვენც იცით, როგორიცაა...

**— გისურვებთ თავისუფლებას!**

— მე აქაც თავისუფალი ვარ...

■

# „ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ წამყვანი ტელეკომპანიის ერთ-ერთი ოპერატორი ჩემი ნამოწაფარი აღმოჩნდა“...

**„გზის“ №9-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ სათაურით — „სკოლაში 50 წელია ვმუშაობ, ჩემს ხელში უამრავ თაობას გაუვლია“, რომელიც 61-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ღირსების ორდენოსანს — თინა ჯიშიაშვილს ეკუთვნის. ჩვენი რესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ განათლების სამინისტრო სახელმძღვანელოების შედგენისას, ღვაწლმოსილ პედაგოგებს აზრს არ ეკითხებოდა. ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ქალბატონ თინას დაურეკეს და განათლების სამინისტროში მიიწვიეს...**

*ნათია ჟიჟიძე*



— სამინისტროდან დამიკავშირდნენ და მთხოვეს, მათთან მივსულიყავი. მარტო მივედი. კიბის თავში თანამშრომლები იდგნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, თქვენი აქ მოწვევის მიზეზი თქვენ მიერ მიცემული ინტერვიუ გახდა; მინისტრთან შებრძანდით, გელოდებათ.

**— მინისტრთან მხოლოდ თქვენ შეხვედით?**

— დიახ. მაგრამ იმ დროს თურმე სხვა პედაგოგებიც იყვნენ დაბარებულები, რომლებიც დიდ დარბაზში გახლდნენ შეკრებილები. მე კი მათი იქ ყოფნის შესახებ არაფერი ვიცოდი... მინისტრი კარგად შემხვდა. უშუალო და კარგი ადამიანი ყოფილა. ახლობელივით ხელი ჩამომართვა და გადამკოცნა. შემდეგ სკოლის პრობლემების შესახებ ბევრი ვისაუბრეთ. არ ვიცი, მოვეწონე თუ არა, მაგრამ მითხრა, რომ სურდა ჩემი გაწევრება მრჩეველთა საბჭოში, რაც ძალიან გამიხარდა. შემდეგ კი შემომთავაზა, — დარბაზში გადავინაცვლოთ, უკვე დიდი ხანია, პედაგოგები გველოდებიანო. იქ შეკრებილმა მასწავლებლებმა მინისტრს უამრავი შეკითხვა დაუსვეს. ისე დამაჯერებლად პასუხობდა, რომ მისით მოვიხიბლე. უაღრესად განათლებული ადამიანია და ისიც უნდა აღვნიშნო, რომ კარგად ფლობს ქართულ ენასა და ლიტერატურას. საქართველოს ადრეც ჰყავდა ერთი განათლების მინისტრი — ოთარ ქინქლაძე, რომლის ნიჭსა და განათლებას პატივს ვცემდი. მას ყოველთვის გულითადად ვიგონებ. მას მერე ჩვენს ქვეყანას განათლების ასეთი მინისტრი არ ღირსებია, როგორიც დიმა შაშკინია... მოკლედ, სხვა მასწავლებლების მსგავსად, მე შეკითხვის დასმის საშუალება არ მომეცა, რადგან ჩემთან უამრავი ჟურნალისტი მოდიოდა და კომენტარს მთხოვდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ იქ მყოფი, ერთ-ერთი წამყვანი ტელეკომპანიის ოპერატორი ჩემი ნამოწაფარი აღმოჩნდა...

**— უკვე შეგიყვანეს მრჩეველთა საბჭოში?**

— არ ვიცი, მას შემდეგ აღარ დამკავშირებიან. შეხვედრაზე მინისტრი ბოლომდე არ დარჩენილა, რადგან მთავრობის სხდომაზე წავიდა. იმის შემდეგ აღარ გვისაუბრია...

**— მინისტრისთვის რა კითხვის დასმა გინდოდათ?**

— ალბათ იცი, რომ X კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში უცხოური ლიტერატურაა შეტანილი. წიგნი დაახლოებით 5 კილოგრამს იწონის, ძლივს მოაქვთ ბავშვებს სკოლამდე; ჰოდა, ამ წიგნში უმეტესად უცხოელი მწერლების ნაწარმოებებია შეტანილი. ამ ლიტერატურას კი არ ვგმობ, პირიქით, პატივს ვცემ, მაგრამ ამ სახელმძღვანელოში არ არის შეტანილი — ალექსანდრე პუშკინი, ლევ ტოლსტოი, სერგეი ესენინი... კარგია, როცა ბავშვები საზღვარგარეთის ლიტერატურას სწავლობენ, მაგრამ იმ წიგნის გარეკანზე ქართული ლიტერატურა არ უნდა ეწეროს. ვფიქრობ, უცხოური ლიტერატურისთვის ცალკე სახელმძღვანელო უნდა შეადგინონ და გამოსცენ. X კლასში ქართული ლიტერატურა კვირაში 5 საათი ისწავლება. ერთი საათი უცხოურ ლიტერატურას უნდა დაეთმოს, დანარჩენი ოთხი კი — ქართულს. ამ სახელმძღვანელოების შემდგენელი თამაზ ვასაძეა, რომელსაც უნდა დაველაპარაკოთ და ვთხოვოთ, ქართული და უცხოური ლიტერატურა ერთმანეთისგან გამიჯნოს. აი, ამის თქმა მინდოდა მინისტრისთვის და მისი მოადგილეებისთვის, მაგრამ ჟურნალისტებმა არ მაცალეს.

**— სხვა მასწავლებლებს რა პრობლემები აწუხებდათ, რას ეკითხებოდნენ მინისტრს?**

— სერტიფიცირების ამბის გარკვევა სურდათ. კიდევ გერმანული ენის შესახებ დასვეს უამრავი შეკითხვა. ბოლო დროს ასეთი ტენდენციაა, ბავშვებს გერმანული ენის შესწავლა აღარ სურთ. ყველას ინგლისური უნდა. ამის გამო, გერმანულის პედაგოგები შეწუხებულნი არიან... მოკლედ, სამინისტროდან ისეთი კმაყოფილი წამოვედი, ვერ წარმოიდგენთ. ამას კი ჟურნალ „გზას“ უნდა ვუმადლოდე. რომ არა თქვენ მიერ ჩემთვის ჩამორთმეული ინტერვიუ, ჩემს გულისწუხილს ვერავინ გაიგებდა. ასევე თქვენი ჟურნალის საშუალებით, მადლობა მინდა ვუთხრა მინისტრს, რადგან მან ჩემი წუხილი გულთან ახლოს მიიტანა და ჩემს ინტერვიუს გამოეხმაურა. ■

# საზღვარგარეთ გადახვეწილი დედებისა და მშობლის გარეშე დარჩენილი შვილების ტკივილი

## „თურმე, ფულში არ ყოფილა ბედნიერება“

**ამას წინათ ერთ-ერთმა მგზავნელმა მომწერა, რომ რუბრიკაში — „ყველა ერთისათვის“ ისეთი ადამიანები ითხოვენ დახმარებას, რომელთაც სინამდვილეში, პრობლემა არა აქვთ, რომ ისინი ჭიანჭველას სპილოდ აქცევენ და გვთხოვა, ყურადღება გაგვემახვილებინა იმ მოზარდებზე, რომელთა მშობლებიც საქართველოდან სამუშაოდ არიან წასულნი, რათა შვილები არჩინონ, ოჯახი ფეხზე დააყენონ. მართლაც, საინტერესოა, როგორ ცხოვრობენ ის თინეიჯერები, რომლებსაც დედა წლების განმავლობაში არ უნახავთ, მათ მხოლოდ ფოტოებით „იცნობენ“ ან სიზმრებში თუ ხედავენ და მხოლოდ ტელეფონით ეკონტაქტებიან.**

ლიკა ქაჯაია

### „დედის ალერსს მატერიალურ კეთილდღეობაში ვერ გავცვლიდი“

*ამ თემასთან დაკავშირებით, საბერძნეთიდან ქალბატონი ლამზირა შემოგვეხმიანა, რომელიც 7 წელია, საქართველოდან წავიდა და ამ წლების განმავლობაში შვილები არ უნახავს. როგორც მან მომწერა, სამშობლოდან წასვლის მიზეზი ის გაუსაძლისი პირობები იყო, რომელშიც მისი შვილები ცხოვრობდნენ:*

„ჩემს შვილებს ბებია (დედაჩემი) ზრდის, მათ დედის ხელი აკლიათ. მოუკვდეთ, დედა!.. იცოდეთ, ამ წერილს ვწერ და ცრემლები ღვარად ჩამომდის. არ მეგონა, შვილების გარეშე ამდენ ხანს თუ გავძლებდი, მაგრამ თურმე, ქალს მართლაც, ბევრი რამის მოთმენა შეუძლია. მე ერთი სოფლელი ქალი ვარ და ადრე, როცა ჩემს შვილებთან ერთად ეზოში დავფუსფუსებდი, იმ კრუხზე მეცინებოდა, რომელიც შვილებს არავის უთმობდა და როცა წიწილებს საკენკს ვუყრიდი, მაშინაც კი უნდობლად მიმზერდა. თუმცა, რაღაც პერიოდის შემდეგ, მას თავისი წიწილები აღარც ახსოვდა... ახლა მეც იმ კრუხს ვგავარ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შვილები მახსოვს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ, იმ დედა კრუხსაც მთელი ცხოვრება ახსოვს თავისი შვილები, მაგრამ ვალდებულია, ისინი „დაივიწყოს“, რათა მათ დამოუკიდებლად არსებობა შეძლონ... აქ იმიტომ არ წამოვსულვარ, რომ ჩემი შვილები დამოუკიდებელ ცხოვრებას შესჩვეოდნენ, პირიქით — იმისათვის წამოვედი, რომ ისინი თანხით, ტანისამოსით, საკვებით უზრუნველვყო, გავანებივრო, მაგრამ ამასობაში, თითქოს, შვილები გამიუცხოვდნენ... ჰო, ასე იმიტომ ვამბობ, რომ მათ მხოლოდ ფოტოებიდან ვიცნობ, მხოლოდ მათ ხმას შემიძლია, მივეალერსო, ისინი კი თითქოს, დედას კი არა, თოვლის ბაბუას ელაპარაკებიან, რომელიც მათ საჩუქრებით ანებივრებს. არა, არაფერი მწყინს! ეს ყველაფერი ბუნებრივია — როცა შვილები მივატოვე, გოგონა 7 წლის იყო, ბიჭი კი — 10-ის და ისინი უჩემოდ გაიზარდნენ. ვაჟი ახლა უნივერსიტეტში ჩაბარებაზე ოცნებობს და ცხადია, აქედან მანამ ვერ წამოვალ, ვიდრე ის სწავლას არ მორჩება — მისი სწავლა ხომ უნდა დავაფინანსო?! თუმცა, ალბათ, ვერც მერე მოვახერხებ სამშობლოში დაბრუნებას — გოგონასაც ხომ უნდა შევუწყო ხელი?! შემდეგ კი შვილიშვილების რჩენა მომიწევს და გაილევა ეს წუთისოფელიც... იმედია, სიბერეში მაინც მეღირსება საქართველოში დაბრუნება და მეუღლის, შვილების, შვილიშვილების ჩახუტება, დედა კი ალბათ, ცოცხალი აღარ დამხვდება — საცოდავი, შვილს მონატრებული დატოვებს ამ ქვეყანას...

ხშირად მიფიქრია იმაზეც, რა უფრო მნიშვნელოვანია შვილისთვის — მატერიალური კეთილდღეობა თუ დედის ალერსი? რა თქმა უნდა, ორივე ერთად კარგია, მაგრამ ცალ-ცალკე აღებული, არც ერთი არ მეპიტნავება. ისე, პირადად მე, დედის ალერსს მატერიალურ კეთილდღეობაში ნაღდად ვერ გავცვლიდი. ნეტავ, რას ფიქრობენ ჩემი შვილები?..

ჰო, ამას წინათ ქალიშვილი გამომიტყდა, რომ შეყვარებულია. აქედან ვუჩიჩინებ, რომ საამისოდ ჯერ პატარაა, რომ ჯერ უნდა ისწავლოს და ა.შ. ის კი მეუბნება: რომ იცოდე, როგორი ბიჭია, თავად მეტყვი, ხელიდან არ გაუშვაო! თან, მას ფული აქვს და შენსავით, საზღვარგარეთ წასვლა არ მომიწევსო... გული მეტკინა...

ალბათ, ახლა ვიღაც ჩემს მეუღლეს გაკიცხავს — ცოლი სამუშაოდ სხვაგან რომ გაუშვა, თავად რას აკეთებსო? — რა ქნას, არა აქვს შნო და მარიფათი. ვიდრე ეს ქვეყანა აირეოდა, სამუშაოც კარგი ჰქონდა — ჩაის ფაბრიკის დირექტორი იყო, მაგრამ მერე, ყველაფერზე ჩაიქნია ხელი და ახლა ყანას ამუშავებს, ძროხებს უვლის, ქათმებსაც ის აპურებს და ინდაურებსაც... მეუბნება, — ჩამოდი, აქაც მოვახერხებთ რამეს, თავს გავიტანთო, მაგრამ მხოლოდ პური და ყველი ჩემს შვილებს ველარ დააკმაყოფილებს და ვინ იცის, იქნებ, მერე მისაყვედურონ კიდეც: რას მოდიოდი, ცოტა ხანს იქ დარჩენილიყავიო! არ მინდა, ასე მოხდეს და ამის გამოც ვერ ვბედავ შინ დაბრუნებას... ვიდრე აქ გადმოვიხვეწებოდი, ჩემმა მეუღლემ ვაჭრობაც სცადა, მაგრამ ვალი დაედო — არ გამოუვიდა ეს საქმე; ყველა ეცოდებოდა და ხომ გახსოვთ, ფილმი, რომელიც ფიროსმანზეა გადაღებული — ნიკალასავით ყველას ყველაფერს ნისიად ატანდა და ფულის მოტანას არავის სთხოვდა...



მე აქ არალეგალურად ჩამოვედი. ახლა 2 მოხუცს ვუვლი და კარგ გასამრჯელოსაც მაძლევენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, გული სიხარულით სავსე ნამდვილად არა მაქვს — თურმე, ფულში არ ყოფილა ბედნიერება. ბედნიერი ხარ მაშინ, როცა სამშობლოში, შვილებთან, მეუღლესთან ერთად ხარ და მათ სიხარულსა თუ გაჭირვებას იზიარებ. ასე რომ, შვილებო, ნუ გაკიცხავთ მშობლებს იმისათვის, რომ თქვენ გამო საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ. მერწმუნეთ, მათ თქვენგან შორს ყოფნა ნამდვილად არ უნდათ, პირიქით — ეს მათთვის ტანჯვა-წამებაა, მაგრამ თქვენ გამო (და არა საკუთარი კეთილდღეობისთვის, როგორც ეს ვიღაცებს ჰგონიათ), ყველაფერზე წამსვლელები არიან. უფალს ვთხოვ, მალე დადგეს დღე, როცა მე და სხვა ქართველი დედები თუ მამები საკუთარ ოჯახებს დავუბრუნდებით და საკუთარ სამშობლოში დავღვრით იმ ოფლს, რომელიც აქ, საბერძნეთში უხვად იღვრება. უფალი შეგვეწიოს ყველას. ამინ!“

### „დედა, გთხოვ, დაბრუნდი...“

*17 წლის შორენას დედა უკვე 8 წელია, ეგვიპტეში ცხოვრობს, იქ მუშაობს და საქართველოში დატოვებულ ოჯახს მატერიალურად უზრუნველყოფს. გოგონა ამბობს, — არ მინდა ფუფუნება, მხოლოდ დედის ჩახუტება, მისი ალერსი მსურსო. შორენას ნება რომ იყოს, დედას შინ სასწრაფოდ, დაუფიქრებლად დააბრუნებდა:*

„უკვე 8 წელია, რაც დედა არ მინახავს. ის ეგვიპტეში მუშაობს და ფულს თვეში ერთხელ გვიგზავნის. მართალია, მისი გამოგზავნილი თანხით ჩვენ ფუფუნებაში ვცხოვრობთ, მაგრამ ყველაფერი შხამად გვერგება, რადგან ვიცით, თუ როგორ მუხლჩაუხრელად შრომობს დედა და რამდენ ცრემლს ღვრის იმისათვის, რომ ჩვენ მატერიალურად უზრუნველგვყოს. სამწუხაროდ, დედის სახე თითქმის დამავიწყდა. მართალია, 9 წლის ვიყავი, როცა ეგვიპტეში წავიდა და ჩემს მეხსიერებაში მისი სახე ჯერ ბოლომდე არ გაცრეცილა, მაგრამ მაინც, მისი ნაკვთები კარგად არ მახსოვს და ამას ძალიან განვიცდი. ახლა, როცა მის მიერ გამოგზავნილ ფოტოებს და იმ სურათებს ვადარებ, რომელიც საქართველოში ყოფნისას აქვს გადაღებული, მათ შორის მსგავსებას მხოლოდ თვალებში ვხედავ — სხვა ყველაფერი შეცვლილია, ახალგაზრდა ქალი 80 წლის მოხუცს ჰგავს და რომ არ ვიცოდე, ეს ფოტოები დედამ გამოგზავნა, ვიტყოდი, — ვიღაც უცხო მიმზერს-მეთქი... მას უჩვეულოდ თბილი გამოხედვა აქვს (იქნებ, მხოლოდ მე მეჩვენება ასე) და ამიტომაც, როცა სიმარტოვესა და სიცარიელეს, სიცივეს ვგრძნობ, ფოტოს ვუყურებ, რათა დადებითად დავიმუხტო, გავთბე; დედის სურათს ვუზიარებ ჩემს პრობლემებსა და სიხარულს, მას ვუმჟღავნებ ყველა საიდუმლოს, მაგრამ როცა დედას ტელეფონით ველაპარაკები, მისთვის ამ ყველაფრის მოყოლას რატომღაც, ვერ ვბედავ, მერიდება. თან, მგონია, რომ ვერც გამიგებს...



ჩემი ძმა 15 წლისაა და ფაქტობრივად, მისი მეურვეობა მე მაკისრია. ჩემ გარდა, სახლში ქალი არავინაა. ვიდრე წამოვიზრდებოდი, ყველაფერს მამა აკეთებდა — ტანისამოსს გვირეცხავდა, გვიუთოებდა, გვბანდა, გვაჭმევდა, სახლს ალაგებდა. მოკლედ, მას ქალის მოვალეობაც შეთავსებული ჰქონდა და კაცისაც. ახლა ქალის საქმეს მე ვაკეთებ, მამამ კი სამუშაო იშოვა და ოჯახს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდა. დედას ვეუბნები, — ჩამოდი, აქაც შეიძლება რაღაცის შოვნა-მეთქი, ის კი მპასუხობს: — სწავლა ხომ გინდა? მზითევი ხომ უნდა დაგიგროვოო?.. როცა ამ სიტყვებს მეუბნება, მინდა, მთელი ხმით ვიყვირო: — „არ მინდა სწავლა, არ მინდა მზითევი, ოღონდ შენ დამიბრუნდი!“ — მაგრამ ხმა მეურჩება, ყვირილის ნაცვლად, ძალაუნებურად, გაუგებრად ვჩურჩულებ, თითქმის ვხრიალებ...

ალბათ, ეგვიპტეში კიდევ 1-2 წელი დარჩება და მერე დაგვიბრუნდება. იცით, გათხოვებას ვაპირებ, მაგრამ არ მინდა, ჩემმა ქორწილმა დედას გარეშე ჩაიაროს. ჰოდა, ამიტომაც, საყვარელ ადამიანს ცოლობაზე უარი ვუთხარი, ის კი გამიბრაზდა, — დედაშენი საერთოდ რომ არ ჩამოვიდეს, არ უნდა დავქორწინდეთო? ამის გამო ვიჩხუბეთ კიდეც: — თუ კარგია, დედაშენი წავიდეს სხვა ქვეყანაში, სამუდამოდ-მეთქი (*იცინის*)... იცით, ეს თემა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, უდედობას ძალიან განვიცდი და ზოგჯერ, ჩემი მეგობრებისაც მშურს, რადგან მათ მშობელი გვერდით ჰყავთ და შესაძლოა, ტყავის ქურთუკი არ აცვიათ, მაგრამ ჩემზე ბედნიერები არიან.

აქ რომ იყოს და ფული არ გვქონდეს? ალბათ, ასე ჯობია! რჩევის მომცემი მაინც მეყოლება გვერდით. ჰო, შეიძლება, მერე სხვა პრობლემები გაჩნდეს, მაგრამ გვერდით დედა თუ მეყოლება, უფრო ძლიერი ვიქნები...

დედა, გთხოვ, დაბრუნდი, შენ მიერ გამოგზავნილ ფულზე მეტად, შენი სითბო და ალერსი, შენი თანადგომა მჭირდება!..“

### „მშობლის სითბოს მეგობრის დედის უბეში ვეძებ“

*19 წლის ლანა გულით დიდ ტკივილს ატარებს, რადგან დედამ მიატოვა. მიატოვა იმიტომ, რომ შვილს კარგი განათლების მიღებაში დაეხმაროს, მისი სწავლა დააფინანსოს, მაგრამ გოგონას არაფრის გაგონება არ სურს — ის მშობელზე გაბრაზებულია და ამბობს, რომ დედის საბერძნეთში წასვლას ვერაფრით ეგუება, მას ამას ვერ აპატიებს:*

— მართალია, დიდი ხანი არაა, რაც დეიდამ დედა სამუშაოდ საბერძნეთში წაიყვანა, მაგრამ უიმისობას ძალიან განვიცდი; მე ხომ მისი თანადგომა სწორედ ახლა, ყველაზე და ყველაფერზე მეტად მჭირდებოდა! ვიცი, ჩემ გამო წავიდა (დედისერთა გახლავართ), მაგრამ ამას მაინც ვერ ვაპატიებ. წასვლის წინ ვეჩხუბე კიდეც და ვუთხარი, — რომ გიყვარდე, ჩემთან დარჩებოდი-მეთქი. მიპასუხა: უმადური ხარ; აქ რომ დავრჩე, სწავლას ვერ გააგრძელებ, მე კი არ მინდა, პროფესიის გარეშე იცხოვრო. იცით, მას პროფესია არ ჰქონდა. სკოლა დაამთავრა თუ არა, მშობლებმა მამაჩემს გააყოლეს და მთელი ცხოვრება ამას წუწუნებდა, მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგონ? — სწავლა-განათლებაზე მეტად, დედაჩემთან ახლოს ყოფნა მჭირდება. მე მის კალთას არასდროს მოვშორებივარ, სკოლაშიც თან დამყვებოდა და გაკვეთილების მომზადებაშიც მეხმარებოდა. ერთადერთი, პაემანზე მივდიოდი მარტო, მაგრამ ყველაფრის საქმის კურსში იყო და კარგ რჩევებსაც მაძლევდა, ახლა კი რჩევის საკითხავად „გზის“ მკითხველებს მივმართავ ხოლმე და ესაა საქმე? არა, თქვენგან ცუდ რჩევებს კი არ ვიღებ, მაგრამ დედის მიერ მოცემული დარიგება სულ სხვა

რამ იყო და იმედია, ეს არ გეწყინებათ...

ახლა რა მიშლის ხელს იმაში, რომ დედას რჩევა ვთხოვო? — თითქოს, არც არაფერი. ტელეფონით საათობით ვლაპარაკობთ ხოლმე, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში რაღაცნაირად, ერთმანეთს დავშორდით. ის ჩემთვის გაუცხოვდა და ახლა, მეგობრის დედის უბეში ვეძებ იმ სითბოს, რომელიც დედაჩემის ახირების გამო დავკარგე.

მამა მუშაობს, თვეში 500 ლარს იღებს. მე გამოცდებისთვის ვემზადები და ვინ იცის, იქნებ, უფასოზე მოვხვდე... წინასწარ რომ გაიგიჟა თავი და თავის დაიკოს დაუჯერა, ჩვენი თხოვნა რატომ არ გაითვალისწინა? — აი, ამიტომ ვარ მასზე ნაწყენი და სიმართლე თუ გინდათ, სწავლის გაგრძელებას მის მიერ გამოგზავნილი ფულით არ ვაპირებ! ზუსტად ვიცი, რომ ის თანხა ხელუხლებლად დახვდება, მის დახარჯვას არც მამა აპირებს — ის ისეთი კაცი არაა, ცოლის ხარჯზე რომ იცხოვროს. იმედია, დედა მიხვდება, რომ შეცდომა დაუშვა და მალე დაგვიბრუნდება. სხვათა შორის, ის „გზის" ერთგული მკითხველია. სწორედ მისი წყალობაა, ეს ჟურნალი რომ შემიყვარდა და რადგანაც ვიცი, რომ „გზა" საზღვარგარეთაც იყიდება, იმედს ვიტოვებ, რომ დედა ამ წერილს წაიკითხავს, მასში საკუთარი პირმშოს დიდ ტკივილს ამოიკითხავს და დაუყოვნებლივ დამიბრუნდება! დე, მიყვარხარ და გელოდები!.."

## „რომ არა დედის თავგანწირვა, შიმშილით დავიხოცებოდით"

*16 წლის მარის გაცნობიერებული აქვს, რომ დედამ შვილების გამო მსხვერპლი გაიღო და საზღვარგარეთ გადაიხვეწა. როგორც გოგონა ამბობს, მამის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს ძალიან უჭირდა და ძმები ლამის, შიმშილისგან დაეხოცა:*

„დედა საზღვარგარეთ რომ არ წასულიყო, მე და ჩემს ძმებს არ ვიცი, რა გვეშველებოდა. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი კარგი დედიკო გვყავს — რომ არა მისი თავგანწირვა, შიმშილით დავიხოცებოდით. მამა 4 წლის წინ გარდაიცვალა და მას მერე თავის გატანა ძალიან გვიჭირდა. თავიდან ნათესავები გვეხმარებოდნენ, მაგრამ მთელი ცხოვრება მათ ხარჯზე ხომ არ ვიქნებოდით? ჰოდა, დედამ სამუშაოს ძებნა დაიწყო, მაგრამ ნორმალური ვერაფერი იშოვა. ჩემი ძმები ჩემზე პატარები არიან. მე მესმოდა, რომ დედისთვის არაფერი უნდა მეთხოვა, რადგან მაინც ვერ მიყიდდა, ჩემს ტყუპ ძმას კი ვერ ვაჩერებდით, ხან ფეხსაცმელს სთხოვდნენ თვალცრემლიან ქალს და ხანაც — შოკოლადს. ბოლოს, როგორც იქნა, დედამ რაღაც სამუშაო იშოვა, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რას აკეთებდა. მართალია, მისი შემოსავალი ბევრი არ იყო, მაგრამ ელემენტარული რაღაცები არ გვაკლდა, შიმშილი არ გვაწუხებდა. როცა დედა სამუშაოდ მიდიოდა, ბავშვების მოვლას საკუთარ თავზე ვიღებდი. მართალია, მაშინ მეც პატარა ვიყავი, მაგრამ თითქოს, ნაადრევად დაბრძენებული გახლდით და ნამდვილი, ღირსეული ქალივით ვუვლიდი ძმებს.

2 წელია, რაც დედა არ მინახავს. ის ღვთისნიერი ადამიანების დახმარებით, საზღვარგარეთ წავიდა და ახლა იმდენ ფულს გვიგზავნის, რომ მე და ჩემს ძმებს არაფერი გვაკლია. არ გეგონოთ, დედამ ბავშვები ჩემს იმედად დატოვა — მომვლელი ქალი გვყავს, რომელიც ყველაფერში მეხმარება. გამოგზავნილი ფულის ნაწილს ვხარჯავ, ნაწილს კი დედას მეგობარი გვინახავს, ბანკში. აბა, ადრე თუ გვიან, უკან რომ დაბრუნდება, აქ რაღაც თანხა ხომ უნდა დახვდეს, რომ მერე ხელი აიწყოს?! სხვათა შორის, დედას დაქალი ძალიან მაგარი ქალია, ყველაფერში გვეხმარება. როცა მამა გარდაიცვალა, ის საზღვარგარეთ იყო და დედას ფულს უგზავნიდა ხოლმე. ვინ იცის, რამდენჯერ მოგვისწრო სულზე მის მიერ მოწოდებულმა ევროებმა. ერთხელ, სახლში გახვრეტილი თეთრიანიც არ გვქონდა, ჩემი ძმები მუცლის ტკივილისგან ღრიალებდნენ, მე შიმშილს ვითმენდი, თვალცრემლიანი დედა კი სიმწრისგან კედელს ურტყამდა თავს. ამ დროს ტელეფონმა დარეკა და დედას მეგობარმა უთხრა: — ბანკში მიდი, ფული გამოგიგზავნეო. იმ საღამოს გემრიელად ვივახშმეთ და მშვიდადაც გვეძინა. ახლა ციალა დეიდა საქართველოში ჩამოვიდა და საზღვარგარეთ წასვლას აღარ აპირებს, რადგანაც დაგროვილი ფულით აქ ბიზნესი წამოიწყო, თავის რჩენის საშუალება აქვს. ის დედას ეუბნება, — ჩამოდი და ჩემთან ერთად იმუშავეო, მაგრამ დედას უნდა, დაქალს წილში არ ჩაუჯდეს, თავადაც სურს რაიმე ხეირიანი საქმის წამოწყება. იმედია, გაუმართლებს... მერე, მეც ვისწავლი, მუშაობას დავიწყებ და ოჯახი წელში გაიმართება.

ძალიან მინდა, სამედიცინოზე ჩავაბარო, მაგრამ დედას ვერ დავავალდებულებ, ჩემს სწავლაში ფული ჩაყაროს. ამიტომაც, კომპიუტერის სწავლით დავკმაყოფილდები. ჰო, ინგლისური უკვე ვიცი — გარდა იმისა, რომ ამ ენას სკოლაში მასწავლიან, ინგლისურად ლიტერატურასაც ვკითხულობ, რათა მეტი ცოდნა შევიძინო. წიგნები ბიბლიოთეკიდან გამომაქვს. იმედია, გამიმართლებს და სამსახურსაც ვიშოვი.

უფალს ყოველდღამე შევთხოვ, დედა კარგად მიმყოფოს, დიდხანს მიცოცხლოს. სანთლებს ვანთებ ციცო დეიდას სახელზეც, რომელიც ჩვენი ოჯახის გარდა, კიდევ ბევრ ადამიანს ეხმარება".

■



# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## მხოლოდ ერთხელ...

(გიორგი ლეონიძის მონატრება)

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო.
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ქალი მიმინო?!

მივდივარ და სად მივდივარ,
სადაური საითა?
ლელო ერთხელ გავიტანე,
განა, კიდევ გავიტან?!

გუმბათს ერთხელ ჩამოვკიდე
მოგუგუნე ზარები
და დარუბანდს მხოლოდ ერთხელ
ჩამოვხსენი კარები.

მხოლოდ ერთხელ აღვაშენე
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დიდგორისკენ
მხოლოდ ერთხელ დავძარი.

მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა
სიყვარულის სიზმარი
და განმეხვნა ერთხელ მხოლოდ
კარნი სამოთხისანი.

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ქალი მიმინო?!

სადაური სად გაფრინდა,
ვის ცერზე ზის ტიალი,
ვის შეუდგა და ვის ასმევს
შარბათს ოქროს ფიალით?

ახლა გუმბათს მან დაჰკიდოს
მოგუგუნე ზარები



და დარუბანდს ახლა ერთხელ
მან ჩამოხსნას კარები!

ახლა სხვამან აღაშენოს
სვეტიცხოვლის ტაძარი
და ლაშქარი დასძრას დიდგორს,
როგორც ერთხელ დავძარი!

ახლა სხვასაც დაესიზმროს
სიყვარულის სიზმარი
და განეხვნეს ერთხელ სხვასაც
კარნი სამოთხისანი!

მინდა, ზვრები გაზაფხულის
ღრუბელს მოვაწვიმინო,
ვაი, როგორ გაფრენილა
ჩემი ქალი მიმინო!

*არჩილ სულაკაური*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

## ბ

დასაწყისი იხ. „გზა", №2-15

**ბასმა** თურქ. — 1. ერთგვარი საღებავი (ჩვეულებრივ შავი). 2. (ძვ.) თეთრი წებოვანი საღებავი, რომლითაც ლეჩაქებზე გამოჰყავდათ სახეები.

**ბასტიბუბუ** (საუბ.) — დიდი ხმაურობა, ჟრიამული (იყო ერთი წივილ-კივილი და ბასტიბუბუ).

**ბასტიონი** ფრ. — ძველებური ციხესიმაგრის წინ გამოწეული ნაწილი ხუთკუთხედის ფორმისა.

**ბასტურმა** თურქ. — სამწვადე ხორცი, შეწვამდე ძმარში ჩადებული, ზედ პილპილ მარილ- და ხახვმოყრილი.

**ბატატურა** — ცხენი, რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს.

**ბატკი** — 1. ჩვილი თიკანი. 2. შემოდგომაზე მოგებული საქონელი.

**ბაქმაზი** თურქ. — შესანახად მოდუღებული სქელი წვენი (პომიდვრისა, ყურძნისა, თუთისა და ზოგი სხვა ხილისა).

**ბაღდადი** — 1. აბრეშუმის ოთხკუთხედი მანდილი, სახეებიანი (თავზე მოსახვევი ლეჩაქს ზევით). 2. აბრეშუმის დიდი ხელსახოცი მამაკაცისა (იცოდნენ ძველად).

**ბაღდადური** — ძველებური ცეკვა ბაღდადით ხელში; დამახასიათებელია ბუქნა.

**ბაღერა** — ნივრის თავს ზევით ღეროზე გამოსული სხვა კბილები.

**ბაყალი** არაბ. (ძვ.) — ხილით, ბოსტნეულით, სანელებლებითა და ტკბილეულით მოვაჭრე.

**ბაყბაყი** — ბოხი, უშნო ხმა.

**ბაყბაყდევი** — ყველაზე დიდი და საზარელი დევი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„[illegible]“




დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 15

## „ბაბუ“

პრესკონფერენცია შედგა. მიშა სააკაშვილმა, დაპირებისამებრ, პეტრე ცისკარიშვილი გამოგზავნა, მე კი მამა როსტომი დავპატიჟე.

ლაპარაკი იმაზე, რომ სომხები ჩვენი ძმები და საქართველოს ნაწილი არიან, ერთი შეხედვით ბანალური იყო, ხოლო მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ის ქვეყანა ვართ, სადაც რაღაცის მისაღწევად გვარი უნდა გადაიკეთო? ვინ დაასკვნა, რომ თბილისის უმშვენიერესი ადგილის — ბამბის რიგის დამაარსებელი მანთაშოვები ან მელიქკაზარიანცი სხვაზე ნაკლები თბილისელები იყვნენ? მაგრამ ფსევდოქართულ კუდაბზიკობას ხომ საზღვარი არა აქვს, მით უმეტეს, თუ თავადაც 200 ლარად ნაყიდი გვარის წარმომადგენლები არიან, აი, მაშინ, იცოცხლე, არის გულში ხელების ცემა და მტკიცება — „ჩვენ, ნაღდი ქართველები!..“

მამა როსტომი თალესის მეგობარი გახლდათ, ორივე ბავშვი მან მომინათლა და გაჭირვების დროს სწორედ მას ვეკითხავდი. ღონისძიების შემდეგ კითხვა შევბედე.

— მამა როსტომ, პირადი პრობლემა მაქვს და თუ შეიძლება, მოვალ.

— ლალი, შვილო, თუ ვიღაცამ გაწყენინა, გავიხდი ამ ანაფორას და მერე მე ვიცი, თუ სულიერად გიჭირს, ტაძარში მოდი და ვისაუბროთ. ისე, ერთს ახლავე გეტყვი და როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე გაიგე: „ნუ დაუყრი ღორს მარგალიტს“...

სულიერად მიჭირდა კი არა, ჭკუიდან ვიყავი გადასული და ვის ხელში იყო ჩემი სული, არ ვიცოდი...

მამა როსტომის ნათქვამის არსს მოგვიანებით ჩავწვდი.

* * *

ჩემი რიგით მეორე განქორწინების პროცესი დაწყებული იყო. დავიფიცე, რომ არასოდეს არავისთან „იურიდიულად აღარ გავებმებოდი“. ბიუროკრატიული სისტემა ბევრს ითხოვს, ხოლო ტკივილისა და განზბილების მეტს არაფერს იძლევა. ეს წყეული ხელის მოწერა კი ყველაფერს აფუჭებს! აბა, დაღს კარგი რა მოაქვს?

მოახლოებული ნოემბერი მახსენებდა, რომ მალე ჩემი დაბადების დღეა. ბევრი საყვარელი ადამიანი უნდა მომეწვია და ღირსეული მასპინძლობა გამეწია. ობიექტი არჩეული მქონდა, — რესტორანი „არაგვი“. ის სრულად აკმაყოფილებდა მრავალრიცხოვანი საზოგადოების მოთხოვნებს. მე კი, ქალაქსა და სოფელს შორის გაბმული, სულ უფრო და უფრო ვკარგავდი თავს...

სოფელი ვარიანი ნელ-ნელა ძალზე ახლობელი და საყვარელი გახდა. სოფლის მოთუხთუხე ქალები, გიორგის მოწაფეები, ნატურალური პროდუქტები და რაც მთავარია, ძალიან გაწონასწორებული და განათლებული გიორგის დედა ის უჩვეულო გარემო იყო, რომელიც სითბოთი და უსაზღვრო ხიბლით გიზიდავდა და გიპყრობდა. ჩემი სტუმრობაც სისტემატურ ხასიათს იღებდა. მე არასოდეს მქონია სოფელი. ახალი, ეგზოტიკური გარემო მაგიურად მოქმედებდა.

ტელევიზიის პერიოდიდანვე ერთი ჩვევა მაქვს, კონსერვატიული ფერისა და თარგის კოსტიუმი ყოველთვის მაქვს მანქანაში. რა იცი, რა ხდება? ასე იყო ამჯერადაც, როდესაც ჩემმა მობილურმა დარეკა და მკაცრი ტონით პრეზიდენტთან გამოცხადება მომთხოვეს. ჩავთვალე, რომ ეს ჩემი მეგობრების ხუმრობა იყო, შენს დაბადების დღეს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე აკლიაო, მაგრამ მკაცრად გამეორებულმა მოთხოვნამ მიწაზე დამაბრუნა. მივხვდი, მართლაც საგანგებოდ ვიყავი გამოძახებული.

— გიორგი, „ბაბუსთან“ მეძახიან, — ვუთხარი კანდელაკს და თან გახეხილ ჯინსებზე დავიხედე.

— ძალიან კარგი, ხომ ხედავ, შენთვის ბედნიერება მომაქვს, ალბათ, „ბაბუმ“ რაიმე უნდა შემოგთავაზოს, — მითხრა გიორგიმ და თვალი ჩამიკრა.

დრო ცოტა მქონდა. კოსტიუმი გადავიცვი, მანქანაში ჩავჯექი და კანცელარიისაკენ გავეშურე. თავში ათასგვარი აზრი მიტრიალებდა: „ნეტავ რა უნდა პრეზიდენტს?“

გიორგიმ მარტო არ გამომიშვა და მეგობართან ერთად რესტორან „ნიკალაში“ მელოდებოდა.

კანცელარიაში პეტრე მამრაძე შემეგება.

— ქალბატონო ლალი, მოკლედ მოუყევით პრეზიდენტს თქვენი შესახებ. ხომ იცით, რა გრაფიკიც აქვს? წარმატებას გისურვებთ.

მამრაძის გაფრთხილებამ სულ ამრია.

რა უნდა მოვუყვე, რა მაქვს პრეზიდენტისათვის მოსაყოლი?

ქალბატონი ციცო, სიმპათიური ქალბატონი, პრეზიდენტის მარჯვენა ხელი გახლდათ.

— ქალბატონო ლალი, ბატონი ედუარდი გელოდებათ, — მითხრა მან ცივად და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

საქართველოს პრეზიდენტის კაბინეტი სადად იყო მოწყობილი, მაგიდაზე სხვადასხვა ქვეყნის უამრავი სუვენირი და წიგნი ეწყო.

თმაჭაღარა, ხანში შესული კაცი მეგობრულად მიღიმოდა და ოჯახის წევრს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს.

— მოგესალმებით, მე ლალი მოროშკინა ვარ; 10 წელი ტელევიზიაში ვიმუშავე, ვარ უნივერსიტეტის დოცენტი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ თავმჯდომარე, — სეტყვასავით მივაყარე მე.

— გოგო, გეჩქარება სადმე? — მკითხა ალერსიანად პრეზიდენტმა და სკამზე მიმითითა.

— მე არა, მაგრამ თქვენ ხომ ძალიან დაკავებული ხართ, ბატონო პრეზიდენტო?

— არც ისე, დღეს საქმე არაფერი მაქვს და მინდა შენ მოგისმინო. აბა, მოჰყევი, რატომ შემაღონე ეკრანიდან?

— მე? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— ჰო, შენ, სადაც გადავრთავ,



შენა ხარ. რა გინდოდა სამცხე-ჯავახეთში?

მე წვრილად ვუამბე არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების პრობლემების შესახებ, ის ყურადღებით მისმენდა და არ მაწყვეტინებდა. მოსმენა ყველაზე დიდი კულტურაა, რაც ბატონ პრეზიდენტს უდავოდ უხვად ჰქონდა.

— პარლამენტარები რატომ არ ერევიან ამ საქმეში? — მკითხა პრეზიდენტმა.

— რა ვიცი, ალბათ, არ აწუხებთ. საერთოდ, ასეთ რთულ რეგიონებს, როგორც წესი, ისეთი ხალხი წარმოადგენს, რომლებმაც ქართული არ იციან და ამიტომ რეგიონის პრობლემები აქამდე ვერ ჩამოაქვთ. ამ ხალხის ხმას კი ჩვენ, უფრო სწორად, თქვენ, საარჩევნოდ ბოროტად იყენებთ, ვთქვი საბოლოოდ გულმოცემულმა.

— ჰოო, საინტერესოა, — გადააქნია თავი ბატონმა ედუარდმა.

პრეზიდენტი კითხვას კითხვაზე მისვამდა და როგორც ჩანს, მართლაც არსად ეჩქარებოდა.

— რამდენი შვილი გყავს, მოროშკინა? — ინტერესით იკითხა მან.

— ორი ბიჭი, ბატონო პრეზიდენტო.

— ხუთ დღეს მაძლევ?

— რისთვის, ბატონო პრეზიდენტო?

— რისთვის და ერთ კაი ადგილას უნდა გაგიშვა! ასე აჯობებს შენთვისაც და საქმისთვისაც.

— დიახ, დაგელოდებით.

კანცელარიიდან გამოსულს ერთი რამ მღრღნიდა: ნეტავ რას მიპირებს ამბროსიევიჩი, სად მაგზავნის? თუმცა, ალბათ, ხუთ დღეში აღარ ვეხსომები, განა ცოტანი დამპირებიან ცხოვრებაში რაღაცებს, მაგრამ მერე საპნის ბუშტებივით ქრებოდნენ დაპირებებიანად. პრეზიდენტი რა მოვალეა, მე ვახსოვდე, მაგრამ რატომ გამომიძახა? ალბათ, რაღაცაშია საქმე.

— ლალი, როგორა ხარ? — მომესმა ტელეფონში ჩემი მეგობარი ნანა გაგუას ხმა. ნანა და მისი მეუღლე მალხაზ გულაშვილი, „ჯორჯიან თაიმსის" ჰოლდინგის დამფუძნებლები, მეპატრონეები და ჩემი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

— რავი, ნანა, რომ გითხრა, საიდან მოვდივარ, არ დაიჯერებ.

— მოიცა, რა დროს ეგ არის. მოკლედ, ზეგ 31-ე ქარხნის იუბილეა, მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან სტუმრები, პრეზიდენტიც მობრძანდება და აბა, შენ იცი, შენი იმედი გვაქვს, ლამაზად ჩაიცვი და სამი საათით ადრე მოდი, რომ ტექსტებს გადახედო. საღამო რუსულად და ქართულად უნდა წაიყვანო. მორჩა, გავიქეცი, ქვეყნის საქმე მაქვს... — და ნანა ისევე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

„ეს პრეზიდენტი რაღაც აჩრდილივით დამდევს", — გავიფიქრე მე.

გიორგი სულმოუთქმელად ელოდა ჩემს დაბრუნებას.

— რაო? — მკითხა რესტორნის ზღურბლიდან, სადაც რა ხანია მელოდა.

— ხუთ დღეშიო, და რა, არ ვიცი, — ვუპასუხე ძალამიხდილმა.

— ძალიანაც კარგი! „ბაბუ" რამეს მოგიფიქრებს! თანაც მეც მაგრად ვუყვარვარ. იცი, ჩვენ მართლა ბედნიერება მოგვაქვს ერთმანეთისათვის, დღეს ამერიკელმა პრომიუტერმა დამირეკა და 21 დეკემბერს პეტერბურგში ბრძოლა გაქვსო, აზრზე ხარ! პროფესიონალებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე მძიმე წონაში ვიბრძოლებ. ამდენ ხანს ველოდებოდი ამ დღეს!

— პრომოუტერმა, გიორგი, — შევუსწორე მე და ოდნავ გავმხიარულდი. გიორგის ქართლური კილო და აბდაუბდა ლექსიკა ყოველთვის ღიმილს მგვრიდა.

— ჰო, პრომოუტერმა! სხვა რაღაცებიც შემისწორე, კარგი?

გიორგი უსაზღვროდ ბედნიერი და გაბადრული იყო.

— ხომ წამოხვალ? მე უშენოდ რინგზე არ გავალ.

— გადაირიე? სად წამოვალ? პეტერბურგში ცოლი წამოგყვეს, ეგღა მაკლია, ყველამ ჩემზე ილაპარაკოს. არც იფიქრო, და საერთოდ, მგონი, ჩვენი მეგობრობა სხვა რაღაცაში გადადის. მე ეს არ მინდა, ასე არ მინდა.

რა მინდოდა მაშინ? მხოლოდ მასთან ყოფნა, თანაც კარიერული ცის კაბადონიც იხსნებოდა, მაგრამ უდიდესი დაბრკოლება და მორალური ტკივილი, რასაც გიორგის ბზარგაჩენილი და ჩემი დანგრეული ოჯახი ერქვა, მოსვენებას არ მაძლევდა. მე ეს არ უნდა დავუშვა!

## რინგის მეფე

გიორგი 1974 წელს სოფელ ვარიანში დაიბადა. 193 სმ სიმაღლის ახოვანი ყმაწვილი თავიდანვე განსაკუთრებული ძალითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ოჯახიც ხელს უწყობდა, დედა საგანგებოდ კვებავდა, მამა კი სახლის მეორე სართულზე მოწყობილ დარბაზში ამეცადინებდა. პატარა გიორგი ბავშვობაში მაგრად უცემიათ, გასისხლიანებული სახლში რომ მიბრუნებულა, მამამისს კარგა ლაზათიანად დაუმატებია და უთქვამს: ივარჯიშებ, კაცი დადგები, არა და მთელი ცხოვრება გალახული ივლიო.

1986 წელს გიორგი პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი, იგივე ტიტული მოიპოვა მომდევნო წლებშიც და 1991 წელს სარატოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 1992 წელს მას უკვე მონრეალის რინგი ელოდა.

მძიმე დრო იყო დამოუკიდებელ საქართველოში. მსოფლიო დონის ჩემპიონატზე ამ სპორტის სახეობაში დიდ შედეგს არავინ ელოდა, შესაბამისად, სპორტულ დელეგაციას არც დროშა და არც ჰიმნი არ ჰქონდა მომზადებული. მონრეალის დარბაზის 7000 მაყურებელი ტაშს ახოვან ქართველ მოკრივეს უკრავდა. გასაგები იყო, რომ გიორგი ფინალში გავიდოდა და შესაბამისად, ქვეყნის საიდენტიფიკაციო ატრიბუტიკაც დასჭირდებოდა. სცენარი კომედიური ჟანრის ფილმივით განვითარდა. კანადაში ემიგრირებულ სისაურების ოჯახს „შალახოს" კასეტა აღმოაჩნდა, თანაც განსაკუთრებული ჩახუჭუჭებული

შესრულებით. სამფერიანი დროშაც წამში შეიკერა. ფინალური შერკინება გიორგი კანდელაკის გამარჯვებით დასრულდა და მსოფლიოს ახალი ჩემპიონი შეემატა. განცვიფრებული ჩრდილოელი გულშემატკივრები პირდაღებულები ისმენდნენ სამხრეთულ, ტემპერამენტიან „შალახოს“ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ეს ყმაწვილი განსაკუთრებული ქვეყნიდანაა, აბა, დასარტყამ ინსტრუმენტებს მოუსმინეთ, რა ძარღვია, რა სიძლიერე, კიდევ კარგი, ჩვენიანი არ შემოაკვდაო.

1997 წელს ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ მიულოცა პირველობა დამსახურებულ ქართველ მოკრივეს. კანდელაკით მსოფლიო კრივის ცნობილი პრომოუტერები — ფრენკ უორენი და ფრენკ მელოუნი დაინტერესდნენ. სწორედ მათი დაჟინებული მოთხოვნით გიორგი 1998 წელს პროფესიონალებში გადავიდა და 25 ბრძოლიდან 18 ნოკაუტით მოიგო. ახლა კი ტიტულოვანი სპორტსმენი გადამწყვეტი შეტაკებისათვის, WBU-ს ქამრისათვის საბრძოლველად ემზადებოდა.

— რა ვქნა, ვარიანში მეორე გოგებაშვილი ველარ დაიბადება, რითიც შეგვიძლია, იმით გავაკვირვებთ მსოფლიოს, — ხუმრობდა გიორგი.

ამასობაში სოფლის ბირჟაზე, ძირითადად, ასეთი ტიპის საუბრები ისმოდა:

— შენა, ბიჭო, პიკადილიაზე ხომ არა გგონია თავი, ჰა?

— შენმა მზემ, ვერ ვიგულავე რა ჩემს გემოზედა!

— რაი? სად ვიგულავეთო? ისა, ბიჭო, პიკადილია კი არა, მონმარტრი თუ რაღაც ჯანდაბაა, ის იყო!

— მა პარკში რომ ცეცხლი დავანთეთ, ის სადღა იყო?

— ვაახ, გამაგიჟებს ეს კაცი, ეგ ხომ ლონდონში იყო, პარკში მწვადი რომ შევწვით და მთელი პოლიცია-მილიცია რომ დაგვადგა თავსა?

— რავა ის დაგმართია, რაც მართა ბაბოსა სჭირს.

— არა, ძმაო, ფეხს მეტად აღარ გავადგამ არსად, ეგე, ტბა, ეგე, დარბაზი, რა ზმუკი მინდა ი ლოსანჯელესებში და ფილადელფიებში. აქ არა სჯობია?

ხუმრობა არ გეგონოთ, საქმე ის არის, რომ გიორგი თვეობით სავარჯიშოდ იყო წასული. კონტრაქტის შესაბამისად, ზედმეტი 2-3 კაცის ხარჯიც გათვალისწინებული იყო. გიორგის უჭირდა მშობლიური ვარიანისა და ვარიანელების გარეშე, ამიტომ საფრანგეთში, ამერიკასა თუ ინგლისში ერთმანეთის მონაცვლეობით ბავშვობის მეგობრები მიჰყვებოდნენ, ზოგი მათგანი ევროპასა და ამერიკაში პირდაპირ ვარიანიდან, თბილისში შეუვლელად ხვდებოდა.

## დანიშვნა

31-ე ქარხნის იუბილე, ისევე როგორც ყველაფერი, რასაც ნანა და მალხაზი ხელს ჰკიდებდნენ, დიდი პომპეზურობით გამოირჩეოდა. ამ წვეულს ფოიერვერკების მოწყობის საოცარი უნარი ჰქონდა და ცხადია, ქალაქშიც ყველაზე პრესტიჟულ „ტუსოვკებსაც“ ისინი მართავდნენ. ყოველწლიური ბიზნესრეიტინგი პირადად ნანას პირმშო იყო და ბიზნესმენთა მთელ არმიას წლიდან წლამდე მოლოდინის მძაფრ რეჟიმში ამყოფებდა.

სააქტო დარბაზი ხალხით იყო გავსებული, მეორე მწკრივში ადგილი თავად პრეზიდენტისათვის იყო დატოვებული. დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დარბაზში ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და გიგი წერეთელი შემობრძანდნენ. ჩემი ტექსტები პათეტიკური და ცრემლის მომგვრელი იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის ისტორიასა და ავიატორების გმირობაზე იყო დაფუძნებული. პოსტსაბჭოთა სივრციდან მოსული დეპეშები რუსულ ენაზე იკითხებოდა, იყო მსოფლიო ლიდერების მილოცვებიც. რაღაც მომენტში, ედუარდ შევარდნაძე სავარძლიდან გადმოიწია და სცენაზე მდგომს როგორც საუკეთესო, დიდი ხნის მეგობარს ხელი დამიქნია. არ დამავიწყდება მალხაზის, ნანასა და გიგის განცვიფრებული სახეები, რომლებმაც ჩემი პრეზიდენტთან გუშინწინდელი ვიზიტის შესახებ არაფერი იცოდნენ.



მეორე დღეს უკვე კარგად ნაცნობმა მკაცრმა ხმამ კანცელარიაში მისვლა მიბრძანა.

პრეზიდენტის მოსაცდელში ორი ცნობილი ბიზნესმენი თავის რიგს ელოდებოდა. ისინი ჩემმა მისვლამ გააკვირვა და საგონებელში ჩააგდო, მაგრამ ყველაზე მთავარი და საინტერესო წინ იყო.

— ჩემი ბოვში მოვიდა? — იკითხა პრეზიდენტმა და კაბინეტის კარი ფართოდ გამოაღო.

ბიზნესმენებმა ენა გადაყლაპეს.

მე არასოდეს მყოლია ბაბუა, ერთი ადრე გარდაიცვალა, მეორეს კი ცხოვრების მორევმა ჩემი თავი სულ დაავიწყა. რას იზამ, ეს, ალბათ, კარმის ბრალია, როდესაც სისხლი და ხორცი გივიწყებს. პირველად სიცოცხლეში ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემი ბაბუ მელოდებოდა. „ხომ მეუბნებოდნენ, ამ კაცს ჰიპნოზური ძალა აქვსო, მე კიდევ არ ვიჯერებდი, აგერ, თუ არა, აბა, რა ბაბუ ამიტყდა? — ვეჩხუბებოდი ჩემს თავს და პრეზიდენტისგან ჩემთვის კარგა ხნის ჩვეულ „მინდოდა ახლავე რაიმე, მაგრამ ცოტა დაიცადე“ ან „ჯერჯერობით, არაფერიას“ ველოდებოდი. უცებ ამბროსიევიჩმა, არც აცია, არც აცხელა და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილედ გნიშნავო, მომახალა. ისე დავიბენი, არც კი მიკითხავს, „განსაკუთრებული საქმეები“ რა ჯანდაბა იყო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, შევძლებ, რადაც უნდა დამიჯდეს, მაინც შევძლებ!

— მოკლედ, ჩემო მოროშკინა, გაბარებ ცხინვალსა და გალს. პრობლემა ბევრია, მაგრამ შენ ჭკვიანი გოგო ხარ და თავს გაართმევ. ერთი პირობით, — არც ისე და არც ერგნეთზე ფულს არ გააკეთებ, მე სუფთა ჩემიანი მჭირდება, ხელფასი დიდი არაფერია, მაგრამ შიმშილით არ მოკვდები! — „ბაბუ“ უცებ პრინციპულ, შეუვალ, მკაცრ მაღალჩინოსნად გადაიქცა. მისი სიტყვები სპილენძივით მეჭედებოდა თავში.

„ცხინვალი, გალი, ცხინვალი, გა-

ლი, — მიკაკუნებდა ყურებში, — მე რა ვიცი, რა უნდა გავაკეთო? თან არც ერთგან არა ვარ ნამყოფი. ვაიმე, რა ვქნა?!“

თითქოს ჩემი გულისცემაც კი ესმოდაო, პრეზიდენტმა თავზე ხელი გადამისვა, მერე ნიკაპზე ხელი მომკიდა და მითხრა:

— ნუ გეშინია, ყველაფერი გამოგივა, მთავარია, ინტუიციას ენდო, აქამდეც ხომ შენმა ინტუიციამ მოგიყვანა? განა ცოტა ჟურნალისტი გადაყლაპა დრომ? შენ კი, თუ მოინდომებ, ბევრ საქმეს გააკეთებ! ბევრი იკითხე და პასუხები მოვა. შეკითხვები თუ გაქვს, მოროშკინა?

— დიახ, ჯერ ერთი, დიდი მადლობა, სიტყვას გაძლევთ, ფულს არ დავხარბდები, და კიდევ, იცით, რა მაინტერესებს, მობილურის რა ნომერი გაქვთ? — ღმერთო, რა იდიოტი ვარ, ვინ ეკითხება პრეზიდენტს მობილურის ნომერს, რას ვბოდავ!

— არა მაქვს, — გაეცინა პრეზიდენტს, — აგერ, მდივანი მიგვარებს ყველაფერს.

პირველი, ვინც შოკიდან გამომიყვანა, მიშა სააკაშვილი იყო.

— განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილედ? ვა, ესე იგი „ბაბუ“ ჯერ არ დაბერებულა! ყოჩაღ, აბა, შენ იცი! ჰო, მართლა, ესე იგი შენს დაბადების დღეზე მოსვლის ორმაგი მიზეზი გვაქვს?

* * *

ჩემი დანიშვნის ამბავი მეორე დღესვე მთელმა საქართველომ იცოდა. ზოგი მილოცავდა, ზოგი კი ბოღმისაგან ჩემს ნომერსაც ვერ კრეფდა.

ჩვენ მოგვიანებით შეგვაჩვიეს ვარდისფერპერანგა, პირტიტველა მინისტრებსა და ახალსკოლადამთავრებულ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც პირველივე ინტერვიუში გაიძახიან, საკუთარი გუნდით მოვდივართო. ნეტავ რომელი გუნდით? ალბათ, საფეხბურთო ან „პრეფერანსის“. აბა, საიდან გუნდი 23-26 წლის ასაკში? მით უმეტეს, როდესაც შრომის წიგნაკში პირველ სამუშაოდ და თანამდებობად სამინისტრო და მინისტრი, მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ან სხვა უფრო „მსუყე“ თანამდებობა იწერება.

სულ სხვაგვარი იყო ვითარება 2001 წელს: მთავრობის სხდომები და მაღალჩინოსანთა შეკრებები მაფიოზების კლანურ შეხვედრას უფრო ჰგავდა. მხოლოდ მუქი ლურჯი ან შავი ფერის კოსტიუმები, ულიმღამო ჰალსტუხები — მამაკაცთათვის, ხოლო ქალებისათვის — ტრაპეცია ქვედაკაბები და სოლიდურობისათვის ჭაღარაშერეული თმა.

მე, 31 წლის მინისტრის მოადგილე, თანაც კონფლიქტების საკითხებში, ვერაფრით მოვთავსდი რუხ სისტემაში. მამაკაცები ინტერესით მათვალიერებდნენ, ქალები კი აშკარად იგესლებოდნენ.

„ბევრი იკითხე“, — შევარდნაძის ამ სიტყვებს მომენტალურად შევასხი ხორცი: გავეცანი ორივე მხარის, აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტის ინტერპრეტაციებს, კონსულტაციები გავიარე მამუკა არეშიძესთან, რომელსაც გულწრფელად გაუხარდა ჩემი წინსვლა. პირველი, რისი სურვილიც გამიჩნდა, ამ ხალხებისათვის ბოდიშის მოხდა იყო, რადგან უფრო მრავალრიცხოვანსა და ძლიერს ყოველთვის მეტი სიდინჯე და წინდახედულობა მოეთხოვება, პატარისა და უსუსურის დაჩაგვრა არ არის კაცური საქმე, მით უმეტეს, კავკასიაში. იქნებ სწორედ ამიტომ ერთიანდებიან ხოლმე კავკასიელი ხალხები ოსებისა და აფხაზების დასაცავად? თუმც ყველას თავისი სიმართლე აქვს, რა გაეწყობა...

მუშაობა საინტერესო იყო, რაც მთავარია, აღმოვაჩინე, რომ არსებობს რამდენიმე პარალელური სტრუქტურა: ოფისებით, ხელფასებითა და სოლიდური ბიუჯეტით, ხოლო საქმე ერთია, შესაბამისად, როგორც ცნობილ რუსულ იგავარაკშია („Лебедь, рак да щука“) ყველა თავისკენ ექაჩება და საქმე კი წინ არ მიდის. მაგალითად, გარდა ჩვენი სამინისტროსა, არსებობდა კიდევ პრეზიდენტის მიერ დანიშნული სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ცხინვალში შერეული საკონტროლო კომისიის მოლაპარაკებას მართავდა. გასაკვირია, მაგრამ დასკვნას კომისიის მუშაობაზე წერდა განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო, რომლის მინისტრს, ჩემს ძველ ნაცნობს, ყოფილ ელჩს რუსეთში მალხაზ კაკაბაძესა და შერეული საკონტროლო კომისიის ქართული მხარის თანათავმჯდომარეს ერთმანეთთან მუდმივად უთანხმოება ჰქონდათ, მაშასადამე, დიპლომატიური ურთიერთობაც უიმედოდ იყო გაწყვეტილი.

— როგორ შეიძლება ჩვენი სამინისტრო არ მონაწილეობდეს საკონტროლო კომისიის საქმიანობაში? — მიკვირდა მე.

— რა ვქნათ, ირაკლი მაჭავარიანთან შეუძლებელია საერთო ენის გამონახვა, — მივიღე მინისტრის პასუხი.

— აბა, დასკვნებს რის საფუძველზე ვწერთ?

— როდის, როგორ... ისე, თუ ამ კაცთან საერთო ენას გამონახავ, რაშიც დიდი ეჭვი მეპარება, არ იქნება ურიგო, თორემ მართლა რაღაც აბსურდია, — მითხრა მალხაზმა.

ჩემმა ტელეფონის ზარმა ირაკლი მაჭავარიანი გააოცა.

— თქვენმა უფროსმა იცის, რომ მირეკავთ? — მკითხა მან.

— დიახ, თუ შეიძლება, შევხვდეთ და ვილაპარაკოთ?

— მე ბევრჯერ ვცადე დალაპარაკება, მაგრამ ამაოდ, ჩემი და მალხაზის პოზიციები ვერ შეჯერდა, მაგრამ მე მზად ვარ, მოგისმინოთ. Lady is first.

მე და ბატონი ირაკლი პეროვსკაიას ქუჩაზე, ერთ-ერთ კაფეში შევხვდით ერთმანეთს. ღვთის ნებით, ცხოვრებაში ბევრ საინტერესო და ჭკვიან ადამიანს შევხვედრივარ, მაგრამ ირაკლი მაჭავარიანის ინტელექტმა, ერუდიციამ და საქმის უზადო ცოდნამ სრულიად მომნუსხა.

— ლალი, რატომ გადაწყვიტეთ ჩემთან შეხვედრა? — დაინტერესდა ირაკლი.

— იმიტომ, რომ უაზრობად მიმაჩნია ორი ერთი საქმის მკეთებელი სტრუქტურის დაპირისპირება. თუ ჩვენ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ, ოსებისა და აფხაზებისაგან რაღა გვინდა?

— ჰმ, საინტერესოა, სხვათა შორის, როდესაც თქვენი დანიშვნის ამბავი გავიგე, საკმაოდ სკეპტიკურად მივუდექი, ახლა კი ვატყობ, შევცდი. სრულ კაპიტულაციას ვაცხადებ და მზად ვარ, შერეული საკონტროლო კომისიის რიგებში მიგიღოთ. ჰოდა, პოზიციებსაც შევაჯერებთ, ოღონდ ერთი პირობით, მე საქმე პირდაპირ თქვენთან მექნება.

— დიდი მადლობა, ბატონო ირაკლი, შევეცდები თქვენი ნდობა გავამართლო.

— მაშინ ნუღარ დავაყოვნებთ, ხვალვე გავაფორმოთ საჭირო საბუთები და ერთ კვირაში ცხინვალში წამობრძანდით, მე არ მწამს კონფლიქტების სავარძელში მოგვარება!

სამინისტროში დაბრუნებულმა ყველაფერი მინისტრს ვუამბე.

— როგორ გამოგივიდა? ირაკლის ხომ ცხინვალზე მონოპოლია აქვს და არავის იკარებს?

— რა ვიცი, უბრალოდ ადამიანურად მივუდექი, — წავილუღლუღე და პირველი თათბირისათვის მომზადება დავიწყე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




***ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით***
*gza.fantazia@gmail.com*

**დასაწყისი**
**იხ. „გზა“ №37, 2009**
**— №14, 2010**

***გოჩა მანველიძე***

ის ღამე რიტამ თეთრად გაათენა. გოგას სიახლოვე მოსვენებას არ აძლევდა. გრძნობდა, როგორ ტკივილს აყენებდა თავისი მიუკარებლობით, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ტკივილისა და თავზე ძალდატანების ფასად უნდა გაეძლო რამდენიმე დღე. შემდეგ კი...

შემდეგ რომა გუმისთის გაღმა გადაიყვანდა და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ისინი აღარასოდეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დილით ნაბიჯების ხმა ჩაესმა. რიტა დაიძაბა. არ სურდა, გოგა რომ შემოსულიყო ოთახში. აღარ ჰქონდა იმავეს თავიდან დასაწყები ძალა, მაგრამ გოგამ გვერდზე ჩაუარა მისი ოთახის კარს და გარეთ გავიდა. რიტა მაშინვე წამოდგა და უკან მიჰყვა.

გოგა ეზოში არ აღმოჩნდა. რიტამ გარშემო შემოუარა სახლს და სტუმარს თვალი მოჰკრა. ის სახლის უკან, მორის გადანაჭერზე იჯდა და ჩაფიქრებული აკვირდებოდა ტყით დაფარულ მთებს, სადაც ქართული პოზიციები ეგულებოდა. რიტა მის სიახლოვეს შედგა და რომას დანაბარები შეახსენა: დღისით სახლიდან გამოსვლას მოერიდეო.

— მაპატიე, — უპასუხა გოგამ, — მაგრამ ვერ შევძელი სახლში გაჩერება.

— რატომ? — ჰკითხა რიტამ. — ცუდად ხომ არ გრძნობ თავს?

— ცუდად?.. ეს ის სიტყვა არ არის. საშინლად ვგრძნობ თავს.

— რა გაწუხებს?

გოგამ ჩამქრალი მზერა ესროლა და შემდეგ უპასუხა:

— არ შემიძლია, შენთან ერთად ამ სახლში ყოფნა და შენი შორიდან ცქერა.

— არ გინდა, გოგა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამაზე. არ ღირს ყველაფრის თავიდან დაწყება.

— ლაპარაკის უფლებასაც არ მაძლევ?!

— რა გინდა, გოგა? — რიტა მის პირისპირ ჩამოჯდა და თვალებში ჩახედა.

— მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხე — გძულვარ?

— არა, — თავი გაიქნია რიტამ, — შენ არაფერი დაგიშავებია ჩემთვის.

— ძველებურად გიყვარვარ?

— მიყვარხარ, — მცირე პაუზის შემდეგ თქვა რიტამ.

— მაშინ რატომ მაყენებ ასეთ ტკივილს?! — ჰკითხა გოგამ.

— ეს არც ჩემი ბრალია და არც — შენი. ცხოვრება მოგვექცა სასტიკად.



ჩვენ რაიმეს შეცვლა აღარ შეგვიძლია. შეეცადე, შეეგუო ამას.

— ვერ შევეგუები. გესმის?.. ვერ შევეგუები და შენს დავიწყებასაც ვერ შევძლებ.

— ჩვენ მომავალი არ გვაქვს.

— მე უშენოდ არა მაქვს მომავალი. როგორ წარმოგიდგენია ჩემი ხვალინდელი დღე?.. მე წავალ, დავბრუნდები თბილისში, შენ აქ დარჩები და ცხოვრება გაგრძელდება? — სწრაფად თქვა გოგამ.

— მინდა, რომ ასე იყოს.

— მაგრამ არ იქნება!.. შენთან შეხვედრამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. შენ ვერც კი ხვდები, რას წარმოადგენ ჩემთვის... ყურადღებით მომისმინე, რიტა. ცოტა ხნის წინ ბედნიერ ადამიანად ვთვლიდი თავს. მყავდა დედ-მამა, მეგობრები. მქონდა საინტერესო სამსახური. და ერთ დღეს ეს ყველაფერი დავკარგე. ჩემმა სისხლმა და ხორცმა, ჩემმა ტყუპისცალმა ძმამ წამართვა ყველაფერი. აფხაზეთში მის საძებნელად ჩამოვედი. მაშინ სხვა რამეზე ფიქრიც კი არ შემეძლო. ის უნდა მომეძებნა და პასუხი მომეთხოვა ჩემთვის მოყენებული ტკივილისთვის. მთელი ჩემი არსება მრისხანებითა და სიძულვილით იყო სავსე. მაგრამ შეგხვდი შენ და ეს ყველაფერი გაქრა. მრისხანებისა და სიძულვილის ადგილი სხვა გრძნობამ დაიკავა. შენ აზრი შესძინე ჩემს ცხოვრებას და სხვა მომავალი მიჩვენე. მაშინ თანახმა ვიყავი, დამევიწყებინა ჩემი ძმა. მაგრამ დღეს?! საით მიბიძგებ, რიტა?!

— მაშინ მეც იმავეს გკითხავ — საით მიბიძგებ?

— მე მესმის შენი. შენ იმავეს განიცდი, რასაც მე განვიცდიდი აფხაზეთში ჩამოსვლისას. შენ მხოლოდ სიძულვილი გასაზრდოებს. გთხოვ, რიტა, მოძებნე საკუთარ თავში იმ სიძულვილის დასამარცხებელი ძალა. შენ ეს შეგიძლია!

— შეიძლება, მართალს ამბობ, მაგრამ არ მინდა ამის გაკეთება. ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ ამაში!

— ჩვენს ერთად ყოფნაში აზრს ვერ ხედავ?! — მოიღრუბლა გოგა.

— ეს შეუძლებელია!

— რატომ?! რატომ, რიტა?!

— როგორ წარმოგიდგენია ჩვენი ერთად ყოფნა? შენ აქ ვერ დარჩები და მეც ვერ გამოგყვები თბილისში!

— რატომ?.. იმიტომ, რომ აფხაზი ხარ?

— არა... მე ვერ ვიცხოვრებ იმ ხალხის გარემოცვაში, რომელმაც ამდენი ტკივილი მომაყენა!

— აფხაზებმა ჩემი დაჭრილი მეგობარი დახვრიტეს. დახვრიტეს სხვა ქართველი ტყვეებიც. გაგრის ქუჩებში უამრავი მოკლული ქალი და უმწეო მოხუცი ვნახე, მაგრამ ამით არ ვმსჯელობ ყველა აფხაზზე. მე შენ მახსოვხარ და ის ხალხი, ვინც

სიკვდილს გადამარჩინა!.. ერთი, ორი ან ასი ნაძირალას საქციელით ნუ შეაფასებ ყველას!

— არ შემიძლია... გესმის, გოგა?! არ შემიძლია! დღისით თუ ღამით,



თვალწინ ის ნაძირალები მიდგანან და ყურშიც მათი ხორხოცი ჩამესმის! ამას სულიერი ხეიბრობა ჰქვია, გოგა!.. მე ვერ მოგანიჭებ სიმშვიდეს!

— მე ყველაფერში დაგეხმარები.

— აღარ ღირს ამ საუბრის გაგრძელება. მე ყველაფერი გითხარი. ახლა კი გთხოვ, სახლში დაბრუნდე. არ მინდა, ვინმემ რომ მოგკრას თვალი, — თქვა რიტამ და ფეხზე წამოდგა.

ნაცნობი მანქანის დანახვაზე შტაბის მცველებმა უკან დაიხიეს, მაგრამ შენობაში შესვლა ველარ მოასწრეს. მანქანა მანამდე გაჩერდა და კარიდან რაულ ხიჟბა გადმოვიდა.

— აქ მოდით! — მბრძანებლურად მიიხმო მცველები თავისთან.

მათ ერთმანეთს გადახედეს. ადგილიდან არ დაძრულან.

— თქვენ რა, დაყრუვდით?! — ბრაზით ისროლა ხიჟბამ და ავტომატი მოზიდა.

მცველები მაშინვე გამოცოცხლდნენ და მანქანისკენ წავიდნენ.

— იცნობთ ამ ტიპს? — მანქანის უკანა სავარძელზე მიანიშნა მათ ხიჟბამ, რომელზეც სამი მამაკაცი იჯდა.

ორ შეიარაღებულ აფხაზს მცველები პირველად ხედავდნენ, მესამე კი...

— ისაა... — ერთმანეთს გადახედეს მცველებმა.

— ვინ? — სწრაფად თქვა ხიჟბამ.

— ამან წაიყვანა ის ქართველი ტყვე შტაბიდან, — უპასუხა პირველმა მცველმა.

— დარწმუნებული ხარ? — ჩაეძია ხიჟბა.

— ჰო... ისაა, — ერთხმად უპასუხეს მცველებმა, — სამნი იყვნენ. ამის ძმაკაცებმა ავტომატები დაგვიმიზნეს, ამან კი ის ქართველი საკნიდან გამოიყვანა.

— რას იტყვი ამაზე, ოლეგ? — მამაკაცს მიუბრუნდა ხიჟბა.

მან დუმილით უპასუხა.

— არ გინდა ლაპარაკი. კარგი, ვნახოთ, რამდენ ხანს გაქაჩავ! — ცივად ჩაილაპარაკა ხიჟბამ, შემდეგ საჭეს მიუჯდა და მანქანა დიდი სისწრაფით მოწყვიტა ადგილიდან.

გუდაუთა უკან დარჩა. ხიჟბამ გზიდან გადაიყვანა მანქანა და ტყის სიღრმეში გააჩერა.

— გადადი, — ხიჟბას მეგობრებმა მხარში უბიძგეს ოლეგს.

მანქანიდან გადმოვიდა ხიჟბაც. ოლეგს მიუახლოვდა, ცივი მზერა მიაპყრო, ხელში პისტოლეტი შეათამაშა და დამცინავად თქვა:

— ილაპარაკებ თუ ხელი წაგახმარო?!

— რა გინდა?

— სად არის ის ქართველი?

— დავბრიდეთ.

— დაბრიდეთ?! — დამცინავად ჩაილაპარაკა ხიჟბამ. — ომში ვერ გაძეხი სისხლით?!

— ეგ შენ არ გეხება.

— სად არის „ტრუპი“? — განაგრძო ხიჟბამ.

— ტრასის პირას დავაგდეთ. იქ ბევრი „ტრუპი“ ეგდო. მერე წამოკრიფეს და სადღაც ჩაფლეს. შეგიძლია ამოთხარო.

— ესე იგი, ამოვთხარო?!

— თუ გჭირდება, უნდა ამოთხარო!

ხიჟბამ გააფთრებული მზერა ესროლა, მაშინვე დაუშვა პისტოლეტის სასხლეტი და ტყვია ფეხში მოარტყა.

— ხომ არ შეიშალე, ნაბიჭვარო?! — ოლეგი კვნესით გაგორდა მიწაზე.

ხიჟბა მაშინვე ეცა, ზედ წამოაჯდა, პისტოლეტი შუბლზე მიაბჯინა და უყვირა:

— სად არის-მეთქი ის ტყვე?! ხმა ამოიღე, თორემ ტვინს დაგანთხევინებ!..

— კარგი... გეყო... — კვნესით ჩაილაპარაკა ოლეგმა.

— სად არის ის ტიპი?! — გაუმეორა ხიჟბამ.

— არ ვიცი... — ოლეგი შიშისგან მოიბუზა. — ნაღდად არ ვიცი...

— სადღაც ხომ უნდა მიგეყვანათ!

— ჰო... და მივიყვანეთ კიდეც, — უპასუხა ოლეგმა.

— სად?

— რომა ლაკობასთან. იმან სად წაიყვანა, არ ვიცი.

— ლაკობამ გთხოვა იმ ქართველის შტაბიდან გაყვანა?

— არა... ჩამბამ.

— რისთვის?.. რა ინტერესი ჰქონდა?

— იმ ქართველმა ოპერაცია გაუკეთა გურამის ძმას და საკუთარი სისხლიც გადაუსხა.

— მთელი აფხაზეთი ვალში ყოფილა იმ ნაბიჭვართან!.. — ავად ჩაილაპარაკა ხიჟბამ. — ჩამბამ იცის მისი ადგილსამყოფელი?

— არა მგონია. ის ტყვე ლაკობასთან მივიყვანეთ და მერე ერთად დავბრუნდით გუდაუთაში.

— ლაკობა და ქართველი საით წავიდნენ?

— ახალი ათონისკენ, — უპასუხა ოლეგმა.

— ახალი ათონი... — ჩაილაპარაკა ხიჟბამ. შემდეგ ადგა და ოლეგს ზედიზედ სამი ტყვია დაახალა.

ოლეგმა სლოკინისმაგვარი ხმა ამოუშვა, გვერდზე გადაბრუნდა და გაშეშდა.

— რად გინდოდა, რაულ?! — უკმაყოფილოდ შეხედა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა. — რაც უნდა იყოს, მაინც აფხაზია!

— აფხაზი, რომელიც ქართველს ეხმარება, სხვას არაფერს იმსახურებს... წავედით! — ცივად მიუგდო ხიჟბამ და მანქანაში ჩაჯდა.

— რომა დაბრუნდა... ნუ გამოხვალ სახლიდან... — უთხრა რიტამ გოგას, როგორც კი სახლში, აღმართზე ამომავალი მანქანის ძრავას ღმუილი შემოიჭრა და გარეთ გავიდა.

მისდა გასაოცრად, მანქანა უცხო აღმოჩნდა. რომას სამხედრო „უაზი“ ჰყავდა, აღმართზე კი ფრთებშეჭეჭყილი შავი „ვოლგა“ ამოდიოდა.

„ალბათ რომელიმე მეზობელთან მიდიან“, — გაიფიქრა რიტამ.

მაგრამ „ვოლგა“ არც ერთ სახლთან არ გაჩერებულა. აღმართი ამოიარა და მისი და გოგას სამყოფლისკენ განაგრძო გზა. რიტა აღარ დალოდებია მანქანის მოახლოებას, სახლში შებრუნდა და საძინებელი ოთახიდან ავტომატი გამოიტანა.

— რა მოხდა?! — გაოცებით ჰკითხა გოგამ იარაღის დანახვისას.

— სახლისკენ უცხო მანქანა მოდის. არ ვიცი, ვინ არიან. შეიძლება, რომა სხვა მანქანით დაბრუნდა ან თავისმა მეგობრებმა მოაკითხეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. სამზარეულოს ფანჯრიდან გადადი და ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა, ტყეს შეეფარე. როცა საჭირო იქნება, მე თვითონ დაგიძახებ, — უთხრა რიტამ, მერე ფანჯარას აეკრა და მოახლოებულ მანქანას დააკვირდა.

— ერთად წავიდეთ, — შესთავაზა გოგამ.

— არა, მე აქ დავრჩები... წადი... — უკანმოუხედავად უპასუხა რიტამ.

გოგას კამათი აღარ დაუწყია. სწრაფი ნაბიჯით გავიდა სამზარეულოში, ფანჯრიდან გადახტა და ტყეს შეეფარა.

ის იყო, საიმედო სამალავი მოძებნა, რომ სახლის მხრიდან სროლის ხმა გაისმა. თავიდან ავტომატმა დაიგრიალა, შემდეგ ვიღაცის ყვირილი გაისმა. ამას ავტომატის რამდენიმე გასროლის ხმა მოჰყვა. ბოლოს ხელყუმბარამ იგრიალა.

გოგა სროლის დაწყებისთანავე გაიქცა სახლისკენ. ის იყო, ღობეს მიუახლოვდა, რომ ყვირილი გაიგონა.

— სად ხარ, ნაბიჭვარო?! გამოდი, თორემ ამ ძუკნას ნაწლავებს დავაყრევინებ!..

გოგა ღობეს გადაახტა და სახლის წინ გავიდა. ნანახმა სურათმა თავზარი დასცა. სახლის წინ ავტომატის ჯერით დაცხრილული „ვოლგა“ იდგა. მანქანის კარები ღია იყო. უკანა კართან სამხედროფორმიანი მამაკაცის ცხედარი ეგდო. ეზოში სამი აფხაზი იდგა. ორნი შემართული ავტომატებით ზვერავდნენ მიდამოს, მესამე კი...

გოგას თვალის ერთი შევლებაც ეყო მის საცნობად: ეს მისი ტყუპისცალი, რაულ ხიჟბა იყო, ადამიანი, რომელმაც დაუხოცა დედ-მამა და რომლის მოსაძებნადაც ჩამოვიდა აფხაზეთში.

ხიჟბას თავის წინ მუხლებზე დაეყენებინა რიტა, ცალი ხელით თმაში ჩაჰფრენოდა, მეორით კი პისტოლეტი მიებჯინა კეფაზე. რიტას სისხლით მოსვრილი ქურთუკი იმაზე მიანიშნებდა, რომ ის დაჭრილი უნდა ყოფილიყო.

მის დანახვაზე ხიჟბამ ხელისკვრით მოიშორა რიტა, გოგას მიუახლოვდა, მის პირისპირ შედგა, ყურადღებით შეათვალიერა და დამცინავად თქვა:

— ხედავ, მაინც შევხვდით ერთმანეთს, ძამიკო!

— მე შენი ძამიკო არა ვარ! — ცივად მიუგო გოგამ.

— ჰო... კინაღამ დამავიწყდა — შენ ხომ დედიკოს და მამიკოს ბიჭი ხარ! — უცვლელი ტონით განაგრძო ხიჟბამ. — ნანობ, ასე რომ მოხდა?..

— შევცდი. არ უნდა გავსულიყავი სახლიდან! მე რომ მჭეროდა ავტომატი, შენ ცოცხალი აღარ იქნებოდი!

— შეიძლება... ქალს არ უნდა ენდო... ხედავ რა მოხდა?!. შენი დახმარება უნდოდა და მე დამეხმარა. თუმცა ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს?! ალბათ ერთმანეთში ვერ გაგვარჩია!

— ქალს არ შეეხო! — ბრაზით თქვა გოგამ.

— შევეხო?! რისთვის? — ხიჟბამ ცერად გახედა რიტას. — უნდა ვაღიარო, რომ კარგი გემოვნება გქონია. ისე, მაგისთვის რა მნიშვნელობა აქვს?!. ისე შემეჩვევა, როგორც შენ შეგეჩვია! მაგ ძუკნამ ახლობელი მოგვიკლა!.. მაგრამ არაფერია, სხვანაირად ავიღებ მის სისხლს!

— ნაბიჭვარო! — კბილები გააკრჭიალა გოგამ და მისკენ წაიწია.

— არ გაინძრე! — ბრაზით წამოიძახა ხიჟბამ და პისტოლეტი შუბლში დაუმიზნა.

გოგას თვალთ დაუბნელდა პისტოლეტის ახლო მანძილიდან ხილვისას, ეს მისი პაპის „ტეტე“ იყო — სახელობითი იარაღი, რომელიც მკვლელმა მისი ბინიდან წაიღო.

— გეცნობა? — ხიჟბას არ გამოჰპარვია მისი მზერა.

— მეცნობა.

— არ გიკვირს, აქამდე რომ არ დაგანთხევინე ტვინი?!

— მიკვირს...

— მეც მიკვირს... იმის იმედი არ გქონდეს, რომ ცოცხალს დაგტოვებ. შენ უკვე „ტრუპი“ ხარ. მაგრამ მანამდე რაღაც-რაღაცებში უნდა გამარკვიო. მაგალითად — რატომ შეგარჩიეს შენ?.. მაინც რით მჯობიხარ?.. რატომ გაცხოვრეს ფუფუნებაში და მე რატომ მომისროლეს სანაგვეზე?!

— ვის გულისხმობ?

— ჩვენს დედიკოსა და მამიკოს!

— ჩემს დედ-მამას? — ჩაეძია გოგა.

— ჰო... შენთვის დამითმია ისინი.

— ისინი ჩემი მშობლები არ იყვნენ. მე და შენ გაგვაშვილეს...

— მოიცა, მოიცა... შენ გინდა თქვა, რომ უბრალოდ ნაბიჭვრები კი არა, ნაბიჭვრები კვადრატში ვართ?! — ცივი ღიმილი მოერია ხიჟბას.

— რაც გინდა, ის უწოდე თავს. აქამდე არ იცოდი, რომ ნაშვილები იყავი?

— შენ წარმოიდგინე, ვიცოდი... მამაჩემს... ჩემს აღმზრდელს არაფერი დაუმალავს ჩემთვის. ბავშვობაშივე მითხრა, როგორ მოვხვდი მის ოჯახში. არც ის დაუმალავს, რომ ტყუპისცალი მყავდა.

— და შენ ერთხელაც არ დაინტერესებულხარ ჩემით?! — ჰკითხა გოგამ.

— რისთვის?! — მხრები აიჩეჩა



ხიჟბამ. — რისთვის უნდა მომეძებნა მშობლები, რომლებმაც სამშობიაროში მიმატოვეს?!

— სისულელეა... ჩემს დედ-მამას ორივეს წაყვანა სურდა, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს!

— მე კი სხვანაირად მიამბეს ეგ ამბავი.

— როგორ?

— მშობიარობისას მე რაღაც დამიშავეს. შეიძლებოდა, მთელი ცხოვრება ინვალიდი დავრჩენილიყავი და ჩემმა დედ-მამამ აღარ მოინდომა ჩემზე ზრუნვა. მე სამშობიაროში მიმატოვეს, შენ კი წაგიყვანეს! — უპასუხა ხიჟბამ.

— ტყუილია... ჩვენ უბრალოდ გაგვყიდეს!

— გაგვყიდეს?!

— ჰო... ჩვენმა ნამდვილმა მშობლებმა გაგვყიდეს. ჯერ შენ, მერე კი — მე!

— ტყუი...

— ასეთ დროს?! — პისტოლეტზე მიანიშნა გოგამ.

— და შენ იცი, ვინ არიან ჩვენი ნამდვილი მშობლები?

— ვიცი. ზუგდიდში ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი ცოცხლები აღარ არიან.

— კიდევ კარგი, თორემ იმათი მოძებნაც მომიწევდა! — ჩაიცინა ხიჟბამ.

— ასე რამ გაგაბოროტა?! რისთვის მოხვედი ჩემს ბინაში? რატომ დამიხოცე მშობლები?

— ჩათვალე, რომ გაუგებრობა მოხდა, — დამცინავად თქვა ხიჟბამ.

— გაუგებრობა?! — ცეცხლი მოედო გოგას. — ორი ადამიანის მკვლელობა შენთვის მხოლოდ გაუგებრობაა?!

— სამის... იმ საქმის შემდეგ, „ნაკოლშიკს“ ცოცხალს როგორ დავტოვებდი?!. ჰო... გაუგებრობაა... საქმის მომცემს არ უთქვამს, რომ ძამიკოს სახლში მგზავნიდა... შენი სურათის ნახვისას მივხვდი, ვისთანაც მომიწია შეხვედრამ. მაშინვე გამახსენდა ჩემი ბავშვობა! იცი, რას ნიშნავს საბჭოთა პრაპორშჩიკის ოჯახში ცხოვრება?! ეს არის ქალაქიდან ქალაქში წოწიალი... ოჯახს არასოდეს ჰყოფნის ფული... მამაჩემი დანაკლისს ჯარისკაცების „პაიოკით“ — კარტოფილით, აქოთებული „ტუშონკითა“ და მჟავე კომბოსტოთი ავსებდა. იცი, რა მძიმე ხელი ჰქონდა იმ ნაბიჭვარს?!. მეც ჯარისკაცივით მექცეოდა. ველარ არჩევდა ოჯახსა და სამსახურს. სულ მცირე დანაშაულისთვის, სამხედრო ქამრით მცემდა!.. შენ... შენ და შენმა დედ-მამამ მომპარეთ ბავშვობა. მე უნდა მეცხოვრა იმ ბინაში და იმ პირობებში, შენ კი... შენთვის კი იმ პრაპორშიკს უნდა ამოეხადა სული!.. ეს სასჯელი იყო. მე სამაგიერო გადაგიხადეთ, — წაგართვით ის, რაც თავის დროზე თქვენ წამართვით!

— შეშლილი ხარ...

— ჰო, შეშლილი ვარ, მაგრამ ცოცხალი შეშლილი! — გადაიხარხარა ხიჟბამ. — შენ კი მოკვდები!

— შენ ვერც კი ხვდები, ვინ დახოცე! — მძიმედ თქვა გოგამ. — სიკვდილის წინ დედაჩემმა მხოლოდ ერთი რამ მთხოვა — მომეძებნე და ძმობა გამეწია შენთვის!

— მართლა?! — თვალთმაქცურად გაიკვირვა ხიჟბამ. — და შენც მაგისთვის გამოექანე აფხაზეთში?!

— არა!

— მაშ, რისთვის?

— იმისთვის, რომ მომეძებნე და ის მომეზღო შენთვის, რაც დაიმსახურე! — ბრაზით მიუგდო გოგამ.

— ხედავ?.. შენ თვითონ მიდასტურებ, რომ სწორად ვიქცევი! — მშვიდად უპასუხა ხიჟბამ.

— ვნანობ, ასე რომ მოხდა. ომი რომ არა, მოგძებნიდი!

— არ უნდა წამოსულიყავი ჩემს საძებნელად. მე შენს მონახვას არ ვაპირებდი. სასჯელად დედ-მამის მოკვლას გაკმარებდი. მაგრამ აქ ჩამოსულს ცოცხალს არ დაგტოვებ. ერთი სისხლი გვიდგას ძარღვებში. იმასაც ვხედავ, რომ გულიც გერჩის. შენ ვერ მოისვენებ. ახლა რომ გაგიშვა, მაინც დამიწყებ ძებნას და ვინ იცის, იქნებ ჩვენი მეორედ შეხვედრისას შენ გაგიმართლოს. თანაც, სამართლიანიც არ იქნებოდა შენი გაშვება. ბევრი სისხლი დაიღვარა, ვიდრე შენამდე მოვაღწევდი... — ამ სიტყვებთან ერთად, ხიჟბამ პისტოლეტი გოგას მკერდში დაუმიზნა.

— არა... ხელი არ ახლო... რომა არასოდეს გაპატიებს ამას! — მთელი ხმით იყვირა რიტამ და მკლავზე დაეკიდა.

— გამეცალე, ძუკნა! — კბილები გაახრჭიალა ხიჟბამ და პისტოლეტიანი ხელი სახეში შემოჰკრა. რიტამ დაიკვნესა და მუხლმოკვეთილი ჩაიკეცა მიწაზე.

— შენი დედაც!.. — ბრაზით ჩასძახა ხიჟბამ და პისტოლეტის ლულა მის თავს გაუსწორა.

— ხელი არ ახლო, ნაბიჭვარო! — იფეთქა ამის დამნახავმა გოგამ და ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს...

## ეპილოგი

გიორგი სახლში წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც ტელეფონით აცნობეს: სასწრაფოდ გამოცხადდი მთავარ პროკურორთანო.

— ახლავე, — უპასუხა გიორგიმ და ყურმილი დაკიდა.

მთავარი პროკურორის ოთახში გასაოცარი სანახაობა დახვდა — კოტეს პირისპირ გოგა კილაძე იჯდა.

— შე-ენ?! საიდან?! — თავისდა უნებურად წამოსცდა დაბნეულ გიორგის.

— მოდი, მოდი... დაჯექი... დანარჩენს მერე შეიტყობ, — თავისთან მიიხმო პროკურორმა.

გიორგიმ მეორე მხრიდან შემოუარა მაგიდას და გოგას პირისპირ დაჯდა. მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ სამი თვე იყო გასული, მაგრამ ამ ვადას სრულიად შეეცვალა გოგა. სახეზე მზე მოჰკიდებოდა, საფეთქლებზე თხლად მოსდებოდა ჭაღარა, ყვრიმალზე ნაიარევი აჩნდა.

— აბა, კიდევ რას მეტყვი? — პროკურორი გოგას მიუბრუნდა.

— ეს თქვენთვის მოვიტანე, — უპასუხა გოგამ და მაგიდაზე საშუალო ზომის შეკვრა დადო.

— რა არის? — ჰკითხა პროკურორმა.

— თქვენ თვითონ ნახეთ, — თქვა გოგამ და შეკვრა ახლოს მიუწია.

პროკურორმა აუჩქარებლად გახსნა შეკვრა. მასში „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი აღმოჩნდა, რომელსაც ტარზე სამახსოვრო წარწერა ჰქონდა.

— ისაა?! — გაოცებისგან გიორგიმ ადგილიდან წამოიწია.

— ჰო, — დაუდასტურა გოგამ, — პაპაჩემის იარაღია, რომელიც ჩემი ბინიდან გაიტაცეს.

— საიდან მოხვდა შენთან? — ჰკითხა პროკურორმა.

— ის დამპალი მოვძებნე!

— როგორ?! — გაოცებით შეხედა პროკურორმა.

— გრძელი ამბავია და აღარც მინდა ყველაფრის გახსენება... ჩემთან რაიმე პრეტენზია ხომ არ გაქვთ?

— პრეტენზია?! არა, რა პრეტენზია უნდა გვქონდეს?! — უპასუხა გიორგიმ. — მაგრამ ამ იარაღს ველარ გაგატანთ: ამით მკვლელობაა ჩადენილი.

— მე ადრევე გითხარით, რომ არ მიყვარს იარაღი.

— ჩვენების მოცემაც მოგიწევს, — ჩაურთო პროკურორმა, — ზუსტად უნდა ვიცოდეთ, სად და რა ვითარებაში შეხვდი მკვლელს და როგორ აღმოჩნდა ეს პისტოლეტი შენთან. მკვლელის მიმართ საქმის წარმოება არ შეწყდება...

— ჩვენებას მოგცემთ, მაგრამ ახლა არა. სხვა დროისთვის გადავდოთ... — გოგამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — რაც შეეხება მკვლელს... შეგიძლიათ, აღარ ეძებოთ.

— რატომ? — ჰკითხა გიორგიმ.

— ცოცხალი აღარ არის... — ჩაილაპარაკა გოგამ და ადგა. — მე კიდევ გჭირდებით რამეში?

— არა... შეგიძლია წახვიდე, — უპასუხა პროკურორმა.

გოგამ უხმოდ დაუქნია თავი და კარისკენ წავიდა.

პროკურატურიდან გასულმა სირბილით გადაკვეთა გზა და ხეს მიუახლოვდა, რომლის გვერდითაც რიტა იდგა.

— ასე მალე გათავისუფლდი?! — გაუკვირდა ქალს.

— გავთავისუფლდი და თანაც, სამუდამოდ. ახლა მთლიანად შენს განკარგულებაში ვარ. წამოდი, ჩემი თბილისი უნდა გაგაცნო, — უპასუხა გოგამ. მერე მხარზე მოხვია ხელი და მასთან ერთად გაუყვა ქუჩას.

**დასასრული**



# ძლიერი სუსტი ქალი

სვეტა კვარაცხელია

**ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით**

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-15

სალომემ ფრთხილი მზერა ესროლა კავალერს.

— ვიმედოვნებ! — ხაზგასმით წარმოთქვა. — საშინლად არ მიყვარს, როცა რაღაცას მაძალებენ. მაგრამ თუკი მომატყუებ და სიტყვას გადახვალ, დაინახავ, რაოდენ ძლიერ უსიამოვნო ლედი ვარ. სხვათა შორის, ბიჭების გარემოცვაში გავიზარდე და ვერ ვიტან, როცა პირობას არ ასრულებენ.

ვაკომ ხუმრობით, შეშინებულის გამომეტყველება მიიღო, გულში კი ქალს „კაცური“ ტემპერამენტი მოუწონა.

— გულს არასდროს გატკენ, სალი, სიტყვას გაძლევ, — მამაკაცმა ბოკალი ასწია, — ჭეშმარიტ მეგობრობას გაუმარჯოს!

გოგონამ ჭიქა მიუჭახუნა და მსუბუქმა ღიმილმა ოდნავ შეარბილა მისი დამფრთხალი გამოხედვა.

— გაუმარჯოს! — მოკლედ მოჭრა და დალია.

ის ძალიან ლამაზი იყო, თვალისმომჭრელად ლამაზი. ვაკოს ყველაფერი მოსწონდა მასში — აბრეშუმივით თმა, მოციმციმე ცისფერი თვალები, მეტყველი ბუნჩულა ტუჩები, რომელიც თითქოს საკოცნელად იყო გამზადებული, მოხდენილი სხეული, რომელიც ვნებას ასხივებდა, მაღალი, მკვრივი მკერდი, რომელიც მაცდუნებლად თრთოდა ტანსაცმლის შიგნით. როგორ გინდა, ხელი არ გაგექცეს, როცა წინ ასეთი სრულყოფილება გიზის?!. ნდომის ნერწყვი შეუმჩნევლად გადააგორა მამაკაცმა.

— რამდენ ხანს აპირებ აქ დარჩენას? — ჰკითხა ვაკომ და საკუთარი ხმა ველარ იცნო...

როგორც ჩანს, ზედმეტად მოეძალა სურვილი. ვნებათაღელვა რომ დაეფარა, ნაძალადევად ჩაახველა და სალომეს თვალი აარიდა.

— ჯერ არ ვიცი. მამიდამ მითხრა, რამდენ ხანსაც გაგიხარდებაო. მე კი ჯერჯერობით მიხარია, — გაიცინა გოგონამ.

— ანუ მანამდე, სანამ არ გადახარშავ განქორწინებით მოყენებულ ტკივილს... ეს იგულისხმე?

— ალბათ, — ღიმილით დაეთანხმა სალომე.

— უკან თუ დაბრუნდები, სად უნდა იცხოვრო?

— სავარაუდოდ, ბინას ვიქირავებ. ოღონდ, მანამდე სამსახურის მოძებნა მომიწევს — ქირას ხომ უნდა გადახდა.

— როგორ? მეუღლემ წილი არ მოგცა? მისგან არაფერი გერგება? — გაკვირვების ნიშნად წარბები აზიდა ვაკომ.

შეკითხვა, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მოეჩვენა სალის. არც ისეთი ახლო მეგობრები იყვნენ ჯერჯერობით, რომ მამაკაცი ასე გათამამებულიყო, მაგრამ მაინც უპასუხა.

— მისგან არაფერი მინდა! — ცხარედ წამოიძახა. — როცა გავყევი, არაფერი გამაჩნდა. ასეთივე უქონელი წამოვედი. მას არ შემოუთავაზებია... არც მე მითხოვია. იმითიც გახარებული ვარ, რომ წამოვედი. არ მსურს, დავალებული ვიყო მისგან. მთავარი ისაა, რომ თავისუფალი ვარ.

— შესაშური საქციელია შენი მხრიდან, მაგრამ — არაპრაქტიკული. ის არ მოქცეულა გონივრულად. რაღაცით ხომ უნდა გამოეხატა მადლიერება, 3 წელი რომ მიუძღვენი ამისთანა ქალმა! როგორც მივხვდი, მასთან აღარ მუშაობ, არა?

— არა, რა თქმა უნდა. როგორც კი დავქორწინდით, მაშინვე მიმატოვებინა სამსახური და შინ გამომკეტა. არც მინდა! სულ რომ მეხვეწოს და დამიჩოქოს, მასთან სამუშაოდ არავითარ შემთხვევაში არ დავბრუნდები. თუმცა ვიცი, არ შემომთავაზებს. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა.

— რა კაცია ამისთანა, გაოგნებული ვარ! — აღშფოთება ვერ დაფარა ვაკომ.

— კი, მაგრამ აუცილებელია, ეს განვსაჯოთ?!. არ მსიამოვნებს მასზე ლაპარაკი. იქნებ სხვა თემაზე გადაგვეტანა საუბარი? — უკმაყოფილება გაისმა სალის ხმაში.

ვაკომ ენაზე იკბინა. მზად იყო, დაუფიქრებელი ნათქვამის გამო ბოდიშიც კი მოეხადა, მაგრამ ამ დროს ოფიციანტი გამოჩნდა თევზის სალათით ხელში.

სალომემ მადლობა გადაუხადა მიმტანს და სალათა გადაიღო. დაღალა მამაკაცის „დაკითხვებმა“, თუმცა ცდილობდა, არ შეემჩნია. ხვდებოდა, რომ ვაკო მეგობრული ინტერესის დემონსტრირებას ცდილობდა, მაგრამ ასე ღრმად მის პირად ცხოვრებაში ჩახედვის უფლება მაინც არ ჰქონდა, მით უმეტეს — ამ ეტაპზე. სალის ისიც ეყოფა, ქორწინებაში რომ არ გაუმართლა. ისე, რა სულელია, რამდენი ილაყბა, დაწვრილებით გადმოულაგა თითქმის უცნობ ადამიანს მისი ოჯახის ინტიმური დეტალები. იყო კი საჭირო? ვითომ სწორად მოიქცა, მეგობრობაზე რომ დათანხმდა? ისეთი მომნუსხველი მამაკაცია, შეიძლება, ძალიანაც გაუჭირდეს მასთან მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნება. ძნელია, გულგრილი დარჩე, როცა მამაკაცი მომხიბვლელია და ამასთან, სასიამოვნო მოსაუბრეც. თანაც, გაცნობისთანავე იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, გაუჭირდება ამის დამალვა.

რა თქმა უნდა, სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ სალომე გულის სიღრმეში ხვდება, რომ ვაკოსთან სიახლოვე მასში ზიზღს სულაც არ გამოიწვევს... პირიქით... საკმარისია, წარმოიდგინოს, როგორ ეფერება მამაკაცი და ეგრევე თავბრუს ხვევას გრძნობს, უცნაური ჟრუანტელი უვლის... ამის გაფიქრებაზე მისდა უნებურად აუფორაჯდა ღაწვები და სასწრაფოდ თავი დახარა, ვაკო არაფერს მიმიხვდესო.

არა უშავს... როგორმე მოერევა თავს, ყოველ შემთხვევაში, შეეცდება. ამასთან, მამაკაცმა ხომ სიტყვა მისცა... თუმცა, სხვა საქმეა, რამდენად შეასრულებს იგი მიცემულ პირობას? იქნებ პირველსავე ხელსაყრელ მომენტში დაავიწყდეს?.. ან იქნებ, ორივეს დაავიწყდეს? ცდუნება

უფრო ძლიერი რომ აღმოჩნდეს, მაშინ?

„ეჰ, სალო, სალო... სად გაქრა შენი მტკიცე გადაწყვეტილება, მამაკაცზე აღარასოდეს ვიფიქრებო?! გახსოვს, როგორ იფიცებოდი, ცხოვრებაში სიახლოვეს არავის გავიკარებო?! შენ კი



უკვე ფიქრობ ამ კაცზე, თანაც... გამუდმებით. რატომ არ გინდა, შენს თავს ამაში გამოუტყდე?“ არა, არა, ასე არ უფიქრია სალომეს. კარგა ხანს არ გავეკარები მამაკაცსო, ამბობდა, მთელი ცხოვრება კი არ უგულისხმია... კარგი, თუნდაც ასე იყოს! „კარგა ხანი“ რატომ გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე თვე?.. აბა, ახლა იმის დრო იყო, ვაკო ღუდუშაურის „მეგობარი“ გამხდარიყო?! რა სასაცილოა! განა იგი იმ ტიპის მამაკაცია, მხოლოდ პლატონური ურთიერთობით დაკმაყოფილდეს?! როგორ იტყუებს ამხელა ქალი თავს, თითქოს 18 წლის გოგონა იყოს, რომელსაც ზღაპრების სჯერა.

— რაღაც ძალიან მიჩუმდი, — ვაკოს შემპარავმა ინტონაციამ ღრმა ფიქრებიდან გამოარკვია და იმდენად შეაშინა, რომ დამფრთხალი მზერით მიაჩერდა.

— სალათა მეგემრიელა...

— ჰოოო... ისე დაესხი თავს ამ ორაგულს, თითქოს ცოცხალი ყოფილიყო! — სიცილი წასკდა მამაკაცს.

— მმმ... რა ჩემი ბრალია, თუკი საშინლად გემრიელია?!

— საინტერესოა, როგორი შეგრძნებაა „საშინლად გემრიელი“, ვერ გამიმხელ?

სალომე გაწითლდა.

— რა ვიცი... გასინჯე და თავად მიხვდები.

— დიდი მადლობა, აუცილებლად გავ-სინ-ჯავ... ოღონდ სხვა დროს, — ორაზროვნად უპასუხა ვაკომ, — ახლა კრევეტებით ვარ დაკავებული.

გოგონა უარესად გაწითლდა, მიუხვდა ქარაგმას.

— აქ ხშირად მოდიხარ? — სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, თან გულში დაამატა: „სხვა ქალებთან თუ — მარტო?..“ საკმაოდ ძვირად ღირებული რესტორანია იმისთვის, რომ მისნაირებმა ხშირად იარონ. ან იქნებ, აქვს კიდევაც ამის საშუალება?

— მხოლოდ მაშინ, როცა შთაბეჭდილების მოხდენას ვცდილობ, — ეშმაკური ღიმილით გახედა მამაკაცმა.

— მაგრამ ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენა, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი, — ჩაიცინა სალიმ, — ჩვენ ხომ მხოლოდ მეგობრები ვართ. აქ ყველაფერი ძალიან ძვირია. გინდა, „გერმანულად“ გადავიხადოთ? ჩვენ-ჩვენი წილი დავდოთ, როგორც ნამდვილმა მეგობრებმა.

ვაკომ საჩვენებელი თითი დაუქნია.

— ჩემს გაბრაზებას ნუ ცდილობ, სალი. რომ არ შემძლებოდა, არც დაგპატიჟებდი. ძალიან გთხოვ, ჩემს ჯიბეზე ნუ იზრუნებ. ჩემი საქმისა მე ვიცი. შევთანხმდით?

— მაპატიე... ჩათვალე, რომ ვიხუმრე. დიდი მადლობა, რომ აქ დამპატიჟე და გამიმასპინძლდი. ეს დიდი პატივია ჩემთვის.

— ნუ მაშაყირებ.

— არ გაშაყირებ, რა სისულელეა! მართლა გულწრფელად ვამბობ.

— მოგხვდება, იცოდე!.. — ისევ დაემუქრა ვაკო და კინაღამ დაამატა, „ერთ ადგილასო“, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი.

უხერხულობის გასაფანტავად სალიმ „ნაბელლავის“ დასხმა გადაწყვიტა, მაგრამ ვაკომ არ დააცადა და თავად წაეპოტინა ბოთლს. რაღაც მომენტში მათი თითები ერთმანეთს შეეხო. სალიმ, თითქოს დენმა დაარტყაო, სწრაფად გასწია ხელი უკან და სკამის საზურგეს მიეყრდნო. მამაკაცი დაჟინებით მიაჩერდა.

— მაპატიე... სისულელეა ეს ყველაფერი, — ჩურჩულით თქვა გოგონამ.

— რატომ ნერვიულობ? — მოიღუშა ვაკო. — შენ რა, გგონია, სიტყვას გავტეხ?

— არა, წამითაც არ მიფიქრია...

— მაგრამ შენი რეაქციიდან გამომდინარე, რაღაცის გეშინია... რისი? იქნებ ფიქრობ, რომ შეცდომა დაუშვი? — მამაკაცმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. — თუ გსურს, უბრალოდ ავდგეთ და გავაუქმოთ ჩვენი შეთანხმება, პრობლემა არ არის.

— არა! — სალის თავადაც გაუკვირდა, ისე სწრაფად უპასუხა. — არ მინდა. მეგობარი ახლა ნამდვილად მჭირდება.

— მაგრამ შენ უკვე გყავს მეგობარი... მამიდაშენი არაჩვეულებრივი ადამიანია.

— ჰო, რა თქმა უნდა, ამაში გეთანხმები, მაგრამ... ის ჩემი ნათესავია. არის განსხვავება.

— განსხვავება? აბა, ერთი მითხარი, რას გულისხმობ?

— იცი, ნათესავი სხვა რამეა... ის ჩემი გამზრდელი მამიდაა. ჩემს გულისტკივილს ბოლომდე ვერასდროს გავუმხელ, რათა მასაც არ ვატკინო გული. ამიტომაც, შედარებით მსუბუქად ვუყვები ხოლმე ჩემი პრობლემების შესახებ.

— ესე იგი, მას რაღაცას მაინც უმალავ?

სალომემ თავი დაუკრა.

— თავიდანვე წინააღმდეგი იყო, ავთოს გავყოლოდი ცოლად და არ დავუჯერე. ახლა ბევრი რომ ვიწუწუნო, ვიცი, მეტყვის, — ხომ გეუბნებოდი თავის დროზე და რატომ არ დამიჯერეო?!. მე კი არ მინდა ამის მოსმენა. ისედაც ვიცი, რომ შეცდომა დავუშვი.

— მაგრამ როგორ აუხსენი, როცა დაშორდი? მიზეზად რა მოიყვანე?

— ვთქვი, უბრალოდ ვერ გავუგეთ ერთმანეთს და ორივემ მშვიდად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, მივხვდი, რომ აღარ მიყვარს-მეთქი.

— და დაგიჯერა? — სკეპტიკურად გახედა ვაკომ. — კარგი, ჩემთვის გასაგებია, რომ არ გინდა, მამიდას ბოლომდე გადაუშალო გული, მაგრამ... ვეჭვობ, არც ჩემთან იქნები ბოლომდე გულახდილი. ახლაც, რაღაც უმნიშვნელო რამ მოხდა და ისეთი თვალებით შემომხედე, შეშინებულ კნუტს დაემსგავსე. თუ ასე გაგრძელდება, ჩვენს ურთიერთობაშიც წარმოიქმნება პრობლემები.

— მერწმუნე, ეს მეტად აღარ გამეორდება, — თავი იმართლა გოგონამ, თუმცა ხვდებოდა, რომ სულაც არ იყო დარწმუნებული თავის ნათქვამში.

კარგა ხანს დაყვეს რესტორანში. ვაკომ თავის ბავშვობაზე ილაპარაკა, თავის ონავრობებზე და ამაზე ბევრი იცინეს.

— და-ძმა არ გყავს? — დაინტერესდა სალი.

— არა, დედისერთა ვარ და ნებიერად გამზარდეს მშობლებმა. ჩემს გემოზე ვიყავი მიშვებული. ისინი მუშაობდნენ, ამიტომაც ძირითადად, მარტო ვიყავი. ხომ მოგიყევი, რა სიგიჟეებსაც ჩავდიოდი... ქუჩაზე არ იყვნენ, ამისგან ბანდიტი გაიზრდებაო, — გაიძახოდნენ შეშინებულები. მე კი,

ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ სიმარტოვისგან ვიყავი გაბოროტებული და მათ ჯინაზე ვიქცეოდი ცუდად.

— ახლა სად არიან?

— მამა 2 წლის წინ დამეღუპა, დედა კი სოფელში ცხოვრობს, მეურნეობას ეწევა... ცოტათი დამიბერდა...

— სამწუხაროა...

— შვილები არ გყავს, მგონი, არა?

— საბედნიეროდ, არა. ჩემი ქმარი ვერ იტანდა პატარებს. ძმაკაცების შვილების სანახავადაც კი არ მიდიოდა ხოლმე. ამბობდა, ახალშობილს რომ ვუყურებ, გული მერევაო.

— შენ თუ გინდა, შვილები გყავდეს? — მამაკაცმა თვალი თვალში გაუყარა.

— რა თქმა უნდა.

— აბა, რატომ თქვი, საბედნიეროდო?

— იმიტომ, რომ მისგან არ მყავს: მიხარია, რომ მომავალში მასთან აღარაფერი დამაკავშირებს. დარწმუნებული ვარ, შვილი რომ მყოლოდა, ვაჭრობას დამიწყებდა.

— ვაჭრობას?

— ჰო. თუ წახვალ, ბავშვს არ გაგატანო და ასე შემდეგ. ხომ იცი, როგორც ხდება ასეთ დროს.

— გასაგებია, მაგრამ იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, შვილები გყოლოდათ: ჩემი აზრით, ეს უფრო ამყარებს ოჯახს.

— გამორიცხულია... ჩვენი ურთიერთობა განწირული იყო. მასთან გატარებული 3 წელი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი პერიოდი იყო. ეჰ... აღარასდროს გავთხოვდები, აღარასდროს!

— რატომ? განა ყველა მამაკაცი ერთნაირია?! ყველა შენს ქმარს კი არ ჰგავს.

— შეიძლება, მაგრამ ეს ჩემთვის შელავათი სულაც არ არის. კიდევ ერთხელ არ მინდა, რისკზე წავიდე. თუ მოსკოვში დავბრუნდები, ვეცდები, კარგი სამსახური ვიშოვო, ბინა ვიყიდო და ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე თვითონ ვიყო.

— მერედა, მოსკოვში ბინის ყიდვა ასე ადვილია? რა მეოცნებე ყოფილხარ! — სიცილი ვერ შეიკავა ვაკომ.

— აქაც ხომ მაქვს ბინა, იმას გავყიდი და დავამატებ. მუშაობა არ მეზარება, არც პროფესია მაქვს ცუდი, — ამაყად წარმოთქვა სალომ.

მამაკაცს ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.

— იცი, რა?.. განგების ნებაა, გაუთხოვარი დარჩები თუ ისევ გათხოვდები. სად მიდიხარ, თუ ბედმა კიდევ ერთხელ შეგახვედრა ვინმეს?! შენი მეორე ნახევარი ხომ მაინც არსებობს სადღაც! მშვენივრად იცი, რომ ასეა.

— ალბათ... ალხანას ხომ თავისი ჩალხანა არ დაელევა... მაგრამ ახლა ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. თუ ამის დრო ოდესმე დადგება, მერე დავფიქრდები. ამწუთას მამაკაცები ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ბოლო ადგილს იკავებენ.

— ჩემთვის თუ გამოიმეტე ერთი ბნელი კუნჭული მაინც შენს გულში?

— როგორც მეგობრისთვის — რა თქმა უნდა, — მორცხვად უპასუხა სალომემ და თვალები დახარა.

„ალბათ ფიქრობს, რომ სულაც არ ვარ მამაკაცების კატეგორიული წინააღმდეგი და ისე, ზერელედ ვლაპარაკობ ამაზე. იქნებ იმედოვნებს, რომ ჩვენი მეგობრობა სხვა, უფრო ღრმა ურთიერთობაში გადაიზრდება?.. ეს არ მოხდება! არასდროს!“ — შუბლი შეიჭმუხნა გოგონამ და მაგიდაზე თითები აათამაშა.

ვაკომ თბილად გაიღიმა, როცა სალომეს შეცბუნება შეამჩნია.

— შენ მომაჯადოებელი ქალი ხარ, რომელმაც გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინა, თუნდაც მწარე, — მსუბუქად წარმოთქვა, — მე კი ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ რწმენა დაგიბრუნო.

— რისი რწმენა? — თვალები აზიდა სალომემ.

— მამაკაცების.

— ფუჭი შრომა მოგიწევს.

— მაინც ვეცდები. სად მეჩქარება?! მგონი, დრო თავზე საყრელად მაქვს.

სალომეს ალმურმა გადაჰკრა. შეეცადა, სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი.

— მამიდაჩემი როგორ გაიცანი? ძალიან გაფასებს, სულ შენზე ლაპარაკობს.

— ისევე, როგორც მე. არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს — კეთილია, გულიანი, სიცოცხლით სავსე და ხელგაშლილი. საერთო მეგობრების წრეში გავიცანით ერთმანეთი. ერთ ახლობელს კარის საკეტი გაუფუჭდა და იმას ვურემონტებდი, რომ თავზე დამადგა: მეც ხომ არ შემიკეთებდი კარის სახელურსო?.. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. მერე დავმეგობრდით... მას შემდეგ ხშირად ვსტუმრობ.

— ძალიან კეთილი ხარ, — თქვა სალომემ, — ის ღვიძლი შვილივით გექცევა, არადა, შვილი არასდროს ჰყოლია... კიდევ რას საქმიანობ, გარდა იმისა, რომ კარის საკეტებს ცვლი? — გაიცინა სალიმ, ნამდვილად არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს მომხიბვლელი მამაკაცი მხოლოდ ხელოსანი იყო და სხვა პროფესიას არ ფლობდა.

— ცოტ-ცოტას ყველაფერს... — არ დააკონკრეტა ვაკომ და სასმელი ჩამოასხა.

— კი, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ საერთოდ არ გიცდია, უმაღლესი განათლება მიგეღო? თუ გაქვს პროფესია და არ ამბობ? — არ მოეშვა სალი.

ვაკომ ჩაიღიმა.

— იურიდიულზე ვსწავლობდი, მაგრამ ერთხელაც მივხვდი, რომ იურისპრუდენცია ჩემი მოწოდება არ იყო. შემდეგ კომპიუტერული პროგრამების შესწავლაზე გადავერთე. საერთოდ, ცოტა უცნაური ადამიანი ვარ. როცა რაღაც დამაინტერესებს, ვცდილობ, ბოლომდე ჩავუღრმავდე და რაც შეიძლება მეტი ავითვისო. მაგრამ შედეგად იცი, რა გამოდის?.. ყველაფერს ვეპოტინები და საბოლოოდ, წესიერად არაფერიც არ ვიცი. ხოლო რაც შეეხება ბურღს, ქანჩსა და მარწუხს — შესანიშნავად ვხმარობ; რატომღაც, გამომდის.

— გასაგებია... და სად ცხოვრობ?

— აქვე ახლოს. თუ გაინტერესებს, შემიძლია, ჩემი სახლი გაჩვენო.

— სხვა დროს იყოს, გმადლობ.

ახლა ნამდვილად არ ღირს, ჯერ უფრო ახლოს უნდა გაიცნოს ეს კაცი. მამიდა შეიძლება ენდობა მას, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, საჩქარო არაფერია. რა დაავიწყებს სალომეს, როგორი ანთებული თვალებით აკვირდებოდა მამაკაცი მას გაცნობის პირველსავე დღეს?! თითქოს მისი შეჭმა უნდაო. ახლა კი პატარა ბიჭივით, მეგობრობა შესთავაზა. ალბათ ძალიან გულუბრყვილო გოგონა ჰგონია სალი... ძალიან უცნაურია ეს ყველაფერი.

— ვხედავ, რომ მაინც არ მენდობი. რა ხართ ეს ქალები!

სალომემ წარბები შეყარა. ის რა, მის აზრებს კითხულობს?!. ცოტა არ იყოს, შეცბა.

— არა, რატომ?.. საიდან მოიტანე?!

— შენმა თვალებმა მითხრა, საკუთარმა გამოხედვამ გაგყიდა. იცი?.. ყველა კაცი ერთნაირი არ არის, თუმცა შენმა მეუღლემ, ცოტა არ იყოს, მეც კი გამაოგნა. ძალიან მინდა, დაგიმტკიცო, რომ კარგი მამაკაცებიც არსებობენ ამქვეყნად.

— ალბათ არსებობენ, უბრალოდ, მე არასდროს შემხვედრია ასეთი, — ღიმილით დაეთანხმა სალი.

— ერთი წინადადება მაქვს: ხვალ გამოგივლი და ბაზალეთის ტბაზე წავიდეთ. იქ არაჩვეულებრივი ბუნებაა, მოგეწონება.

სალომე უარის თქმას აპირებდა, რადგან ჯერჯერობით ისე არ იყო ვაკოსთან დაახლოებული, რომ ამდენი დრო გაეტარებინა მის გვერდით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დათანხმდა.

— სიამოვნებით.

ტბა, ზღვა და მდინარე იმდენად უყვარდა, ვაკო კი არა, ვინც უნდა ყოფილიყო, ცდუნებას წინ ვერასდროს აღუდგებოდა.

მამაკაცმა იდუმალად ჩაიღიმა, რამაც გოგონას გული აუჩქროლა. როგორ უხდებოდა ღიმილი, მოღიმარი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა — კიდევ უფრო... სიმპათიური ჩანდა და კიდევ უფრო... სასურველი. რა ჯანდაბა ეტაკა ამ საღამოს?! მის ყოველ შემოხედვაზე ჟრუანტელი უვლის. ვაითუ, შეუყვარდეს?! არა, ეს გამორიცხულია. რა დროს კაცებზე ფიქრია? ცხოვრება თავზე ენგრევა! გარდა ამისა, არც ისეთი განსაკუთრებულია, როგორიც ერთი

შეხედვით ჩანს. მერე რა, რომ მაღალია და სიმპათიური?! სიმაღლე და სილამაზე არც ალვის ხეს აკლია, როგორც მარინა მამიდა იტყოდა, მაგრამ რისი მაქნისია?! მის ტოტებს საჩრდილობლადაც ვერ გამოიყენებს ადამიანი. ჰოდა, ეგრე!..

ძალიან კი უნდოდა, ეს „ჭეშმარიტება“ ერწმუნა სალის, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ვაკო ღუდუშაური მართლაც რომ მომხიბლავი მამაკაცი იყო, თითქოს ასხივებდა მომხიბვლელობას. თუმცა ეს არ იყო მთავარი. ასეთი მამაკაცების უმრავლესობა თავიანთ გარეგნობას ღვთის საჩუქრად მიიჩნევს და ისე მოაქვს თავი, თითქოს მასზე უკეთესი ქვეყნად სხვა არავინ იყოს და ყოველთვის ქალისგან ელის პირველ ნაბიჯს; დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი ქალის შეცდენას შეძლებს, თანაც ადვილად... ვაკო ამ მხრივ მართლაც რომ გამორჩეული იყო. ის სულაც არ ცდილობდა, შთაბეჭდილება მოეხდინა სალიზე. არ ტრაბახობდა, თავის გამორჩეულ თვისებებზე არ ლაპარაკობდა, თავს არ იქებდა... თუმცა კი მომთხოვნი ჩანდა, თითქოს მბრძანებლობდა სხვებზე. იცოდა, როგორ უნდა მიეღწია მიზნისთვის. მან უკვე აჩვენა ეს, როცა სალომეს მეგობრობა შესთავაზა. ხომ ადვილად დაითანხმა?! ჰო, რა თქმა უნდა, სალი არც კი შეუყოყმანებულა. ამასთან, არც ტაქტი აკლდა. კარგად იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ქალთან. ჯენტლმენიც იყო, ამას ვერ დაუკარგავდი. ფაქიზად ეკიდებოდა ქალის გრძნობებს, ცდილობდა, დაუფიქრებელი ნაბიჯით არ გაენაწყენებინა მანდილოსანი. ამას სალომე არა მარტო მამიდის რეკომენდაციით, არამედ საკუთარი ინტუიციითაც გრძნობდა.

საღამოს ბოლოს სალომე უკვე აღარ იყო დაძაბული, ნერვიულობისგან თანდათან გათავისუფლდა და მოეშვა. ვაკომ სახლამდე მიაცილა და შეჰპირდა, ხვალ დილით, 9 საათზე გამოგივლიო. გამომშვიდობების ნიშნად ქალმა ხელი გაუწოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ვაკო მხოლოდ ხელის ჩამორთმევას არ დასჯერდებოდა და უეჭველად აკოცებდა. მოლოდინი იმდენად ძლიერი იყო და ალბათ სურვილიც, რომ გოგონას გულმა ბაგაბუგი აუტეხა, როცა ვაკომ მისკენ გამოიწია, მაგრამ... ახალმა მეგობარმა მხოლოდ ლოყაზე უჩქმიტა... მსუბუქად, მსუბუქად...

— საღამომ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, — თქვა მან გულში ჩამწვდომი ხმით, — ვიმედოვნებ, შენც...

დამორცხვებულმა გოგონამ თავი დაუკრა.

— მეც...

— მოუთმენლად დაველოდები ხვალინდელ დღეს.

— მეც... ძალიან კარგი ადამიანი ხარ... მაგრამ... იცი, რა?.. სულაც არა ხარ ვალდებული, ჩემს გასართობად ამდენი დრო დახარჯო.

— ამას ნამდვილად, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ არ გავაკეთებდი, დამიჯერე, — უპასუხა ვაკომ და თვალი თვალში გაუყარა.

მისი მზერა ჰიპნოზივით მოქმედებდა სალომეზე. ეს ულამაზესი დანისლული თვალები თითქოს მისი სულის სიღრმეში აღწევდა. სასიამოვნო ტალღამ სხეული გაუთბო. სანამ რამე მომხდარა, აჯობებს, შინ შევიდეს, თორემ ბევრი რამ გაუხდება სანანებელი. ათრთოლებულმა ძლივს გადაატრიალა გასაღები.

— ღამე მშვიდობისა, ვაკო... და კიდევ ერთხელ — დიდი მადლობა...

მარინას არ ეძინა. სალომე ამას არ მოელოდა. ეგონა, მამიდა შეკითხვებს დააყრიდა, საღამო როგორ გაატარეთო, მაგრამ, ამის მაგივრად, ქალმა ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა:

— ეს წუთია, შენმა დედინაცვალმა დარეკა.

— ხომ მშვიდობაა? ავად ხომ არ გახდა? ალბათ ნაწყენია, რომ არ ვინახულე, არა?

— მშვიდობაა, კი, — დაამშვიდა მამიდამ, — უბრალოდ, ავთოს დაურეკავს მასთან და...

— ავთოს? — სალომეს უსიამოვნოდ გააჟრჟოლა. — რა ჯანდაბა უნდოდა?!

— შენზე უკითხავს, — დაბრუნებას როდის აპირებსო? როგორც ჩანს, შერიგება უნდა.

— რა-ა?! — თვალები რისხვით აენთო. — შერიგება?! მოხარშული წაბლი არ უნდა?!. არასდროს! ეგ არ მოხდება, მამიდ, შენ მაინც ხომ იცი, რომ არ მოხდება! იმედია, მედეამ გაგზავნა ერთ ადგილას... ხომ არ დავურეკო?

— ვუთხარი, ხვალ დაგირეკავს-მეთქი.

— მაგრამ ხვალ დილით ვაკოს უნდა შევხვდე, ბაზალეთზე მივდივართ და როდის დავბრუნდებით, არ ვიცი, — გაახსენდა გოგონას.

მარინას ღიმილმა გაუნათა სახე.

— ძალიან საყვარელი ბიჭია, არა?

— ჰო, საყვარელია, — დაეთანხმა სალი, — მაგრამ ძალიან გთხოვ, მამიდა, ნუ იქნები ილუზიების ტყვეობაში. ჩვენ მხოლოდ ვმეგობრობთ და მეტი არაფერი. ასე გადავწყვიტეთ. ამიტომ სხვა ამპლუაში მას ნუღარ წარმოიდგენ, გეხვეწები.

მარინამ მრავალმნიშვნელოვნად აზიდა წარბები, მაგრამ არაფერი უთქვამს, შეუმჩნევლად ჩაეღიმა მხოლოდ.

— მართლა, მართლა, — სალომემ ხელები გულზე დაიკრიფა, — სულ ცოტა ხანში თავადაც დარწმუნდები ამაში.

— თქვენი საქმისა თქვენ იცით, მე რა?! როგორც გაგიხარდებათ, ისე მოიქეცით. მე უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ ვაკო არაჩვეულებრივი ადამიანია.

— მჯერა. მეც მომწონს, მაგრამ — მხოლოდ მეგობრულად... წავალ, დავწვები, ძალიან დავიღალე, — თქვა გოგონამ და ტანსაცმლის გახდას შეუდგა.

— წადი, შვილო, წადი.

სალომემ ღიმილით გახედა მამიდას, ხალათი მოიცვა და სააბაზანოში შეიკეტა...

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, ვაკოსთან გატარებულ საღამოზე ფიქრობდა... რამდენი ხანია, ასე კარგად არ უგრძნია თავი! რა არის, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება? სიყვარული?.. მაგრამ სიყვარულს ვისთვის მოუტანია ბედნიერება?! არავისთვის... არასდროს... პირიქით... სიყვარული კაეშანი და ღელვაა, ორთაბრძოლა, უძილო ღამეები... შეკითხვებით თავს იწამებ — სწორად იქცევი თუ არა?.. ეს აგონია უფროა, ვიდრე სიამოვნება. რა მოიგო, როცა ერთის შეყვარება სცადა?! ტკივილი და მარტოობა, სხვა არაფერი გადაუტანია. ამიტომაც ჯობია, ოცნების კოშკების აგებას არ შეუდგეს. ილუზიებით ცხოვრება გაცილებით მარტივია, ვიდრე მათი რეალობად გადაქცევა. ეს არის ჭეშმარიტება...



გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ULTRIX

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43, 2009 - №15, 2010

მარი ჯაფარიძე

გოდერძი ბედს შეეგუა და წინააღმდეგობის გაწევაც კი აღარ უცდია. როგორც კი მისმა მეგობრებმა კარი გაიხურეს, ნუგზარმა იატაკზე დაგდებული ფეხზე წამოაყენა და დივანზე დასვა. კი არ დასვა, დააგდო და თავზე დაადგა.

— ახლა მე კითხვებს დაგისვამ, შენ კი მიპასუხებ. თუ ჭკვიანად მოიქცევი, გაგიშვებ, თუ არა და განზრახ მკვლელობისთვის ციხეში ჩაგსვამ.

— რა მკვლელობა, გაგიჟდით? არავინ მომიკლავს...

— მაშინ მე გაგახსენებ ერთ გოგონას.

ნატოს სახელისა და გვარის ხსენებაზე გოდერძის სახე „წაეშალა“.

— ვიცნობდი ნატოს, მაგრამ დიდი ხანია, არ მინახავს...

— მისი გაუჩინარება შენთანაა დაკავშირებული, ეს ზუსტად ვიცი.

— არა, — თავი გააქნია ნუგზარმა.

— მაშინ ის თქვი, ფულს რატომ სძალავდი, რა იცოდი მის შესახებ ისეთი, რასაც შანტაჟისთვის იყენებდი?

— ტყუილია, ვიღაცამ შეცდომაში შეგიყვანათ, — მაინც არ ტყდებოდა გოდერძი.

— ანა, პოლიციაში დარეკე და უთხარი, რომ ნატოს მკვლელი დავაკავეთ, — ნუგზარმა თვალი თვალში გაუყარა გოდერძის.

— არ გინდათ პოლიცია, თქვენთვისვე აჯობებს: თუ პოლიციას დაურეკავთ, ვიტყვი, რომ ამ გოგოს იარაღი აქვს... არა მგონია, ეს გაწყობდეთ.

— მე იარაღის ტარების უფლებაც მაქვს, შენ გგონია, ისე ვატარებ?! — ანამ ჩაიცინა და ისეთი სახე ჰქონდა, ეჭვი არ შეგეპარებოდა, რომ სიმართლეს ამბობდა.

— მართლა არ მომიკლავს არავინ, ნატო ისე გაუჩინარდა, მეც ვერ მივაგენი. კარგა ხანი ვეძებდი, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერ გავიგე, — გოდერძი მოტყდა.

— უნდა თქვა, ფულს რატომ სძალავდი.

— მაგ გოგოს საქმრო ჰყავდა, რომელმაც არ იცოდა, რომ ნატო ჩემთან იწვა. რამდენჯერმე საქმეც გავაკეთეთ ერთად, კარგა ხანს საყვარლებიც ვიყავით. მერე ის კაცი გაიცნო და ჩემი მიტოვება რომ გადაწყვიტა, ამან გამაცოფა. არ მინდოდა, სხვისთვის დამეთმო. დავემუქრე, თუ მიმატოვებდა, მის საქმროს ყველაფერს მოვუყვებოდი, ვეტყოდი, რომ 1 წელი თურქეთში ბარში მეძავად მუშაობდა, საიდანაც მე წამოვიყვანე, იმასაც ვეტყოდი, რომ აქედან გოგონები ჩაჰყავდა და მეძავებად ამუშავებდა...

— ტრეფიკინგს ხომ ერთად ეწეოდით! არ გეშინოდა, რომ შენც მასთან ერთად აღმოჩნდებოდი გისოსებს მიღმა?

— ეს ტრეფიკინგი არ იყო — ვინც აქედან მიგვყავდა, ყველამ იცოდა, სად მიდიოდა. თავისი ნებით თანხმდებოდნენ იმ სამსახურს, რასაც ჩვენ ვთავაზობდით. ყველას ხელწერილს ვაწერინებდით, რომ შემდეგ პრეტენზია არ ჰქონოდათ და იქაც უფასოდ არ მუშაობდნენ. ჩვენ „კადრებით“ ვამარაგებდით საჭირო ხალხს და ამაში ვიღებდით ფულს. კანონსაწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებდით.

— აჰა, გამოდის, კანონში წერია, თუ თურქეთში მეძავად მუშაობას დააწყებინებ ქართველს, ეს დაშვებულია?.. — ანა თავზე წამოადგა „ტუსაღს“.

— არა, კანონში ასეთი რამ არ წერია, მაგრამ არც ის წერია, რომ ეს აკრძალულია და ისჯება.

— აი, თურმე რატომ ვერ გაკავებს პოლიცია!.. ბოლოს როდის ნახე ნატო?

— 3 წლის წინ, როცა ფული მომიტანა. მაშინ მითხრა, რომ ეს ბოლო თანხა იყო და აწი აღარაფერს მომცემდა.

— კამათი მოგივიდათ და ამ კამათის დროს შემოგაკვდა?

— არა, არ გვიკამათია. მაშინ არაფერი მითქვამს, რადგან გაღიზიანებული იყო. გადავწყვიტე, მერე დაველაპარაკები-მეთქი. იმის შემდეგ ტელეფონზე აღარ მპასუხობდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მერე კი საერთოდ გამორთო.

— დამაჯერებლად კი ლაპარაკობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შენ მოკალი. ასე უკვალოდ როგორ გაქრებოდა?!

— მე არ მომიკლავს, მაგრამ არსებობდა ისეთი ხალხი, ვინც ემუქრებოდა.

— ვინ?

— ეგ არ ვიცი.

— მისი საქმრო ვინ იყო?

— მაშინ ის კაცი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო, ახლა კი მაღალ თანამდებობაზე მუშაობს.

— ის არ ეძებდა გაუჩინარებულ საცოლეს?

— არ ვიცი, მე მასთან კონტაქტი არ მაქვს და ამიტომ ვერაფერს გეტყვით.

— ე.ი. ნატოს გაუჩინარებასთან კავშირი არ გაქვს...

— არა.

— მაშინ დაგვეხმარე, რომ მოვძებნოთ. თუ ცოცხალს ვიპოვით, ხომ სიმართლეს გავიგებთ და თუ მკვდარს მივაგენით, მაშინ თავის მართლება და უდანაშაულობის მტკიცება მოგიწევს. ასე რომ, ილოცე, ცოცხალი იყოს.

— მე როგორ დაგეხმარებით? — თვალები გაუფართოვდა გოდერძის და იმედიც მიეცა, რადგან ნუგზარს შემრიგებლური ტონი ჰქონდა.

— შესაძლოა, ნატო თურქეთში წავიდა, შენგან რომ თავი დაეღწია. კავშირები გაქვს და უნდა დაადგინო, იქაა თუ არა.

— ხელები გამიხსენით, — სახე დაეღრიჯა გოდერძის.

ნუგზარმა ბორკილები მოხსნა.

— გაქცევა და დამალვა არ გაბედო, იცოდე, თორემ მიწიდან ამოგიღებთ. თუ თანხა დაგჭირდება, გვეტყვი, რამდენი გინდა და მაგ ხარჯს ჩვენ გავიღებთ. ცოლ-შვილი რომ გყავს, ვიცით, სად გყავს — ისიც. ნუ აგვაწიოკებინებ ოჯახს. ერთი კაცი მუდმივად მათ სიახლოვეს იტრიალებს, რომ არსად გადამალო, — ნუგზარმა ჯიბიდან ფურცლები ამოიღო და გოდერძის წინ დაუდო.

ეს მისი ცოლის პირადობის მოწმობის ასლი იყო და ბავშვების სურათების ქსეროასლები.

— მისამართიც გითხრა?

— არა, საჭირო არაა... — მამაკაცმა თავი ჩაქინდრა. მიხვდა, რომ ხაფანგში იყო გაბმული.

ანა აღფრთოვანებული დარჩა ნუგზარის მოხერხებულობითა და გამჭრიახობით. ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ საუბარს და არ ერეოდა. ეშინოდა, რამე არ გაეფუჭებინა...

„დაკითხვამ“ გვიანობამდე გასტანა.

— კიდევ კარგი, ბელას დედა არ ახსენე, სულ მეშინოდა, რომ რამეს ჰკითხავდი. დამავიწყდა, წინასწარ გამეფრთხილებინე, რომ სიტყვა არ დაგცდენოდა, — სასტუმროში შესულმა ანამ დამშვიდობებისას ნუგზარს აკოცა.

— მე პირიქით, ვნერვიულობდი, რომ შენ არ გკითხა რამე.

## ხომ არ ფიქრობ, რამაზმა ეს იმისთვის გამოიგონა, რომ ჩვენი ნდობა მოიპოვოს და დაგვიმტკიცოს, რომ ერთგულია?

— ზედმეტი „თავის ტკივილი“ აღარ გვინდა. ჯობია, ნელის ამბავი აღარ ამოვქექოთ.

— გეთანხმები.

ანა 2 დღის შემდეგ თბილისში დაბრუნდა, ნუგზარი კი დარჩა და საქმის გამოძიება განაგრძო.

დავითმა არცთუ ისე სასიამოვნო ამბავი დაახვედრა: მათ ბიზნესპარტნიორებს გადაბირებას უპირებდნენ.

— ვინ გითხრა ეს ამბავი? — შუბლი შეიკრა ანამ.

— რამაზმა თქვა. მას დაჰკავშირებია ნაცნობი და უთხოვია, ჩვენი ფირმის ფინანსური დოკუმენტების ასლები გადაეღო და მისთვის მიეტანა. ჩვენს ინგლისელ პარტნიორებთან კავშირი უკვე დაუმყარებია და ახლა აპირებს, უკეთესი პირობები შესთავაზოს.

— დავით, ხომ არ ფიქრობ, რამაზმა ეს იმისთვის გამოიგონა, რომ ჩვენი ნდობა მოიპოვოს და დაგვიმტკიცოს, რომ ერთგულია?

— არა მგონია, — დაფიქრებით თქვა დავითმა, — ეს აზრად არ მომსვლია. როდესაც მითხრა, ახალი ამბავი მაქვს თქვენთვისო, ეჭვიც არ შემპარვია, რომ გულწრფელი იყო. ან რაში უნდა სჭირდებოდეს ამის გაკეთება?

— იმისათვის, რომ თუ ახლა თავის ერთგულებაში დაგვარწმუნებს, მომავალში თვალდახუჭული ვენდობით და ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

— ანა, შესაძლოა, მართალი ხარ, მაგრამ არა მგონია, რამაზი ასეთი ფლიდი და გაიძვერა იყოს.

— არ ვცდილობ, დაგარწმუნო. უბრალოდ, ვარაუდი გამოვთქვი. იქნებ, მართლაც ასეა, როგორც ის ამბობს და დროა, განგაშის ზარი შემოვკრათ. გადავამოწმებ, თუ ასეა, წინასწარ მივიღებ ზომებს და იმ ჩვენს „მტერს“ კუდით ქვას ვასროლინებ.

— მე უშენოდ არ მივიღე გადაწყვეტილება. ახლა აქ ხარ და ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

— ძალიან კარგი... ახლა კიდევ ერთი საბაბი მაქვს საომისოდ, რომ რამაზთან შინ მივიდე და ანა ვნახო, — ქალს კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა სახეზე და თვალებში ნაპერწკალი გაუკრთა.

საღამოს რამაზის სახლს უზარმაზარი, ადამიანის სიმაღლის თოჯინით ხელდამშვენებული მიადგა. პატარა ანა სიხარულის ყიჟინით შეხვდა თოჯინას, რომელიც მასზე გაცილებით მაღალი იყო.

ცოტა ხანში ანა აივანზე იჯდა, გვერდით პატარა ანა ეჯდა, ყავას წრუპავდა და რამაზს საქმეზე ელაპარაკებოდა...

გოგონა გვერდიდან არ სცილდებოდა და ცდილობდა, ახლოს ყოფილიყო მასთან. ანა გრძნობდა, რომ ბავშვს ის მოსწონდა...

რამაზისგან წამოსული ანა ფიქრობდა, რომ მამაკაცი გულწრფელი იყო... იმაზეც კი შეთანხმდნენ, რომ იმ ადამიანს შეახვედრებდა, რომელიც მისი ბიზნესის ჩაძირვით იყო დაინტერესებული.

შინ გვიან ღამით დაბრუნებული ანა ისეთი დაღლილი იყო, ფეხზე ძლივს იდგა.

— შენ დასასვენებლად იყავი თუ დასაღლელად? — დედამ გაოცება ვერ დამალა.

— დავიღალე, — თქვა ანამ და დივანზე დაეშვა, — რაც ამერიკიდან ჩამოვედი, სულ საქმე მაქვს, სულ რაღაც პრობლემაა გადასაჭრელი. ასე მგონია, იქ გაცილებით უკეთ ვცხოვრობდი და ხანდახან უკან გაქცევა მინდა.

დედამ თავზე ხელი გადაუსვა, გულში ჩაიხუტა და დაამშვიდა. ასე, დედის მკერდზე მიყრდნობილს ჩაეძინა დაღლილს. როდის-როდის გაეღვიძა. ციცო გაუნძრევლად იჯდა და თმაზე ეფერებოდა შვილს. ანამ უხერხულობა იგრძნო იმის გამო, რომ დედა ღამის 3 საათამდე არ დააძინა და აიძულა, ასე დამჯდარს მისთვის ედარაჯა... ლოყაზე აკოცა, ბოდიში ბურტყუნით მოუხადა და საძინებელში გავიდა... ციცო კარგა ხანს დარჩა ადგილზე, გაუნძრევლად და თვალმოუშორებლივ უყურებდა იმ კარს, რომლის მიღმაც ანა გაუჩინარდა. შემდეგ თავი სინანულით გადააქნია და თავის ოთახში გავიდა.

როგორც ყოველთვის, ანამ მხნედ გაიღვიძა. მისთვის რამდენიმე საათის ძილი საკმარისი იყო, რომ ძალები აღედგინა და დილით კვლავ ენერგიულად დაეწყო ახალი დღე. საუზმისას დედამ მისი თანაგრძნობა სცადა, მაგრამ ანამ შეაჩერა.

— დედა, მე უკვე „დიდი გოგო“ ვარ და ვიცი, რომ ცხოვრება რთულია და ია-ვარდით მოფენილი არაა. უბრალოდ, როცა დავიღლები, პესიმიზმი მიპყრობს, მაგრამ სულ რამდენიმე საათით. არ ღირს ჩემ გამო ნერვიულობა. ხომ ხედავ, უკვე კარგად ვარ, მადაზეც მოვედი და ისე მშია, ლამის ყველაფერი შევჭამო, რაც გვაქვს, — ანა მადიანად ილუკმებოდა და მართლაც, რამდენიმე დღის მოშივებულს ჰგავდა.

— ანააა, ჩამოხვედი? — ბელამ ხელები მოხვია და ისე ჩაეხუტა, რომ ანამ იგრძნო, როგორ მონატრებოდა გოგონას. თვითონაც ჩაეხუტა და ჩაკოცნა ბავშვი.

— როგორ ხარ, ბელა? ხომ არ აბრაზებდი ოჯახის წევრებს?

— არა, კარგად ვიქცეოდი, — თავი გააქნია ბელამ, კარადიდან თეფში გადმოიღო, კვერცხი შეიწვა და ანას გვერდით მიუჯდა.

ამ რამდენიმე დღეში გოგონა გაშინაურებულიყო და თავს ისე გრძნობდა, თითქოს აქ გაიზარდა.

— ბებიასთან როდის იყავი ბოლოს?

— გუშინ, — ბელას თვალები აუწყლიანდა.

— რა იყო, ხომ კარგადაა? — ყასიდად ჰკითხა ანამ და უკვე საჭირო სიტყვებს ეძებდა გონებაში, რომ გოგონა ენუგეშებინა.

— არა, ძალიან ცუდადაა, თვითონ მითხრა, რომ მალე მოკვდება, — ბელამ ჩანგალი დადო, ჭამას თავი მიანება და ცრემლი მოიწმინდა, — მე არ დავუჯერე და მერე ექიმმაც იგივე მითხრა. ისეთი დაავადება აქვს, ვერაფერს ვუშველითო.

— ბელა, მოდი ჩემთან, — ანამ ხელი გაუწოდა. გოგონა კალთაში ჩაისვა და ჩაიხუტა, — ცხოვრებას თავისი წესები აქვს და ჩვენს სურვილებს არ ემორჩილება. ყველას გვიყვარს ახლობელი ადამიანები და გვინდა, რომ სულ ჩვენ გვერდით იყვნენ, მაგრამ ისინი ასაკში შედიან, ბერდებიან და კვდებიან. ჩვენ კი იმისთვის ვრჩებით ამქვეყნად, რომ მათი ხსოვნა შევინახოთ. ყველა ადამიანს თავისი იღბალი და ბედისწერა აქვს და როცა სიკვდილი მიუკაკუნებს კარზე, მაშინ წავა ღმერთთან. ბებიაც ღმერთთან წავა და იქიდან მოგადევნებს თვალყურს. გაუხარდება, თუ მისი საყვარელი შვილიშვილი კარგი გოგო იქნება, კარგად ისწავლის და კარგად მოიქცევა. ამის პირობას ხომ აძლევ?

— კი, — თავი დაუკრა ბავშვმა.

— ჰოდა, მაშინ ნუღარ ტირი. დაჯექი ახლა და სანამ კვერცხი გაგიცივდება, ჭამე. მერე ერთად წავიდეთ ბებიას სანახავად.

საავადმყოფოში მისულებს ცუდი ამბავი დახვდათ. ბებია უგონოდ იყო და სიკვდილს ებრძოდა. ანა და ბელა პალატაში აღარ გააჩერეს. სულ ცოტა ხნით შეუშვეს, რომ გოგონა გამზრდელ ბებიას გამოსთხოვებოდა და ანამ მაშინ იხილა სასწაული: როდესაც ბელა ბებიას საწოლს მიუახლოვდა, მომაკვდავ, აგონიაში მყოფ ქალს სუნთქვა დაუმშვიდდა. ბელამ ხელზე ხელი მოჰკიდა თუ არა, მაშინვე თვალების გახელა სცადა,

სახეზე ღიმილი გამოესახა, ნაკვთები დაულაგდა და შვილიშვილის გამხდარ თითებს ხელი მოუჭირა.

ექიმმა ცოტა ადროვა და ანას სთხოვა, ბავშვი პალატიდან გაეყვანა. ბელა უსიტყვოდ დაემორჩილა და ხელჩაკიდებული გაჰყვა.

ექიმი ავადმყოფს არ მოშორებია, ვიდრე ქალმა სული არ დალია...

ბელას მხრები უცახცახებდა ტირილისგან და ანას ეკვროდა. იცოდა ბავშვმა, რომ ამიერიდან ის იყო მისი პატრონიც, დედაც, ბებიაც და იმედიც... მიცვალებულის საბუთებთან ერთად ექიმმა ანას წერილი გადასცა, რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ექთანს პაციენტის კარნახით დაუწერია. ეს ერთგვარი ანდერძი იყო, ბელასთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ის, რაც იქ ეწერა, ისეთი მძიმე წასაკითხი იყო, რომ ანამ გადაწყვიტა, წერილი მანამ შეენახა, სანამ ბელა სრულწლოვნი გახდებოდა ან თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ, რომ დრო იყო, ბებიას წერილი წაეკითხებინა.

გასვენებამ უხმაუროდ ჩაიარა. სულ რამდენიმე ადამიანი მოვიდა დაკრძალვაზე — იმ სასაფლაოს თანამშრომლები, სადაც ბელა და ბებიამისი ცხოვრობდნენ, ბელას რამდენიმე მეგობარი, მაწანწალა, თმაგაბურძგნილი ბავშვები და რამდენიმე ნათესავი. კოხტად გამოწყობილი ბელა სამგლოვიარო პროცესიას მიჰყვებოდა და გულამოსკვნილი ტიროდა. სასაფლაოდან ყველა სახლებში წავიდა. ანა ბელას მანქანაში ელოდა, ის კი მეგობრებს ელაპარაკებოდა.

— ბელა, დაპატიჟე შენი მეგობრები ჩვენთან, — გასძახა ანამ.

მისი მანქანა ბავშვების ჟივილ-ხივილით აივსო.

ციცო ბავშვებს გაუმასპინძლდა.

ბელა კი ანასთან მორიდებით მივიდა.

— ანა, შეიძლება, ის კაბები, რომლებიც შენ მაჩუქე, მეგობრებს მივცე?

— შეიძლება, ჩემო კეთილო და ტკბილო გოგონავ, — ანამ ბავშვს აკოცა. ესიამოვნა, რომ ის ასეთი კეთილი იყო.

ბავშვებმა სიხარულით გაინაწილეს ბელას ტანისამოსი, იქვე მოიზომეს კიდეც...

როგორც კი სტუმრები წავიდნენ, ანა ტელეფონს დასწვდა.

— გიორგი, სასწრაფოდ მიწა უნდა ვიყიდოთ სახლის ასაშენებლად.

— რამ მოგიარა ასე უცებ? — მიჩვეული იყო გიორგი ანას უცნაურ, უეცარ გადაწყვეტილებებს და არ გაჰკვირვებია, როცა ქალმა ასეთი მოთხოვნით მიმართა.

— ქალაქის გარეუბანში ან მიმდებარე სოფელში, სადმე, დიდი ნაკვეთი ვიყიდოთ.

— სახლის აშენება გინდა?

— სამსართულიანი კორპუსის, სადაც მაწანწალა ბავშვები იცხოვრებენ. დიდი ეზო კი იმისთვის მინდა, რომ თავიანთი მეურნეობაც ჰქონდეთ, შრომას მიეჩვივნენ, — ანას უკვე დალაგებული ჰქონდა გეგმა. უცებ ჩამოყალიბდა, რა უნდოდა.

— კარგი, ანა, რამეს მოვიფიქრებთ.

— ხვალვე მივხედოთ მაგ საქმეს. ნუგზარი აქ არაა, თორემ იმას ვთხოვდი.

— იმ კაცს რამდენი რამე უნდა დაავალო, ხომ გაუხურე ცხოვრება, — გაიცინა მამაკაცმა.

— ამიტომ, ყველა მისნაირი თანამშრომელი უნდა გვყავდეს და მერე ერთ ადამიანს არ მოუწევს „პახაობა“.

— ჰოდა, შორიდან კი ნუ იძლევი განკარგულებებს, ვიცე-პრეზიდენტი ხარ და მოდი სამსახურში, კადრების შერჩევაც შედის შენს მოვალეობებში, ახალი მთვარესავით რომ გამოჩნდები ხოლმე, ასე უნდა? — ცოტა უსაყვედურა კიდეც გიორგიმ.

— ხვალიდანვე მოვალ, კარგი რამე გამახსენე, ხომ იცი, — ანამ ტელეფონი გათიშა.

— ახალი საქმე გაიჩინე, არა? — ციცო ღიმილით შეჰყურებდა შვილს.

ანა ბელას მადლიერებით სავსე თვალებს გადააწყდა.

— შენს მეგობრებს მალე სახლიც ექნებათ, საჭმელ-სასმელიც და ტანისამოსიც, ცოტა მოითმინე და ყველაფერი კარგად იქნება, — თვალი ჩაუკრა გოგონას.

ანა პოლიციის განყოფილების გვერდით, შორიახლოს იდგა და მოთმინებით აკვირდებოდა იქაურობას. კარგა ხანს მოუწია ლოდინმა, ვიდრე შენობიდან მაღალი, ჩასკვნილი მამაკაცი გამოვიდა და იმ ვერცხლისფერ ჯიპში ჩაჯდა, რომელსაც ანა უთვალთვალებდა.

ახოვანი მამაკაცი იყო, თითქმის 2 მეტრი სიმაღლის. სქელ კისერზე „დადგმული“ თავი გადაპარსული ჰქონდა, შავი სათვალე ეკეთა. ისეთი გარეგნობა ჰქონდა, რომ შიშს მოგგვრიდა. ჰოლივუდურ ფილმებში კუნთმაგარი და გრძელლაბადიანი „მონსტრები“ რომ თამაშობენ, იმათ ჰგავდა. ანამ ცოტა შეიცადა და ჯიპს უკან მიჰყვა.

„ვახო საბლიანო, კაცს მაინც ჰგავდე, ნამდვილი ცხოველი ხარ. შესაძლოა, მუშტის ერთი მოქნევით სული გამაფრთხობინო, მაგრამ შენი დღეები დათვლილია“, — ფიქრობდა ანა და ცდილობდა, მანქანა მხედველობის არიდან არ დაეკარგა. გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორმე ვახოს გაცნობა მოეხერხებინა და მისთვის თავი მოეწონებინა. მერე უკვე ზუსტად იცოდა, როგორ მოიქცეოდა.

საბლიანი არსად გაჩერებულა. ერთ-ერთი სახლის ეზოში შევიდა, მანქანა გარაჟში შეიყვანა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

ანა მიხვდა, რომ იმ დღეს ვახო წასვლას აღარსად აპირებდა და უკან გამობრუნდა.

ეზოდან გამოსულს სუნთქვა შეეკრა. გზასთან ირაკლის მანქანა ისე იდგა, რომ ანას პირდაპირ უყურებდა. ქალმა მაშინვე მასთან დარეკა.

— აქ რას აკეთებ, ირაკლი? — მხიარული ხმით ჰკითხა.

— მე? მე რას ვაკეთებ? შენ რას აკეთებ, ის მითხარი. გოგონი, ვის მიჰყვებოდი უკან? ვინაა ეგ „ვერზილა“?

— უკან არავის მოვყვებოდი. აქ ახლობელი ცხოვრობს, სტუმრად მივდიოდი; გამახსენდა, ხელცარიელი ასვლა არ ივარგებდა და მოვბრუნდი, რომ მაღაზიაში ტკბილეული ვიყიდო.

— ეგ შენი ახლობელი, პოლიციის შენობიდან რომ დაიძარი, მაშინ გაგახსენდა თუ დილიდან გქონდა გადაწყვეტილი მასთან სტუმრობა? — როგორც ჩანს, ანა ვახოს უთვალთვალებდა, ირაკლი — ანას.

ახლა რა უნდა მოეგონებინა? არადა, ამ საქმეში ირაკლის გარევა არ ღირდა. მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეგო, რა საქმე ჰქონდა ანას ვახოსთან.

— მმმ... ეეე... ისა... — დაიბნა ანა.

— თუ არ ვცდები, ეგ კაცი ვახო საბლიანი უნდა იყოს... ნამდვილად არ ვცდები, რადგან მისი სამსახური და ადგილსამყოფელი მე დაგიდგინე. ასე არაა, პატარავ? — ირაკლი გაბრაზებული ჩანდა, — ასე სწორედ მაშინ მიმართავდა.

ანა დუმდა.

— ახლა საქმეზე მივდივარ, როცა მოვრჩები, დაგირეკავ და გნახავ. როგორ უნდა კაცების კუდში დევნა, მაგას გავიგებ.

**ახლა რაიმე ,,ლეგენდა'' უნდა მოეგონებინა, რომ ვახოს დევნა გაემართლებინა. წინასწარ იცოდა, რომ ეს არც ისე იოლი იქნებოდა**

ანამ ცოტა შვებით ამოისუნთქა, რადგან მიხვდა, რომ ირაკლის ეჭვი ახრჩობდა და სხვა რამეზე არც ფიქრობდა. მას ნამდვილად ასე ერჩივნა. ეჭვს გაუქარწყლებდა და შერიგდებოდნენ. თუმცა ახლა რაიმე „ლეგენდა“ უნდა მოეგონებინა, რომ ვახოს დევნა გაემართლებინა. წინასწარ იცოდა, რომ ეს არც ისე იოლი იქნებოდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გზავნილები



_მარი ჯაფარიძე_

მივესალმები მკითხველს და კარგ განწყობილებას ვუსურვებ. როგორც ჩანს, შედარებით უკეთ და კომფორტულად იგრძენით თავი, თემა რომ აღარ მოგეცით „გზავნილების“ ბოლოს. მართალია, ბევრმა მისაყვედურა, ახლა ბატებივით დავიბნევით და ვერაფერს მოგწერთო, მაგრამ ვფიქრობ, ჯერჯერობით ასე ჯობია. ჩემს თავთან მაინც ვარ „ნამუსიანად“, რადგან ბოლო დროს თემის სათაური სხვა იყო ხოლმე „გზავნილებში“ და მესიჯების შინაარსი — სულ სხვა. დავაკვირდეთ კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში და თუ „გაგიჭირდათ“ და „დაბუქსირება“ დაგჭირდათ, ისევ ძველ მეთოდს დავუბრუნდეთ. ახლა კი თქვენი მესიჯები და კიდევ, მინდა ჩემი სიხარული გაგიზიაროთ იმის გამო, რომ ახალი მგზავნელები შემოგვემატნენ (ყოველ შემთხვევაში, ახალი ნიკებია და მათ უკან ძველი მგზავნელები დგანან თუ არა, ეს უკვე აღარ ვიცი).

# ნამდვილი მამაკაცის გასაკეთებელი 3 საქმე

## ნამდვილი მამაკაცი

„გამარჯობა, დიდი ხანია, თვალყურს გადევნებთ და მოწერაც მინდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. მეშინოდა. დავრწმუნდი, რომ აქ არავინ „იკბინება“ და არც არავინ მისაყვედურებს იმის გამო, თუ ჩემი მესიჯი თქვენს „სტანდარტებს“ ვერ შეესაბამება. მოკლედ, მინდა, ჩემი მეზობლების კარის მეზობლების ამბავი მოგიყვეთ. ძალიან საინტერესო ხალხია. მთელი ოჯახი ერთმანეთზე უცნაური „ინდივიდებითაა“ „დაკომპლექტებული“ — დედა, მამა და მათი 23 წლის ვაჟი. ქალი ნამდვილი „ტორტის ნაჭერია“. ფუმფულა და საყვარელი ვინმეა. ისეთი კარგი, ტკბილი საუბარი აქვს, მართლა ტორტივითაა. მამაკაცი ხშირად სვამს და სახლში დაბრუნებული ჯუჯღუნებს. მისი ატანა ძნელია, მაგრამ ცოლ-შვილზეა გადამკვდარი. რასაც შოულობს, სულ შინ მოაქვს და ამის გამო უთმენენ. ბიჭმა უნივერსიტეტი დაამთავრა და ახლა ერთ-ერთ სადისტრიბუციო ფირმაში მძღოლად მუშაობს. გარეგნულად კარგი ბიჭია და ქალების მუსუსიცაა. მასზე შეყვარებული გოგონები ხშირად აბირჟავებენ ჩვენს ეზოში. ჰოდა, ერთ დღეს მანანა ვიშვიშით შემოვიდა ჩემთან.

— რა მეშველება, გოგო, ვიღაც გოგო დაუორსულებია ჩემს შვილს და ახლა მამამისს ფულს სთხოვს, ხელფასამდე მასესხე, თორემ მერე გვიან იქნება აბორტის გაკეთებაო. ასეთი ცოდვის ჩადენა იქნება? არადა, ისიც როგორია, რომ ასეთი გოგო ოჯახში შემოვიყვანო? ერთი კი შევთავაზე ჩემს შვილს, მაგრამ გადაირია, ქალო, სიმთვრალეში „გაკეთებული“ ბავშვი რა იქნება, ნუ გადამრიე და თანაც იმ გოგოს ცოლად არ მოვიყვანო. დავამშვიდე მანანა, დავაწყნარე და შინ გავუშვი. მეორე დღეს ამბავი ვიკითხე და გავიგე, რომ ვაჟას შვილისთვის ფული მიუცია და იმასაც ქალი ექიმთან წაუყვანია. შემდეგ დღეს მანანა ისევ ვიშვიშით შემოვიდა, წუხელ ბიჭი შინ არ მოსულა და არ ვიცი სადაა, ნეტავ ხიფათი ხომ არ შეემთხვა რამეო. ვაჟა ჩემს ქმარს კარადის შეკეთებაში ეხმარებოდა და ცოლის ვიშვიში რომ გაიგონა, დაუყვირა. გაჩუმდი, ქალო, რა უნდა დამართნოდა, ეტყობა, ახალი ბავშვების „გასაკეთებლადაა“ წასულიო. მანანამ უცებ მოკეტა. დარდის გასაქარვებლად ყავაზე დავპატიჟე. ამასობაში მათი ბიჭიც მოვიდა და მშობლები შინ რომ არ დახვდა, ჩვენთან მოაკაკუნა. ისეთი შავი და ჭუჭყიანი ტანისამოსი ეცვა, ლამის მეც გადავირიე და დედამისს რა მოუვიდოდა? რა გჭირსო, — თავში ხელი შემოირტყა მანანამ.

— ექიმიდან რომ წამოვედით, მეგობრებთან ერთად, ჩვენს „დაჩაზე“ წავედით საქეიფოდ, დავლიეთ, ეტყობა, რაღაც დაგვრჩა ჩართული და სახლში ხანძარი გავაჩინეთ. იმის ჩაქრობას მოვუნდით მთელი ღამე, მაგრამ ნუ გეშინიათ, სულ კი არ დაიწვა სახლი, მარტო 1 ოთახია დამწვარიო, — დაამშვიდა ბოლოს თვალებგაფართოებული მშობლები. ვაჟა ჩემს ქმარს მივარდა — გინდა თუ არა, ბარი გექნება და მათხოვეო... ჩემმა ქმარმა შიშით გადახედა, ხომ არ გაგიჟდა ეს კაციო და ბარის თხოვებაზე უარი უთხრა. წადი, სადმე ბარი იშოვე, თორემ შავ დღეს დაგაყრიო, — მიუბრუნდა ვაჟა შვილს. რად გინდა ბარი მამა? ბიჭს აშკარად შეეშინდა. რად მინდა და, შვილი მოკალი, სახლი გადაწვი და წავიდეთ ბარემ და ხე ამოვთხაროთო... როგორც ჩანს, გამწარებულ გულზე ის გამონათქვამი გაახსენდა, ნამდვილმა მამაკაცმა ცხოვრების განმავლობაში ხე უნდა დარგოს, სახლი ააშენოს და შთამომავლობა გაამრავლოსო. აი, ასე იყო ეს ამბავი... იმედია, ჩემი მეზობლები არ მიწყენენ, მათი სახელები კი შევცვალე. პატივისცემით, დიდი გოგო“.

## ჯადოსნური ყვავილი

„ბავშვობა გურიაში, ბებიასთან მაქვს გატარებული. X კლასში ვიყავი, როცა მშობლებმა თბილისში წამომიყვანეს. ძლივს შევეგუე აქაურობას. მენატრება ხოლმე ჩემი გურია... მაგარი ხალხი ცხოვრობს... ვიცი, აქ ბევრი გურულია და პირველ რიგში, ჯერ მათ მივესალმები, მერე ყველა მგზავნელს (იმედია, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ) და ერთ სახალისო ამბავს მოგიყებით. ბებიაჩემის მეზობლად შუახნის ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. რეზოია თავისი კვიმატი ენით იყო განთქმული. შვილები თბილისში ჰყავდათ და ჩემზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. სტუმარი რომ მიუვიდოდათ, სუფრასთან უჩემოდ არ დასხდებოდნენ. ცოტა მოშორებით, ჩვენსავე უბანში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი ხშირად სვამდა და ამის გამო ოჯახში პრობლემები ჰქონდათ. მოვიდოდა მთვრალი, ცოლი ჩხუბს დაუწყებდა, ეს კიდევ ადგებოდა და გემრიელად დაბეგვავდა ხოლმე. ქალი მაინც არ ჩუმდებოდა და იყო ერთი წივილ-კივილი მათ სახლში. ერთ მშვენიერ დღეს კი მათ ეზოში რაღაც ახალი და უცნაური მცენარე „აღმოცენდა“. ამ მცენარესთან ერთად ოჯახში სიმშვიდემაც დაისადგურა. ყველას უკვირდა ასეთი ცვლილება. ცოტა ხანში ხმა გავრცელდა, ცოლი მკითხავთან იყო, ჯადო გაუკეთა სარდიონას და თურმე, ეზოში ახალი ყვავილი რომ აქვთ, იმის წვენს ასმევს, თავის ჭკუაზე რომ ატაროსო. ზოგმა დაიჯერა ეს ამბავი, ზოგმა — არა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს რეზოსთან დამიძახეს, სტუმრები გვყავს და „გადმოი“, ხაჭაპურის დაცხობაში მოგვეხმარეო. სარდიონაც იქ დამხვდა. დაიწყეს დალევა, სარდიონა ჭიქას პირს არ აკარებს. რეზო გადაირია, ახლა შეიკარი კრიჭა, მე რომ დალევა არ შემიძლია და ჩემს სტუმრებს თამადა სჭირდებათო? კი ვითამადებ, მაგრამ ვერ დავლევო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა სარდიონამ. ცოტა მაინც დაალევინეს ძალით და უცებ მოეკიდა სასმელი. მთვრალმა კი ყველაფერი დაფქვა: რაც ჩემმა ცოლმა ის ჯადოსნურ ყვავილი მოიტანა სახლში, მას შემდეგ ჩემი ოჯახის საქმეები კარგად წავიდა, სამუშაოც მაქვს და ფულსაც ვშოულობ, მაგრამ რამდენს არ ვიცი, რადგან ხელფასს ჩემი ცოლი იღებს, აღარც ვსვამ, აღაც ვეწევი და გინებასაც გადავეჩვიე, სამსახურიდან რომ მოვდივარ, საჭმელსაც სიამოვნებით ვაკეთებ და ჭურჭელსაც ვრეცხავ და სადაც უნდა ვიყო, საღამოს 7 საათზე შინ მოვრბივარ. თითქოს რაღაც ძალა მეწევა. ფეხბურთსაც აღარ ვუყურებ და ამის გამო ჩემი ცირა აღარ მეჩხუბებაო. კი, მაგრამ იმ ყვავილს ასეთი რა ძალა აქვსო? ყველას გაუკვირდა. არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ძალიან მაგარია და ჩემს ცოლს უთხარით, ნერგს მოგცემთო. ყვავილის კი არა და იქნებ შენმა ცოლმა შენი „ნერგი“ მოგვცეს, ჩვენც გვჭირდება სახლში შენნაირი „ყვავილებიო“. სარდიონას ეწყინა და გაგულისებულმა თქვა — იმ ყვავილს ჯერ მარტო იმხელა ფოთლები აქვს, საბნად რომ გადავიხურო, მეყოფაო. ჰოდა, თბილისში ჩადი, მზეჭაბუკის ქანდაკება ნახე სპორტის სასახლესთან და ფოთოლს რას აფარებენ, მერე მიხვდებიო. სარდიონამ სტუმრების სიცილ-ხარხარში დატოვა იქაურობა, მაგრამ მისი ცხოვრება დღემდე არ შეცვლილა. მათ ეზოში ისევ ხარობს ის ყვავილი და სარდიონაც ძველებურად გარბის სახლში საღამოს 7 საათზე, ნახირთან ერთად“.

## „სად ჩავიდე?“

„აუუ, რა მაგარი ამბავი უნდა მოგიყვეეეთ?! დღეს მეტროში ჩავედი და მოწყენილი ვიყურებოდი აქეთ-იქით. ჩემ გვერდით მამაკაცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ქალი შემოვიდა და, რადგან დასაჯდომი ადგილი არ იყო, მის წინ გაჩერდა. მამაკაცი სკამიდან წამოიწია. ქალმა მხარზე ხელი დაადო, ნუ შეწუხდებით ბატონო, ბრძანდებოდეთო. შემდეგ გაჩერებაზე კიდევ წამოიწია მამაკაცმა. ქალმა ისევ ძალით დასვა, თან მადლობასა და ბოდიშს უხდიდა. მესამედაც იგივე რომ განმეორდა, იმ კაცმა უთხრა: ქალბატონო, მაშინ თქვენ მითხარით, როდის შეიძლება ავდგე, რადგან ჩემს გაჩერებას უკვე 3 სადგურით გავცდიო. იქ ამბავი ატყდააა... მთელი ვაგონი ხარხარებდა... მაგარია, არა? ამას წინათ კიდევ, ყვითელ ავტობუსში ერთი მთვრალი ტიპი იდგა, თავს ძლივს იმაგრებდა, რომ არ წაქცეულიყო. კარგა ხანს იქექებოდა ჯიბეებში და როგორც იქნა, ფული ამოიღო. სამხედროფორმიან მამაკაცს მხარზე ხელი დაჰკრა — ძმაო, ჯარისკაცო, თუ არ შეგაწუხებ, ბილეთი ამიღეო. იმ ბიჭმა ბილეთი რომ მიაწოდა, უთხრა: ჯარისკაცი კი არა, მეზღვაური ვაროო. ალბათ გოგონებთან უნდოდა გამარიაჟება და დრო იხელთა. ვაა, რა მაგრა

დაგვერხა, ტოოო, გემზე ვართ? — მხრები აიჩეჩა მთვრალმა. მისმა რეპლიკამ საერთო მხიარულება გამოიწვია და ხალხი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა. ტყლაშუნა".

## ცხოვრება მშვენიერია

„ამას წინათ ჩემი თანამშრომელი, ახალგაზრდა მამაკაცი გაბრწყინებული სახით მოვიდა სამსახურში. ყველას ულიმოდა და ტუჩებს თავს ვერ უყრიდა. რა გიხარია ამ დილაუთენიაო? ჰკითხეს. რა და, აქეთ რომ მოვდიოდი, ტელეფონმა დამირეკა.

— ბავშვი დროულად მიიყვანე ბაღში? სამსახურიდან რომ წამოხვალ, პური იყიდე და ის ფუნთუშა წამოიღე, დედაჩემს რომ უყვარს. გამიგე, მერაბ? რას გაჩუმებულხარ? — ქალი ჩაყვიროდა ტელეფონში. მე მერაბი კი არა, დათო ვარ და სულ ფეხებზე მკიდია, იმ ქალმა რა მითხრა. მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერიაო".

## „ტესტმორჩილი"

„მარ, სულ ველოდებოდი შესაფერის თემას და ახლა რადგან ჩვენი ნებაა რაზე მოგწერთ, გადავწყვიტე, ჩემი მეგობრის კურიოზი მოგიყვეთ. ნანა სამსახურს ეძებდა და სადაც კი მიღებას აცხადებდნენ, ყველგან მიდიოდა, იქნებ სადმე „თავი შევყოო". ჰოდა, ერთხელაც, მორიგ ტესტირებაზეა, მე გარეთ ველოდები და დაღვრემილი სახით გამოვიდა. რა დაგემართა, კიდევ ვერ გაიარე ტესტირება-მეთქი? ვერაო. ახლა რა შეგეშალა-მეთქი? ფურცელი გამომიწოდა. ეს ის ტესტი იყო, რომელიც შეავსო. ბოლო პუნქტში ეწერა: „არ შეავსოთ". ამას კიდევ, ამ პუნქტის გასწვრივ, გრაფაში ჩაუწერია, „კარგი, არ შევავსებ". ჰოდა, აბა ვინ მიიღებდა ასეთ დაბნეულს სამსახურში? მისი ძმაც მსგავსი კურიოზებით „სავსე" ადამიანია. ერთხელ პატრულმა გააჩერა სიჩქარის გადაჭარბებისთვის. თან მთვრალი იყო. ჯარიმას რომ უწერდნენ, ამან უთხრა, თქვენ რომ იცოდეთ, რატომ გავრბოდი, აღარ დამაჯარიმებდითო. რატომო? პატრული დაინტერესდა. შინ შიშველი ქალი მელოდებაო. მერე, თუ გელოდება, სად გაგექცეოდა, 10 წუთით გვიან მიხვიდოდი და ეგ იქნებოდაო, სიცილი დაიწყო პატრულმა. ეეჰ, ცოლმა თუ მიმასწრო შინ მისვლა, მერე ნახეთ ჩემი ყოფის ტირება, ისევ თქვენი გამოძახება დამჭირდება, ოჯახური კონფლიქტი რომ ჩააქშოთო. გაუშვეს და აპატიეს, წარმოგიდგენიათ?"

## ახლოს

„სოფელში ე.წ. ბირჟაზე ომის ვეტერანების კამათს შევესწარი. დავობდნენ, რომელი უფრო შორს მსახურობდა ჯარში. ჰოდა, ერთმანეთს გადაეკიდნენ და ერთმა მეორეს უთხრა — რა შორს შენ მსახურობდი? დედაშენმა მჭადი და ყველი რომ გამოგიგზავნა, როცა მიიღე, ისევ ცხელი იყოო!.. მერე გავიგეთ, რომ თურმე იმ კაცს ქუთაისში უმსახურია".

## ნაშა

„ახალციხეში ერთი, ფრიად არაორდინარული და „იდეინი" ბიჭი ცხოვრობს. ხანდახან ისეთ რამეებს აკეთებს... მაგალითად, ერთხელ ქალის სამოსში გამოეწყო, ქერა პარიკის შოვნა არ გასჭირვებია (თეატრიდან მოატანინა მსახიობ ძმაკაცს) და საღამოს, იქვე, თავისი კორპუსის წინ, „პანელზე" დადგა. ერთიც ვნახოთ და გაჩერდა მანქანა... მოკლედ, ეს ბიჭი ცოტა ხანში ძმაკაცის მამის გვერდით აღმოჩნდა. კაცს რომ ეგონა, ნაშა ავაგდეო და ხელი წაუღია კოლჰოტებიანი, გრძელი ფეხებისკენ, მაშინ უყვირია — მე ვარ, ბიძიაო და იქ ამბავი დატრიალებულა... კაცმა მანქანიდან გადააგდო, ისე გამწარდა. ამ მესიჯის წამკითხავი ყველა ახალციხელი მიხვდება, ვისზეა ლაპარაკი. ასე რომ, სახელით აღარ მოვიხსენიე. იმედია, არ გეწყინება"...

## ყოჩაღი სიძე

„სიდედრი ჯერ არ მყავს, მაგრამ მალე მეყოლება. 7 თებერვალს ჩემი შეყვარებულის — ნინის (ნამდვილი სახელი არაა) დაბადების დღეზე უნდა გავჩითულიყავი. მარტოს რა მიმიყვანდა? ძმაკაცი წავიყვანე. როცა მივედი, გული კინაღამ გამისკდა — სუფრასთან სულ ცოტა 30 გოგო იჯდა და არც ერთი ბიჭი. გადაკოცნის „ცერემონიალს" ნახევარი საათი მაინც მოვანდომე და ბოლოს, როგორც იქნა, დავსხედით. წარმოშობით კახეთიდან ვარ და სასმელს კარგად ვიტან. ჰოდა, სუფრაზე რაც ალკოჰოლი იყო, უცებ მოვსპეთ და სურვილი გამოვთქვი, ლიქიორს გავაკეთებ-მეთქი. სასიდედრომ ინგრედიენტები მომართვა და მეც სპირტს მარტო ფერი შევუცვალე. გავუტანე გოგონებს და სამი ჭიქის შემდეგ გაეხსნათ სიყვარულის გუდა. ჯერ ცეკვაში ამოგვხადეს სული, მერე ყველა ტელეფონზე „ჩამოეკიდა" და თავის რჩეულს სიყვარულს ეფიცებოდა. ნინიც ასეთ სიტუაციაში იყო — სათქმელს მესიჯებით მეუბნებოდა. აბა, დედიკოს გადამკიდე, ისე როგორ მეტყოდა? ჰოდა, საბოლოო ჯამში, კარგი დრო ვატარეთ. გვიანი ღამე იყო, მე და ჩემმა ძმაკაცმა გოგონები სახლებში რომ „მივიტანეთ". ბოლო „რეისზე" უკან მისულებს, სასიდედრ-სასიმამრო გათიშული დაგვხვდა. კაიფის პონტში ვკითხე, 2-ჯერ 2 რამდენია-მეთქი და სწორი პასუხი რომ მივიღე, მივხვდი, ჯერ კიდევ აზროვნებდნენ. მერე, თავის დაზღვევის მიზნით, თითო ყანწი კიდევ დავალევინე, ნინის ხელი მოვკიდე (მეც მაგარი მთვრალი ვიყავი, თორემ აბა, მაგას რა გამაკეთებინებდა), სასიდედრ-სასიმამროს წარვუდექი და გამოვუცხადე, მე და ნინის ერთმანეთი გვიყვარს და ცოტა ხანში ვქორწინდებით-მეთქი. აბა, სასიდედრომ დაიწყო გულის წასვლები და უბედურებები — ეს რა მესმისო, ისაო, ესაო, მაგრამ ვინ უსმენდა? ბოლოს, ისინიც მივაცილე ოთახებამდე, ვუთხარი, რომ აკრძალვას აზრი არ ჰქონდა და გაიგეს... ახლაც კარგად ვარ ჩემს სასიდედროსთან, მართლაც კარგი ქალია, მაგრამ აბა, სიძემ თუ სიდედრს არ „უკბინა", ისე არ შეიძლება. ქართველებს ეს გენში გვაქვს. :) მართლაც, კარგად მექცევა, ამჟამად თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სასიდედრო ბევრის სიდედრს სჯობია".

## „მე მიყვარს ვარსკვლავები"

„ახლა ერთი ამბავი გამახსენდა. მე და ჩემი ბიძაშვილი ბიჭი ერთ-ერთ ქალაქში, ახლობლის ოჯახში ვიყავით სტუმრად. ერთ საღამოს ამ ოჯახში მეზობლის ბიჭები შეიკრიბნენ და წავიდა ქეიფი. ხუმრობდნენ და იყო სიცილ-ხარხარი. ამ დროს ჩემი ბიძაშვილი გვერდით მჯდომ ბიჭს, კობას მიუბრუნდა (რომელსაც ეზოში ჭა ჰქონდა) და გაეკაიფა — იცი, დღისით ჭაში თუ ჩახვალ და ოცი წუთის განმავლობაში ცას დააკვირდები, ვარსკვლავებს დაინახავო. ვაჰ, მართლაო? მეორე დღეს ატყდა ერთი ამბავი, გადაძახილ-გადმოძახილი, — კობა თქვენთან ხომ არ არის? ეძებდნენ და ვერსად პოულობდნენ. მოხდა სასწაული, ვიღაცას წყალი მოსწყურდა და ჭისკენ გასწია. ჩაიხედა შიგ და ჰოი, საოცრებავ, კობა იქ არ ყოფილა?! ყველამ ჭასთან მიირბინა და გაკვირვებულ-გახარებულ-გაღიმებულები იყურებოდნენ შიგ. თურმე ვედროში ჩამჯდარა, რომლითაც წყალი ამოჰქონდათ და ასე დარჩენილა. მე კი იცით, დღემდე რა კითხვა მაწუხებს? როგორ ჩაჯდა ვედროში, როგორ ჩაეტია? ან კიდევ, ამდენს რომ ეძახდნენ, ვერ ამოსძახა, არ ინერვიულოთ, აქ ვარო? ეეჰ, რას გაუგებ... ისე კი, როცა იმ ბიჭს ვხედავ, ყოველთვის ეს ამბავი მახსენდება და სიცილს ძლივს ვიკავებ. მართალია, კობამ ჭიდან ვარსკვლავები არა (ვერა), მაგრამ რამდენიმე ადამიანის თავი და გაოცებული თვალები დაინახა. ალბათ ჭიდან დანახულს სულ სხვა ეფექტი აქვს".

## საწყალი მამალი

„თელავის გარეუბანში ვცხოვრობდით. მეზობელს, კორპუსის აივნის ქვეშ, პატარა შემოღობილში ქათმები ჰყავდა და ყოველ დილით საქათმიდან გამოშვების წინ, დედალს თითით უსინჯავდა, კვერცხი ჰქონდა თუ არა მომდგარი და რომელსაც ჰქონდა, საქათმეში ტოვებდა, სხვაგან რომ არ დაედო და არ დაჰკარგვოდა. ერთ (მისი აზრით) ახალგაზრდა ვარიას არასოდეს ჰქონდა კვერცხი და პატრონი ბრაზობდა — „გაგიხმეს ტრ...", ეტყოდა და ღობის გარეთ გადააგდებდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა კარგა ხნის განმავლობაში. ერთ დღეს კი, როცა საქათმეში შევიდა, ეს „ვარია" თავზე გადაახტა და დაიყივლა. თურმე მამალი ყოფილა, ის კიდევ, ყოველ ცის-

მარე დღეს თითს უყოფდა უკანალში. მაშ, ასე იყო ეს ამბავი. მერე მისი ქმარი გაიძახოდა, „გამიპედერასტა“ მამალიო. გავაზელი“.

## ტყემალივით

„ამას წინათ ქუთაისში ვიყავი სტუმრად. გაჩერებაზე ვიდექი. სკამზე დაახლოებით 7-8 წლის ბავშვი და 75 წლამდე მოხუცი იჯდა. ბავშვს ცინგლები მოსდიოდა და კაშნეთი იწმენდდა ცხვირს. მოხუცებულმა გაუღიმა ბავშვს და უთხრა: — რა იყო, ბაბუ, კოლდრექსის რეკლამა კი არაა, ამეიღე მა ოხერი ცხვირსახოცი და მეიხოცე ცხვირიო. ამ ლაპარაკში უცებ შენიშნეს, რომ „მარშრუტკამ“ გაასწრო. მოხუცებული წამოხტა და გაეკიდა. ბავშვი მიუბრუნდა და სიცილით მიაძახა — ბაბუ, ბაბუ, ხონდრორიცის დამსახურებააო? ამასობაში ჩემი ტრანსპორტიც მოვიდა. ავედი ავტობუსში და რას ვხედავ? იქით გოგო ზის, ნუ იტყვით... აცვია წითელი ფეხსაცმელი, დეკოლტირებული მაისური და ისეთი მოკლე კაბა, რომ წითელი ტრუსი მოუჩანს. მის წინ კაცი იჯდა, რომელიც ოფლს იწმენდდა და თან ამ გოგოსკენ აპარებდა თვალს. კარგა ხანი ვუყურე გოგონას საცოდაობას — წამოდგებოდა, კაბას ჩამოიწევდა, დაჯდებოდა, ისევ აეწეოდა... დაიტანჯა მთელი გზა. აქეთ კიდევ, 2 ქალი იჯდა და ერთმანეთს ექაქანებოდა — დედა, ქალო, გეიგე? ლამარიას ბოვში დოუჭერიათ. — უი, არა, რატომ? მაი, კაი ბოვში მეგონა მე. — რატომ და გოგო „შემოცდენიაო“, ამბობენ, მარა მისი ბრალი არ ყოფილაო. — აპა, რა იქნებოდა, შე ქალო, აგერ, ამ გოგოსავით რო დეიარება ნახევარი საქართველო, კაცს ან ხელი წოუცდება და ან „შემოეცდინება“. ჩემი ყურადღება ისევ იმ კაცმა მიიპყრო (ოფლს რომ იწმენდდა). გამწარებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდა. ბოლოს, გულმა ვეღარ გაუძლო, წამოვარდა და წითელტრუსიან გოგონას ცხვირსახოცი მუხლებზე მიაფარა. — გოგო არ ხარ, ბიძია? რას გამოგიყრია ყველაფერი, მასეთი ყველას ქე აქვს, მარა გამოფენას კი არ აწყობენ, კაცები ვართ აქანა, „პრობკები“ კი არა, ჩემ ადგილზე კაცი ჩაგიყვანდა ავტობუსიდან და... მე ვიცი, რასაც გიზამდაო. გოგონა ისე გაწითლდა, ტრუსისფერი გახდა. ელდაცემულივით წამოვარდა, ავტობუსი გააჩერა და ჩასვლის წინ კაცს მიაძახა — შენნაირ მახინჯებს, ტყემალივით რომ მესხას, ერთს არ გადავუგდებდიო. აპააა! ვიკა“.

## მოხერხებული სიძე

„ჩემს სოფელში ერთი კაცი ცხოვრობს. ცოლი ჯერ კიდევ „მანეთების“ დროს მოიყვანა. მე თუ მკითხავთ, ეს კაცი ცოტათი ურევს და ჯერ გოგოს მშობლებს ეს შემჩნეული არ ჰქონდათ, როგორც ვხვდები. ერთხელ ცოლოურს იმყოფებოდა და სადილის დრო რომ მოვიდა, სიმამრმა 20-მანეთიანი მისცა და სთხოვა, მაღაზიიდან პური ამოიტანეო. წავიდა ეს კაცი მაღაზიაში და ერთი საათი არ მოვიდა. გაგიჟდნენ, სად წავიდა, რამე ხომ არ დაემართაო და ლამის მილიციაში დარეკვას აპირებდნენ, ტაქსი რომ გაჩერდა სახლის წინ და სანაქებო სიძემ თავი გადმოყო მანქანიდან, პური დამაცლევინეთო. თურმე ნუ იტყვით და ამას უფიქრია, 20 მანეთის პური უნდა ვიყიდოო და ახლომახლო მაღაზიებში რომ ვერ იშოვა საჭირო რაოდენობა, ტაქსი დაუქირავებია და სხვა მაღაზიებიც დაუვლია. რომ გამოვთვალე, მაშინ 30 კაპიკი ღირდა პური და დაახლოებით 70 ცალი მიიტანა ოჯახში „მუჭუჭმა“ სიძემ და თან ტაქსის ფული სიმამრს გამოართვა, აბა, პურის ფულს ხომ არ მოაკლებდა? ეს როგორღაც აიტანა სიმამრმა და ხმა არ ამოიღო. დასხდნენ სადილად და უცებ ამ კაცს მთქნარება აუტყდა. შეწუხდა სიდედრი, ვილაცის თვალი ეცაო და აღარ იცოდა, რა ექნა. ამ დროს, როგორც იტყვიან, სიმამრს მოთმინების ფიალა აევსო, წამოხტა ფეხზე და — ჯერ იმის დედა, ვისი თვალიც შენ გეცა და ჩემთვის შეენანე და მერე ჩემი გოგოს დედა, შენ რომ მოგიყვანა სახლშიო. აი, ასეც ხდება. ეშმაკუნა“.



მანაველი და სუპერსტარი

## ნახტომი

„ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ, რის შემდეგაც შესაძლოა, ბებო კარგა ხნით გამებუტოს ისე, როგორც ბაბუს ებუტება, როცა ჩემი და ჩემი ძმის დაჟინებული თხოვნით, ლამის მემილიონედ ვაყოლებთ ბებოს ახალგაზრდული ნახტომის ამბავს. მაშინ ჩემი ბებო და ბაბუ ახალგაზრდები, თანაც ახალდაქორწინებულები იყვნენ. ზამთარი იყო და გზაზე ფეხით მიდიოდნენ, ჯერ მანქანა არ ჰყავდათ. საშინლად უჭირდათ სიარული მოყინულ თოვლზე. თანაც, საქმე ისაა, რომ ჩემს ბებოს არცთუ ისე უჭირს დაცემა და მისთვის ძირს მოსაჯდომად სულაც არაა საჭირო თოვლი და ყინვა. კარგად გამოსდის ეს „საქმიანობა“ მშრალ ამინდშიც, სააბაზანოშიც და ყველგან, ერთი სიტყვით. დაღმართს რომ მიუახლოვდნენ, ბაბუ წინ მიდიოდა, ბებო უკან მიჰყვებოდა (ბაბუმ მაშინ ჯერ არ იცოდა ბებოს ეს „ჩვევა“). ჰოოდა, უეცრად ბაბუმ დაინახა, რომ რაღაცამ ჩაიქროლა და თვალიც ვერ მიატანა, რამ ჩაუქროლა ასე სწრაფად. ეს ჩაქროლილი არსება კარგა ხანს მიქროდა და როცა სწორ ადგილზე ჩააღწია, მაშინ დაეცა ძირს. ალბათ მიხვდით, რომ ბაბუს ბებომ ჩაუქროლა და ჩვენც სულ გვახალისებს ამ ამბის დროს გაბრწყინებული ბაბუას თვალები და ბებოს გაბუტული სახე — მაგას როგორ ჰყვები, არ გრცხვენია? შენი სირცხვილია, ამ ახალმოყვანილ ქალს ფეხით რომ დამატარებდი და ყინვაში ხელიც არ მომკიდეო“.

## დედაშენის „ტორმუზი“

„მარ, მომენატრა შენთან ცალმხრივი მიმოწერა. ბოლოს მოგწერე მგონი, თუ ვინმე რამე საინტერესოს გაიგებს, ყველა მე მიყვება-მეთქი. მგონი, მალე ცნობათა და ჭორ-მართალის ბიუროს გავხსნი და ვასასი-NEWS-ს დავარქმევ. ჩემი ერთ-ერთი ინფორმატორი და მასალით „მომმარაგებელი“ ჩემი ინგლისურის მასწავლებელია. აი, რა მომითხრო: სოფელში ერთი კაცი საბჭოთადროინდელი ტექნიკის (საბჭოთა მარგალიტების) ნაწილებს ყიდდა. ერთ-ერთ სახლს მიადგა. კარგა ხნის ძახილის შემდეგ ბავშვმა გამოხედა. კაცმა (რომელსაც ცოტა ენა ებმოდა და გაუგებრად ლაპარაკობდა) ბავშვს უთხრა — დ.ე.შ-ს (რუსული ტრაქტორი ყოფილა) „ტორმუზის“ ნაწილები მაქვს და მამაშენს ჰკითხე, ხომ არ უნდაო. ბავშვმა წესიერად ვერ გაიგო მისი ნათქვამი და მამას გადასცა: იმ კაცმა მითხრა, დედაშენის „ტორმუზის“ ნაწილები მაქვს და არ გინდათო? ნუ, იქ ამტყდარა გაწევ-გამოწევა, რას ჰქვია დედაშენის „ტორმუზებიო“?! საწყალი, „საბჭოთა მარგალიტების“ გამყიდველი გატყეპას ძლივს გადაურჩა. ჩუპი, იგივე ჭორიკანიუს პირველი“.

■

*თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე:*
**8.77.45.68.61** *ან*
*მომწეროთ ელფოსტაზე:*
marorita77@yahoo.com

# „ნუ დაკარგავ იმას, რასაც სიწმინდე ჰქვია“

## „ქართველი ქალის მანდილი არ შეარცხვინო“

**„გზის“ №15-ში დაიბეჭდა 18 წლის ნინოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ „ლოვესთან“ პრობლემები აქვს. „ერთი წელია, ერთად ვართ და ის უკვე მთხოვს, მასთან დავწვე. მეუბნება, რომ ეს ურთიერთობისთვის აუცილებელია. გიოს დაკარგვა არ მინდა; არც დაორსულება და ცხოვრების დანგრევა მსურს...“**

*ლიკა ქაჯაია*



**ელენე:**

„მესმის, რომ გიო ძალიან გიყვარს, მაგრამ მასთან არ დაწვე! იცოდე, როცა სურვილს დაიკმაყოფილებს, მერე შენკენ არც კი გამოიხედავს, შესძულდები. მართლა რომ უყვარდე, ამას არ შემოგთავაზებდა. უარი უთხარი, ცხოვრებას ნუ გაიმწარებ!“

**ფლამინგო:**

„რომ უყვარდე, ინტიმურ კავშირს არ მოგთხოვდა. 18 წლისანი ხართ, ცხოვრებას ახლა იწყებთ და შესაძლოა, ერთ დღეს დაშორდეთ კიდეც, მერე კი საკუთარი საქციელი სანანებელი გაგიხდება... წლების შემდეგ შეიძლება, სხვა მოატყუო, მაგრამ საკუთარ მეს სად დაემალები?! გირჩევ, ქართველი ქალის მანდილი არ შეარცხვინო“.

**ხატია:**

„ლოვეს“ არ უყვარხარ (ბოდიში ამ სიტყვებისთვის)! შეყვარებულ წყვილს, პირველ რიგში, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა უნდა ჰქონდეს. რასაც „ლოვე“ გთხოვს, ეს ურთიერთობისთვის აუცილებელი სულაც არაა. ცუდად არ გამიგო, მაგრამ შენი ბრალიცაა, ამდენს რომ გიბედავს. მოკლედ, მის გამო ნერვიულობა არ ღირს. ეცადე, დაივიწყო, ის შენი ღირსი არაა!“

**დამავოი:**

„რაო? რას ჰქვია, დაწოლას გთხოვს? ჩემო კარგო, ეგ არც გაბედო! თუ ცხოვრების დანგრევა არ გინდა, ნორმალურად მოიქეცი. ინტიმური კავშირის შემდეგ ის აუცილებლად მიგატოვებს. გეტყობა, გიოს ბოლომდე ვერ ენდობი და ამიტომაც, მის გამო სულელური ნაბიჯის გადადგმა არ ღირს. აბა, შენ იცი, ჭკვიანად მოიქეცი“.

**მისტერ:**

„რა პრობლემაა? ერთი წლის კვალობაზე, დაგაგვიანდათ კიდეც. შენი „ლოვე“ ჩინელია, უკვე დაორსულებაზე რომ ლაპარაკობ? ეგ წვრილთვალება ადამიანები პრეზერვატივს ნაკლებად იყენებენ და ამიტომ არიან წრუწუნებივით გამრავლებულები, ქართველი „ლოვე“ კი ამ განსაცდელს აგარიდებს. შენი წერილი ბებიაჩემს რომ წაეკითხა, გაგკიცხავდა და იმასაც დასძენდა, — მეხი კი დაგაყარეო, მაგრამ ჩემი რჩევაა: მიდი, მიაწექიიი...“

**ლიკუნა 10:**

„ჩემო კარგო, მასთან სექსს არ გირჩევ — ჯერ ერთი, პატარები ხართ და თანაც, რა გარანტია გაქვს, რომ ამის შემდეგ არ მობეზრდები, არ მიგატოვებს?.. ეს შეიძლება, მისთვის წუთიერი გატაცება აღმოჩნდეს, შენ კი მოტყუებული, იმედგაცრუებული დარჩები“.

**ვერძი:**

„დღეს თავისუფალი სექსუალური ურთიერთობა აღარავის უკვირს. თუ დამიჯერებ, ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგა. აბა, დაფიქრდი, გიო ხომ მასთან დაწოლას გთხოვს და არა — ცოლობას. დიდი შანსია, შენი გრძნობა სათავისოდ გამოიყენოს და მერე, დაგემშვიდობოს. თუ ასე დაჟინებით გააგრძელებს სექსზე ლაპარაკს, დაშორდი. ნუ აჰყვები მოდას და ნუ დაკარგავ იმას, რასაც სიწმინდე ჰქვია. დაშორების შემთხვევაში მიხვდები, რომ სწორად მოიქეცი და ღირსეული ნაბიჯი გადადგი. ნუ გეშინია, ცხოვრება გრძელდება“.

**ლუნა:**

„ბიჭებისგან მსმენია, რომ როცა გოგო ნამდვილად უყვართ, მას ზედმეტს არაფერს ჰკადრებენ, — ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ გიოს არ უყვარხარ, მაგრამ მაინც, გირჩევ, ზედმეტი სიახლოვის უფლება არ მისცე. ბიჭები სანდონი არ არიან. მან შეიძლება, სურვილი დაიკმაყოფილოს და შემდეგ, შენ მიმართ გრძნობა გაუნელდეს. სთხოვე, თავი შეიკავოს და ისე მოგექცეს, როგორც პრინცესებს ექცევიან. მას არა აქვს უფლება, შენი სურვილის წინააღმდეგ წავიდეს. ისე კი, ჩემი აზრით, სიყვარული ვნების გარეშე ისევე ქრება, როგორც ვნება სიყვარულის გარეშე. ამიტომაც, კარგია, შენი მოფერების სურვილი თუ ჰკლავს, მაგრამ მასთან დაწოლას არ გირჩევ. გაკოცე“.

**სვანის ასული:**

„ჩემი აზრით, გადაწყვეტილება მიღებული გაქვს და გინდა, ჩვენი რჩევების მეშვეობით მის სისწორეში დარწმუნდე. თუ სხვათა შეცდომებს გაითვალისწინებ, მიხვდები, რომ ასეთი გარისკვით ვერაფერს მოიგებ, პირიქით — დაზარალდები. არა მგონია, გიო შენი ნამდვილი და უკანასკნელი სიყვარული იყოს... მთავარია, საკუთარ თავში დარწმუნებული იყო, ის კი შენს პოზიციას შეეგუება. ულტიმატუმის წამოყენების შემთხვევაში, სჯობს, ჯანდაბაში გაუშვა და ფიზიკურ სიახლოვეზე ფიქრის ნაცვლად, სწავლა-განათლებას მიხედო. ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ სწორედ მიუწვდომელი ქალია ყველაზე საინტერესო, სასურველი და არა ქარაფშუტა ან მერყევი ხასიათის მქონე“.

**რუისპირი:**

„გიოს არ უყვარხარ, მას მხოლოდ გართობა უნდა. არ მინდა, ცუდად გამიგო, მაგრამ მგონი, ამისკენ თავადვე უბიძგე — ალბათ, ძალიან თავისუფალი ხარ (გამგები გაიგებს) და სხვა თვალით ამიტომაც შემოგხედა... ქართველი კაცის ამბავი არ იცი? ახლა ოცნების კოშკებს აგიგებს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, გეტყვის, — არაქალიშვილს ცოლად ვერ შეგირთავო. ყველაზე უარესი იცი, რა არის? — ყველა შენ გაგამტყუნებს. დაფიქრდი, ღირს კი ასეთი მსხვერპლის გაღება გატაცების, ვნების გამო? საყვარელო, ეს აბდალი წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის — მამინაცვალი, შენთვის კი ყველაფერი მოუცია, მამობა გაუწევია და რით პასუხობ?! ახლა თავშეკავებულობა გმართებს; გიოზე კი არა, საკუთარ სულზე, ღირსებასა და ოჯახზე იფიქრე. ხომ იცი, გაცემა ადვილია, მიღება — ძნელი. დაფიქრდი, გთხოვ. P.S. ისე, კუზანოვს შეუძლია ქალიშვილობის აღდგენა და... მერე იქნები ქალიშვილი, ოღონდ — ჩინური :)... ვაიმე, ეს რა კარგად გამომივიდააა“.

**კუტრინა:**

„გაოცებული ვარ, რა, გეფიცები. „ლოვემ“ ქორწილამდე სექსი რატომ უნდა გთხოვოს? მართლა ევროპელები ხომ არა ვართ?.. მას არ უყვარხარ, შენდამი მხოლოდ ვნება ამოძრავებს და ამიტომაც, სჯობს, სამუდამოდ დაივიწყო, დაშორდე. ქართველი ქალის ღირსება მისი პატიოსნებაა! ისეთი ადამიანი შეიყვარე, ვინც პატიოსნებას დაგიფასებს. წარმატებები, დაიკო!“

**ანაბელი:**

„სიყვარულის გამო საკუთარი ღირსე-

ბის შეურაცხყოფა არ ღირს. სჯობს, მასთან დაწოლისგან თავი შეიკავო. დამიჯერე, მერე შენ მიმართ ნდობას, პატივისცემას დაკარგავს და მაინც დაგშორდება, ამ შემთხვევაში კი ორმხრივად დაზარალდები... ვნებას არ აჰყვე!“

**პაწუკა:**

„მიუხედავად იმისა, რომ გიყვარს, ეს ნაბიჯი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადგა! იცოდე, ყველა კაცი ერთნაირია და კიდევ, გიოს არ ენდო!.. თუ სურვილს ვერ იოკებს, ცოლად მაინც მოგიყვანოს. ჯერ ახალგაზრდა ხარ და ცხოვრებას ნუ გაიმწარებ!“

**ბამბუჩა:**

„ჩემს დაქალს შეყვარებულთან სექსი აქვს და მათ ერთმანეთი დღემდე ძალიან უყვართ. თუმცა, ამ წყვილს ინტიმური კავშირი არასდროს დაუგეგმავს, ეს შემთხვევით მოხდა. ბიჭს არასდროს უთქვამს ჩემი დაქალისთვის, — არიქა, ისე მინდიხარ, ვკვდებიო და იცი, რატომ? — იმიტომ, რომ მართლა უყვარს, პირველ ადგილზე გრძნობას აყენებს. შენს შემთხვევაში კი მგონია, რომ გიოს ვნება ალაპარაკებს. მაპატიე, მაგრამ უნდა გითხრა — მას არ უყვარხარ და სექსის შემთხვევაში, შენდამი ინტერესი გაუქრება, შენ კი უფრო შეგიყვარდება და დაიტანჯები“.

**ქეთა:**

„სიყვარული წმინდა რამაა. თუ გიო შენზე შეყვარებულია და ვიმედოვნებ, ეს ასეა, მისთვის ინტიმურ კავშირზე ბევრად მნიშვნელოვანი შენი ყურება, შენთან ერთად დღეების გატარება და ა.შ. უნდა იყოს... მეც მყავს შეყვარებული. თანაც, 3 წელია, ერთად ვართ და მას ასეთი რამ არასდროს უთქვამს. მე მასთან ერთად ქვაზე ჯდომა, ნაყინის ჭამა, სულელური, ბავშვური გიჟობებიც მაბედნიერებს, ხოლო ინტიმს და ასეთ რაღაცებს თავისი დრო აქვს!.. ჭეშმარიტ სიყვარულსა და ბედნიერებას გისურვებ!“

**გრუზინკა:**

„ბევრი ბიჭი უყენებს შეყვარებულს მსგავს ულტიმატუმს. ვფიქრობ, ის გამოცდას გიწყობს და აინტერესებს, დაუწვები თუ არა. იცოდე, მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და ქალიშვილობა მოდაში აღარაა, მასთან ინტიმურ კავშირს არ უნდა დასთანხმდე. სექსი მთავარი სულაც არაა!..“

**ზვიად ქისტაური, ხევსური:**

„შენ კი გიყვარს გიო, მაგრამ მას ნამდვილად უყვარხარ? — როგორც ჩანს, არა. იმ ბიჭს მხოლოდ შენი სურვილი კლავს. შეეცადე, სიყვარული სექსზე მაღლა დააყენო და თუ ამაში გიოსაც დაარწმუნებ, ყველაფერი კარგად იქნება“.

**კლეოპატრა:**

„ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ იმ ადამიანს შენი საწოლში შეტყუება უნდა! დაიკო, რომ უყვარდე, ამას არ გაკადრებდა. არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდე, ცხოვრება არ დაინგრიო. იცოდე, თუ მოტყუვდები, ცოლად აღარ მოგიყვანს“.

**ცქნაფა:**

„შენც კარგად იცი, რომ ასეთი ურთიერთობის შემდეგ შესაძლოა, მიგატოვოს და ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდე. თუ უყვარხარ, ამ სურვილს გაუმკლავდება და არაფერს მოგთხოვს“.

**ხიშნიკი 18:**

„იმისთვის, რომ ურთიერთობა მტკიცე იყოს, სექსი აუცილებელი სულაც არაა. არ დაწვე მასთან, თორემ მერე, ამ საქციელს აუცილებლად ინანებ. მეც კაცი ვარ და შენს „ლოვეს“ არ ვეთანხმები. გიომ ფული იჩალიჩოს და ქალებში წავიდეს — ასე ცოტათი მაინც დაწყნარდება. თუ მასთან დაწვები, ის ვნება მოკვდება, რითიც სიყვარული საზრდოობს“.

**თათია 21:**

„შენზე ცოტათი პატარა ვიყავი, როცა პირველად შემიყვარდა და თავი დავკარგე, მის გამო უამრავი სისულელე ჩავიდინე. მთავარი კი ის იყო, რომ მასთან ინტიმური ურთიერთობაც მქონდა. არ გეგონოს, რომ მან ამის შემდეგ მალევე მიმატოვა, მაგრამ საბოლოოდ, ერთმანეთს მაინც დავშორდით... ახლა გათხოვილი ვარ და შვილიც მყავს, მაგრამ ძალიან ვნანობ იმას, რაც ჩემს ცხოვრებაში წლების წინ მოხდა, ამის მრცხვენია. ჰოდა, ამიტომაც გირჩევ, არ აჩქარდე!“

**დრაკონი:**

„მასთან დაწოლა სულიერი ტკივილის გარდა, არაფერს მოგიტანს. ქორწინებამდე სექსი მხოლოდ მაშინაა მისაღები, როცა წყვილის ასაკი 30-ს „უკაკუნებს“... შენს შეყვარებულს უფლება არა აქვს, რაიმე დაგაძალოს. მგონი, მას სექსი გართობა ჰგონია. თუ მართლა უყვარხარ, ამის გამო არ დაგკარგავს“.

**კუსა 17:**

„იცოდე, სიყვარულსა და პატივისცემას ვნებამ და ფიზიკურმა ლტოლვამ არ უნდა აჯობოს. მეც ასეთივე პრობლემა მქონდა, მაგრამ შეყვარებულს დაველაპარაკე, ავუხსენი რასაც ვფიქრობდი და ახლა ინტიმური ურთიერთობის გარეშეც, ბედნიერები ვართ. იმედია, არასწორ გადაწყვეტილებას არ მიიღებ“.

**მტკვარი 54:**

„კაცმა საყვარელი ქალისთვის ყველაფერი უნდა გაიღოს, თვით სიცოცხლეც კი. ნინო, ეგ ბიჭი მონადირეა. ჰოდა, თუ მის წინადადებას დასთანხმდები, ხელში იოლად ჩაგდებული ნანადირევი იქნები და ბოლოს, დიდი იმედგაცრუება გელის. თუ ნამდვილად უყვარხარ, სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდება, თუ არადა, გზა ფართოა, საითაც უნდა, იქით წავიდეს. შეცდომის დაშვების უფლება არა გაქვს. სიყვარულშიც და პირად ცხოვრებაშიც წარმატებას გისურვებ!“

**ჭრიჭინა:**

„არა, არა და არა! ცოტა დააშოშმინე, თუ არადა, დაშორდი. რომ უყვარდე, დაგაფასებდა. ჭკუას მოუხმე და გონზე მოდი. ნერვი არ ამიტოკო, იცოდე“.

**ნათუშკა:**

„შენს ასაკში ვიყავი, როცა ჩემი შეყვარებულიც ამავეს მთხოვდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა კოცნას არ გასცილებია. ახლა ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ. ერთხელ ვკითხე, — მაშინ შენთან რომ დავწოლილიყავი, ცოლად მომიყვანდი-მეთქი? მიპასუხა: არა მგონია, მომეყვანე, რადგან მაშინ შენი გამოცდა მინდოდაო... იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებ!“

**ბუზღუნა:**

„გათხოვებამდე არავის დაუწვე, თორემ წამიერი გართობის გამო, ცხოვრებას დაინგრევ. მესმის, რომ გიყვარს, მაგრამ გიოსთვის დროებითი გასართობი ხარ და როცა თავისას მიაღწევს, დაძველებული ნივთივით მიგაგდებს. ჰო, ნურც ბევრი კოცნისა და მოფერების უფლებას მისცემ. ნუ გეშინია, თუ უყვარხარ, არ მიგატოვებს. უფალმა დაგლოცოს“.

**ნიცააა:**

„სჯობს დაკარგო, ვიდრე ცხოვრება დაინგრიო. გირჩევ, მისი წინადადებისგან თავი შორს დაიჭირო. უფალი გფარავდეს“.

■

# „ასე მგონია, შინაბერა დავრჩები“

**დაბნეული,** *18 წლის:*

„პრივეტ“. ლიკ, იცი, ვერავინ ვნახე ჩემი შესაფერისი და ასე მგონია, შინაბერა დავრჩები. ყველა და მათ შორის, კლასელი ბიჭებიც კი მეკაიფებიან. ჰოდა, თავი უბრალო ტილო მგონია. ცუდი გოგო ნამდვილად არ ვარ და არც ის მინდა, ვინმეს ვაწყენინო. დაბნეული ვარ...“

---

# „შეყვარებული 3 წელი მატყუებდა...“

**სვანი ნიწუცა:**

„ვარ 19 წლის. შემიყვარდა ბიჭი, რომელიც 3 წელი მატყუებდა — თურმე, სხვა ჰყვარებია. ამ დროის განმავლობაში მას ბევრჯერ დავშორდი, მაგრამ ბოლოს, მაინც ვურიგდებოდი. ახლა საერთოდ არ მეხმიანება. ნეტავ, რატომ? მირჩიეთ, რა ვქნა?“

*P.S. მაშ ასე, თუ **დაბნეულისა** და **სვანი ნიწუცას** წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.* ■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილ-ურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***



## ქალები

1. ვარ 29 წლის, განქორწინებული, მყავს შვილი. მხოლოდ ოჯახის შექმნა მინდა, კარგ ადამიანთან. გთხოვთ, გასართობად ნუ შეწუხდებით.

2. ვარ 34 წლის, ბინითა და მანქანით უზრუნველყოფილი, ექიმი, თბილისელი, მაღალი, თბილი, ალერსიანი. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს აუცილებლად თბილისში მცხოვრებმა, მატერიალურად უზრუნველყოფილმა მამაკაცმა, ინტელიგენტმა. მინდა თბილი, მყუდრო ოჯახი განათლებულ, ყურადღებიან, დასაქმებულ, თბილისში მცხოვრებ მამაკაცთან. ვარ ყოფილი მოცეკვავე და ცოტა წუნია.

3. ვარ 29 წლის, სიმპათიური, სერიოზული, ხალასი ბუნების გოგონა. მინდა გავიცნო 35 წლამდე ასაკის, ბათუმელი მამაკაცი. უნდა იყოს სერიოზული, დასაქმებული და არა გამრთობი. ბათუმელი ნ.

4. მართლა გამიცნობ?

5. მინდა შევეხმიანო 25 წლის დათოს. გთხოვთ, გამაგებინეთ პასუხი ჩემს ნომერზე. წინასწარ დიდი მადლობა.

6. მინდა გავიცნო 35 წლამდე ასაკის მამაკაცი. ვარ ქმარს გაცილებული. მინდა შევქმნა ტკბილი ოჯახი. სასურველია, იყოს ჭიათურელი. ვარ 27 წლის. გართობის მიზნით თავს ნუ შეიწუხებთ.

7. დამღალა მარტოობამ. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, ყურადღებიან, მოსიყვარულე, თბილისელ მამაკაცს.

8. თბილისელი, ბინით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს. აბა, ჰე...

9. ვარ ლამაზი გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ დასავლეთში მცხოვრებ თავისუფალ, სერიოზულ, 22-30 წლამდე ასაკის მამაკაცს.



## კაცები

10. ვეხმაურები 24 წლის მასწავლებელ გოგონას. მომაწოდეთ კოორდინატები.

11. ვეხმაურები „გზა“ №15-ში გამოქვეყნებული მესიჯის ავტორს, 21 წლის, ლამაზ გოგოს. ვარ 26 წლის, ჩვეულებრივი, თბილისელი ბიჭი. თავისუფალი და ოდნავ ლამაზიც.

12. გავიცნობ 17-დან 20 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ დასაქმებული, 27 წლის.

13. გთხოვთ გამომიგზავნოთ იმ მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი, რომელსაც სურს გაიცნოს 35 წლამდე ასაკის მამაკაცი.

14. ვარ 42 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ვმუშაობ ერთ-ერთ კომპანიაში, ნორმალურ თანამდებობაზე. ვეძებ 25-დან 40 წლამდე ქალბატონს, ვისაც წრფელი სიყვარული შეუძლია.

15. თუ შეიძლება დამაკავშიროთ „გზა“ №14, პირველი მესიჯის გამომგზავნს, 24 წლის, მასწავლებელ გოგოს.

16. მქვია დათო, ვარ 38 წლის, დასაქმებული. გავიცნობ 30-35 წლამდე ასაკის, მომხიბვლელ, ლამაზ გოგონას, ოჯახის შესაქმნელად. სასურველია, თბილისიდან ან რუსთავიდან.

17. ვეხმაურები „გზა“ №14-ში გამოქვეყნებული 1-ლი მესიჯის ავტორ გოგონას. ვარ 30 წლის, მაღალი, თბილისელი. სურვილის შემთხვევაში დამირეკეთ.

18. ვეხმაურები „გზის“ №15-ში გამოქვეყნებული მე-9 მესიჯის ავტორს. ვარ 33 წლის. როგორ დაგიკავშირდე?

19. გავიცნობ მანდილოსანს. სასურველია, იყოს იმერეთიდან, პატიოსანი, ნორმალურ ოჯახში აღზრდილი.

20. ვარ 28 წლის, განქორწინებული მამაკაცი. გავიცნობ მანდილოსანს, ოჯახის შესაქმნელად! ვინც მართლა იცის ოჯახის ფასი და არის ალერსიანი. შვილი არ მყავს!

21. ვეხმაურები ქალბატონს, „გზა“ №15, მე-8 მესიჯის ავტორს. ვარ 40 წლის. ქვრივი. ვისაც ჩემი გაცნობა, უნდა დამირეკოს.

გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, მე-7 მესიჯის ავტორს. მას 3 წლის გოგონა ჰყავს. შემეხმიანოს ჩემს ნომერზე ან გამაგებინეთ მისი ნომერი.



## სხვადასხვა

● თაის, გამახარე, ჭეშმარიტად გამახარე! რა სასიხარულოა, როცა ახალგაზრდები გრძნობენ სამშობლოს გასაჭირს, სტკივათ მისი იარები. ვფიქრობ, შენ ის სხივთაგანი ხარ, რომელიც საქართველოს მომავალს გააცისკროვნებს! სიამოვნებით გაგესაუბრებოდი. :) P.S. მის რეალის და მაესტროს ლექსგზავნილები საამოდ წასაკითხი იყო. სარვიეტა.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ... საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

• ვისაც გიყვარვართ და დასაცავად ატეხეთ დიდი აურზაური, ვისაც ვერ გართობთ შურიანების დიპლიპიტო და დიმპიტაური, ყველა იმ მგზავნელს სულში გაკოცეთ, თქვენა ხართ ჩემი დღესასწაული. ბერბიჭა. რომ დაგიკოცნო 9 თვალი, მოო, შემოგხვიო ეს მკლავი, შენა ხარ ჩემთვის ცხრათვალავ, ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი. აპრილის ნიავს წამოჰყე, ჩემთან მოგიყვანს გზაკვალი. გაკოცე. ბერბიჭა. p.s. მოკითხვა ანასტასია23-ს, ვერძს, ფეშენას, მემეს, ნინიას, დამავოის, ნერტისს, პარიჟანკას, ბულონს, მანჩოს, ცისიას და თიკუნას. ბერბიჭა.

• შეწირული როგორ არის, ნეტავ? უფრო სწორად, ის, ვის გამოც ტრაგიკული განწყობით დაგვემშვიდობა? იმედი მაქვს, კარგადაა და ძალიან მინდა, ასე იყოს. სარვიეტა.

• ვაიი ეს რა სიტყვების კორიანტელიაა. ნუთუ არ მოგბეზრდათ? მარ, ეს ულტრიხ-ი რა მაგადი რამეაა?! გავგიჟდი ქალი, ნუ! :) სოფი19, ვეთანხმები, შეეშვით SWEET-ს. ჯერ—ო.

• მენატრები ატარექსია. როგორ ხარ?

• მის რეალ, შენ ჩემი ექსმეგობარი ხარ. ნატო ვარ, იმედია გახსოვარ. დედაშენი და შენი დაიკო მომიკითხე, ძალიან მიყვარს ორივე. ხევსური ქალი.

• ალტაცებული ვარ შენით ბერბიჭა, საოცრად ნიჭიერი ხარ. ძალიან გამიხარდა, უყურადღებოდ რომ არ დამტოვე. ვერძი, ძალიან საყვარელი ხარ, შემოგევლე. პუკუ.

• მომწონს ყველა ლექსი, ახალი ვარ „გზაში“, გამეცანით ხალხო, „გზავნილებში“ ვარო. პოეტი.

• მხოლოდ ხუთი თვე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და ცათა სასუფეველში გადაინაცვლე. დაგვიტოვე მოუშუშებელი იარა. ისევ მოვიდა გაზაფხული, შენი დაბადების დღე დედა, რომელსაც წელს უშენოდ აღვნიშნავთ. ამოვალთ საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს და შენი სულისთვის ვილოცებთ. როგორ მჭირდები და მენატრები, რომ იცოდე... მზია.

• დათო, შე სირო, ბაზარი, აზრის წყობა და სიტყვებიც კლასიკური ქალური გაქვს. იასნია, ქეციანი გოგო ხარ, ან აცისფრებ. დათვის გაკეთებული ხარ, შე ისტერიკავ? დათო.

• დათო, შემდეგ ნომერში დატოვე შენი ზუსტი კოორდინატები, შენისთანებს დუელამდე ვტრუპავ, შე პიდარასტო. გელოდები. რუსთავი.

• დათო, ამდენი ლანძღვა რომ აიტანო, ცხოველი უნდა იყო. შენც, პალაჩა და პილოტაც, ოჯახში კი არა, სალორეში ხართ გაზრდილი, ბინძურო ღორებო.

• მოკითხვა ბერბიჭას, ვერძს, კლეოპატრას და ეშმაკუნას. ძალიან საყვარლები ხართ, გკოცნით. არ მომწონს, ბერბიჭაზე ცუდს რომ წერენ ზოგიერთები. ანასტასია23.

• მოგესალმებით, ჩემო საყვარელო მგზავნელებო, როგორ ხართ? კლეოპატრა, რუისპირო, ფეშენ, სოფი19, დამავოი, სანტა, აბეზარა, იკუშკები. კარგები ხართ. კუტრინა.

• რუისპირმა, ჩემმა ძამიკომ/ ასეთი ნეტავ რა მიყო/ ერთი მესიჯი მომწერა/ და ჩემი გული წაიღო! ძმა ხარ, რუისპირ! გენაცვალე ჯიგარში! კუტრინა.

• მგზავნელებოოო! მინდა იცოდეთ, რომ მე ფეშენას ფანი ვარ! გაიხარე ფეშენ, მაგრად მიყვარხარ და გაფასებ! რა მაგარია, რომ არსებობ! კუტრინა.

• პილოტ, არც აკაკი და ყაზბეგი იყვნენ რუსთაველამდე დიდები, არც „გზაა“ ვეფხისტყაოსანი, მაგრამ სხვას არვის ერჩი, ქეციანო მჯღაბნელო? ვინ გდიხარ, რომ ბერბიჭას აფასებ? როცა სხვის დედას ახსენებ, საკუთარი არ დაივიწყო. შევარცხვინე იმის დედობა, ვინც რძის ნაცვლად გესლი გაწოვათ. ბულონი.

• ემიგრანტო, ვადაგასული აზრების პატრონს არა აქვს ჩემზე გასაკეთებელი კომენტარის პრივილეგია. ასე რომ, შენ მაგის უფლება არ გქონდა. დასკვნების გამოტანამდე პუბლიკაზე გამომტანის ვინაობა გაარკვიე. სიტუაციაში ჩაუხედავობისგან შენი ჩემ მიმართ განხორციელებული ბილწსიტყვაობისთვის კი უზრდელს გიწოდებ! ისე, ქალი შვილის ტოლისგან სიტყვა უზრდელის საწოდებლად თავს რომ გაიხდის, მგონი სამარცხვინოა. შენი ბოლო ფრაზები კი პაექრობის გაგრძელების უნარის არმქონე ადამიანის სიტყვებია და საერთოდ, შეეშვი ჩემზე ლაქლაქით ენის დაღლას. ჯობია, შენი ხელები ბებოების პამპერსების გამოცვლაში დაღალო. დედაჩემი რომ ყოფილიყავი, ამ საქციელებისთვის დაგცინებდი. მისტერ.

• პალაჩ, დათო, პილოტ ანუ 3-თავიანო ურჩხულო, ბიჭი რომ იყო, ბერბიჭას სექსუალურობას არ მოიძიებდი. წყეულიმც იყავ! პროტესტის ნიშნად გტოვებთ. თქვენი იყოს „გზა“. ელექტრა.

• ოო, მაი გაად! რაკი „გზაში“ ბოზებსა და ლესბოსელებს მიგყავთ პარადი, ჩემგან პაკა, რაა. ჰო, ვისაც დედა არ გიყვართ და არ ჩახუტებიხართ, თქვენი დედა და ვინც თქვენ თავი კიდევ გაგიტოლოთ, იმისიც! პალაჩ, დათო, პილოტ (განსხვავებაა ვითომ? ჰმ!) თუ რამე პრეტენზიები გაქვთ ბერბიჭასთან ან ჩემთან, ოთხზე დადექით... პაკა. ენიგმა.

• დათო, შენ გაქვს უფლება ბერბიჭაზე აზრი გამოთქვა და ჩვენ შენზე — არაა? რა ზიზღით მოგვმართავ მგზავნელებს, უზრდელო? ძალიან ბოლმა არსება ხარ, იმ 2 დაუნთან ერთად. ცისია.

• პილოტო, დათო და პალაჩ, გავიგე ვინ ხარ. იმდენი შნო ვინ მოგცა, რომ ნაღდი ნიკით მომწერო? რამის ტ...ი რო გქონდეს, აქამდე ჩამოეთესლებოდი. ბულბულის სტვენას ყვავი ყრანტალით აფასებს. ვერ მაპატიე იგნორი, სიმართლის ცოდნა, არა? წყალი სათავით იმღვრევა და შენი გულაობისთვის იმ სათავეს რომ არა ვკადრო, მივდივარ. მარისთან მაგის მიმწერ-დამბრალებლის მკვდარ-ცოცხალიც! გაიგე, შე ახურებულო? დაჩაგრული მე კი არა, შენ ხარ. მე ადამიანად ვრჩები, შენ კი პირუტყვული სექსის და ცოდვის ჭაობის შვილად. ბერბიჭა.

• დათო, მე მოგყვები დუელში და ერთი სული მაქვს, ნაწლავები დაგაყრევინო. აბა, გამოძვერი სოროდან და ამოაყრანტალე შენი ვინაობა. თუ არ იტყვი, მერე დედას გაგინებ.

• ჩემო ძვირფასო მგზავნელებო, თვალს ვადევნებ თქვენს გზავნილებს და ძალიან შემიყვარდით. იმედია, ეს გზავნილი დაიბეჭდება და თქვენი ოჯახის წევრად მიმიღებთ. ნია.

• ე.ი. დათოო, ქათამი გიწოდეს და გაატარე? ზნაჩიტ ან პიდარასტი ხარ ან პუტანკა. ყველა ვარიანტში უმამოდ გაგდებული ნაბიჭვარი ხარ და სექსნაკლებობა გჭირს. დათო, დარწმუნებული ვარ, ულმერთო, ფარისეველი ხარ. შენი ხორცი ზეიმობს, მაგრამ სული დაგილპა და შიგ გველები გიფუთფუთებს. ეს პილოტს და პალაჩსაც გეხებათ. ელენ.

• მონაზონს მინდა გამოვეხმაურო. გიუშამ არა, მაგრამ მისმა ცოლმა ანუ მე წავიკითხე. ერთი რამ დაიმახსოვრე: უფლის რისხვის გეშინოდეს. დარწმუნებული ვარ, ბუმერანგივით დაგიბრუნდება.

• გალაკტიონ, რასაა რომ ჩივი? შენს მესიჯში იუმორი, უშუალობა შეიმჩნევა, კარგი ხასიათის იქნები, გული მკარნახობს. :) ტყუილად ნუ იგრუზები. ვიმეგობროთ. :) ვერძი.

• ცისია, არ დანებდე და ცხვირი არ ჩამოუშვა. ბერბიჭა ის კაცი ჩანს, ვისთვისაც ბრძოლა ღირს. :) ნამეტანი ნუ მიაწვები, მარა არც ხელი არ გაუშვა. გაკოცე. :) ვერძი.

• მინდა მოვიკითხო ბერბიჭა, ცისია, ფეშენა, დამავოი, ანასტასია23, მის რეალი, რუისპირი, გრუზინკა, SWEET-ი. მოკლედ, ყველა კარგი და ღირსეული მგზავნელი. ვერძი.

• პალაჩ, ბერბიჭას მიჩმორების რამე ეტყობა? ცოტა სიტყვები შეარჩიე, დედას სიცოცხლევ. შურმა მუწუკები იცის სახეზე. ემანდ, ამ სიცხეში არ დაგფოთლოს. ვერძი.

• მეც დათო, კარგია, იმას მაინც ხვდები, რომ „ც“ ხარ. ბერბიჭა ერთადერთია და ნუ კბენთ შენ და შენნაირები. გეტყობა, რომ აგრესია გაქვს დაგროვილი და აქ ანთხევ, დიდსულოვნად. რას ერჩი ბერბიჭას? უსაზღვრო სიმპათიით და სიყვარულით რომ სარგებლობს ჩვენში, ამიტომ გადაეკიდე? დუელში გვიწვევს კაცი! ცოტა აზრზე მოდი, „ც“! მარაზმია უკვე ამდენი ლანძღვა. წყალი დალიე, „მამაო ჩვენო“ თქვი და პირჯვარი გადაიწერე, რომ არაფერი მოგელანდოს! აქ ვაგზალი არ არის! ვერძი.

• პილოტ, არასწორ ადგილას რომ დააპასადკე, ამჩნევ? საჭე მარცხნივ აიღე და გაფრინდი აქედან, რა! ბერბიჭას თავისი ადგილი აქვს, თავმდაბლობასთან ერთად. ვერძი.

• ქალთა სქესი ატეხილა, შენი თავი სურთ წამართვან, კაცები ეჭვიანობენ, რქა აშინებთ თავზე ალბათ. ავიწყდება ხშირად მავანს, რომ მაგ გულში შენ მე გყავარ. ცხრათვალა.

• კახა ქ-ძე, ძალიან გთხოვ, დღეს საღამოს 10-ზე დამირეკე. ძალიან დიდ საიდუმლოს გაგიმხელ. გაგიკვირდება და გაგიხარდება. დანარჩენს დაიკიდებ, სიხარულო. გაკოცე. ნინო.

• აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, ლევან ვარშალომიძეს ვულოცავ გიორგობას. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. ძალიან გამიხარდა. თბილისში რაც გინდოდა, აისრულე. პრინცესა.

• მე-12 ნომერში ფიქრია სევდაძის მიერ მოყოლილი ამბავი ძალიან მომეწონა. :) როგორ მიყვარს, მსგავსი ისტორიები! ძველად უფრო ხალასები იყვნენ, თითქოს. სარვიეტა.

• მიყვარხარ, გული გეძახის, ენა ვერ ბედავს თქმას, მინდა იცოდე ლამაზო, შენზე ფიქრები მკლავს. :)

• ვალერი მამასახლისო, კვირას არ დარეკე. ფული არ გქონდა ანგარიშზე. მამას პენსია გვიან ავიღე. ღმერთმა დასაჯოს, ვინც გაგწირა. ქრისტემ გაუძლო ტანჯვას? გაუძელ, შვილო!

• საპასუხო შეურაცხყოფას არ გაყენებ. განცხადებებში დატოვე ნომერი, დაგიკავშირდები და ვისაც მისაყენებელი აქვს, ის მიაყენებს კიდეც. გელოდები. დათო.

• ოეე, ბავშვიი, გეცილებიან რას ჰქვია? მარტო შენ გქვია დათო. ცოტა დაწყნარდი, პაწუ. დათო.

• აკო ნინოშვილო, მენატრები სიგიჟემდე. ასე არ უნდა მომქცეოდი. შენი ჩანჩურა.

• პალააჩ, შენ დედიკოს არ ეხუტებიი? საწყალი... ასეთ დროს დედებს სხვა კაცები ეხუტებიან. კვიცი გვარზე ხტის და შენც ლოგინიდან ლოგინში ხტუნაობ, ბლიად. ბუზუ... ბუზუ... ზუუ...

• ეს რა გვჭირს? „მობილი-ზაცია“ რომ წავიკითხე, ვიტირე, დედას გეფიცებით. ერთ მუჭა ქართველებს ბოლმის ტომრები წამოგვიგდია ზურგზე და ვაყრით გესლს ერთმანეთს, პეშვობით. მემე.

• ბრმა უნდა იყო, ვერ მიხვდე, რომ აშკარად პირადი ბოლმა ამოძრავებთ ბერბიჭას მეტოქეთ. დათო, შენი ჩაკვეხება (ასე შენ დაწერე) იყო ზუსტადაც უადგილო. ვერ ხვდები? მემე.

• ჰო, პალაჩ. შეიძლება ქვა ისროლო, მაგრამ ეს არ ნიშნავს მიჩმორებას (ან ეს რა ქართულია). წაიკითხე წინა „მობილი-ზაცია“ და მიხვდები, რაა... ხმა ღვთისა და ხმა ერისა! მემე.

• არც შენ წაგიკითხავს ბერბიჭას ლექსები და გზავნილები, თორემ მიხვდებოდი, წინადადებების წყობისა და აზრის სისავსეს. თუ ასეთივე პილოტი ხარ, როგორც კრიტიკოსი, ვაჰ! მემე.

• ადამიანს 2 წელი სჭირდება ენის ასადგმელად და 60 კი მისი მოთოკვა რომ ისწავლოსო, სიბრძნეა ასეთი. ან ენით დაკოდილის იგავი გავიხსენოთ. ვუსმინოთ ძველებს. მემე.

• ძველ „გზებს“ ვკითხულობ და თურმე როგორ მომნატრებია თეო-მგელო, გერასიმე, ბოხო, ფელამუშა, ჯეჯე... რომლებიც ძალიან კარგები იყვნენ. გთხოვთ, დაბრუნდით რა ისევ. ფლამინგო.

• გადარეულო, სად დამეკარგე, ქმარუკა? ღალატს არ ჰქონდეს ადგილი. ვახუნხულ, გაკოცე, ბიჭოოოო. კლეოპატრა.

• გეფიცებით, ჩემი მეზობელი ირწმუნება,

ტელეფონი რომ იტენება, ვგრძნობ, რომ მძიმდებაო. მგონი მართალია, აბა ნახეთ.

• ნიკო გომელაურის ოჯახს ვუსამძიმრებ. გეფიცებით, ნიკოს ლექსებზე სულ მბურძგლავდა. ახლა ვტირი მის ხსენებაზე. ეეეჰ, რა ვქნათ, რომ სიკვდილი მაინც არსებობს.

• მარი, შენს რომანებზე მაბოდებს. შენს ნიჭს ვეთაყვანები და მიყვარხარ. არ მიმბლოკო, სტინგი.

• სანტა, დაიკო, რატომ მეკარგები? კოზანოსტრა, 2 დღის თავანი გაქვს ჩასაბარებელი, ბოროტო. ASHLEY, მომენატრე უკვე, ქალი... ფილიპოს, გრუზის, კანიბალკას მპუა. კლეოპატრა.

• 9717, დაბრუნდი ჩვენთან, გთხოვ, შტერუკ. მაგრად მიყვარხარ. ჭრიჭი და ფლამინგო, უსაყვარლესები ხართ. სოფი19, რეალ, მპუა თქვენა. ეშმაკუნა, მიყვარხარ. გაკოცეთ. კლეოპატრა.

• ბერბიჭავ, შენი სახეო, წუხელ სიზმარში ვნახეო, ცოლად ირთავდი ცხრათვალას, ქორწილში დამიძახეო. მე უარს როგორ გეტყოდი, მუდამ თქვენ გვერდით მიგულეთ, აწი შევხვდებით ქორწილში, ბედნიერებას გისურვებთ. კლეოპატრა.

• მარი, მგზავნელებო, ბოდიში, რომ ასე შემოგეჭრით ოჯახში. ალბათ მიმიღებთ. ს.კ.

• ვერძი, მოგიკითხავ, როგორ ხარ? ASHLEY, შენზე ნაწყენი ვარ. MOONSHINE.

• მაგდუუუუშ, ჩემი და 9717-ის გულის გამხარებელო, ძალიან მიყვარხარ. ძალიან მაგარი გოგო ხარ. MOONSHINE იგივე ჯუსტ ნათ.

• სიკვდილა, ნათიიიი, სად გაიჩითე გოგო? შენი ფოტო „გზის“ ფურცლებზე და რამე? MOONSHINE.

• როგორ ხართ, ჩემო კარგო მგზავნელებო? ნიკო გომელაურის გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი ბევრი მეგულება „გზავნილეთში“. ჰოდა, ვწუხვარ ძალიან ძალიან, ნიკოს გამო. :(

• მეც ძაან განვიცადე. გმადლობთ ყურადღებისთვის. ჰო კიდევ, ბავშვებო, ქრონიკული უდეპოზიტობა მჭირს და ძაან გთხოვთ, ბალის ნომრით ნუ მომწერთ რა. აქვე ბოდიშს ვუხდი კლეოპატრას, რომ ვერ მივწერე. უყურადღებობაში ნუ ჩამომართმევ, რა... P.S. უნიკოდ მომწერეს, როგორც მახსოვს, ბანაკში გიცნობდიო. სამწუხაროდ, მე ბანაკში არასოდეს ვყოფილვარ. შეიძლება შეგეშალათ, ან ვინმეში აგერიეთ. ჩუპი (მალე ახალი ნიკით შემოვგრიგალდებიი).

• არა! გაზაფხულზე რა უნდა მარტოობას?!.../ მოგძებნი სადმე და ჩემს გრძნობებს დაგიმტკიცებ.../ მერე შენთან ერთად შევხვდები ყვავილობას.../ არ გჯერა? თუ გინდა იებზე დაგიფიცებ.../ ჰმ! ისედაც ხომ სულ დავფრინავ და ამ გაზაფხულზე საკმაო მანძილით მოვწყდი დედამიწას... მეშინია, დაშვებისას არ დავენარცხო... როდის მოვრჩები ნეტავ ფრენაას? SWEET-GIRL.

• ჯანდაბას ჭაობი, ლაფი და სიმყრალე.../ ავყევი ცხოვრების გრიგალს და ქარაშოტს.../ უკვე ყველაფერი მკიდია ფეხებზე.../ ყველა როლს ვირგებ და ყველა როლს ვთამაშობ.../ ვთამაშობ ზესულელს უკვე მერამდენედ.../ ყველა შეგონებას ვაცხადებ ბათილად.../ მოთხოვნა არ არის ამქვეყნად ჭკვიანის.../ თორემ ვითამაშებ ჭკვიანსაც ადვილად.../ SWEET-GIRL.

• მატიტელა, გაიხარე ჩემო კარგო, გმადლობ... ბალი ბიჭუნაა, გეშლები ვილაცაში, მე „გზაში“ დავიბადე და აქვე ვბერდები, სხვა ჟურნალში არ ვყოფილვარ... ბუბა, სად დამეკარგე, „ოდნოშიც“ რომ აღარ ჩანხარ? ბერძენ მგზავნელებს მოვიკითხავ დიდი სითბოთი... ბავშვებოო! 18 აპრილს დიდი დღეა, დიიდიიი... ოღონდ ეს სიურპრიიზ! SWEET-GIRL.

• ერთი მოაზროვნე იყო, სოლოვიოვი, რომელმაც თქვა: „ადამიანი არის ზნეობრივი და გონებრივი გარკვეულობა“. ჩემთვის კი შენ, უნიკო წაკბენილომანო, გონებრივი, ზნეობრივი და მგზავნელობრივი გაურკვევლობა ხარ (იმედია, მხოლოდ ჩემთვის და საერთოდაც არაა ეგრე). ე.ი. ცილი დავწამე მე ვინმეეს? რა იცი, რომ მე პირადად არ მქონია ზოგიერთი მგზავნელის ბოლმიანობის ფაქტებთან შეხება? არა მგონია, ვანგასებურ ნიჭს ფლობდე და ყველას პირად ცხოვრებაზე შეგეძლოს ინფორმაციის მოპოვება... თუ მაინც ეგრეა, მაშინ მაგ შენი ნიჭის გავარჯიშებას გირჩევ ისე, რომ ტყუილი ინფორმაციები არ გქონდეს... ეს ჩემი ბოლო პასუხია შენს, ქვაზე დატოვებული შხამის გვერდით მიწერილი... აწი შენი გადატყაული ენის ფოტოც რომ დააბეჭდინო მარის, ტვინის უჯრედებს, ნერვულ რეცეპტორებს და თითებს არ შევაწუხებ პასუხის მოსაწერად და შენც გირჩევ, ნუ გადაიღლი გონებას ჩემზე და იმის ფიქრით, თუ როგორ გამცე პასუხი... მე უკვე ვთქვი ერთხელ, რომ აწი ვიქნები SWEET-GIRL-უარყოფითენერგიაგამტარი-მეთქი და ეს წოდება, რომელიც ვიჩუქე, ძალაში რჩება... ასე რომ, რააც გენებოს ის ილაპარაკე... სიტყვის თავისუფლებაა, ბოლოს და ბოლოს... თან შენს ჯანმრთელობაზეც ვზრუნავ და რაც თქვი, ეგ ყველაფერი რომ გადააგეყლაპა, ჩემზე უკეთ მიხვდები, რაც დაგემართებოდა... ისა და, ერთი შენი მარგალიტებივით დაწყობილი ლექსი წაგვაკითხო, არ გინდაა? ბუზუ-ზუ-ზუუ... SWEET-GIRL.

• ამ გაგანია გაზაფხულზე, მაშინ, როცა ახალფეხადგმული კვიცივით მუდამ მინდორ-მინდორ, თუ ქუჩა-ქუჩა კუნტრუშის განწყობაზე მოვიმართები ხოლმე. არ ჩამებანტოჩკა, ვირუსების მთელი არმიაა? ჰოოდა, რა დროს შენი კუნტრუშია, უნდა იწვეო და ვაარ ეს 2 დღეა საწოლს აწებებული. მეტს ვერ მივართმევ, ხვალ ისევ კუნტრუშის რეჟიმზე გადავდივარ. ეს ჩემი თათა—ბოოკიც (ვინც არ იცის, NOTE-BOOK-ს ჰქვია) გადმოვაადგილე აქეთ და მიუხედავად იმისა, რომ მიშლიან, არ შეიძლება, ამოგილამდა თვალებიო და ა.შ. მე მაინც ვაკაკუნებ მის პიანინოსავით შავ-თეთრ კლავიშებზე და შენთან გამოსაგზავნ გზავნილს ვაცხობ... ხომაა ცოდვა ახლა რომ არ დაბეჭდოო? SWEET-GIRL.

• ეშმაკუნა, ჩემო პირველო მოსწრებავ და სიხარულო, შემოგევლოს ნარი ბებოს სიცოცხლე. მადლობელი ვარ, ასე რომ გაგიხარდა შენი ბერბიჭა მამუკა ბიძიას ბედნიერება. მარტო შენ კი არა, ჩვენ ყველამ გავიხარეთ, მაგრამ უფრო ბედნიერები ვიქნებით, თუ გავიგებთ, ეშმაკუნამ მისაღები გამოცდები ჩააბარა და გრანტი აიღოო. აბა შენ იცი, როგორ გაგვახარებ. შენი კეთილის მსურველი, ნარი ბებო.

• გენაცვალეთ ხალხნო, დამავოი, მისს რეალ, SWEET, კამ-კამ, სვანის ასულო, თქვენი დამსახურებაა, დღეს ჩემი აქ ყოფნა. ვერონა.

• მისს რეალ, უსაყვარლესო ადამიანო, დიდი მადლობა იმისთვის, რომ აქ ამ თქვენს პატარა სამყაროში შემოსასვლელი გზა მაჩვენე. ვერონა.

• სალამი მგზავნელებო. ახალი ვარ, თუმცა, სულ თქვენ გვერდით ვიყავი მალულად. იმედია, მიმიღებთ თქვენთან. ვერონა ვარ.

• აღდგომის კვირას ბიძაშვილის ძმაკაცი შემხვდა. ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? ჭეშმარიტადო. ერთხელ კი მეზობელს მივესალმე, გამარჯობა-მეთქი და მადლობა გადამიხადა. ნუ, რაამ დააბნია ეს ხალხი, არ ვიცი. ვერონა.

• ნიკო წავიდა... ვინ არ წასულა, წასულა ცაში, მაგრამ ასეთი ვინ დატოვა გრძნობები ხალხში... მისი სხეული აღარ არის, არ დაძრწის ქარში, ის დარჩა ჩემში, დარჩა ბევრში და დარჩა ქალში. მისი ცინიზმი ჩამესმოდა მე როგორც ნანა, მისი ლექსებით დღესაც ცოცხლობს მთელი ქვეყანა. და ვინც კი ფიქრობთ, რომ ტყუილი დამყვება თანა, ჩემი ჭაობი თქვენზე სუფთაა, იცოდით განა? ამას ამბობდა ნიკოს ლექსი, აზრებით ჩემით, ისე ცოტაა ადამიანი, თქვენში ვერ გესმით, რომ მე შემრცხვება თქვენს სიყალბეს დავუგდო ყური... ემოციები? დამიჯერეთ... პასუხად — ნული. ხანდახან ალბათ საჭიროა, დახარო თავი, რომ განვასხვავოთ რით განირჩევა თეთრისგან შავი! მის რეალი.

• ბიძაშვილი მყავს, ნინიკო. ბაღში დადის. ენა აქვს იმსიგრძეეე... :) მეორე ბიძაშვილის, მისი დის, ანას დაბადების დღე იყო. ბებო ეუბნება: ანა, დღეს იუბილარი ხარო. ნინიკომ კი, იუბილარი კი არაა, იუბილარად ვიყენებთო. :) ბაღში ერთი ბიჭი არ უყვარს, მაბრაზებსო და იცით, რას ეძახის? რუსს. :) ერთხელ კი დედამისს ჰკითხა: დედიკო, დედამისს გული აქვსოო? მის რეალი.

• მობილური ტელეფონი ახალი შემოსული იყო. ჩემი ახლობელი მოხუცი კაცი ერთ ფირმაში ბუღალტრად მუშაობდა. აჩუქეს ტელეფონი და თანხასაც ურიცხავდნენ. ამიტომ მის შვილს საქმე რომ ჰქონდა, ზარს უშვებდა და თავად ურეკავდა. ერთხელ გაუშვა ზარი... ალიკა პაპამ ნახევარ საათში დარეკა. ტელეფონის წიგნს ვეძებდი, რომ ნომერი მენახა და დამერეკაო. იქ ჰქონდა შვილის ნომერი მიწერილი. :) რას გვიშვება ეს წინ წასული ტექნიკა... მის რეალი.

• კაცი საქეფოდ წავიდა მანქანით, ცოლ-შვილთან ერთად. დალევა უნდოდა, თან ეშინოდა, პატრულმა რომ დამიჭიროს ნასვამი, დამაჯარიმებსო... ადგა და თავის ცოლს და 2 პატარა შვილსაც დაალევინა. გზაზე პატრულმა გააჩერა. ჩააბერინეს და გაწითლდა... ამტკიცებს კაცი, მთვრალი არ ვარო. რომ ვერ დაუმტკიცა, უთხრა: აპა, ჩემს ცოლსაც ჩააბერინეთო. ჩაბერა ცოლმა და გაწითლდა. პატრულმა, ესეც მთვრალიაო. ახლა კაცმა უთხრა, ბავშვებსაც ჩააბერინეთო... ისევ გაწითლდა ორივეზე. 6 და 8 წლის ბავშვიც მთვრალიაო? პატრულმა გაუშვა. :) ხერხი სჯობია ღონესაო, ამაზეა ნათქვამი. მის რეალი.

• ბინდი იყრებოდა, დილა იწყებოდა, მაუწყეს მოკვდაო, ნიკო. აზრი ამერია, დარდი გამერია, გავქვავდი და ვეღარ ვფიქრობ... თვალი გამიშტერდა, ეჭვი გამითეთრდა, ვისროლე სიტყვები, ფერში შენ რა გიყვარდაო, ნიკო, შეგეშალა, მე ღმერთი ვიპოვე შენში... ვიცი, შენ არ მოკვდი, უბრალოდ წახვედი, გაგიღეს სამოთხის კარი და ახლაც ბევრ ცოცხალს მართლა მირჩევნიხარ, ერთი გარდაცვლილი მკვდარი! მის რეალი.

• ხალხო, არ დაიღალეთ, წყლის ნაყვით? არ მოგბეზრდათ, ამდენი ლანძღვა? სიმართლეს ამბობენ და ეგ გამწარებთ? გოგონებო, მიყვარხართ!

• მგზავნელებო, მიყვარხართ, ამ პაწუკა გულით, სიცოცხლიდან სიკვდილამდე, ვინც ღირსია, რა თქმა უნდა. ძველი დრო მენატრება, როცა აქ სიყვარული სუფევდა.

• 9717, არ მინდა, წახვიდე, რადგან ძალიან მიყვარხარ! შენნაირი ფაქიზი სულის და ლამაზი გულის ადამიანს ვერ გავუფრთხილდით და ვერ დავაფასეთ.

• მარ, რა იქნება, მგზავნელებს სთხოვო და მათი პატარა შვილების სურათები დაგვიბეჭდო „გზაში“?

• გრუზინკა და ლუნა, ჩემი უსაყვარლესი გოგონები ხართ. მიყვარხართ ძაან, ძაან... სითბო და სიყვარულისთვის ზღვა მადლობა.

• პრივეტები ყველას. როგორ ხართ? მარი, მე ახალი ვარ და ხომ მიმიღებთ? გეხვეწებით.

• მარი, იცოდე, რომ გარშემო გამეფებულ, უკუნ წყვდიადში ჩემი ციცინათელა ხარ და რა საჭიროა იმის მოწერა, რომ გიყვარვარ? მე ეს ისედაც ვიცი.

• ლოდინით დაღლილი, ჩურჩულით ახსნილი, თვალები დახრილი, გვაშორებს მანძილი, ოცნება-წადილი, ლამაზი-ნამდვილი, მეც მინდა თქვენს გულში პატარა ადგილი...

• სიცილი მოგინდა? იცინე, რა მოხდა, ტირილი მოგინდა? სულელი რატომ ხარ? გულში არ გაივლო, რომ თითქოს მარტო ხარ, მე მუდამ შენთან ვარ, მე მუდამ მახსოვხარ. მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ, სიამოვნებით გაგიცნობდით.

• დიდი ხანია, „გზის“ ფურცლებზე ჩემი გზავნილი არ მინახავს. მარ, ძალიან მინდა, „გზაში“ დავბრუნდე. მგზავნელებო, მიყვარხართ და გაფასებთ, ხალხნო. გვიყვარდეს ერთმანეთი, დავივიწყოთ წყენა, ვიყოთ მიმტევებლები და უფალი ყოველთვის დაგვიცავს. გაკოცეთ.

# გზავნილები

• ყველა რომ გაიძახით, ძველი „გზა“ გვენატრებაო, ბევრს ნუ იწუწუნებთ და ახალ ცხოვრებას შეუდექით. წარმატებები.

• მარ, საშინლად მტკივა გული იმ ყველაფერზე, რაც წავიკითხე.

• ბარო-ბარო, მგზავნელებო. მე მოვედი. ყველა მაგრები ხართ და მიხარია. ნიკა.

• ნუ ილანძღებით, ძალიან გთხოვთ. რა შუაშია ლანძღვა? თქვენზე კარგი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ... „გზავნილებში“ კარგი სიტუაცია უნდა იყოს. თქვენ ვინმემ რომ გაგლანძღოთ, კარგი იქნება? მარიამულ, შენ არ თქვი, თავი შეიკავეთ ყველამ ლანძღვისგანო? ისევ ვხედავ ამ „გზავნილებში“ ლანძღვა-გინებას. ქართველებმა ერთმანეთს თუ არ გავუგეთ, სხვები რას გვიზამენ?

• ღმერთმა ლამაზად არ გამაჩინა, არც სიმდიდრე მომცა... და ყურადღებას არავინ მაქცევს... სულ მარტო ვარ... დავიღალე... ანა.

• მშობლიურო! ეს ოცნება, ციდან მონაბერია/ ეს სიმღერა, ეს ცრემლები შენთვის მონაწურია/ აი, წიგნი-სამშვიდობო ცისკრად მოქარგულია/ ღმერთო შენს მადლს ნუ მოაკლებ/ მგზავნელებს და მარიას/ ერთად დარგული ნერგი/ აგვიყვავდება მგზავნელნო/ ერთი ღიმილიც კმარა/ გალხვეს ყინულის ხერგი/ ყველანი ძალიან მიყვარხართ, გაიხარეთ.

• ალბათ არ მომწყინდება თქვენი მოფერება. მე ძალიან მიყვარხართ. თქვენ? იცით, ბედურებო, ვგრძნობ, რომ თქვენც გიყვარვართ. კარგია თქვენთან ჟღურტული.

• მარი, მადლობა, მესიჯი რომ დამიბეჭდე. ახალი ვარ, მინდა „წარწერადაკარგული“ ფოტოსთვის კარგი რაღაცები გამოვგზავნო, მაგრამ შენი ტელეფონი სულ გათიშულია და რა ვქნა?

• ხალხო, მიშველეთ, გავთხოვდი, მაგრამ უსიყვარულოდ. ქმარი მცემს და გული მთლად გამიტეხა. თან სხვა მიყვარს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

• იბადებოდი და ჩემს მკვლელად გწერდა უფალი,
იბადებოდი იმისთვის, რომ გეტანჯე მარად,
შენ მიტომ გაჩნდი, რომ არ ვიყო თავისუფალი,
მთელი ცხოვრება შენ რომ მყავდე, ფიქრად და დარდად;
იბადებოდი, რათა მუდამ შენთვის მელოდა,
მთელი ცხოვრება რომ მქონდეს თვალზე ცრემლი,
მთელი სიცოცხლე მუხლზე დაჩოქილს შენთვის მელოცა,
იბადებოდი, ჩემს შემშლელად გწერდა განგება,
იბადებოდი, ჩემი ურჩი, ჩემი თავნება.

• გამარჯობა ყველას, აქ გულის გადასაყოლებლად ვამესიჯებ. მინდა, ჩემი ტკივილი და დარდი დავივიწყო.

• ბარბი, იცი, როგორ მიყვარხარ? უძალიანმაგრესად! გმადლობთ, მუდამ რომ ცდილობ, გამამხნევო. შენ ხარ ჩემი კეთილი ფერია.

• მოჩხუბრებო, აღარ დაიღალეთ? ნუ გშურთ სხვისი ბედნიერება. მე სულიერად არ დავეცემი და არ დაგიწყებთ იმის ახსნას, როგორი ცუდები ხართ თქვენ და როგორი კარგია ენიგმა-ბერბიჭა. უბრალოდ, გაჩერდით!

• გაგეცნობი, გურულო. ჩემი ნომერი ბევრ მგზავნელს აქვს. მოკითხვა ყველას, ვინც მიცნობს.

• „გზაელებო“, სალამი, მარო, მომენატრე. თქვენი დაკარგული „გზაელი“ დაგიბრუნდათ. როგორ მახსოვს...

• მივესალმები მარის და მგზავნელებს. დიდი ხანი არ არის, რაც აღმოგაჩინეთ, მაგრამ უკვე უსაზღვროდ შემიყვარდით. „გზამ“ ჩემი ცხოვრება გაახალისა.

• მინდა, ამ მესიჯით ჩემს მონატრებულ და საყვარელ მგზავნელებს მოგეფეროთ და გითხრათ, რომ ყველანი ძალიან მიყვარხართ. გკოცნით ბევრს. გმადლობთ, რომ არსებობთ.

• გაუმარჯოს ყველას! დიდი სიყვარულით მოვიკითხავ პატარა ეშმაკუნას და მაესტროს! თქვენ კი, ვისაც ჩემი გაცნობა გსურთ, მომწერეთ, ვიმეგობროთ.

• არ ვიცი, რამდენი კილომეტრი მაშორებს საბერძნეთიდან საქართველომდე, თუმცა ამ სიშორეს ჩემი სამყარო არ შეუცვლია. არ ვიცი, რამდენად ვახსოვარ მეგობრებს, არ ვიცი, რამდენად სწორი ნაბიჯი გადავდგი, ჩემი შორს ყოფნით. საინტერესოა, როგორი გახდა თბილისის ქუჩები... ქართველი ადამიანის სახე... გამომეტყველება... ჩემს წარმოსახვამდე ვეღარ აღწევს.

• ჯობია, ცოტა გქონდეს ყველაფერი, გარდა ღვინისა, ლამაზმანებთან დაოკება გიჯობს ჟინისა, სჯობს სიმთვრალეში დაგეკარგოს გზები შინისა და წუთისოფელს ამჯობინო წუთი ლხინისა! ემკამი.

• „გზა“ საბერძნეთში მყოფი ქართველების დიდი იმედია. ამ ჟურნალით ბევრი ეხმიანება ახლობლებს და მეც მინდა, ყველას მოვეფერო.

• მგზავნელებო, მართლა კარგები ხართ. თქვენ რომ არა, უთქვენოდ „გზა“ უინტერესო იქნებოდა. წარმატებებს გისურვებთ.

• ლამაზმა თვალებმა ლამაზი ცრემლები იცის, თვალზე ცრემლმა ლამაზად ციმციმი იცის, ლამაზმა ტუჩებმა ლამაზი კოცნა იცის და ყველა ლამაზმა ლამაზი სიყვარული იცის. ავთანდილოვნა.

• ყველა სნეულებაზედ, სიყვარული ძნელია, შეყვარებულისათვის ნათელიც კი ბნელია. თვალით ვეღარას ხედავს, ყურში არ ეყურება და ყურმოჭრილ ყმასავით, მის კერპს ემორჩილება. და მეც ამას ველოდი, რაც ვალი და წესია, თუმც ამ გრძნობას ჩემს გულზე, ჯერ არ დაუკვნესია.

• მარ, საყვარელო, დამიბეჭდე რა, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, დროის სიმცირის გამო ხშირად ვერ ვამესიჯებ. ყველა გურულს მოვიკითხავ.

• მივესალმები მთელ საქართველოს და თითოეულ თქვენგანს. ყველანი მაგრები ხართ, გაიხარეთ, ხალხო. მე ახალი ვარ, პირველად ვამესიჯებ და მინდა, მეც შემოგიერთდეთ. ნათია.

• მე ეს სიშორე მეტად მაფიქრებს, ვჩქარობ, ისევ გავიქცევი, აქ ათენის მზე დღეს მე ვერ მათბობს, შენს ბაგეზე ალბათ დავიწვები.

• სულ ორი თვეა, რაც ათენში ვარ და უკვე საშინლად მენატრება თბილისი. იქ ბევრი მეგობარი დავტოვე. არადა, მათ გარეშე ერთი დღეც ვერ ვძლებდი. ახლა სრულ სიმარტოვეს ვგრძნობ. ჩემი გიჟი ბავშვები მენატრებიან.

• სალამი ხალხოოო! მრავალჯერ თქმულა, მაგრამ მეც მინდა ვთქვა, რომ უმაგრესები და უსაყვარლესები ხართ, ყველანი. იმედია, არ მიწყენთ, თუ ზოგიერთი განსაკუთრებულად მიყვარს.

• სიყვარული ეგ ისეთი დიდი გრძნობაა, მას ვერ იყიდი და ვერც გაცვლი რამეში. იბრძოლეთ, რომ ბედნიერები იყოთ და გულის კარნახს მიჰყვეთ.

• დათო ბ-ს მარისგან! დათო, როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ, ახლა ბევრს ვერაფერს გწერ, ეკას დააგვიანდა მესიჯის ჩასმა. შემდეგ კვირაში მოგწერ უფრო ვრცლად. მარი.

• გამარჯობა მარი, როგორც იქნა მოვახერხე და ამდენი წლის განმავლობაში („გზავნილებს“ ვკითხულობ პირველივე ნომრიდან, თან ყველა ჟურნალი შენახული მაქვს) პირველად გიგზავნი წერილს. იცი, ისეთი ასაკის ხალხი გიგზავნის მესიჯებს, რომ მერიდებოდა, ამხელა ქალი რამ გადარიაო, არ გეთქვათ. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ვეცდები, ამის მერე თემებზეც მოგწეროთ ხოლმე. დიდი მოკითხვა მთელ გზავნილეთს!!! პატივისცემით, ქალბატონი.

• ბედნიერი არიან ის მგზავნელები, ვინც ერთმანეთს არ იცნობენ. ვირტუალური სამყარო რეალურს ჯობია.

• სულ ერთი ციცქნა მესიჯი ვარ, სადაც მგზავნიან, მეც იქ მივდივარ. ზოგს ნერვებს ვუშლი, ზოგს ვახარებ. თქვენ გაგახარეთ თუ გაგაბრაზეთ? მეც შევუერთდები „გზავნილებს“.

• პრივეტ, ყველას, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ, ყოველთვის ვკითხულობ „გზავნილებს“ და მინდა, მეც თქვენთან ვიყო. მიმიღებთ?

• პრივეტ, მგზავნელებო, როგორ ხართ? ძალიან საყვარლები ხართ. მინდა, მეც ვიყო თქვენთან. იმედია, მიმიღებთ. სულ „გზავნილებს“ ვკითხულობ. გკოცნით.

• გაუმარჯოს ყველას. წამიერად გადავწყვიტე, რომ თქვენთვის მომეწერა. ამიერიდან ყოველთვის შეგაწუხებთ და ბევრს დაგიმესიჯებთ. ლელიკო.



# გილოცავ!

• ხათი, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• გილოცავ! ჩემს უსაყვარლეს გაზეთ „კვირის პალიტრას“ ვულოცავ 15 წლის იუბილეს (18 აპრილი). დიდი მადლობა რედაქციას. ვუსურვებ წარმატებას, წინსვლას, ბედნიერებას. მისის ფორტუნა.

• ნიკა გოდერძიშვილსა და მანანა ხაფთანს ვულოცავ დაბადების დღეს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. ნანა.

• ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს დედას, ნატალი შათირიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. რწმენით, სიკეთითა და სიყვარულით გეცხოვროს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• ნატა შათირიშვილს: დაბადების იმ ლამაზ ღამეს შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცნია. თეკლა პატარიძე.

• 18 აპრილს დაბადების დღეს ვულოცავთ ნატო შათირიშვილს. ვუსურვებთ გაზაფხულისამებრ წარმტაცი და აყვავებული ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა. სიყვარულით, მეგობრები.

• დაიკო, 24-ში დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ შენი ოცნების ასრულებას. ჩემი ლამაზი, ძაან მიყვარხარ, უფალი გფარავდეს. ასევე ჩემს თავსაც ვულოცავ იუბილეს. :) ფლამინგო.

• გამარჯობა სიხარულო. გილოცავ მეუღლის დაბადების დღეს. არაფერი იჯავრო, ადრე თუ გვიან ყველაფერი მოგვარდება. მთელი ცხოვრებაა წინ. გელით. გვიყვარხარ და გვენატრები. ელენე.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**



# ტაიმ-აუტი

## მიირთვით ყავა და თავი დაიზღვიეთ კიბოსგან

- ყავის მოყვარულები არ ავადდებიან კანის კიბოთი.
- მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თუ ალკოჰოლის მოყვარულები რეგულარულად მიირთმევენ ყავას, ღვიძლის დაავადებები არ შეაწუხებთ.



- დღეში 1-2 ფინჯანი ყავა აგიმაღლებთ და გაგიუმჯობესებთ განწყობილებას, მაგრამ გახსოვდეთ — ვინც ბევრ ყავას მიირთმევს, ის გაღიზიანებული და აღგზნებულია.
- მეცნიერები 30 წლის მანძილზე იკვლევდნენ ყავის ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე და დაადგინეს, რომ ყავის მოყვარულებს პარკინსონის დაავადება არ ემუქრებათ.
- სპორტდარბაზში ვარჯიშის შემდეგ ფინჯანი ყავა კუნთების დაძაბულობას ხსნის.
- ყავა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და სასარგებლოა მათთვის, ვისაც ცუდი მეხსიერება აქვს.
- ყავა არ იწვევს ჰიპერტონიას. მას, ვინც საერთოდ არ სვამს ყავას, 1-2 ფინჯანი წნევას აუწევს, მაგრამ ის, ვინც რეგულარულად მიირთმევს ყავას, წნევა ნორმაში აქვს.
- ზოგიერთი ყავის სახეობა ანტიბაქტერიულ თვისებას შეიცავს და კბილებს კარიესის გამომწვევი დაავადებისგან იცავს. ყავა უმჯობესია, რძისა და შაქრის გარეშე მიირთვათ.

## განძი, რომელსაც უშედეგოდ ეძებენ

**მეცნიერების აზრით, მიწასა და ზღვის ფსკერზე 900 მლრდ დოლარის საგანძური ინახება. მოკლედ, განძთმაძიებლებს გამდიდრების შანსი აქვთ, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სიმდიდრეებიდან რომელიმეს მიაგნებენ:**

### ინკების განძი

ესპანელმა კონკისტადორმა პისარომ ინკების იმპერატორი ატაუალპა შეიპყრო და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, მსახურებს 2 თვის განმავლობაში, ოქროებით იმ ოთახის ავსება მოსთხოვა, რომელშიც იმპერატორი იყო გამომწყვდეული. ოთახის ოქროთი ავსებას ცოტაღა აკლდა, მაგრამ იმპერატორი 2 თვისთავზე, მაინც მოკლეს. ამ დროს კი, მის მსახურებს ოქროთი დატვირთული 11 ათასი ლამა მოჰყავდათ.

### მაკენას ოქრო

10 მლრდ დოლარადაა შეფასებული აცტეკების იმპერატორის, მონტესუმას სიმდიდრე, რომელსაც უკვე 450 წელია, ეძებენ. ცნობილია განძის ზუსტი მისამართიც — შტატ იუტას ქალაქ კენაბის მახლობლად მდებარე თეთრი მთის შემოგარენი.

### ტამპლიერების საგანძური

1306 წელს საფრანგეთის მეფე ფილიპემ შეიტყო, რომ ტამპლიერის ორდენი დიდძალ სიმდიდრეს ფლობდა და ამიტომაც, ორდენის ყველა წევრი დახოცა, მაგრამ მათ დატოვებულ განძს დღემდე, უშედეგოდ ეძებენ.

### ატილას აკლდამა

არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ მაძიებლებმა ატილას საფლავი ბუდაპეშტის შემოგარენში უნდა ეძებონ. გადმოცემის თანახმად, აკლდამა ოქროს ზოდებით ამოავსეს.

### ჩინგის ყაენის სიმდიდრე

ყაენს მთელი სიმდიდრე საფლავში ჩაატანეს. შემსრულებლებმა, საიდუმლო ადგილი რომ არ გაეთქვათ, თავი მოიკლეს.

### წმინდა გრაალი

ეს გახლავთ სასმისი, რომლითაც საიდუმლო სერობაზე იესო სასმელს მიირთმევდა.

### განძთა კუნძული

სტივენსონის ნაწარმოებში აღწერილ კუნძულს (იგი კოსტა-რიკას ეკუთვნის) სინამდვილეში, ქოქოსი ჰქვია. ამბობენ, თითქოს, სხვა სიმდიდრის გარდა, კუნძულის მიწაში პერუდან მოპარული ღვთისმშობლის ქანდაკება ინახება, რომელიც 500 კგ ოქროსგანაა ჩამოსხმული. სხვათა შორის, კუნძულს ყოველწლიურად, მილიონობით განძის მაძიებელი სტუმრობს და თითოეულს (ან ჯგუფს) სამხედრო პირი დაჰყვება. აღსანიშნავია, რომ განძის პოვნის შემთხვევაში, სიმდიდრის 50 პროცენტი სახელმწიფოს გადაეცემა.



# ძვირად ღირებული ნივთები

• XX საუკუნის 30-იან წლებში ამერიკაში ბრუნვიდან ამოიღეს ოქროს მონეტები,




რომლებსაც ხალხში „ორმაგ არწივებს“ეძახდნენ. მონეტები გადასადნობად რომ მიჰქონდათ, 10 ცალი დაიკარგა. პოლიციამ ცხრას მაშინვე, ერთს კი მხოლოდ 2002 წელს მიაგნო. „ორმაგი არწივი“ ამერიკაში ჩასულ ბრიტანელ კოლექციონერს აღმოაჩნდა, რომელსაც მონეტა 2002 წელს, 7,9 მლნ დოლარად ჰქონდა შეძენილი.

• ორგანული წარმოშობის ყველაზე იშვიათ მინერალად პეინიტი მიიჩნევა. ფორთოხლისფერი ქვა პირველად 50-იან წლებში, ბირმაში აღმოაჩინეს. დღესდღეობით, მსოფლიოში მხოლოდ ორი პეინიტი არსებობს.

• დღემდე იკვლევენ, თუ ვინ იყო შექსპირი — კონკრეტულად, ერთი ადამიანი თუ ფსევდონიმს ამოფარებული მწერალთა ჯგუფი. მსოფლიოში შექსპირის 6 „ავტოგრაფი“ არსებობს და თითოეული 3 მლნ დოლარადაა შეფასებული.

• 460 ათას დოლარად გაიყიდა ჯონ ლენონის ავტოგრაფიანი ალბომი Double Fantasy, რომელიც მომღერალმა საკუთარ მკვლელს — მარკ ჩეპმენს სიკვდილამდე 5 საათით ადრე გადასცა.

• ტრანსილვანიის ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური სასახლე 135 მლნ დოლარადაა შეფასებული. გადმოცემის თანახმად, მასში ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟის — გრაფ დრაკულას პროტოტიპი ცხოვრობდა.

• დედამიწაზე ყველაზე უნიკალურ და ეგზოტიკურ კერძს — მერცხლის ბუდეების წვნიანს ჩინეთში ამზადებენ. იგი პირველად 400 წლის წინ დააგემოვნეს. აღსანიშნავია, რომ ამ კერძის ერთი ულუფა 10 ათასი დოლარი ღირს.

• „სოთბის“ 2006 წლის აუქციონზე 4,72 მლნ დოლარად გაიყიდა XIV საუკუნეში დამზადებული ჩინური ფაიფურის ლარნაკი. აღსანიშნავია, რომ 1993 წელს, იმავე აუქციონზე, იგი 1,2 მლნ დოლარად გაიყიდა.

■

*რუბრიკა მოამზადა*
***რუსუდან ბელაშვილმა***

# აგრესიული სპორტის „დამთმობი“ დიდოსტატი და ბრძოლის უცნაური მანერა

**მოკრივეთა შეჯიბრებებში ორთაბრძოლის მიზანი — დარტყმაა ანუ ვინც მეტს დაარტყამს, ის გაიმარჯვებს, ხოლო თუ ერთი მეორეს ისე ძლიერად უთავაზებს, რომ ის რინგზე გაიშხლართება, მსაჯი მას წმინდა გამარჯვებას მიულოცავს. თუმცა, იყო ერთი ათლეტი, რომელიც არ ცდილობდა, გამარჯვება ცემა-ტყეპით მოეპოვებინა და მეტოქეთა მუშტებსაც მოხერხებულად იგერიებდა — ამის გამო დავით კვაჭაძე კარგა ხანს იჩაგრებოდა; მსაჯებს ეგონათ, რომ მას ეშინოდა, ბრძოლას გაურბოდა და ასე გრძელდებოდა 1975 წლამდე, ვიდრე საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისას, ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონთან, პიოტრ ზაევთან ბრძოლაში არ გაიმარჯვა. „ბურევესტნიკის“ ნაკრების მწვრთნელები ზაევთან შესაჯიბრებლად თავიანთი გუნდის რომელიმე წევრის გამოყვანას ვერ რისკავდნენ, — არმიელთა ლიდერი მაინც მოიგებს და თან, კაცს მაგრად გაგვილახავსო. პიოტრ ზაევს მხოლოდ ჩვენებური მოკრივე არ შეუშინდა და საბჭოთა კავშირის ქვეყნის ჩემპიონს სძლია კიდეც.**

## „კრივი ჩემთვის შემოქმედება იყო და არა – გლადიატორების ბრძოლა“

*გოგი ფრანგიშვილი*



— პიოტრ ზაევი ძლიერი და ამტანი მოკრივე იყო. ამიტომაც, მასთან შეხვედრა ბევრს არ უნდოდა, მე კი არავის შიში არ მქონდა. საერთოდ, შიში სუსტების ხვედრია. ბევრი მოკრივე, ტურნირის საწყის ეტაპზე ნაკლებად ძლიერ მეტოქესთან შეხვედრას ლამობს, რათა ფინალისაკენ გზა გაიკვალოს. ჩემი აზრით, თუ ჩემპიონობა გსურს, ყველა უნდა დაამარცხო. არმიელთა გუნდის ლიდერთან რთული ბრძოლა მქონდა და გამარჯვებაც სასიამოვნო იყო. რაც მთავარია, მაშინ ყველა დარწმუნდა, რომ ბრძოლის ჩემეული მანერა, ჩემი გამორჩეული სტილი იყო და არა მეტოქეებისადმი შიში.

აგრესიული ბრძოლა, მუშტების უბრალო ქნევა და ერთმანეთის ცხვირ-პირის მტვრევა თავიდანვე არ მიყვარდა. მე კრივი ფსიქოლოგიურად მაინტერესებდა, მიყვარდა ანალიზი, ფიქრი, ბევრს ვმუშაობდი დაცვაზე. ხშირად, როცა მწვრთნელები დავალებას გვაძლევდნენ, მე სულ სხვა რამეს ვაკეთებდი. კრივი ჩემთვის შემოქმედება იყო და არა — გლადიატორების ბრძოლა არენაზე. ალბათ ამიტომაც, ჩემი სტილი ბევრს არ მოსწონდა, არ ესმოდათ და ვერ ხვდებოდნენ, რას ვაკეთებდი. ერთმა მწვრთნელმა მითხრა, — მართლია, მეტოქეები პრაქტიკულად, ვერ გირტყამენ, მაგრამ მსაჯები ვერ ხვდებიან, ასე რატომ იბრძვი. მათ ჰგონიათ, რომ ბრძოლას გაურბიხარ. გირჩევ, რინგზე აგრესიული იყოო. მოგვიანებით, როცა ჩემს სტილში გაერკვნენ, ნელ-ნელა სიმპათიითაც განეწყვნენ და პატივსაც მცემდნენ, ხოლო შემდეგ ცდილობდნენ, ჩემგან გადაეღოთ რაღაცები და თავიანთ შეგირდებს „კვაჭაძის ბრძოლის“ მანერას ასწავლიდნენ.

დავით კვაჭაძემ კრივში ვარჯიში 1964 წელს დაიწყო. სწორედ იმ სეზონში, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს და ფეხბურთზე ისედაც უზომოდ შეყვარებული თბილისელი ბიჭები, ახლა უფრო თავგამოდებით დასდევდნენ ბურთს. ასე იყო იმ უბანშიც (ორთაჭალაში), სადაც დათო იზრდებოდა, მაგრამ სხ-

ვეზისგან განსხვავებით, მან ტყავის ბურთს ტყავის ხელთათმანები ამჯობინა. თუმცა, ერთი პერიოდი ფეხბურთზეც დადიოდა და „ნორჩი დინამოელის“ მოწმობაც მისცეს. ამ წიგნაკით „დინამოს“ სტადიონზე რომ შეუშვებდნენ, საფეხბურთო მატჩის სანახავად კი არა, ტრიბუნების ქვეშ, კრივის დარბაზისკენ გარბოდა. დედას კარგა ხანს ეგონა, ბავშვი ფეხბურთის სექციაში დადისო, ის კი თურმე, მოკრივეობაზე ოცნებობდა.

— მოკრივე ჩემი უფროსი ძმა, როლანდი იყო და ჩემი პირველი მწვრთნელიც ის გახდა — სახლში მავარჯიშებდა, ცალკეულ ილეთებს მასწავლიდა. კრივის სექციაში ჩაწერა დეკემბერში მოვინდომე და მახსოვს, მითხრეს, — ახლა დაგვიანებულია, ბავშვებს სექტემბრიდან ვიღებთ; მომავალ წელს მოდიო. დარბაზის კართან ავიტუზე და იქიდან ფეხს არ ვიცვლიდი. მერე მწვრთნელმა დამიძახა, მოდიო. მას ვუთხარი: ბევრი რამ ვიცი და გამომცადეთ-მეთქი. გაეცინა, — ამას დამიხედეთ, უკვე ტრაბახობსო. მოკრივის დგომში დავდექი, შემდეგ რინგზე მოძრაობა დავიწყე და როდესაც დარწმუნდა, რომ „დაწყებითი ანბანი“ მართლაც, გავლილი მქონდა და თანატოლებს არაფრით ჩამოვრჩებოდი, დამტოვა.

ვარჯიშებს არ ვაცდენდი. თავიდან ყველა კლასიკურ სკოლას, კრივის საფუძვლებს ვსწავლობდით, მე კი, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, თანდათანობით, ბუნებრივად ჩამომიყალიბდა ჩემი სტილი; ამაში როლანდიც მეხმარებოდა. ის კარგი პედაგოგია და მთელი კარიერის მანძილზე მხარში მედგა. იმ პერიოდში საქართველოში კრივს ყურადღებას არ აქცევდნენ და მე და ჩემი ძმა პრაქტიკულად, მარტონი ვიბრძოდით რინგზეც და არენის გარეთაც... 1975 წელს ტაშკენტში, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მსაჯების აშკარა არაობიექტურობის



გამო, ტურნირს გამოვეთიშე, ხოლო ცოტა უფრო ადრე, პროფკავშირთა საკავშირო პირველობის ბრინჯაოს მედალი მომცეს, მაგრამ ამ ყველაფრის შესახებ თბილისში არაფერი იცოდნენ. იცით, მანამდე პრიზიორები არც გვყოლია. საქართველოში რომ ჩამოვედი, სპორტკომიტეტში მისაყვედურეს, — სად ხარ, ერთი კვირაა, გეძებთო (*იცინის*). არც საბჭოთა კავშირის 1976 წლის ჩემპიონატზე გამყოლია ვინმე. მაშინაც, სვერდლოვსკში „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელი, კონსტანტინე კოპცოვი იყო ჩემი სეკუნდანტი. ჰოდა, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან, ოლეგ კარატაევთან ნახევარფინალური შეხვედრის წინ, სწორედ მასთან მივიდნენ მოსკოველი ჩინოვნიკები და უთხრეს, — კვაჭაძე ბრძოლიდან მოხსენიო.

ოლეგ კარატაევიც ძალიან ძლიერი იყო, ყველას შიშის ზარს სცემდა. ჩემს სეკუნდანტს უთხრეს, — თბილისელი მაინც წააგებს და ზედმეტ ბრძოლას ნუღარ ჩავატარებთო. მონრეალის ოლიმპიადაზე ალბათ, ოლეგ კარატაევის წაყვანას ფიქრობდნენ და მისი ძალების დაზოგვა უნდოდათ. კონსტანტინე კოპცოვი ახალგაზრდა მწვრთნელი იყო, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა და მკითხა — რას იზამო? ვუპასუხე: — ვიბრძოლებ! ამდენი ხანი ჩემპიონატისთვის ვემზადებოდი, აქ ჩამოვედი, თან სერიოზული მეტოქე შემხვდა, ფსიქოლოგიურადაც კარგად ვგრძნობ თავს და ამ შეხვედრაზე უარი რატომ უნდა ვთქვა-მეთქი?! მწვრთნელი მხარში ამომიდგა და ის ბრძოლა მოვიგე კიდეც. მძიმე შეხვედრა მქონდა, მაგრამ ტექნიკურად სწორად ვიმუშავე და მესამე რაუნდში ჩემი უპირატესობა საგრძნობლად გამოიკვეთა; შემდეგ ფინალში ვიქტორ ეგოროვიც დავამარცხე და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული პირველად მოვიპოვე.

ამ გამარჯვების შემდეგ დავით კვაჭაძე საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს. ის კუბის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირშიც მონაწილეობდა. იმხანად, თავისუფლების კუნძულზე ძალიან ძლიერი მოკრივეები ჰყავდათ, მაგრამ ჩვენს დებიუტანტს მასპინძლებთან ბრძოლა არ გასჭირვებია. პირველ წრეში პანამერიკული თამაშების ჩემპიონს, ორესტეს პედროსს სძლია, მაგრამ მეორეში — ლუის ვალერიოსთან შეხვედრაში, ხუთიდან სამმა ადგილობრივმა მსაჯმა, დათოს მეტოქეს მიაკუთვნა გამარჯვება. ამის გამო თავად კუბური პრესა აღნიშნავდა: მსა-



ჯების არაობიექტურობამ ამ პრესტიჟულ ტურნირს ჩრდილი მიაყენა, ხოლო დავით კვაჭაძის ბრძოლის მანერა საინტერესო და ეფექტურია, პირველობაც წესით, მას ეკუთვნოდაო.

წესით და რიგით, ქართველ მოკრივეს მონაწილეობა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებშიც უნდა მიეღო, მაგრამ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს — მის ნაცვლად, ქვემძიმე წონაში კლიმანოვი დააყენეს და ვერც ვერაფერი იხეირეს...

მომდევნო წელს, დათო საკავშირო ჩემპიონატების მეორე ოქროს მედალს დაეუფლა და გერმანულ ჰალეში, ევროპულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მიიღო, სადაც ფინალში მასპინძელთა ჯილა, ოტომარ ზაქსი დაამარცხა და ქართველ მოკრივეთაგან პირველმა დაისაკუთრა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული. იმ წელს დავით კვაჭაძე საქართველოს



**დავით კვაჭაძე: ფოტოაპარატი ყოველთვის თან დამაქვს და ვიღებ იმას, რაც მომეწონება**

საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს, ხოლო კრივი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მალე, თბილისის მაღაზიებში ტყავის ხელთათმანების ყიდვას მხოლოდ ნაცნობობით ახერხებდნენ.

— პეკინის ქუჩაზე მივდიოდი. სპორტული მაღაზიიდან დირექტორი გამოვარდა და მადლობას მიხდიდა. თურმე, კრივის ხელთათმანები, რომლებიც წლობით ედო დახლზე, ორ დღეში გაიყიდა. პოპულარობა, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, მაგრამ მე ამით არასდროს მისარგებლია. ჰალეს ევროპის ჩემპიონატიდან რომ ვბრუნდებოდი, ჩემს ძმასაც არ ვუთხარი, რომელი რეისით მოვფრინავდი. არ მინდოდა, ჩემთვის განსკუთრებული დახვედრა მოეწყოთ; არც ჩინოვნიკები შემიწუხებია. საბჭოთა ნაკრების წევრებს ორასიდან სამას მანეთამდე სტიპენდია გვქონდა, სულ ეს იყო ჩვენი შემოსავალი, მაგრამ არ ვწუწუნებდი, ჩემთვის მთავარი კრივი ანუ ის საქმე იყო, რომელიც უზომოდ მიყვარდა.

1978 წლის საკავშირო ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა. დავით კვაჭაძის გამარჯვების მოლოდინში, სპორტის სასახლის ტრიბუნები გულშემატკივრებით აივსო, მაგრამ ხალხის იმედი არ გამართლდა — ის ვერცხლის მედალს დასჯერდა.

— იმ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა. მინსკის მახლობლად, ოლიმპიურ ბაზაზე ვემზადებოდით. სპარინგები კი მოვიგე, მაგრამ მეეჭვებოდა, რომ გუნდში მოვხვდებოდი და იქიდან ორი კვირით ადრე წამოვედი. ნერვიულობისაგან გადავიღალე. ვხვდებოდი, რომ მწვრთნელებს სპარინგისათვის ვჭირდებოდი, სხვას ვავარჯიშებდი. მითხრეს, — დარჩი, შანსი კიდევ გაქვსო. ვიფიქრე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რომ ვიყავი, მაშინ არ დამაყენეს ნაკრებში და ახლა რა შანსს მომცემენ-მეთქი?.. დღეს ვნანობ, რომ ბოლომდე არ ვიბრძოლე, მაგრამ მაშინ ჩემი გადაწყვეტილება სწორად მიმაჩნდა. თან, სპორტიდან წასვლაზეც დავიწყე ფიქრი, ოჯახს მოვეკიდე და მომავალზე ზრუნვა იყო საჭირო.

1979 წელს დავით კვაჭაძის სპორტიდან გაცილება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა სამატჩო შეხვედრისას მოეწყო. თბილისის სპორტის სასახლე კვლავ გაივსო გულშემატკივრებით — დათო ხომ თავის ბოლო ბრძოლას ატარებდა. ამ მატჩში გადამწყვეტი სწორედ მისი და ლონი ეპსის ბრძოლა იყო, რომელშიც ქართველმა მოკრივემ გაიმარჯვა და მატჩიც საბჭოთა ნაკრებმა მოიგო 5:4. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს კვაჭაძის კარიერის დასასრული არ ყოფილა — ხალხთა V სპარტაკიადაზე, საქართველოს გუნდის ინტერესების დასაცავად, ის კვლავ გამოვიდა რინგზე, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადის წინ, როსტოვში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მესამე ტიტულიც მოიპოვა — დათომ ფინალში მსოფლიოს თასის მფლობელი, ტაშკენტელი ვლადიმირ შინი მისთვის ჩვეულ სტილში დაამარცხა. ეს შეხვედრა სპეციალისტებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბრძოლად აღიარეს. ამ გამარჯვების მიუხედავად, კარგა ხანს გაურკვეველი იყო, მოხვდებოდა თუ არა იგი ოლიმპიურ გუნდში. საბოლოოდ, მწვრთნელებმა დავით კვაჭაძეს მოსკოვის რინგზე გამოსვლის უფლება მისცეს, მაგრამ მსაჯების არაობიექტურობის გამო, ოლიმპიური ტურნირი მისთვის მალევე დასრულდა — პირველ წრეში ბრიტანელი სტრინ მაკდონალდი დათომ იოლად დაამარცხა, შეხვედრა მეორე რაუნდშივე შეწყდა; მეოთხედფინალში კი იუგოსლაველ სლობოდან კაჩართან შეხვედრისას, მსაჯებმა საეჭვო გადაწყვეტილება მიიღეს.



— ბალკანელი კარგი სპორტსმენი იყო. მას რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი ჰქონდა მოგებული, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა და პლანეტის უძლიერეს მოკრივეთა კლასიფიკაციაში საუკეთესოთა ათეულშიც შედიოდა. თუმცა, ოლიმპიადისათვის მეც კარგად ვიყავი მომზადებული და ერთ-ერთ ფავორიტადაც მივიჩნეოდი. ის ბრძოლა ნამდვილად არ წამიგია, მაგრამ მსაჯებმა ასე გადაწყვიტეს... თურმე, შეხვედრის შემდეგ კაჩარი მეძებდა, ბოდიშის მოხდა უნდოდა. ეტყობა, თავადაც გრძნობდა, რომ არაობიექტურად მიანიჭეს გამარჯვება.

მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ დავით კვაჭაძემ სპორტული კარიერა საბოლოოდ დაასრულა, მოგვიანებით კი ფოტოგრაფიამ გაიტაცა.

— მე არასდროს ვყოფილვარ ხელოვნებისაგან შორს. ლიტერატურა, მხატვრობა ყოველთვის მიყვარდა და ბევრი ხელოვანი მეგობარიც მყავს. რაიმე კონკრეტული ჟანრი ან სიუჟეტი არა მაქვს. ფოტოაპარატი ყოველთვის თან დამაქვს და ვიღებ იმას, რაც მომეწონება. ეს შეიძლება, იყოს ბუნება, ადამიანი ან კედელზე გაკრული ძველი განცხადების ნაგლეჯი. უფრო, შავ-თეთრი ფოტოები მაინტერესებს. რამდენიმე გამოფენაც მოვაწყვე საქართველოში, ბელგიაში, საფრანგეთში. 2008 წელს გერმანიაში გია ყანჩელის ახალი დისკი, ჩემ მიერ გადაღებული ფოტოთი გამოვიდა. სპორტულ თემატიკაზე, მათ შორის, კრივზეც მაქვს ნამუშევრები...




დავით კვაჭაძემ თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში 180-მდე ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგან 165-ში გაიმარჯვა. დაცვის საოცრად ტექნიკური სტილის გამო, მეტოქეებისაგან ძლიერი მუშტი არასდროს მოხვედრია და ნოკდაუნშიც არასდროს აღმოჩენილა. ზოგჯერ, ხუმრობს კიდეც, — „თვით როკი მარჩიანო დაუგდიათ რინგზე, ჩემთვის კი ერთხელაც არ დაუთვლიათ...“

■

# 320 „ვეფხისტყაოსანი“ და საოცნებო მოგზაურობა გულივერთან ერთად

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი, ლევან თაქთაქიშვილი ჩვენი ჟურნალის ერთგული მკითხველია. პროფესიით ქიმიკოსის პირად ბიბლიოთეკაში 8000-ზე მეტი წიგნი ინახება. შეიძლება ითქვას, რომ ლევანი არაერთი უნიკალური გამოცემისა და „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციონერია. მისი საყვარელი ავტორები შტეფან ცვაიგი და მიხეილ ჯავახიშვილი არიან.**



## „ჩემი სახლი პატარა ბიბლიოთეკაა...“

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

— ცვაიგის ყველა ნაწარმოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც ქართულად და რუსულად ნათარგმნი არ არის, წაკითხული მაქვს. გერმანულ ენაზე წაკითხვა ლექსიკონის დახმარებით შევძელი. ჩემი აზრით, ქართველი მწერლებიდან ქართულ ენას ყველაზე კარგად მიხეილ ჯავახიშვილი ფლობს.

— **წიგნი, რომელმაც თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომელია?**

— „ჯაყოს ხიზნები“. ამ ნაწარმოებმა ძალიან ამაფორიაქა, პროტესტის გრძნობა გამიჩინა და დღესაც, ბევრ ადამიანს ვადარებ თეიმურაზს.

— **თანამედროვე ჯაყოები არ გხვდებიან?**

— ჯაყოს ნურაფერში დავადანაშაულებთ. ჩემი აზრით, პრობლემა თეიმურაზსა და მარგოშია. მერწმუნეთ, სადაც სიცარიელეა, იქ ჯაყოები ყოველთვის ჩნდებიან; ტყეებს თუ გავჩეხთ, ცხოველები თავს დაგვესხმიან...

— **რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით?**

— ლუარსაბ თათქარიძესთან 1 კვირას სიამოვნებით გავატარებდი, მაგრამ მეტხანს ვერ გავძლებდი. (*პაუზის შემდეგ*) საინტერესო იქნებოდა გულივერთან ერთად მოგზაურობაც. სვიფტის ამ ნაწარმოებს საბავშვო ლიტერატურად ტყუილად მიიჩნევენ, მასში ისეთივე დიდი სიბრძნეა ჩადებული, როგორიც რუსთაველის აფორიზმებში.

— **თქვენს კოლექციაში რამდენი „ვეფხისტყაოსანი“ ინახება?**

— 320 გამოცემას ვინახავ. პოლიგრაფიული და კოლექციონერული ჟინი მაქვს. ჩემს კოლექციაში ყველა ქვეყნის გამოცემა ინახება.

— **ყველაზე დიდი თანხა, რომელიც წიგნში გადაგიხდიათ, რამდენია?**

— „ვეფხისტყაოსნის“ იაპონური გამოცემის შეძენა 400 ლარამდე დამიჯდა, მაგრამ ე.წ. მაკულატურის პუნქტებიდან არაერთი ძალიან კარგი წიგნი, მიზერულ თანხად შემიძენია. ფაქტობრივად, ჩემი სახლი პატარა ბიბლიოთეკაა.

### შეცდომის გასწორება

**„გზის“ წინა ნომერში, ამ რუბრიკით გამოქვეყნდა მსახიობ დათო როსტომაშვილის ინტერვიუ, სათაურით: „კახური“ კითხვები, ნამდვილი ამბავი და წიგნის გამო გადახდილი ჯარიმა“. სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზით, მასალას ქვესათაურად დაერთო ფრაზა — „ჩემზე ამბობენ, ჯადოებს აკეთებსო...“ — რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს რესპონდენტის ნაუბართან. რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ დათო როსტომაშვილს უნებლიე შეცდომის გამო.**

— **„არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი — მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემაერთებელი, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამაღლებული“... — გურამ დოჩანაშვილის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?**

— „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

— **ღვინის სმასა და წიგნის კითხვას შორის თავად რა საერთოს პოულობთ?**

— (*ფიქრობს*) რაც უფრო ბევრ ღვინოს სვამ, უფრო მეტი გინდება, რაც უფრო მეტ წიგნს კითხულობ, კიდევ მეტის წაკითხვის სურვილი გიჩნდება.

— **საინტერესო შედარებაა. ეს მდინარე თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მიედინება და 300 შენაკადი აქვს. მას ევროპის დედამდინარესაც უწოდებენ, ძველმა ბერძნებმა კი „ოკეანის ძმა“ შეარქვეს. დაასახელეთ ეს მდინარე.**

— ევროპის მდინარეები უნდა გავიხსენო...

— **მიგანიშნებთ, ევროპის მდინარეებიდან ის სიგრძით მხოლოდ ვოლგას ჩამორჩება.**

— ჩემი აზრით, დუნაი უნდა იყოს.

— **რა თქმა უნდა! რომელ ოკეანეშია სეიშელის კუნძული?**

— არ ვიცი.

— **ინდოეთის ოკეანეში. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, რა არის გულანშარო — ქაჯეთის, ზღვათა სამეფოს თუ ხატაელთა დედაქალაქი?**

— ზღვათა სამეფოს დედაქალაქი.

— **რომელ დიდ მკვლევარს და მოგზაურს უწოდეს პაპუასებმა „ადამიანი მთვარიდან“?**

— ვერ ვიხსენებ.

— **მიკლუხო მაკლაის. „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო...“ — რომელი ლიტერატურული პერსონაჟის სახლის ფანჯარაზე ეწერა ეს სიტყვები?**

— (*ფიქრობს*) ავტორს ვერ დამისახელებთ?

— **ავტორი ილია ჭავჭავაძეა.**

— ა! გამახსენდა, ეს ფრაზა ლუარსაბ თათქარიძის ფანჯარაზე გაკრულ, გაქონილ ქაღალდზე ეწერა.

— **სად ცხოვრობდა ლუარსაბ თათქარიძე?**

— კახეთის ერთ პატარა სოფელში, მაგრამ ავტორი ამ სოფლის სახელს არ გვიმხელს. ისე, ლუარსაბს ქვიტკირის ორსართულიანი სახლი ჰქონდა.

— **რომელი უღელტეხილით უკავშირდება მესხეთი ზემო აჭარას?**

— გოდერძის უღელტეხილით.

— **რა ქმნის რუკაზე გრადუსთა ბადეს?**

— მერიდიანებისა და პარალელების ერთობლიობა.

— **დაასახელეთ მდინარე საქართველოში, რომელიც ასო „ე“-ზე მთავრდება.**

— (*პაუზის შემდეგ*) მეგონა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ მდინარეების სახელები უმეტესად, „ი“ და „ა“ ასოებზე მთავრდება...

— **ეს მდინარე ქართლის ტერიტორიაზე მიედინება.**

— (*ფიქრობს*) ფრონე, ჩამეთვალა?

— **რა თქმა უნდა! რა ერქვა დავით აღმაშენებლის ყივჩაღ მეუღლეს?**

— აუცილებლად გავიხსენებ... (*პაუზის შემდეგ*) გურანდუხტი. სწორად ვამბობ?

— **დიახ. რომელი მოციქული მოკლეს ლოცვის დროს, ისრის სროლით?**

— არ ვიცი, ზუსტად არ მახსოვს.

— **თომა. რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?**

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

— **ესპანეთის. ინგლისის სათავადაზნაურო იერარქიაში, რომელი სათავადაზნაურო ტიტული იყო ბარონსა და რაინდს შორის?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ბარონეტი. ვინ გასცა 1832 წლის შეთქმულება?**

— იასე ფალავანდიშვილმა. ამ თემაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შემიძლია.

— **რა ჰქვია კოშკს, საიდანაც მუსლიმანებს სალოცავად მოუხმობენ?**

— მეჩეთი.

— **ცდებით, მინარეთი ჰქვია. მუსლიმანებში მამაკაცი მოწამებრივ სიკვდილს ბრძოლის ველზე ეზიარება. რა შემთხვევაში უთანაბრდება მას ქალის სიკვდილი?**

— თუ ის მშობიარობის დროს გარდაიცვლება.

— **„სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი — აი, კაცთა მოდგმის ისტორია“, — რომელ გერმანელ ფილოსოფოსს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— ვერ გიპასუხებთ.

— **ფრიდრიხ ნიცშეს. ამ ქვეყნის დროშა შავი, ყვითელი და წითელი ვერტიკალური ზოლისგან შედგება. დაასახელეთ ეს ქვეყანა.**

— პასუხის გაცემა მიჭირს.

— **მიგანიშნებთ, ევროპული ქვეყანაა.**

— ბელგია ხომ არა?

— **გამოიცანით. რამდენ მეტრს უდრის 1 მილი?**

— არ ვიცი.

— **1,6 მეტრს. რომელი უფრო მეტია — 25-ის 20% თუ 20-ის 25%?**

— (*ფიქრობს*) ტოლია.

— **ამ ქვეყნის ოფიციალური ენა პორტუგალიურია, რელიგია — კათოლიკობა, ფულის ერთეული — რეალი, ქვეყანა 26 შტატად და დედაქალაქის ფედერალურ ოლქად იყოფა. 7 სექტემბერს მისი მოსახლეობა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს... დაასახელეთ ეს ქვეყანა.**

— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ (*გამეორების შემდეგ*) სხვა მინიშნებას ვერ მეტყვით?

— **მას ვენესუელა, კოლუმბია, პერუ ესაზღვრება.**

— ბრაზილია.

— **ბრაზილიის დედაქალაქი რომელია?**

— ბრაზილია.

— **კანზასი, კოლორადო, ნიუ ჯერსი, ოკლაჰომა, პენსილვანია, ჯორჯია — რა ჩამოვთვალე?**

— ამერიკის შტატები.

— **რა ერქვა ზედაზენზე მოღვაწე ასურელ მამას?**

— იოანე.

— **რომელ უძველეს ხალხს მიაწერენ ამ ანდაზას: „ხელმა ხელთან ერთად სახლი ააშენა, მუცელმა მუცელთან ერთად სახლი დააქცია“?**

— ალბათ, ძველ ბაბილონელებს.

— **შუმერებს. ქარვის სიუხვის გამო, რომელ ზღვას ერქვა „ქარვის ზღვა“?**

— ბალტიის ზღვას.

— **ტყეში 17 პარტიზანია. 5 მათგანი დიდ ლოდს თუ ამოეფარება, რამდენი პარტიზანი დარჩება ტყეში?**

— 17.

— **სარდინია, სიცილია, კორსიკა — ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულებიდან, რომელია ყველაზე პატარა?**

— სიცილია.

— **ცდებით, სწორი პასუხია — კორსიკა. მსოფლიოს რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?**

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— **„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,/ ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი./ სული საზღვარს გადასცდება ფრენით,/ ახლაც მახსოვს მისამართი შენი...**

— (*მაწყვეტინებს*) ეს ტერენტი გრანელის ლექსია.

— **შეგიძლიათ დაასრულოთ?**

— რა თქმა უნდა! „...ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,/ რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ,/ წინ მეშლება სხვა ოცნების არე,/ მიწის ცქერით დაიღალა მთვარე“.

— **რომელმა ცნობილმა მხატვარმა გამოსახა ჯოკონდა ულვაშებით?**

— სალვადორ დალიმ.

— **რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?**

— 365 დღე.

— **365 დღე და 6 საათი. რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს?**

— სახელი.

— **რა ეწოდება ძაღლების მიმართ შიშს?**

— კინოფობია.

— **რომელ სრუტეს არ გაივლის ბათუმიდან მარსელში გემით მიმავალი მოგზაური — ბოსფორის, დარდანელის თუ გიბრალტარის?**

— გიბრალტარის სრუტეს არ გაივლის.

— **რა ერქვათ თამარ მეფის შვილებს?**

— ლაშა-გიორგი და რუსუდანი.

— **დაბოლოს, დაასრულეთ სტენდალის ცნობილი გამონათქვამი: „თუ გსურს ბრძნულად მოიქცე, მოუსმინე ცოლს და...“**

— „...გააკეთე საწინააღმდეგო“. სტენდალის ეს გამონათქვამი ვიცი, მაგრამ არ ვეთანხმები. ■

**ერუდიტი +**

1. ბუდას ნამდვილი სახელი სიდიჰარტჰი გაუტამაა. გადმოცემის მიხედვით, ის ძველი ინდოეთის ერთ-ერთი სამეფოს პრინცი იყო, რომელმაც მთელი ცხოვრება ჭეშმარიტების ძიებას შეალია და შედეგად, კაცობრიობას ახალი რელიგია — ბუდიზმი შესძინა.

2. რეზო ლაღიძემ „თბილისო“ ნადირობის დროს დაწერა.

3. პეტრიწონის მონასტერი 1083 წელს, ბიზანტიაში მოღვაწე ქართველმა ძმებმა — გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეებმა დააარსეს. მაშინ ბულგარეთი ბიზანტიის იმპერიის ნაწილი იყო. მონასტერში მოქმედ სემინარიას ცნობილი ქართველი მოღვაწე, იოანე პეტრიწი 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა.



# ყველაფერი ასე დაიწყო...

**80 წელი გვაშორებს იმ დროს, როდესაც ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში პირველი მუნდიალი ჩატარდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, საგრძნობი ცვლილებები განიცადა ფეხბურთმაც და, რაღა თქმა უნდა, თვით ამ ტურნირმაც. დღეს საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი ნებისმიერი კონტინენტის მოსახლეობისათვის უპირველესი სპორტული ღონისძიებაა და მასშტაბურობით მას მხოლოდ ოლიმპიური თამაშები თუ შეედრება. ამიტომ, ზედმეტი ნამდვილად არ იქნება, თუ მის საინტერესო ისტორიას კიდევ ერთხელ გავიხსენებთ.**

ფეხბურთის ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას წინ უსწრებდა დღეისათვის მთელ პლანეტაზე ისეთი გავლენიანი და ავტორიტეტული სპორტული ორგანიზაციის შექმნა, როგორიცაა FIFA. იგი 1904 წლის 21 მაისს დაარსდა. ფიფას პირველ პრეზიდენტად ფრანგი რობერ ჰერენი აირჩიეს. ჰერენი იმხანად საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც იყო და თანაც, სპორტული გაზეთის ჟურნალისტადაც მუშაობდა.

რობერ ჰერენმა პირველმა წამოაყენა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების იდეა — თავდაპირველად საკლუბო, ხოლო მოგვიანებით — სანაკრებო დონეზეც, თუმცა მისი პრეზიდენტობის პერიოდში (ის ფიფას თავკაცის პოსტზე ორ წელიწადზე ოდნავ მეტხანს იმყოფებოდა) ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა.

1904 წელს, ფიფას დამფუძნებელ კონგრესზე, ორგანიზაციის წესდების პირველ პუნქტში დელეგატებმა ჩაწერეს ფრაზა: „ფიფას საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების ექსკლუზიური უფლება აქვს“.

უკვე მომდევნო წელს ფიფას კონგრესზე ჰოლანდიელმა, კარლ ანტონ ვილემ ჰირშმანმა საკლუბო ჩემპიონატის ჩატარების იდეა წამოაყენა. ტურნირში თითოეული ქვეყნიდან თითო კლუბს უნდა მიეღო მონაწილეობა. ამგვარად, შეიძლებოდა, ევროპის ჩემპიონთა თასის (1991 წლიდან — ჩემპიონთა ლიგა) გათამაშებას 1905 წელს აეღო სტარტი. განაცხადების შეტანის ბოლო ვადად, 1905 წლის 31 აგვისტო დასახელდა, თუმცა როდესაც ეს დღე დადგა, აღმოაჩინეს, რომ ტურნირში მონაწილეობის სურვილი არც ერთი ევროპული გუნდის ხელმძღვანელობას არ გამოუთქვა.

1906 წლის 4 ივნისს გამართულ კონგრესზე ფიფას მომდევნო პრეზიდენტად, ქალაქ ბლექბერნის სახელისუფლებო მოხელე, ინგლისელი დანიელ ბერლი ვულფოლი აირჩიეს. ისევე, როგორც ყველა მისი თანამემამულე, ვულფოლიც სამყაროს ცენტრად ინგლისს მიიჩნევდა. ბრიტანული გუნდების სხვა ქვეყნების წარმომადგენელ კლუბებზე დამაჯერებელი გამარჯვებები კი მას ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განუმტკიცებდა. ამიტომ, საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირის ჩატარების შესახებ ფიფას დანარჩენი წევრების მიერ წამოყენებული აზრი ვულფოლს მაინცდამაინც არ აღაფრთოვანებდა.

ასე გრძელდებოდა 1918 წლამდე, როდესაც სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა: პირველი მსოფლიო ომი დასრულდა; 24 ოქტომბერს ვულფოლი გარდაიცვალა. ბრიტანელებმა — როგორც ამ ომში გამარჯვებულებმა — დამარცხებულ ქვეყნებზე საფეხბურთო თვალსაზრისითაც გაავრცელეს სანქციები. მათ მცდელობას მხარდაჭერა არ ჰქონია, ამიტომ, პროტესტის ნიშნად, ოთხმა ბრიტანულმა ფედერაციამ ფიფა დატოვა.

29 თვის განმავლობაში ფეხბურთის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია პრეზიდენტის გარეშე რჩებოდა, ვიდრე 1921 წლის 1-ელ აპრილს ამ პოსტზე ჟიულ რიმე არ აირჩიეს, რომელმაც 1920 წელს, ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზებისას გამოიჩინა თავი. სწორედ რიმემ შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატის იდეის ხორცშესხმა, რითიც საკუთარი სახელი უკვდავყო.

ჟიულ რიმე ძალიან გონივრულ საფეხბურთო პოლიტიკას ატარებდა. ის გრძნობდა, რომ დამდგარიყო დრო, როდესაც მასშტაბური საერთაშორისო ტურნირის ჩატარება შეიძლებოდა.

1928 წლის 28 მაისს ფიფამ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს ამსტერდამში შეკრებილმა დელეგატებმა ხმათა უმრავლესობით (27 5-ის წინააღმდეგ) მსოფლიო თასის გათამაშების დაფუძნების გადაწყვეტილება მიიღეს. პირველი მუნდიალი ჟიულ რიმეს თანამემამულის, ანრი დელონეს რჩევით, უკვე 1930 წელს უნდა ჩატარებულიყო. ამასთან, ამსტერდამში ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, ერთის გარდა: რომელ ქვეყანას უნდა ემასპინძლა პირველი მსოფლიოს ჩემპიონატისათვის... ამ საკითხის განხილვა კი ერთი წლით გადადეს — მომდევნო კონგრესისთვის, რომელიც 1929 წლის 18-19 მაისს ბარსელონაში შედგა.

კანდიდატურები ხუთმა ევროპულმა (იტალია, შვედეთი, ჰოლანდია, უნგრეთი, ესპანეთი) და ერთმა სამხრეთამერიკულმა (ურუგვაი) ქვეყანამ წამოაყენეს. თუმცა საბოლოოდ, „ბებერი კონტინენტის“ წარმომადგენლებმა მასპინძლობის უფლება სამხრეთამერიკელებს დაუთმეს. როგორც იმჟამინდელი პრესა იუწყებოდა, ურუგვაისთვის უპირატესობა „ხანგრძლივი ოვაციის“ ფონზე მიუნიჭებიათ.

რაც შეეხება მსოფლიო პირველობის გამარჯვებული გუნდისათვის დაწესებულ ჯილდოს: ფიფას შეკვეთით, იგი ფრანგმა იუველირმა — აბელ ლაფლერმა დაამზადა. 1800 გრამი ოქროსაგან ჩამოსხმული ძველბერძნული გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს თასი, მუნდიალებზე წარმატებულ ქვეყნებს შორის, 40 წლის განმავლობაში „მოგზაურობდა“, ვიდრე 1970 წელს ის საბოლოოდ არ დაისაკუთრეს ბრაზილიელებმა. ბრაზილიაში „ოქროს ქალღმერთმა“ კიდევ 13 წელი „იცოცხლა,“ შემდეგ კი მძარცველთა ხელში აღმოჩნდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა...

*P.S. „გზის“ მომდევნო ნომერში პირველი მუნდიალის მოკლე მიმოხილვას შემოგთავაზებთ.*



ქალღმერთ ნიკეს თასი 40 წლის განმავლობაში „მოგზაურობდა“

# WORLD CUP 2010

## რონი და რობი სამხრეთ აფრიკაში ასპარეზობაზე ოცნებობენ



მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის სურვილს არა მარტო ის ოსტატები გამოთქვამენ, რომლებიც დღესდღეობით, ამა თუ იმ ეროვნული გუნდის ღირსებას იცავენ, არამედ ისინიც, ვინც უკვე ვეტერან ფეხბურთელებად მიიჩნევიან. ამ მხრივ გამონაკლისი, არც მომავალი მუნდიალის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიჩნეული ბრაზილიის ნაკრებია. დუნგა და კომპანია მსოფლიოს თასის მეექვსედ დასაუფლებლად ემზადება, რაც პენტაკამპეონთა რიგებში კონკურენციას კიდევ უფრო ზრდის. უკვე ასაკოვანი მოთამაშეები, რონალდო და რობერტო კარლოსი „სელესაოს" დასახმარებლად მზადყოფნას აცხადებენ.

როგორც ცნობილია, წლების წინ რონალდო PSV-ში, „ბარსელონაში", მილანის „ინტერში", მადრიდის „რეალსა" და „მილანში" გამოდიოდა, ხოლო 1994 (როგორც სათადარიგო), 1998, 2002 და 2006 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობდა, ამჟამად კი ბრაზილიური „კორინთიანსის" ღირსებას იცავს. გარდა იმისა, რომ „კიჟა" 1994 და 2002 წლებში ოქროს მედლებს დაეუფლა, იგი 3 ტურნირზე გატანილი 15 გოლით, მსოფლიოს პირველობების რეკორდსმენიცაა.

„ეროვნულ ნაკრებში თამაშს არ ვიმსახურებ, ეს აშკარაა და ამის განხილვას აზრიც არა აქვს. თუმცა, თუ საჭირო იქნება, ნაკრებს დავეხმარები, რადგან ბრაზილია ჩემი სამშობლოა და საერთაშორისო არენაზე მისი სახელით ასპარეზობა დიდი პატივია", — ამბობს რონალდო.

რაც შეეხება რობერტო კარლოსს, რომელიც 10 აპრილს 37 წლის გახდა, 2010 წლიდან ბრაზილიური „კორინთიანსის" ღირსებას იცავს და არცთუ ისე ურიგოდ ასპარეზობს. ამიტომაც, ბრაზილიური მასმედია დუნგას, ეროვნულ ნაკრებში მის დაბრუნებას ურჩევს. „დიდი მადლობა პრესას იმის გამო, რომ ჩემს თამაშს ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს. საბოლოო გადაწყვეტილებას დუნგა მიიღებს. ვიცი, ჩინებულ ფორმაში ვიმყოფები. ეროვნულ ნაკრებში ჩემს პოზიციაზე მიჩელს, ჟილბერტოს, მარსელოსა და ანდრე სანტოსს შეუძლიათ თამაში. უკვე 37 წლის გახლავართ, მაგრამ საკუთარ ძალაში კვლავაც დარწმუნებული ვარ და მივიჩნევ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია", — ამბობს რობერტო კარლოსი, რომელმაც 1998 წელს საფრანგეთში, სელესაოსთან ერთად ვერცხლის მედალი, ხოლო 4 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ■

## ტერორისტები მუნდიალსაც ემუქრებიან

ინგლისისა და აშშ-ის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრა „ალ-ქაიდასთან" დაახლოებული ტერორისტული ჯგუფების ყურადღების ცენტრში მოექცა. ალჟირში დაბანაკებული ტერორისტების მიმართვა ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ექსტრემისტული ვებ-გვერდით გავრცელდა. „რა შთამბეჭდავი იქნებოდა ხალხით სავსე სტადიონზე, ინგლისისა და აშშ-ის მატჩის მსვლელობისას, პირდაპირ ეთერში გამაყრუებელი გრუხუნის ხმა და იმის ხილვა, თუ როგორ სწორდება მიწასთან იქაურობა და იღუპება ასეულობით ადამიანი", — ნათქვამია მიმართვის ტექსტში.

შეგახსენებთ, ინგლისელებსა და ამერიკელებს შორის მატჩი 12 ივნისს, იოჰანესბურგიდან 40 მილის მანძილზე მდებარე რუსტენბურგის „როიალ ბაფოკენგზე" გაიმართება. მომავალი მუნდიალის ორგანიზატორთათვის სწორედ მოსალოდნელი ტერორისტული აქტებია მთავარი საფიქრალი. როგორც ტერორისტების მიმართვაშია ნათქვამი, ისინი სტადიონებზე ძნელად აღმოსაჩენი ასაფეთქებელი ნივთიერებების შეტანას შეეცდებიან. მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ უსაფრთხოების ზომები მაღალ დონეზე იქნება დაცული, რაც ტერაქტების თავიდან აცილების იმედს იძლევა. ამის შესახებ სპეციალური განცხადება ფიფას გენერალურმა მდივანმა, ჟერომ ვალკემაც გააკეთა: „ჩვენ ტერორისტული შემოტევით გვემუქრებიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტურნირის სამხრეთ აფრიკაში ან სხვა ქვეყანაში გამართვა არ შეგვიძლია. ამ ზეიმის მოწყობის ნება გვაქვს და ვიცით, რომ მუქარა მსოფლიოს თასის გათამაშების ჩატარებაში ხელს ვერ შეგვიშლის".

გავრცელებული ხმების თანახმად, ბრიტანული სპეცსამსახურები ზემოთ ხსენებულ მუქარას სერიოზულად ეკიდებიან. თავის მხრივ, სამხრეთ აფრიკის პოლიციის თავკაცი, ვიშნუ ნაიდუ აცხადებს: „2010 წლის მუნდიალის მსვლელობის პერიოდში ინტერპოლის შტაბბინა დროებით, სამხრეთ აფრიკაში გადმოვა. მას ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში მყოფი პირების — უბრალო ხულიგნებით დაწყებული და ტერორისტებით დამთავრებული — მონაცემების ფართო ბაზა აქვს. შესაბამისად, მათგან ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლას ვერც ერთი ვერ შეძლებს. თანაც, ჩვენ არმიისა და პოლიციის გარდა, საკუთარი სპეცსამსახურები გვყავს, რომლებიც საფრთხის პოტენციალს ყოველდღიურად აკონტროლებენ. ამასთან, ჩვენმა პოლიციამ, ამერიკელ კოლეგებთან ერთად, სერიოზული სწავლების კურსი გაიარა და თითოეულმა სამართალდამცავმა შესანიშნავად იცის, თუ როგორ მოიგერიოს ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული შემოტევა".

ტერორიზმის სფეროს შემსწავლელი ექსპერტები ამბობენ, რომ ტერორისტული აქტების მზადების შესახებ წინასწარი განცხადების გაკეთება „ალ-ქაიდასთვის" ერთობ უჩვეულოა. ინგლისელი პროფესორის, პოლ უილკინსონის აზრით: „როგორც მინიმუმ, ეს უჩვეულოა. „ალქაიდა" და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები თავიანთ გეგმებზე ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებენ. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას აღნიშნული მუქარის უყურადღებოდ დატოვების უფლება ნამდვილად არა აქვს. ■

*რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა*

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

### „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის „კიპორჭი“?

2. რისთვის უკეთებდნენ რაინდთა აბჯარს მცირე ზომის უამრავ ნახვრეტს?

3. რა არის პარასოლი?

4. დაასრულეთ მიხაილ ჟვანეცკის ხუმრობა: „იაპონცი ტაკაია უმნაია ნაცია, შტო უ ნიხ ნეტ...“

5. 1932 წელს, საბჭოთა კავშირში, სამთავრობო გადაწყვეტილებით გამოცხადდა ხუთწლედი, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ 1937 წლის 1-ელი მაისისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ღმერთის სახელი დავიწყებას მისცემოდა. რა სახელით შევიდა ეს ხუთწლედი ისტორიაში?

6. რა არის კულევრინი?

7. დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც ძაღლის მსგავსად, უსინათლოთა მეგზურად წვრთნიან.

8. 1982 წელს ერთმა კანადელმა პაციფისტმა, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით ომის დაწყების პანიკურად ეშინოდა, გადაწყვიტა მყუდრო, მშვიდი ადგილი მოეძებნა და იქ დასახლებულიყო. რომელი კუნძულები აირჩია მან საცხოვრებლად?

9. დაასახელეთ კუბის ეკონომიკის უკვდავი დარგი.

10. ვინ აკრძალა ირანში დასავლური მუსიკა და ალკოჰოლი?

11. რამდენ სტრიქონს შეიცავს კლასიკური სონეტი?

12. რითი თამაშობენ დასავლეთაფრიკული ტომის, მატამის წევრები ფეხბურთს?

# ანეკდოტები



* * *

— მიხო, შეგიძლია, სიდედრი მოკლა ბამბითა?
— როგორ არა, ოღონდ, ბამბაში უთო უნდა გაახვიო, კარქათა.

* * *

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს და ეკითხება:
— ძილში რატომ კვნესოდი?
— ნატაშა დამესიზმრა.
— ნატაშა?! ვინ ნატაშა?!
— შენ არ იცნობ, სიზმარში გავიცანი.

* * *

ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ესპანელი ტაქსიში სხედან. გააღეს კარი და ესპანელი მანქანიდან გადმოაგდეს — ანეკდოტს აფუჭებო.

* * *

— სად იყავი, მიხო, ოთხი დღე რომ არ ჩანდი?
— სანადიროდ ვიყავი წასული. უშველებელი მგელი გამომივარდა და შეშინებული, ხეზე ავძვერი.
— მერე, ოთხი დღე ეგრე გაატარე, მშიერ-მწყურვალმა?
— რატომ, მშიერ-მწყურვალმა? საჭმელს ჩემი მარო მიზიდავდა!..

* * *

ჩუქჩას ჰკითხეს:
— რომელი ეროვნების ხალხია ყველაზე შეუგნებელი?
— სომხები.
— რატომ?
— ერთი სომეხი მეზობელი მყავს და ჩემს ცოლთან დადის. ყოველდღე ვეუბნები, — ჩემი ცოლია, თავი დაანებე-მეთქი, მაგრამ მაინც, არაფერი ესმის.

* * *

საახალწლო საჩუქარი ქართველ ხალხს, საქართველოს მთავრობისგან: ბედობის ღამეს ყველა ქართველ მომღერალს სიმღერა აეკრძალა.

* * *

დილაა. ცოლი მძინარე ქმარს აღვიძებს:
— ადექი, უკვე დილაა! ადექი-მეთქი! არა, კაცო, მთლიანად ადექი, სამსახურში გაგვიანდება!

* * *

— მიხო, ქალი რომ იყო, „ფლეიბოის“ პირველ გვერდზე შენს შიშველ ფოტოს დააბეჭდვინებდი?
— რავი, გააჩნია, რამდენს გადამიხდიდნენ.
— ეეე, ქალები ყველა ერთნაირები ხართ!

* * *

ორი სომეხი დანაძლევდა:
— მოდი, ჩავყვინთოთ და ვინც უფრო ადრე ამოყვინთავს, იმან სახინკლე იკისროს!
— მოსულა!
მეორე დღეს მდინარეში ორი დამხრჩვალი სომეხი იპოვეს.

* * *

გოგო და ბიჭი კაფეში სხედან:
— ყველა ადამიანში არის რაღაც უცნაური, — ამბობს გოგო.
— ჩემში არა, — პასუხობს ბიჭი.
— როგორ არა! ახლა გაკვირდებოდი — ჩაის მარცხენა ხელით ურევ.
— მერე რა?!
— უმრავლესობა კი ჩაის კოვზით ურევს.



* * *

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ექიმმა ანტალიაში ან ბულგარეთში, ოქროს ქვიშებზე დასვენება მირჩია და სად წავიდეთ?

— სხვა ექიმთან!

* * *

იტალიური ფილმის პრემიერაა. ეკრანზე შიშველი და განრისხებული ქალი უყვირის შეშინებულ მამაკაცს, რომელიც ცდილობს, შარვალი სწრაფად ჩაიცვას.

— კასტრატო! იმპოტენტო!

მთარგმნელის ხმა კადრს მიღმა:

— თვალით აღარ დამენახვო, აღარ მიყვარხარ!

* * *

კახელი სახლში დაბრუნდა, მაგარ შარზეა.

— საჭმელი მომიტანე, ქალო! — უღრიალა ცოლს.

ცოლმა მეფური სუფრა გაშალა.

— გაიხადე და იცეკვე.

ქალმა გაიხადა და ცეკვა დაიწყო.

— ახლა, იმღერე!

ქალმა სიმღერა დაიწყო.

— შეძვერი მაგიდის ქვეშ!

ცოლი შეძვრა.

— იყეფე!

ცოლმა ყეფა დაიწყო.

კახელმა წიხლი ამოსცხო:

— პატრონს ვერა სცნობ, შე შობელძაღლო?!.

* * *

აზერბაიჯანის რადიოს ეკითხებიან:

— ჩემი ცოლი ძალიან მსუქანია. როგორ უნდა გახდეს?

— დიეტა უნდა დაიცვას ან ჰერბალაიფის პროგრამა გაიაროს.

— გაიარა, მაგრამ არ შველის.

— მაშინ, რგოლით უნდა ივარჯიშოს.

— როგორ?

— როგორ და ტანზე უნდა ჩამოიცვას და ატრიალოს.

— ტანზე არ ეტევა!

— როგორ, თუ არ ეტევა?!. მართლა არ ეტევა?!.

— მართლა!..

პაუზა.

— იფ, იფ, იფ...

* * *

— დამისახელეთ ყველაზე საუკეთესო პოზა ცოლთან.

— მისიონერული: ცოლი წევს ლოგინში გულაღმა. მოდუნებულია, მშვიდი. შენ კი ამ დროს ჰავაის კუნძულებზე იმყოფები, რაიმე მისიით.

* * *

პარიზის გარეუბანში, ერთ პატარა კაფეში გალეშილი მთვრალი ზის. გადაკრავს არაყს და ჭიქას მოისვრის; კიდევ გადაკრავს, კიდევ მოისვრის. გვერდითა მაგიდასთან მჯდომს ნერვები მოეშალა:

— იცით თუ არა, რომ ყოველი მესამე ფრანგი, რომელიც ალკოჰოლს ეტანება, ციროზით არის დაავადებული?!.

— ეგ მე არ მეხება, მე რუსი ვარ!



* * *

ექიმი პაციენტს ეუბნება:

— ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა, ოღონდ, მაინც გირჩევთ, რომ ზაფხულობით სუფთა ჰაერზე ისეირნოთ, ხოლო ზამთარში თბილად ჩაიცვათ.

სახლში დაბრუნებულს ქმარი ეკითხება:

— რაო, რა გითხრა ექიმმა?

— რაო და ზამთარში „ნორკის“ შუბა ჩაიცვი, ზაფხულში კი კანარის კუნძულებზე დაისვენეო!..

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ხიდად გადებული ძელი. მას მეორენაირად, წანწალას ეძახიან.
2. წონის შესამსუბუქებლად.
3. მზის ქოლგა.
4. „...ბლანდინოკ“.
5. „ბეზბოჟნაია პიატილეტკა“.
6. ერთგვარი ზარბაზანი, რომელიც იალქნიან გემებს ჰქონდათ შეიარაღებაზე.
7. ჯუჯა ცხენი პონი. პონს ის უპირატესობა აქვს, რომ ძაღლისგან განსხვავებით, შუქნიშნის ფერებს არჩევს.
8. ფოლკლენდის კუნძულები, სადაც სულ მალე, ომი (არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის) დაიწყო.
9. სიგარების წარმოება.
10. აიათოლა ჰომეინიმ.
11. თოთხმეტ სტრიქონს.
12. ადამიანის თავის ქალით.

## ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა *თემურ ივანიძემ*

# ჰოროსკოპი

## 22-28 აპრილი

**ვერძი:**
ნუ ხართ დაბნეული და შეშინებული. თუ წარმატების მიღწევა გსურთ, თავდაჯერებულად იმოქმედეთ. ქურდობის თავიდან ასაცილებლად, ახალგაცნობილებს სტუმრად ნუ მიიპატიჟებთ.

**კურო:**
კამათი სხვათა ინტერესების დასაცავად შეიძლება, სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს. ახლობლებთან ურთიერთობას ნუ გაიფუჭებთ. მატერიალურად საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ.

**ტყუპი:**
ათას რამეს ედებით, ყველაფრის მოსწრება გსურთ. თუ საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ ხართ, ახალ საქმეს ნუ შეეჭიდებით. გადატვირთული გრაფიკის გამო, საყვარელი ადამიანი არ დაივიწყოთ.

**კირჩხიბი:**
რომანტიკული შეხვედრები სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნით. კარგია, თუ ახალი იდეების განხორციელებაზე იზრუნებთ. ამ პერიოდში მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

**ლომი:**
ოჯახის წევრები ყურადღებითა და მზრუნველობით გაგანებივრებენ. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და მომთხოვნი. საოჯახო საქმეები მეუღლესთან ერთად მოაგვარეთ.

**ქალწული:**
ამ კვირაში ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობთ, მაგრამ თუ სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება გსურთ, ნუ გააბამთ ჭორების ქსელს. საკუთარი მოსაზრებები თქვენთვის შეინახეთ.

**სასწორი:**
გააკონტროლეთ ხარჯები, ნუ გაფლანგავთ ფულს ძვირად ღირებულ, გამოუსადეგარ ნივთებში. სულიერ სიმშვიდეს საოჯახო საქმეების მოგვარებაში პოვებთ.

**მორიელი:**
პედაგოგიური საქმიანობა დამატებით შემოსავალს მოგიტანთ. დასვენების დღეებში თავს საოჯახო საქმეებით ნუ გადაიტვირთავთ. ენერგიის აღდგენაში მუსიკა დაგეხმარებათ.

**მშვილდოსანი:**
პირად ცხოვრებაში არსებულმა გაურკვევლობამ სამსახურებრივი საქმეებიც დაგავიწყათ, ეს კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. თუ საშუალება მოგეცემათ, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

**თხის რქა:**
მეგობრებისგან ახალ საქმიან წინადადებას მიიღებთ, რაც მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. გაითვალისწინეთ მშობლების რჩევა-დარიგებები, დასვენების დღეებში კი ფიტნეს-კლუბს ეწვიეთ.

**მერწყული:**
პრობლემების თავიდან ასაცილებლად, საქმიან დოკუმენტებს ადვოკატის გარეშე არ მოაწეროთ ხელი. საყვარელ ადამიანთან სიჯიუტესა და ეგოისტობას ნუ გამოავლენთ.

**თევზები:**
კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, უცხო ენის შესწავლისთვის. ჩაიტარეთ სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოკვლევა. კვირის ბოლოს საზღვარგარეთიდან სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ.

## პატარები გენიოსობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

4 წლის მამუკა ცინცაძეს კარგად ახსოვდა ედუარდ შევარდნაძის გადადგომის ეპიზოდები. რამდენიმე ხნის შემდეგ, მან ტელევიზორში დაინახა მშვიდად მოსაუბრე ექსპრეზიდენტი და გაკვირვებულმა იკითხა:
— ეგ ისევ გადმოდგა?

ორწლინახევრის რომიკო ბელქანია ნახატებიან ჟურნალს ათვალიერებს. მისი ყურადღება ირმებმა მიიქცია.
— ეს ნუკრია, ხოლო რქებიანი, დიდი ირემი მისი მამიკოა, — აუხსნა დედამ.
ნუკრი მეზობლის ბიჭს ერქვა. რომიკომ გაიფიქრა: პატარა ირემს თუ ნუკრს ეძახიან, დიდის სახელიც მცოდნიაო და წამოიძახა:
— მამა ირემს გენადი ბიძია ჰქვია, არა?

5 წლის ნინო ოგოლაძე ტელევიზორს უყურებს.
— ვინ მღერის? — იკითხა პატარამ.
— „ქუჩის ბიჭები“, — პასუხობს დედა.
— სულ ქუჩაში არიან, სახლში საერთოდ არ შედიან? — იკითხა გაკვირვებულმა ბავშვმა.

5 წლის ქეთი გიორგობიანს ექიმმა იოდის „კლეტკები“ დაუნიშნა. როცა დედამ ამ პროცედურის ჩატარება დააპირა, ქეთიმ იკითხა:
— დედა, წყალი რომ მომწყურდეს, „კლეტკიდან“ როგორ გამოვალ?

4 წლის გივიკო დედას ეკითხება:
— დედა, მუცელში ისეთი რა გვაქვს, რომ არ ვიფუშებით?

ნოემბრის რევოლუციის დღეებია. 3 წლის თეკლა ტყეშელაშვილს მამიკო „ჩიტი-ჩიორას“ ზღაპარს უყვება...
— მელიამ საწყალი ჩიტი-ჩიორას მესამე ბარტყიც შეჭამა. აბა, თუ გახსოვს, ამ დროს რას იძახოდა გამწარებული ჩიტი-ჩიორა?
— მი-შა!.. მი-შა!.. — დაუფიქრებლად წამოიძახა თეკლამ.



1. ქვეწარმავალი
2. ობობას ქსელი
3. ქვეყანა აფრიკაში
4. იტალიური ლვეზელი
5. კაციჭამია
6. საჭმლის დამზადების ოსტატობა
7. მინი-რესტორანი
8. კანადის დედაქალაქი
9. ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი
10. ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე
11. ჯგუფ U2-ის სოლისტი
12. სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული
13. მსხლის ჯიში
14. ზედა კიდური
15. გამარჯვების ქალღმერთი ბერძ. მით.
16. ინგლისის ფეხბურთის გუნდი
17. პოპმუსიკის დედოფალი
18. ქართველი პოეტი
19. აზრი, ჩანაფიქრი
20. სასტუმროს მსახური ბიჭი
21. ხვეული ნამცხვარი
22. მაღალი ძელი
23. რეზინის მილი
24. შეძენილი ნათესავი
25. მწვანილი
26. ტაძარი თბილისში
27. იაპონური ავტომობილი
28. მჭევრმეტყველი ადამიანი
29. ერთგვარი საყურე
30. განყოფილების სათაური ჟურნალში
31. ლაბორატორიული ჭურჭელი
32. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება
33. სუდანის დედაქალაქი
34. ძაღლის ჯიში
35. ... აგილერა
36. აბრა
37. მუს. ნოტი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ფრაიბურგი; 2. მანუალი; 3. კუპიდონი; 4. რიონი; 5. გონდოლა; 6. ასუნსიონი; 7. კოლი; 8. საბა; 9. ნალია; 10. ბარი; 11. ჭერამი; 12. ბომონდი; 13. კრიჭა; 14. ალჟირი; 15. ონაგრი; 16. კლიენტი; 17. ვერა; 18. ფიატი; 19. მაგნიტი; 20. კვირტი; 21. ოკრიბა; 22. კანა; 23. ტენი; 24. კოალა; 25. ოდა; 26. მენეჯერი; 27. იმამი; 28. არაქისი; 29. ცდა; 30. მიტინგი; 31. კოელიო; 32. შრე; 33. ლავრა; 34. ამაღლება; 35. ლავა; 36. ფიასკო; 37. მალამო; 38. სიმღერა; 39. იო; 40. ორლი.

**სურათებზე:** 1. ფრანკ რიბერი; 2. ლიონელ მესი.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | ს | ჟ | უ | რ | ნ | ა | ლ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ო | რ | უ | ტ | რ | დ | ო | ო | ზ | ი | რ | ლ | ა | ვ | ე | ი | ა | | ვ | ი | მ | | ს | ა | თ | ა | ე |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**დ.** რა ჰქვია მარადონას; **ა.** განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში (მისი სახელი რუსებმა თავის დროზე ერთ მურდალ კრეისერს დაარქვეს); **ი.** ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ბინძური ჰარი“; **ს.** ინგლისელი მწერალი, „გულივერის მოგზაურობის“ ავტორი; **ვ.** რა ხელობის კაცი გახლდათ „ქეთო და კოტეს“ პერსონაჟი, ქეთოს მამა, მაკარი; **ე.** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი (ფიზიკის ერთი კანონი ვაშლის ხის ძირში ჯდომისას აღმოაჩინა); **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ჩ.** რა ჰქვია „დესერტს“ ქართულად; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ნ.** აშშ-ის შტატი, რომელშიც მდებარეობს ქალაქი ლასვეგასი; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ჟ.** ქალაქი შვეიცარიაში; **უ.** ამერიკელი ფერმწერი; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ნ.** ერი; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ლ.** რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა.** ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **თ.** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა.** მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **დ.** ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი (დღისით ანთებული ფარნით ხელში დადიოდა ქუჩაში და როცა ეკითხებოდნენ, ფარანი რად გინდაო, „ადამიანს ვეძებო“, პასუხობდა).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გაბელია; **ზ.** ზვავი; **ა.** აკვანი; **გ.** გიშერი; **ზ.** ზევსი; **ი.** ილიადა; **ს.** სიდნეი; **თ.** თიაქარი; **ვ.** ვასილი; **ი.** იტალია; **ს.** სექტა; **ა.** ასმათი; **ო.** ოფელია; **მ.** მადრიდი; **კ.** კლანი; **ი.** ილუმენი; **თ.** თაკარა; **ხ.** ხვადაგი; **ვ.** ვენდეტა; **ე.** ენგური; **ლ.** ლიახვი; **ი.** იუმორი; **ს.** სკოტი; **თ.** თხუნელა; **ვ.** ვედრება; **ი.** იმედი; **ს.** სიქა; **ა.** ასინეთა; **ო.** ოლოლო.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**ბავშვი დასაქმე და უკან გამოუდექიო**

# იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული **სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 9 | 2 | 6 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 6 | 3 | 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 2 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 6 | 4 | 9 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 3 | 2 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 5 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 7 | 4 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 |
| 9 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 8 | 4 | 5 | 1 | 2 | 6 | 7 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 7 |
| 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 2 | 6 | 9 | 4 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 3 | 9 | 8 | 1 | 5 |
| 2 | 9 | 4 | 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 | 3 | 9 |
| 3 | 8 | 1 | 5 | 9 | 6 | 7 | 4 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 6 | 1 | 2 | 4 | 9 | 7 | 8 |
| 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 2 | 3 | 4 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 9 | 7 | 6 | 1 | 5 |
| 3 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 | 8 | 2 | 9 |
| 7 | 4 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 9 | 5 | 2 | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 |
| 6 | 9 | 5 | 2 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 4 | 9 | 1 |

## * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 6 | | | 8 | |
| | 6 | | 2 | | | 5 | | 9 |
| | | 9 | | | 1 | 4 | | |
| | | 7 | | 5 | | | | 8 |
| | | 6 | | 1 | 9 | 7 | | |
| 2 | | | | | 8 | 9 | | |
| | | 4 | 1 | | | 6 | | |
| 5 | | 2 | | | 6 | | 3 | |
| | 3 | | | 2 | | | | 5 |

## ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | 2 | | | | | 9 |
| 9 | | | | 8 | | | 1 | |
| | 1 | | 9 | | | | 3 | 7 |
| | 2 | | 5 | | | | 6 | |
| 6 | | | 1 | 9 | | | | 2 |
| | 5 | | | | 6 | | 9 | |
| 7 | 4 | | | | 3 | | 8 | |
| | 9 | | | 5 | | | | 1 |
| 5 | | | | | 9 | | | 6 |

## *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 8 | | | | 3 |
| | 9 | | | 5 | | | | |
| 2 | | | 7 | | | | | 6 |
| | 8 | | | | 3 | | | 1 |
| | | 2 | 6 | 7 | | 3 | | |
| 3 | | | 4 | | | | 6 | |
| 5 | | | | | 1 | | | 9 |
| | | | | 4 | | | 3 | |
| 7 | | | | 6 | | | 4 | |

# ფოტოკურიოზები



















„კვირის პალიტრა“ 15 წლისაა!
სიურპრიზი იუბილარისაგან!
ქართული პოეზიის მარგალიტები:
„63 ლექსი“
ხალხური, გალაკტიონი, ვაჟა, აკაკი, ილია, ტიციანი,
ლადო, ტერენტი...
კითხულობს: გოგი ხარაბაძე
მხოლოდ 25 აპრილამდე
„კვირის პალიტრასთან“
ერთად!
63 ლექსი 2 დისკზე
განსაკუთრებულ ფასად!
5 ლარად.
დამზადებულია
„სანო სტუდიაში“
(პოეზიის ეს კრებული მაღაზიებში 20 ლარამდე ღირს)

ს 124/11
-90